# ახალი საუნჯე

ტექსტების და კონტექსტების ჟურნალი

№7

ნოემბერი, 2013 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა
1970/2
2013

**ნომრის ავტორები**

ჯარჯი ფხოველი & თადეუშ დომბროვსკი

**ნომრის იუბილარი**

ფრანც კაფკა – 130

**პოეზია**

კაატა შამუგია
ქეთი თუთბერიძე
კატო ჯავახიშვილი
მარიაა ქორქოლიანი

**ხელოვნება**

არჩილ გიორგობიანი
გია ეძგვერაძე




**პროზა**

ალეკო ცქიტიშვილი
ზურა მელიქიძე
დიმიტრი წიკლაური

**ახალი წიგნები**

ზაზა ფირალიშვილი
ირმა ტაველიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ნომრის ავტორები

1

**ჯარჯი ფხოველი**

ჯარჯი ფხოველი – ლექსები 4, 6-8, 11, 13-15, 17, 18
ეკა ქევანიშვილი – ჯარჯი ფხოველი უდაბნოს უდაბნოში 5
გიორგი ლობჟანიძე – მზე, რომელიც მგელივით ყმუის 10
ბესიკ ადეიშვილი – საკუთარი ხმის მწაფავი 16

**თადეუშ დომბროვსკი**

პაველ პრუხნიაკი – თადეუშ დომბროვსკის ახალი პოეზია: უაღრესად სერიოზული და უკიდურესად ირონიული
(პოლონურიდან თარგმნა ამბროსი გრიშიკაშვილმა)
თადეუშ დომბროვსკი – ლექსები
(თარგმანი ზვიად რატიანის) 22, 26, 32-35
ფრაგმენტები ინტერვიუებიდან
(პოლონურიდან თარგმნა ამბროსი გრიშიკაშვილმა) 23
თადეუშ დომბროვსკი – მოწყვლადი ხაზი (მოთხრობა)
(პოლონურიდან თარგმნა რაჟდენ ჩიხორიამ) 36

## პოეზია

2

პაატა შამუგია 49
ქეთი თუთბერიძე 50
კატო ჯავახიშვილი 53
მარიკა ჟორჟოლიანი 56

## პროზა

3

ალეკო ცქიტიშვილი – ჩემი თავი 59
ზურა მელიქიძე – წონასწორობა 62
დიმიტრი წიკლაური – ლივერპულის მოწყალება (ფრაგმენტი რომანიდან) 68

ეროვნული ბიბლიოთეკა

4

**ახალი წიგნები**

ლელა კოდალაშვილი – ავტორი, რომელიც ტექსტად იქცა და მკითხველი, რომელიც ამ ტექსტისგან შედგება 81

ეკა ქევანიშვილი – როცა დაიწყების სწავლა შეუძლებელია 84

5

**ნომრის იუბილარი: ფრანც კაფკა** – 130

ფრანც კაფკა – მცირე პროზა (გერმანულიდან თარგმნეს სერგო ოქროპირიძემ და დევი ბერძენიშვილმა) 87

თომას მანი – მწერლის პატივსაგებად. ფრანც კაფკა და „ციხე-სიმაგრე“ (გერმანულიდან თარგმნა ალექსანდრე ჭელიძემ) 90

6

**ხელოვნება**

არჩილ გიორგობიანი – რეპრესირებული მუსიკა (1900-1020-იანი წლები) 97

გია ეძგვერაძე – ფრთხილად, ანგელოზი! – რეკვიემი ცივილიზაციაზე (მიხაელ ჰანეკეს „ბენის ვიდეო“) 100

გამომცემლობა „საუნჯის“ ახალი წიგნები 108

მთავარი რედაქტორი:
შოთა იათაშვილი

პროექტის ავტორი:
ვაჟა წონკოლაური

რედაქტორი-სტილისტი
მარიამ წიკლაური

დიზაინი:
თეა აკოფია

დაკაბადონება:
ნიკა ხვედელიძე

სარედაქციო კოლეგია:
დავით ანდრიაძე
გია ეძგვერაძე
დათო ტურაშვილი
ეკა ქევანიშვილი
ზაზა შათირიშვილი
დავით ჩიხლაძე
გია ხადური

ნომერზე მუშაობდნენ:
ჯარჯი ფხოველი
ეკა ქევანიშვილი
გიორგი ლობჟანიძე
ბესიკ ადეიშვილი
ამბროსი გრიშიკაშვილი
ზვიად რატიანი
რაჟდენ ჩიხორია
პაატა შამუგია
ქეთი თუთბერიძე
კატო ჯავახიშვილი
მარიკა ჟორჟოლიანი
ალეკო ცქიტიშვილი
ზურა მელიქიძე
დიმიტრი ნიკლაური
ლელა კოდალაშვილი
სერგო ოქროპირიძე
დევი ბერძენიშვილი
ალექსანდრე ჭელიძე
არჩილ გიორგობიანი
გია ეძგვერაძე

გამომცემლობა – „საუნჯე“
მის.: ალ. ყაზბეგის 32/34
ტელ.: 2141214, 2395587, 2397188
Skype: saunje-saunje
ელ-ფოსტა: saungeo@gmail.com; axalisaunje@yahoo.com
Facebook: გამომცემლობა საუნჯე/Saunje publishing http://www.facebook.com/saunjee
www.saungeo.ge

N 1

# ნომრის ავტორები

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ფოტოსურათები მამუკა ალუდაურის

## შეხვედრა

მე ვარ 70 წლის პოეტი ჯარჯი ფხოველი...
ეგრე კუშტად რომ მომაჩერდი:
ეგრე მრისხანედ და ეგრე შავად...
მოდი, დღესვე გამოგყვები...
გეტყვი: დღესვე დაგემგზავრები,
გამიყვანე და იმ გზაზე დამაყენე:
ჩემი ძველების გატკეპნილ გზაზე,
სადაც ისინი მელოდებიან;
დამანახე ცისგადალმეთი!

გეტყვი: ეხლავე დაგემგზავრები!..
ხელები რატომ აგიკანკალდა?
შენ ხომ ასეთი ბებერი არ ხარ!..
ხმას კი არ იღებ:
იქნებ ენა დაგიმძიმა საარაგვოს ციემა ჰაერმა?

მე ვარ 70 წლის პოეტი ჯარჯი ფხოველი:
უდაბნოების ეული მგზავრი.
ჩემნაირები ხომ ბევრი შეგხვდა...
ეხლა რატომ აკანკალდი?

ბოლოს და ბოლოს, რატომ მოხველ, ერთი მითხარი!
ვხედავ, ქართული არა გცოდნია!
აბა, როგორ დაგეხმარო, ამოღერღე შენი სიტყვები!
ჩაგბარდები, ოღონდ პირშავო,
სუიციდი ჩემი საქმე სულაც არ არის!
ნუთუ ასე შეხვდი 54 წლის ვაჟა-ფშაველას?
ნუთუ ასე შეხვდი 64 წლის გალაკტიონს?..
ხმა ამოიღე, გეუბნები, შავო და კუშტო
ხმა ამოიღე!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯარჯი ფხოველი

# უდაბნოს უდაბნოში

*ეკა ქევანიშვილი*

ხანდახან ასეც ხდება – ვინც წლების წინ აბსოლუტურად მიუწვდომელი ადამიანი გგონია და მის სახელს და გვარს მხოლოდ წიგნის ყდაზე კითხულობ, შეიძლება შენი ერთ-ერთი რესპონდენტი გახდეს. მერე შეიძლება ეს რესპონდენტი დაგიმეგობრდეს. ანაც უბრალოდ სასიამოვნოდ კმაყოფილმა იგრძნო თავი, რომ ის, ბევრი წლის წლის წინ აღმოჩენილი სახელი და გვარი გაიცანი, ახლა შენს წინ ზის და უკვე სამი საათია ათას რამეზე ლაპარაკობთ. ასეთი რამ რამდენიმე მწერალზე შემიძლია ვთქვა. ჯარჯი ფხოველი ერთ-ერთი მათგანია. როცა მისი პირველი წიგნი გამოვიდა, 1971 წელს, დედაჩემი და მამაჩემი ერთმანეთსაც კი არ იცნობდნენ. იმ პირველ წიგნს, ცოტა გვიან, ალბათ, 14-15 წლის ასაკში გადავაწყდი ერთი ძველი ბიბლიოთეკის თაროზე – „რამე საინტერესოს" ძებნაში. „ლექსები" კი ეწერა, მაგრამ ძალიან არ ჰგავდა იმას, რასაც სკოლაში ვიზეპირებდით. და რა რამ და და რა რამ, პამ რა პამ და ა.შ. ლექსები გარითმული არ იყო! ჩემთვის ასე იყო ხოლმე – როცა ვინმე ავტორი ძალიან მომეწონებოდა, ვერც კი წარმომედგინა, რომ მას სხეული შეიძლებოდა ჰქონოდა, ცოცხალი ყოფილიყო. მერე და მერე ყნოსვამ ჯარჯის თანამედროვე სხვა პოეტებამდეც მიმიყვანა, 70-იანი წლების და ცოტა შემდგომი პერიოდის თავისუფალ მელექსეებამდე, მერე 90-იანელებიც აღმოვაჩინე და პოეზიის ზუსტი განსაზღვრებაც ჩამოვიყალიბე ჩემი თავისთვის, რაც მას შემდეგ აღარც შეცვლილა. ეს ამდენი იმიტომ დავწერე, რომ ჩემი და ჯარჯი ფხოველის პირველი, ვირტუალური შეხვედრიდან ბევრზე ბევრი წელია გავიდა და შევხვდი მხოლოდ დღეს, როცა ის 70 წლისა შესრულდა, მე კი 34-ის. მას უკვე ოცზე მეტი წიგნი აქვს გამოცემული და ჯერჯერობით ბოლო, სულ ახალი ლექსების კრებული – „უდაბნოს წიგნი" (გამომცემლობა „საუნჯე") ახლა ჩემს მაგიდაზე დევს.

მაშინ კი, იმ პირველი წიგნის გამოსვლისას, ჯარჯი ფხოველი 27-28 წლისა იქნებოდა. პირველ კრებულში შესული ყველა ლექსი ვერლიბრი იყო. იმ დროში ასეთი პოეზიის წერა ექსპერიმენტად მიიჩნეოდა. ზემოთაც ვახსენე, მას შემდეგ მარტო პოეზიაში ჯარჯი ფხოველმა 20 წიგნი მაინც დაბეჭდა, ჩინური პოეზიის თარგმანების კრებულს და ჩანაწერებს არ ვათვლი. ჯარჯი კი მაინც ამბობს, მე თუ მკითხავ, „ერთი წიგნი მაქვს დაწერილი, ერთი მომცრო წიგნი, მაგაში ჩავტევ მთელ ჩემს შემოქმედებასო". ეგ როგორ-თქო და ეგრე გამოვაო, იმ ლექსების კრებული, რაც მე მომწონს და მინდა, რომ მკითხველმაც ნახოსო.

**მოკლე დიალოგები შიგადაშიგ:**

– 70 წელი როგორი ყოფილა?

– ცუდი. ჩემი მეგობარი, გოგი დოლიძე, დავპატიჟე ჩემს საღამოზე. თავად 82 წლისაა. მანაც ეგ მკითხა, აბა, როგორი ყოფილაო 70 წელიო. მეთქი, ძალიან ცუდი. და იცი რატომ? ცოტა მეხსიერება გიქვეითდება, ცოტა გემოვნება. რედაქციებს მე აღარ უნდა გავეკარო ამის მერე. ვიცი, შეიძლება ისეთი რამ შევთავაზო, რაც შესათავაზებელი არ არის. მათ კი ხათრის ან რაღაც სხვა რამის გამო მაინც დამიბეჭდონ.

– თუ არ მოეწონათ, მაინც დაბეჭდავენ?

– შეიძლება, კი. არ მიყვარს და არ შემიძლია ქება-დიდების მოსმენა. ბევრია ისეთი, ვინც ისმენს და მარტო კი არ სიამოვნებს, სჯერა კიდეც მერე მაგის, სიბერეში. ცუდი კიდევ ისაა, რომ კი გეწერინება რაღაც, მაგრამ ის გემოვნება აღარ მოგდევს, რაც ადრე. არადა, რადგან დაწერე, უკვე კარგი გეჩვენება. ეგ არის 70 წელი.

**არახიჯა, ხმით ნატირლები და სხვა ამბებიც**

1943 წელი იყო. გაგანია მეორე მსოფლიო ომი. ფშავში, სოფელ არახიჯაში, ალპიურ ზონაში, დავით ციგროშვილი დაიბადა. ახლობლებსა და ნათესავებში დავითო ციგროშვილი, თორემ ისე ყველა დანარჩენისათვის – ჯარჯი ფხოველი. მაშინ ეს მაღალმთიანი სოფელი ჯერ კიდევ არ იყო დაცლილი. ჯარჯის ოჯახი ბოლო იყო, ვინც არახიჯა დატოვა და ბარში გადმოინაცვლა. ომი-თქო და ის ციგროშვილების ოჯახსაც მიწვდა. ჯარჯის 16 წლის ძმა, ივანე მოხალისედ

ჩაეწერა და ფრონტზე წავიდა. ერთ წელში დაიღუპა პოლონეთში. წერილებს იწერებოდა თურმე, თუ მოვკვდები, ჩემი ძმისთვის მოვკვდებიო. დავითი რომ ჯარჯი გახდა, მაგ ამბავში სოფიო თანდილაშვილის ხელი ურევია, მაღალი, კოლორიტული ქალის, ჯარჯის ბებიისა, მისი ყველაზე დიდი მეგობრის. სადღაც მტერთან ბრძოლაში მოკლული ძმის სახელი დაურქმევია შვილიშვილისთვის.

„მე რა დროიდანაც მახსოვს, ალბათ, 70-ს გადაცილებული იქნებოდა. ისე ვუყვარდი, ჩემი და-ძმები რომ წყალს მიუტანდნენ, როცა იწვა, იტყოდა ხოლმე, არაო, ჯარჯიმ მომიტანოსო. სულ შვიდი და-ძმა ვიყავით, იმ დაღუპული ძმიანად. ისიც პოეტი იყო. მერე, მოგვიანებით როცა ვნახე მისი მონაფეობისდროინდელი ჩანაწერები, მაგაში დავრწმუნდი".

ბებია სოფიო და დედა – მზექალი, ანდრეზების მცოდნეებად იყვნენ ცნობილები. ანდრეზი მთაში საგმირო-სათავგადასავლო ამბების ან საღვთისმეტყველო მოთხრობების მოყოლას ჰქვია. ჯარჯისაც, სანამ კითხვა ისწავლიდა, მთელი ბავშვობა ეგ ესმოდა – ზღაპარივით მოყოლილი სინამდვილე. მთა კიდევ რის მთა იყო, თუ იქაურმა ქალმა ხმით ტირილი არ იცოდა. ჯარჯი ფხოველი იხსენებს, მერე, მოგვიანებით, პოეტმა ირაკლი გოგოლაურმა გამოსცა ეს ხმით ნატირლები წიგნად, რომელშიც დედამისის ხმით ნატირლებიც შესულა.

„ეს იყო უცნაური, ურითმო ლექსი, მაგრამ დედაჩემმა გადაკეთება იცოდა, რაღაცნაირ ალიტერაციებს აკეთებდა, ბებოც ეგრე იყო. სოფელში ან ხეობაში თუ რამე მოხდებოდა, იმ ამბავს ხომ ერთმანეთს უყვებოდნენ, მერე ის ამბავი მოთხრობასავით ჩამოყალიბდებოდა ხოლმე. მთაში ზვავები იცოდა ხშირად, იცი რა ადგილებია? სულ უფსკრულებში ჩემი სოფლის მიმდებარედ სულ უფსკრულები იყო. ერთი ცოლ-ქმარი წაიღო ადრე ზვავმა, მთელი ფერდობი მოისხიპა და მხოლოდ გაზაფხულზე იპოვეს ორივე. ჩემი ბიძაშვილიც, ვახტანგ ციგროშვილიც ეგრე დაიღუპა. ახლაც ყურებში მიდგას დედამისის ტირილი ღამით. ეს იყო რაღაც შემზარავი, კატინეს ხმით ნატირალი. ასეთი ამბები იქცეოდა ანდრეზებად... კაცებმა ხატის სალოცავებში წასაკითხი ტექსტები იცოდნენ. სარიტუალო ტექსტები იყო, ხევისბერებისგან უფრო მომისმენია, როგორ მიმართავდა მომლოცველებს. ეს იყო სწორედ ვერლიბრი! ამიტომ, მერე რომ უკვირდათ ჩემზე, ბესიკ ხარანაულსა თუ მამუკა წიკლაურზე, საიდან ეს ვერლიბრიო, ეს ჩვენ ბავშვობიდან მოგვდევს, მაშინ გვესმოდა. მარტო შაირებს კი არ ვისმენდით".

**სიბერის დარდი**
(ძველლიბრი)

წარსულს ნუ ჩასცქერ: ყალყზე ნუ დგები!
შენი ოხერი სტრიქონები წაიღო ქარმა...
დაგიკაწრია წრიპებით მთების ზურგები:
დაგითესია ნარმართული ლოცვების კარმა...

ნახევრად კაცი, სანახევროდ ღამის ნადირი,
ძველ ჭრილობებში წისლის ქულას ველარ დაიფევ!
მთებს ნუ გაჰყურებ; აღიარე: ველარ გადივლი!
დაჯე: წარსულის მღვრიე ტალღებს ემუსაიფე...

რას გეტყვის ვაჟას სამარის ქვა: ყური მიადე,
დაემშვიდობე გარდასულის დღეებს ცარიელს...
ეხლა, სამყაროს ნანგრევების მოყურიადე,
გულს ნუ იხეთქავ: დოსტოევსკის ჩაი დალიე!

*2013*

**მეფუტკრე**

ამ ნახევრად ზღაპრულ სამყაროში, მითების და ლეგენდების, ზვავების მხარეში გრძელდებოდა ჯარჯი ფხოველის რეალური ცხოვრება. უფრო სწორად, ბავშვობა, რომელშიც საჩუქრად მოტანილი ბურთი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, უფსკრულში ვარდებოდა. იქიდან ბურთის დაბრუნება შეუძლებელი ამბავი იყო. ამიტომაც ცვლიდა ბურთს გამოთლილი მშვილდ-ისარი. ჯარჯის დიდი ოჯახი, როგორც დღეს თავად მოგვითხრობს, ჩვეულებრივ, გლეხურ სახლში ცხოვრობდა, რომელშიც სულ სამი ოთახი იყო, ზამთრობით კი ყველას ერთ, ღუმელით გამთბარ ოთახში ეძინა.

ფუტკრის თუ მეფუტკრეობის სიყვარულიც მაგ დროიდან გამოყოლილია. რამდენიმე წლის წინ დედაქალაქიდან სოფელში გადასახლებულ ჯარჯი ფხოველი ფუტკარს დღესაც უვლის. ორი მონაფე ქალიც ჰყავს, რომელთაც ფუტკრის მოვლას ასწავლის. კაცებს ფუტკრის დანახვა არ უნდათო, სინანულით ამბობს. თვითონ მამამისისგან ისწავლა. მოვლაც და სიყვარულიც.

„მამაჩემს ფუტკარი ჰყავდა, მაგრამ სოფელში ბევრი საქმე იყო, სათიბი, სახნავი, შეშა მოსაჭრელი და მოსატანი, მოკლედ, კაცური საქმე. ჩვენ პატარები ვიყავით,

და-ძმანი. არადა, ფუტკარს თავისებური მოვლა უნდა. ფუტკრის ნაყარმა დღისით იცის გარეთ გამოსვლა და ხეზე ჩამოკიდება. უნდა იცოდე მისი მოვლა, თორემ ადგება, ტყეში წავა და იქ ფუღუროში დასახლდება. ეს რომ არ მომხდარიყო, მზე რომ ამოვიდოდა, მამაჩემი მეტყოდა, ჯარჯი, ფუტკრებს დაუდარაჯდი და რომ გამოვლენ, მითხარი, სად მიეხვევიანო. ასე ნელ-ნელა შემიყვარდა ფუტკარი და მამაჩემის მოსვლას აღარც ველოდი, თვითონ ვაბინავებდი ხოლმე. ჩემი ძმებიც ასე არიან, ორივე მეფუტკრეა. მაშინ ფუტკარი ყუთებსა და ხოკრებში გვყავდა, ახლა სკები გვაქვს".

დღეს ჯარჯი ფხოველი ბებრისციხეში ცხოვრობს, მისი ძმები – შუაფხოში.

ცოტა მოგვიანებით, როცა ბურთი ხევში გადავარდა და ჯარჯიც გაიზარდა, მის ცხოვრებაში წიგნები გაჩნდა – ვაჟა-ფშაველას და შოთა რუსთაველს, სანამ პატარა იყო, უფროსი და-ძმები უკითხავდნენ, მერე თვითონაც დაიწყო და და დღემდე ახსოვს, როგორ უჯავრდებოდა მამა, ამდენ ნავთს ნუ წვავ, ლამფა ჩააქრეო. მერე იყო სოფელ მიგრიაულთას სკოლა. ოთხი კლასი. მერე ბარისახოს სკოლა-ინტერნატი. მეათე კლასის ჩათვლით და გრძეეელი ზამთრები მშობლების და ოჯახის გარეშე: „მიჭირდა, მაგრამ აბა, რა უნდა მექნა, დედ-მამა მინდა მეთქი, მაგას ხომ ვერ ვიტყოდი, მრცხვენოდა".

მაგ დროის სიყვარულია ნადირობაც. მიყვარდა და ცოდვებიც მაქვს დადებულიო, ამბობს ჯარჯი ფხოველი.

„ეს, ჩემი აზრით, ატავიზმია. ადრე რომ შიმშილის გამო კლავდნენ ნადირს, ეგ ატავიზმის სახით შემორჩა დღემდე ადამიანს. ახლა ხო აღარ გშია, რას მიდიხარ, რასა კლავ?"

**აუტიზმი და არავინა**

ჯარჯის ხალხმრავლობა არ უყვარს.

ბავშვობიდან აუტისტი ვარო, ამბობს. არახიჯაც იმიტომ მიყვარდა, რომ იქ მშობლები და მხოლოდ ერთი-ორი მეზობელი გვყავდა. სტუმარი რო მოდიოდა, ტყეში გავიქცეოდი და სანამ სტუმარი არ დაიძინებდა ან არ წავიდოდა, ღამე სახლში ვერ შემყავდი ჩემებსო: „აუტიზმის პირველი ნიშანი ეგ არის, უცხო თვალს ემალები. სიბერეში ეს ცოტა შებნელდა, მაგრამ მაინც არ მიყვარს ხალხმრავლობა, თავყრილობები. სცენა არ მიყვარს. მითუმეტეს თუ შენზე ლაპარაკობენ. მაგრამ მეორე მხრივ, რაც უნდა ბევრ ხალხში აღმოჩნდე, „ის" თუ მოვა, წერის მუზა თუ რაცაა, ფურცელი უნდა ამოიღო და დაწერო. მთლიანად თუ ვერა, უნდა ჩაინიშნო მაინც. ღამეც ვდგები ხოლმე. რაღაცა მაღვიძებს და ვწერ.

არავინა დავარქვი მაგას ჩემს ჩანაწერებში: მეუბნება ადექი დაწერეო. შენ დაწერე მეთქი, თუ კარგია".

**შოთა ჩანტლაძის უნივერსიტეტი**

პირველ წელს ვერ მოეწყო. სამი ხუთიანის მერე რუსულის კარნახში მიიღო ორიანი. ფილოლოგიურზე აბარებდა. სასურველ, ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე სტაჟს ითხოვდნენ და თავიდანვე მოუწია უარის თქმა, ფილოლოგიურიც ამიტომ არჩია. მეორე წელს მაინც ჩაირიცხა.

თავიდან ბართან შეგუება ძალიან გაუჭირდა, მაგრამ ისე დაემთხვა, რომ სტუდქალაქში, სადაც იმხანად ცხოვრობდა, მისი კუთხიდან ბევრი სტუდენტი მოგროვდა. ასე უფრო ადვილი იყო. მერე, ნელ-ნელა ისიც შეეჩვია თბილისს. თუმცა დღეს, როცა ჯარჯი ფხოველი სოფლიდან თბილისში ჩამოდის საქმეზე, ამბობს, ხუთი მანქანა მყავს ამ ქალაქში გაცვეთილი, ყველა ქუჩა ზეპირად ვიცოდი და ახლა თითქოს ყველაფერი გადამავიწყდა, ან თავად ქალაქია ძალიან შეცვლილიო.

სტუდენტობის დროს ეს სახელი – ჯარჯი ფხოველიც უკვე არსებობდა. უნივერსიტეტის გაზეთში ბეჭდავდა

* * *

დაკოჭლდა რითმები: კოჭლობენ სტრიქონები,
აქ რომ ლექსს ქმნიდი: თვე იყო თაფლობის.
პოეტის სიტყვები ზოგჯერ იქორებენ...
ქორის აჩრდილი გადაუვლის დაბლობებს...

თვე იყო თაფლობის: ენაში თაფლობის...
დაიწყო ჭიუხები: დამთავრდა დაბლობი!

კოჭლობენ სიტყვები: ინგრევა ხიდები.
ლექსში ირეკლება წარსულის ხედები...
სტრიქონში ამოგყავს მზე ხელისკიდებით...

ხსოვნის გვირგვინები ხმებიან უდაფნოდ.
წარსულის ნაყარნებს წამწვრილი ედება.
მოდი, წვიმებით წამალე უდაბნო,
მზის ცრემლებით დახატე ედემი!..

*2013*

ლექსებს. მერე „ცისკარი“ და „მნათობი“ გაჩნდა, მაგრამ არც ისე ადვილად, როგორც სხვებისთვის. ადვილი არ იყო ახალი სიტყვის თქმაო, ამბობს, ახალგაზრდა პოეტებისათვის წიგნის გამოცემა იოლი არ იყოო. არც მწერალთა კავშირის კარი იღებოდა ასე ადვილად.

მაგრამ როგორც ჯარჯი ფხოველი ამბობს, იყო უფრო მნიშვნელოვანი რამეები. იყვნენ უფრო მნიშვნელოვანი ვინმეებიც:

„იცი რას ვამბობ ხოლმე? რომ მე უნივერსიტეტი კი არ დავამთავრე, მე დავამთავრე შოთა ჩანტლაძის უნივერსიტეტი... ბესიკ ხარანაული ჩვენზე ცოტა უფროსი იყო ასაკით, მაშინ ვიყავით მე, გივი ალხაზიშვილი, თედო ბექიშვილი.. ანტიკომუნისტურ ძალად აღვიქმებოდით... ჩემი პირველი წიგნი რომ უნდა გამომეცა, ის კი არა, რაც გამოვეცი, სხვა, პირველად შოთა ჩანტლაძეს წავაკითხე. 15 წლით უფროსი იყო ჩემზე შოთა. მგონი დღემდე შემომრჩა ის საქაღალდე, სადაც ის წიგნი დევს. ასეთი აღნიშვნა იცოდა მოწონება-დაწუნების: პლიუსი, ორი პლიუსი, სამი პლიუსი – როცა ძალიან მოსწონდა. ან: პლიუსი მინუსით, რაც ნიშნავდა, რომ ჰაი და ჰა მოსწონდა. მერე მინუსი, ორი მინუსი, სამი მინუსი და ასე... ან შემოწმება რად უნდოდა. ერთხელ რომ გელაპარაკა შოთასთან, უკვე სხვა ადამიანი იყავი. მომდევნო წიგნში არცერთი ის ლექსი არ შევიდა, სხვათა შორის, არც პლიუსიანები, მე თვითონ გადავაფასე“.

ჯარჯი ფხოველს აღმოსავლური პოეზიიდან ყველაზე მეტად ჩინური მოსწონდა. სწორედ ის თარგმნა. უფრო სწორედ, სხვებიც, რუსი პოეტებიც, მაგრამ წიგნად მხოლოდ ჩინელი პოეტების თარგმანები გამოსცა. ცოტათი ჩვენი მთის პოეზიას ეხმიანებაო.

**მოკლე დიალოგები შიგადაშიგ:**

– როგორ უნდა მიხვდე, რომ ველარ წერ?
– მთავარი ინდიკატორი გემოვნებაა. ედგარ პოს „ყორანი“ რომ მოგწონს და ვაჟას „არწივი“, აი, ეგაა, მაგას აქვს მნიშვნელობა, როგორ ლიტერატურას კითხულობ.
– ანუ, თუ ეგ გემოვნება გაქვს, ცუდ ლექსს უბრალოდ ველარ დაწერ?
– შეიძლება დაწერო კიდეც. მაგრამ მიხვდები, რომ ცუდია.
– თქვენი პოეზიის ყველაზე მკაცრი შემფასებელი ვინ იყო?
– შოთა ჩანტლაძე.

**უიტმენი**

ყველაზე დიდ შთაბეჭდილებებზე ლაპარაკისას, ბავშვობაში მთიდან წამოღებული ამ ამბების შემდეგ დიდ ამერიკელებს ახსენებს – ალენ გინსბერგის თაობას, ბიტნიკებს, მაგრამ იყო კიდევ ერთი შთბეჭდილება, რაც ვერაფერმა გადაფარა – უოლტ უიტმენი!

„ერთხელ, ზვიად გამსახურდიას ვუთხარი, რომ ბიტნიკები მომწონდა, გინსბერგის ზნკარედები მინდოდა გაეკეთებინა. მაშინ მამამისის ტომეულები გამოდიოდა და ერთ-ერთ ტომს მე ვარედაქტირებდი, კონია უკვე ავად იყო და ზვიადს მიჰქონდა მასთან სახლში შესწორებული მასალა. ზვიადმა მითხრა, არ მიყვარს მე ეგენი, ნიჰილისტები არიანო. არადა მარტო ის რად ღირს, გინსბერგის „ყმუილი“, ან „ამერიკა“, სადაც ამერიკას მიმართავს, შენი ატომური ბომბი ერთ ადგილას გაიკეთეო... დიდებული პოეტები იყვნენ. ქართულად რომ ყოფილიყო მათი ლექსები მაშინ ნათარგმნი, შეიძლება კიდეც მოეხდინა ჩვენზე დიდი გავლენა. გავლენაზე თუ ვლაპა-

**ღამე**

ქმუნვით ახედავ თავანს, ნაზემარს:
დარდით ანათებს მწუხრის კამეა...
შენია ღამე. შენც ხომ ღამე ხარ:
ზეცაც ღამეა, მიწაც ღამეა...

და ვარსკვლავები: მთვარის მხედები,
ჩამოგიტანენ უკვდავ ნაღველს ცით...
ღამეში სიკვდილს შეეფეთები:
არ გახსოვს წამი, როცა დაეცი!..

ცა, უპირქუშო, მწუხრის ნამეხი:
თითქოს წყვდიადის ცეცხლი გაჩაღდა...
ღამე ბალახის, ქვების, ღამე ხის,
ღამე პოეტის, ღამე ყაჩაღთა!

ღამე იმათი, ვინც ზღვას უნავოდ
დაადგა მწუხრში: მიდი, იარე!..
აქ საქართველოს ღამე, მჭმუნავი,
ყველა ღამეებს აერთიანებს...

*2013*

ბიბლიოთეკა

რაკობთ, 20-იან წლებში კონსტანტინე გამსახურდიას მიერ ნათარგმნი უოლტ უიტმანი (უიტმენი არ უწერია მას ოლონდ) უნდა ვახსენო. ეგ იყო პირველი ქართული ვერლიბრი თუ იყო. აცე მგონია – პირველი ქართული ვერლიბრი, ჩემი აზრით, კონია გამსახურდიამ შექმნა".

**განწყობებზე, რუკებსა და პოეზიაზე**

თვითონ შეაფასა ასე თავისი პოეზია. განწყობის და მონოლოგების პოეტი ვარ, იმ წუთში რა განწყობაზეც ვარ, ისეთს ვწერო. ფორმა მხოლოდ ემოციას მოსდევს – რაში ჩასახლდება – რითმიანში თუ თავისუფალ ლექსად გაიშლება, ეგ მომდევნო ეტაპია. მთავარია, რომ აი, ეს ჩადო ლექსში, აქ რომ გიძგერს – ხელი მარცხნივ მიაქვს ჯარჯის – გული.

„და ეს როგორ იდება ლექსში, ეგ რომ მკითხო, არ ვიცი. მაგრამ მე მგონი, ეგაა ნიჭი, მაგას უნდა დაერქვას ნიჭი, ვინც გულს დებს შიგნით. ისე, ვერ ვიტყვი რა მომწონს ლექსში. ზუსტი პასუხი არ მაქვს, ისევე როგორც, ლამაზი ქალი რომ ჩაივლის და მოგეწონება. იმ წუთში ზუსტად არ იცი რა მოგეწონა, ლექსიც ასეა. მითითებები და წესები არ არსებობს ჩემი აზრით პოეზიაში, მაგრამ თუ ვინმე მკითხავს, ბევრ რამეს ვურჩევდი რა წაიკითხონ, გემოვნება რომ გაუმახვილდეთ. რა ემოციასაც იწვევს შენში საყვარული თუ საქართველო თუ რაც იქნება, იმ ემოციით წერ ლექსსაც. ლექსიც ისეთი გამოდის. ეგ ემოცია ყველას თავისნაირი აქვს. აი მე, შეიძლება სულ არ ვახსენო ჩემი ქვეყნის სახელი ლექსში და ისე დავწერო. ჩემი სახლის კედლები სულ საქართველოს რუკებითაა მოფენილი. სხვადასხვანაირი რუკებით. რატომ? მიყვარს რუკაზე რომ ვუყურებ საქართველოს. ხანდახან ვეფერები ხოლმე. მართლა. ძველი რუკაც მაქვს, როცა დიდი იყო საქართველო. როცა პატარა იყო, იმდროინდელიც და ახლა როგორიცაა, ისიც".

**„უდაბნოს წიგნი" და „ხელის გულის ანაბეჭდები"**

„ეს არის ჩემი ბოლო წიგნი, ჩემი წუთისოფლის ბოლოკუდა. არა ვჩქარობ, მაგრამ მომავალში, შესაძლოა ერთი წიგნიც დავწერო, იქ, ალბათ, კვლავ იტრიალებს თანამედროვეთა სულიერი უდაბნოს თემა" – ჯარჯი ფხოველის სულ ახლახანს გამოცემულ პოეტურ კრებულს „უდაბნოს წიგნს" ავტორისავე წინათქმა უძღვის წინ, მოკლედ ნათქვამი, გასაგებად. ამ წიგნში ბოლო 4-5 წლის ამბები შევიდა. სულ უდაბნოს განწყობილებებია შიგნითო, ამბობს.

**მოკლე დიალოგები შიგადაშიგ:**

– უდაბნო რაღამ მოიტანა?

– ეტყობა, ასაკმა.

– უდაბნოში ოაზისებიც ხომ არის.

– არის, კი. მაგ წიგნშიცაა ოაზისები. არა, მართლა უდაბნოში ხომ არ ვცხოვრობ, მაგრამ მე მგონია, მე ვიცხოვრე ქაღალდის უდაბნოში. ლექსიც მაქვს მაგ სათაურით – არაუმავსრა ლექსია. სულ ეს იყო ჩემს ცხოვრებაში – ქაღალდის უდაბნო. ვინმემ შეიძლება მაგას ოკეანე დაარქვას, მაგრამ ჩემთვის ესაა.

– ბოლოთა, რატომ წერთ?

– ამის მერე რაღაცას კიდევ დავწერ ალბათ, მაგრამ ვიფრთხილებ. დაბეჭდვას ვიფრთხილებ.

– და ჩანაწერები?

– ჩანაწერებს „ხელის გულის ანაბეჭდები" დავარქვი. ეგეც მზადაა. მე მაგ ჩანაწერებს მეტა პოეზია დავარქვი. და შემდეგ კრიტიკამაც გაიზიარა.

– ისეთი კითხვა თუ არსებობს, რაც არასოდეს უკითხავთ?

– მაგაზე ერთი პასუხი მაქვს. ვინა ხარ შენ, ჯარჯი ფხოველო?

ეგ კითხვა რომ დამისვან, მე თვითონაც ვერ ვუპასუხებ და რადგან ვერ ვუპასუხებ, ეგ არის კიდეც ჩემთვის მთავარი კითხვა.

P.S. ახლა ნოემბრის დილაა.

თუ ჯარჯი ფხოველმა უკვე გაიღვიძა, ალბათ უკვე გადაიკითხაევდა იმ წიგნის რამდენიმე გვერდს, რომელიც ღამით მაგიდაზე გადაშლილი დატოვა.

ახლა, ალბათ, გარეთაც გაიხედავს. სოფელია, საქმეს რა გამოლევს. ეზოს მიხედავს და ფუტკრებთან წავა.

მერე იქნებ იქვე ჩამოჯდეს და ახალი ლექსი დაწეროს.

ერთი ეგაა – არ ვიცი წაგვაკითხებს თუ არა.

სიბერესა და სიფრთხილეზე, გემოვნებასა და საკუთარი თავის სალად შეფასებაზე იმდენი მელაპარაკა.





# მზე

## რომელიც მგელივით ყმუის

### („უდაბნოს წიგნისა“ და სხვა წიგნების გამო)

*გიორგი ლობჟანიძე*

90-იანი წლების დასაწყისში ერთხელ მე და ჩემი რამდენიმე მეგობარი ჩარგლიდან თბილისში ვბრუნდებოდით. მაშინ ხუთმა ადამიანმა რატომღაც ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმის მონახულება ავიჩემეთ და გზას დაიმედებულები დავადექით, რადგან ახლობელმა გვითხრა, რომ ჩარგალში ტურბაზა მუშაობდა და ღამეს უპრობლემოდ გაგვათევინებდნენ.

იქ ჩასულებს ტურბაზა აღარ დაგვხვდა და იმ ღამით სოფელში შემთხვევით გაცნობილმა ფშაველებმა გვიმასპინძლეს. მეორე დილით კი აღმოჩნდა, რომ თბილისისაკენ ავტობუსი არ წამოვიდოდა, ამიტომ მასპინძლებმა გამვლელი სატვირთო მანქანა გააჩერეს და ქალაქამდე ჩვენი წამოყვანა სთხოვეს. შემოვსხედით მანქანის ძარაზე და გამოვწიეთ.

გზად (მე მგონი, ფასანაურის გადასახვევთან), კიდევ ორი ადამიანი დაგვემგზავრა. როგორც მაშინ მომეჩვენა, შუახნის ცოლ-ქმარი. თუმცა ახლა რომ ვფიქრობ, საკმაოდ ახალგაზრდები უნდა ყოფილიყვნენ. ქალბატონი ძალიან ლამაზი იყო, სიდარბაისლის უცნაური შუქით განათებული, კაცი – ჯმუხი, ქალარაწვერიანი. თავისთვის, ძარის კუთხეში მოთავსდნენ და მთელი გზა ფაქტობრივად ხმა არ გაუღიათ, ერთმანეთს უყურებდნენ და ხანდახან გაუღიმებდნენ ხოლმე.

მე და ჩემი მეგობრები ვხმაურობდით. უფრო სწორად, ყველაზე მეტად მე ვაქტიურობდი. წინა ღამის სმამ, გარმონმა, უჩვეულო შთაბეჭდილებებმა და რაც მთავარია, ფშავის ბუნებამ, ეტყობა, ჩემზე ისე იმოქმედა, რომ ენად გავიკრიფე. ხალხურ ლექსებს ხმამაღლა ვამბობდი და მეგობრებიც ავიყოლიე. განსაკუთრებით, „ჯარჯის ლექსი“ ამოვიჩემე და რამდენჯერმე წავიკითხე: „ჯარჯი, ნუ მისდევ ჯიხვებსა, მოგინელებენ ტიალნი...“

შევამჩნიე, რომ ამაზე ცოლი ქმარს გადახედავდა ხოლმე და გაუღიმებდა, ქმარი კი თავს ჩაღუნავდა და რაღაცნაირად, უხერხულად იმშუშნებოდა. თქმით ამჯერადაც არც ერთს არაფერი უთქვამს...

მხოლოდ მგზავრობის ბოლოს დავმუნჯდი, როცა ჩვენ შორის ყველაზე გამბედავმა რუსუდან გაბრიშეილმა თავისი არაჩვეულებრივი კომუნიკაბელური ბუნების წყალობით გაარკვია, რომ ის ჩვენი თანამგზავრი კაცი პოეტი ჯარჯი ფხოველი ყოფილიყო...

ტელევიზორს მაშინაც დიდად არ ვუყურებდი. მაშინ ალბათ უფრო იმ მიზეზით, რომ სინათლე არ იყო ხოლმე... არც ჯარჯი ფხოველი ჩანდა მაინცდამაინც ტელევიზიის მოყვარული რესპონდენტი და ამიტომაც, რა გასაკვირია, რომ სახეზე არ ვიცნობდი, თუმცა, ცხადია, წაკითხული მქონდა მისი ლექსები და რამდენიმე ლექსი ზეპირადაც ვიცოდი... ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ჩემი საყვარელი პოეტების რიგებს ეკუთვნოდა...

ჯერ მარტო ამ თავისი უცნაური პოეტური ფსევდონიმითაც მხიბლავდა. „ჯარჯი ფხოველზე“ უამრავი რამ გაახსენდებოდა წეროცნებე ადამიანს... ოღონდ, არა კონკრეტულად... საერთოდ, ფსევდონიმი ცოტა



თეატრალურ გამოვლინებად მიმაჩნდა, და რაღაც ნაყალბევის განცდასაც მუდმივად მიტოვებდა. თუმცა ამას იმიტომ ვამბობ, რომ ჯარჯი ფხოველთან დაკავშირებით არასოდეს გამჩენია ეჭვი, რომ ეს ამ კაცის ნამდვილი გვარ-სახელი არ ყოფილა. ალბათ იმიტომ, რომ ჯარჯი ფხოველი რასაც წერდა, ყველაფრის მჯეროდა და პოეტის სახელი და გვარიც ძალაუნებურად ეწერებოდა მის მიერ შექმნილი სინამდვილის, მისი სიმართლის ერთიან კონტექსტში.

სხვათა შორის, გჯერა თუ არა პოეტისა, ძალზე მნიშვნელოვანი რამ არის. იმავე თეატრალურ სამყაროში არსებობს მსახიობის თამაშის შესაფასებელი ერთი სპეციფიკური ტერმინი: „მჯერა-არ მჯერა". ეს გულისხმობს იმას, რომ შესაძლოა, მსახიობი ბრწყინვალედ თამაშობდეს, მაგრამ მაყურებელმა მისი სიმართლე მაინც ვერ დაიჯეროს.

რაღაცით ეს პოეზიაშიც ასევეა.

არის ზოგჯერ ბრწყინვალე სტრიქონები, ტექნიკური შესრულების თვალსაზრისით წუნს რომ ვერ დასდებ, სულაც პირიქით: გარანდულია, მოწესრიგებული, შემფასებლის თვალისათვის გამოკვეთილი, მაგრამ კითხულობ და მაინც... არა გჯერა! კითხულობ და გრძნობ, რომ პოეტი თავის თავი კი არა, ის არის, ვისადაც უნდა, რომ თავი გაასაღოს...

ჯარჯი ფხოველი კი ყოველთვის თვითონ იყო...

ლექსების გარდა, არსებითად არც არაფერი ვიცი ამ ადამიანზე, მაგრამ სწორედ ამ ლექსების უჩვეულო სიმართლის გამო, მგონია, რომ ჯარჯი ფხოველს მთელი ცხოვრება კარგად ვიცნობ და ჩემი მეგობარიც არის. ლექსების მიხედვით ის არის:

**ა) გამბედავი:**

ჯარჯი ფხოველის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის დროს, ტრადიციული ვერსიფიკაციის ხელაღებით მსხვრევა და ვერლიბრის ჯიუტი შემოტანა ქართულ პოეტურ მეტყველებაში დიდ გაბედულებას მოითხოვდა.

მართალია, მოგვიანებით, ქართული ვერლიბრის სივრცე ორი პოეტის – ბესიკ ხარანაულისა და ლია სტურუას გიგანტურმა ფიგურებმა გადაფარა, მაგრამ წინა საუკუნის 60-70 წლებში ამ თვალსაზრისით რამდენიმე სხვა პოეტიც გამოირჩეოდა, რომლებმაც აღნიშნული ტრადიცია თავიანთი უნიკალური ხმითა და შემოქმედებით გაამდიდრეს. მაგალითად, მამუკა წიკლაური ან იგივე ჯარჯი ფხოველი გამოდგება, რომელთა პოეზია, სხვათა შორის, ხარანაულისა და სტურუას პოეზიას მხოლოდ რაოდენობრივად თუ ჩამორჩება, თორემ ხარისხით სრულებითაც არა.

უფრო რომ დავაზუსტო, რას ვგულისხმობ, აუცილებელია ვთქვა, რომ პოეზიაში გამორჩეულ პოეტთა „დატოლება" საერთოდ არასწორი საქციელი მგონია. აქ ყველას თავისი სივრცე აქვს და ყველა ერთმანეთს ეთანხმება, როგორც ზუსტად მომართული და აწყობილი ორკესტრი. ორკესტრისათვის კი ვერავინ იტყვის, რომელი უფრო მნიშვნელოვანია საბოლოოდ, საყვირი თუ ჰობოი, ვიოლონჩელო თუ კლავისინი. მათ გარეშე თავისთვის, ეგებ საინტერესოდაც, მაგრამ სრულიად არაეფექტურად იწრიპინებდნენ ვიოლინოები... ვერ გეტყვით, ზუსტად, რომელი მუსიკალური ინსტრუმენტის ხმას მაგონებს ჯარჯი ფხოველის პოეტური კილო, მაგრამ

**უდაბნოს აპოლოგია**

აქ დაიბადე:
ეს უდაბნო იყო გულის
ძველისძველი თავშესაფარი,
სადაც უკვდავი აჩრდილები მუსაიფობენ...
აქ გაიზარდა შენი ძველი გულისტკივილი...
აქ შეგეყარა დიდი სახადი:
მტკივანი სიტყვის ავადმყოფობა!..

სიგიჟე სიტყვით:
აუტიზმი დაწყევლილი, თანამდევნელი...
აქ სიტყვას ვითომ ემალები...
ხოლო ისიც
ვითომ ემალება თავისთავს და შენც გემალება!
და სამყაროსაც ემალება ღვთითდაწყევლილი!

უდაბნოს გულო, ერთი მითხარი,
თავისთავს როგორ დაემალები?..
აქ ხომ კენჭიც კი ვერ იმალება!
ვერ ემალება კაცის თვალებს,
მზის თვალებს და მზის სხივების მწარე საცეცებს!

და პოეტიც ვერ დაემალება
უდაბნოს ქვიშას და ქაღალდის უდაბნოს ფურცლებს
და მავნაღველს: დაუშურველად
რომ იმეტებს ნამისოფელი,
ტიალ მინდორზე ქარშავივით ამოვარდნილი!

*2013*

ზუსტად ვგრძნობ, რომ ამ ლონიერი და გამორჩეული ტონალობის გარეშე უახლესი ქართული პოეზიის მრავალხმიანობა მნიშვნელოვნად გაღარიბდებოდა...

**ბ) შეუპოვარი:**

რაკილა თავიდანვე ერთხელ არჩეულ გეზს ურთგულა და მიუხედავად დიდი ცდუნებებისა, ამ გზიდან არასოდეს გადაუხვევია. საკმარისია, გავიხსენოთ, როგორ აფასებდნენ ვერლიბრს თავის დროზე ქართულ სალიტერატურო და არამხოლოდ სალიტერატურო წრეებში, დავინახავთ, როგორი სიმტკიცე სჭირდებოდა ჯარჯი ფხოველს, რათა ისე ეწერა, როგორც წერდა. ეს პრაქტიკულად იმას ნიშნავდა, რომ თავიდანვე უარი გეთქვა პოპულარობაზე და შეგუებოდი იმას, რომ მხოლოდ გარკვეული გემოვნებისა და ესთეტიკის ადამიანთა წიაღებ ან საყვარელ პოეტად დარჩებოდი.

თუმცა, როგორც ჩანს, ჯარჯი ფხოველი არასოდეს წერდა პოპულარობისათვის. მისთვის პოეზიას ერთგვარი თერაპიის ფუნქცია ჰქონდა, თავის გამოხატვისა და არა თავის გამოჩენის მნიშვნელობა.

აქედანვე მოდის მისი, როგორც პოეტის, გარკვეული თვითკმარობაც, რაც სხვა შემთხვევაში ალბათ უსათუოდ გამაღიზიანებდა, მაგრამ ჯარჯი ფხოველის პოეზიაში (ბესიკ ხარანაულის ლექსებისაგან განსხვავებით) ეს თვითკმარობა არასოდეს გადაიზრდება ეგოიზმში.

მართალია, აქაც თავისი თაობის სხვა პოეტების მსგავსად, თავიდან „მე"-ზე, ეგოზე კონცენტრირებული ნიმუშები სჭარბობდა, მაგრამ ჯარჯი ფხოველის „უდაბნოს წიგნიდან" ჩანს, რომ პოეტმა ამ საცდურსაც ლირსეულად დააღწია თავი და მისმა ლექსებმა განზოგადებული მნიშვნელობა შეიძინა. ის ნელ-ნელა ამაღლდა პიროვნულიდან საზოგადოსაკენ, ამ სიტყვების საუკეთესო გაგებით.

ამ ბოლო – „უდაბნოს წიგნში" – უკვე სრულიად გამოკვეთილია, რომ ჯარჯი ფხოველისათვის პიროვნული განცდები, სუბიექტური რეალობის დეტალები მხოლოდ საშუალება პოეტური განზოგადებისათვის. ამიტომაც პოეტის ეგო ნაჟახივით არ გხვდება თავში. ის უფრთხილდება მკითხველსაც და საკუთარ თავსაც, და ამიტომაც მიუხედავად მისი ლექსების გამოკვეთილად მასკულინური ბუნებისა, შეიძლება, კიდევ ვთქვათ რომ ის არის:

**გ) ფაქიზი:**

ეს რაღაცნაირი მამაკაცური სიფაქიზეა, სრულიად მოშორებული იმ ამაზრზენ პოეტურ კეკლუცობასა და თვითაღტაცებას, რასაც არცთუ იშვიათად წააწყდებით მისივე თუ სხვა თაობის პოეტთა კრებულებში.

ჯარჯი ფხოველს აინტერესებს, თვითონ როგორ გამოიყურება, არ შეიძლება აინტერესებდეს, როგორ ხედავენ და აღიქვამენ სხვები.

რაც მთავარია, მას არასოდეს ავიწყდება მეორე ადამიანი. ამიტომაც ფრთხილია, მოზომილი, უაღრესად ტაქტიანი და თანამგრძნობი. ეს თანაგრძნობა ჟღერს მისი ყოველი სტრიქონიდან, რომელიც მძიმეა, თვითრეფლექსიური, ტევადი, მაგრამ ადამიანის სიყვარულით შემსუბუქებული. შეიძლება ვიკამათოთ მასშტაბებზე, მაგრამ ჯარჯი ფხოველი არის:

**დ) ფიქრიანი პოეტი:**

ჯარჯი ფხოველთან ყველა იმ რეფლექსიას ნახავთ, რაც დღევანდელი ადამიანისათვის არის მნიშვნელოვანი. ოღონდ ეს ფიქრი არასოდეს გადადის პროზაულ განსჯაში, ეს პოეტია საფიქრალია, დახვეწილი პოეტური ფორმითა და საშუალებებით გადმოცემული. ჯარჯი ფხოველი ხშირად ერთადერთი ფრაზით აღწევს სასურველ ეფექტს, ისეთ საფიქრალში შეგიძლევება, საიდანაც დიდხანს თავს ვერაფრით გამოიხსნი. მაგალითად, მის ერთ ლექსში ასეთი სტრიქონებიც შემოგხვდებათ: „დადგა ზამთარი. მზე გაისმის მგლის ყმუილივით..." რა შეუძლია პოეზიას გვითხრას ამაზე მეტი? – ასე სავსეა თანამედროვეობითა და ქართული თუ უცხოური პოეტური ტრადიციით. ამ ორ სტრიქონში ჩვენი მთის არაჩვეულებრივ პოეზიასაც შეიგრძნობ, ქართული კლასიკური ლექსის პროსოდიასაც და ანგლოამერიკული პოეზიის ინტონაციასაც. არსებითად, ამ სამ ქვაკუთხედს ეფუძნება ჯარჯი ფხოველის მთელი პოეზია და ეს არის მისი „ქალაღდის უდაბნოს" სამი ოაზისი...

ამიტომაც იმითვე დავამთავრებ, რითაც დავიწყებ. შემთხვევითი არ ყოფილა ჩვენი მაშინდელი შემთხვევითი შეხვედრა: თუ თქვენ ვაჟა-ფშაველას ძეგლნას დაიწყებთ დღეს, ვაჟას ადგილას რამდენიმე პოეტს, მათ შორის ჯარჯი ფხოველსაც წააწყდებით.

მეშურნეების ქილიკის თავიდან ასაცილებლად განვმარტავ, რომ აქ მაინცდამაინც მასშტაბებს კი არა, პოეტური ტრადიციის უწყვეტობასა და სისავსეს ვგულისხმობ.

და ეს არც ისე ცოტაა ამ ქილიკით გაჟღენთილ, ყოვლად არასერიოზულ ეპოქაში.

რაც მთავარია: ჩვენს ტრინგიცობის ხანაში, როცა ყველაფერი – მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო – ღადაობის ქარბორბალაშია გახვეული, ჯარჯი ფხოველს ჰყოფნის გამბედაობა, იყოს:

**ე) სერიოზული...**

## პოეტის მთვარე

მთვარე,
როგორც კოსმიური შედევრი ვინმე,
სიტყვებს რომ გულზე ეფინება...
და იქმნება პოეზია,
ღამით, სავსემთვარეობისას...

სავსე მთვარეს აქ სჭირდება დიდი ადგილი:
დიდი ცის პირი,
სავსე ლექსში გამომწყვდეული.

სავსე მთვარე და სავსე ლექსი:
ტყუპისცალები...

ეჰ, მთვარევ, მთვარევ,
ხანაც მთვარევ, ხანაც ნალევო,
რო მითხარი, ღამესავით ცივი ვარო...
ცხელი ყოფილხარ
ისე, როგორც პოეტის გული...
თან არითმიით შეპყრობილი,
სიყვარულის ავი დაშნით დაკეჭნილი და:
ცის კიდეზე გატყორცნილი უმისამართოდ.

*2013*

## დილისპირული

კოჭლი წყარო მიაბიჯებს
გადახავსულ ქვების ზურგებზე:
ფეხი უსხლტება და სველდება თავისთავში
და წინ მიდის, მიიცრემლება...

შაშვების ბენდის
უკვდავი ხმა: დილისპირული
ეფინება მიწას
წვიმის სიხარულივით...

და ხეებიც განთიადის სიმღერებს წერენ
და ბეჭდავენ მერქნის წრეებში...
ხეების ხმაა, ცისგადალმური,
რომ გაისმის მაშინ, როცა ქარწაწნალა
დააბიჯებს ფოთლის ტუჩებზე...

*2013*



## ექსჰუმაცია

და სიტყვებმა საფლავიდან ამოგილეს და:
ამოწმებენ დაწყევლილები
შენი ოხერი ნამისოფლის დანაშაულებს:
შენს ფიქრს,
შენს დარდს,
შენს დაბინდულ მეხსიერებას,
ძველ ტკივილებს,
მოუშუშებლებს...
შენს სიყვარულს, სიძულვილმა რო შეცვალა
და სიზმრებში რო გაისმის
შორეული მისი წივილი...

ზომავენ და ამოწმებენ
და ითვლიან შენს ნამისოფელს:
უნდა გაიგონ, რამდენჯერ მოკვდი...
და საბოლოოდ როდის მოკვდები!
როდის დაარჭობენ
საბოლოოდ
გამოჩორკნილ ჯვარს შენს სამარეზე!

საფლავის ბორცვი ხომ ყოველთვის მოწყენილია:
მოწყენილია და მწუხარე
ისე, როგორც ჯოჯოხეთში გასაგზავნი
შავი ტექსტის ბოლოწერტილი...

*2013*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დაბადების დღე

დიდი ამბავი, აქ რომ გაჩნდი,
კიდევ უფრო დიდი ამბავი,
მრავალი გრძელი წელიწადი
რომ იცხოვრე ამქვეყანაზე!

მაშ, დრომ რაღა თქვას,
ყოველწელს რომ იბადება:
ბერდება და იბადება ისევ თავიდან...

აჰა, დროც იხდის მირიადი დაბადების დღეს:
სუფრას უსხედან მზე და მთვარე
და ვარსკვლავები...

ჩვენც ხომ აქა ვართ: ეული მგლები...
ამ გრძელ სუფრაზე ჩვენ ლოთების გვერდით
აღმოვჩნდით:
ვადღეგრძელეთ დრო მირიადი...
თამადად დავსვით
ერთი ვინმე სამყაროს ვეფხვი,
ირმის ნახტომის ულრანებში მოხეტიალე!

*2013*

## სამშობლოს გათავისუფლება

ამდილით ეს
სიტყვა გავუშვი ტყვეობიდან...
მძლავრი სიტყვა იყო:
ნავარჯიშევი...
დაკუნთული მკლავები ჰქონდა,
სწორედ ისეთი,
მძლეოსნებს რომ ჰკიდიათ მხრებზე...

გარეთ გავუშვი:
ერთი ღრმად კი ჩაისუნთქა მთების ჰაერი
და შემომხედა გაკვირვებულმა...

ალბათ, მადლობის თქმა ეწადა,
მაგრამ ბოლოს გადაიფიქრა...
და მისამართი შემეკითხა ვინმე ვეფხვისა,
ვინც გზისპირებზე სიტყვებს აგროვებს
და წიგნის ყდებში ამწყვდევს ოხერი...
და სიტყვების ბაზარზე მიაქვს:
იქ ხომ „სამშობლოს"
ფასი ადევს გასაკვირველი!

*2013*

## ნისლი

აჰა: ნისლი ცრემლებგამშრალი,
უდაბნოს ცაზე მოხეტიალე...

ის ველარ ფარავს დედამიწის გულის ქრილობებს,
ველარ ფარავს სამყაროთა გაბმულ ქვითინს და...
ველარ მალავს
კაცის კვნესას, დაუსრულებელს!

*2013*

## ნიაღსვლა

თვალები კარგად გაახილე:
მთები შემოუშვი...
შეიძლება ეს ტყეებიც თან შემოჰყვეს,
დეკა და ღვია და ქუჩის ბალახი...
თან შემოჰყვეფს პირშაეი გამოქვაბულები:
იქ რომ ცხოვრობს, ის დევიც თან შემოჰყვეს...

თან შემოჰყვეს ის ცხვრის ფარაც,
იალაღზე მგლები რომ მწყემსავენ...

და შენს თვალებში ცოდვაბრალი დატრიალდება:
დევი უდავოდ მთელ ფარას გადასანსლავს...
და დესერტად მზენასვამ დიაცს დააყოლებს:
შენს თვალებში, დასათხრელებში,
და შენს გულში, გასახეთქში,
ესენი ხომ ისევ არიან,
შენს დარდს ახლოს რო არ იკარებენ,
თანაც შენს გულს რო არ ტოვებენ, გასანწყვეტლები!

*2013*

* * *

აქ შორეული ღამეების ლოკე მარილი.
გათენდა: შენს ლექსს დილის მზე უვლის...
და გზადაგზა ხომ დატოვე გველის ქარივით
მშიერა სიტყვა: შხამდალეული...

გადაგითვლია შუაზამთრის ბევრი ავი თვე
ვერ გაექეცი ყინვას, ნამთვრალევს...
შხამით რო ევნე: თავს მოირჩენ ისევ შხამითვე...
ეხლა ცას ნადი: ვარსკვლავების ქვიშა დათვალე!

*2013*

## ᲒᲐᲛᲝᲘᲒᲝᲜᲔ

გამოიგონე სიტყვა. გამოიგონე მინა.
გამოიგონე გული. გამოიგონე სიყვარული...
გამოიგონე სტრიქონი...

გამოიგონე ღვთაებრივი წებო:
შენს გამოგონებებს რომ შეაერთებს,
შეკრავს,
ფურცელზე დააწებებს,
გაამთლიანებს...

ბოლოს ეს საქმეც ჩაიდინე:
უკანასკნელად
გამოიგონე პოეზიის გურმანი ვინმე!

*2013*

## ᲒᲣᲨᲘᲜ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღაც რეკავდა გუშინ ზარივით,
იქნებ ღრუბელი, იქნებ ქარი და...
იდგა ჟრიალი, გულშემზარავი:
ხმა მოისმოდა ქვეყნის გარედან...

ვიღაც შეჰკვნესდა დროის ულრანებს:
იქნებ ნადირი, იქნებ კაცი და...
ცრემლებს ანთხევდა გული მდუღარე:
და სიტყვებს კბენდა... და ქანცს აცლიდა!..

ასეთი მახსოვს დღე გუშინდელი:
ზარების რეკვა... და გულში: დანა!..

*2013*

## ᲡᲘᲖᲛᲐᲠ-ᲪᲮᲐᲓᲘ

ძალზე შორსა ხარ: ახალგაზრდულ ძილში ეფლობი... და გესიზმრება შენი სიბერე... და ისიც გიკვირს: ამ მუხთალ გზაზე შენი წლები როგორ ჩქარა გადაირბენენ...

და ისიც გიკვირს, რომ არ მოკვდი სწორედ მაშინ, როცა უნდა მომკვდარიყავი: ბებუთიც აგცდა, ტყვიაც აგცდა, ხოლო ხანჯარს დაენანე: იმან გვერდზე აგიარა, შეგიბრალა მუხანათმა: ჰაერი დაჭრა და დაკეჭნა ვიღაც მეორე...

აბა, ისიც გაიხსენე. არახიჯის ულრან ტყეში გავეშებულ დათვის კბილებს რომ დაუსხლტი... და შენ, მაშინ შავი შიშით თმააშლილმა, კიდევ ერთხელ ბედისწერის ღიმილი იგრძენ...

მოდი ესეც გაიხსენე: შენი სტუდენტური უდარდელობა რომ გადაყლაპა ციმბირის ცივმა, ფართო მდინარემ... მაგრამ მაშინაც ბედისწერის შორეული ღიმილი იგრძენ...

და ესეც არ დაივიწყო: ძალზე ახლოს რომ ჩაგიარა იმ მუხანათმა, როცა ნაღვარევის თოვლიან გზაზე ცეცხლმოდებული მანქანიდან თედო ბექიშვილმა რომ გამოგიყვანა... მაშინ თედოც იღიმოდა და შენც შუაზამთრის მოლიპულ გზაზე ბედისწერის ღიმილი იგრძენ...

და მაშინაც, რომ იგრძენი ყოფის სიმუხთლე, როცა წყეულმა ბედისწერამ ზურგი გაქცია: როცა შენი გულის გვირგვინოვან არტერიებზე მანანას წასვლა დაიწერა, მოღალატური... და ბედისწერამ მაშინ აღარ გაგიღიმა და, კაცმა რომ თქვას, რა პირით უნდა გაეღიმა, რა თვალებით, რა ბაგეებით!

ბევრი რამ გიკვირს, ეს კი აღარ გაგიკვირდება: იმთავიდანვე სიღარიბე რომ დაიმგზავრე... სულის ობლობა რომ ინამე, ბედისწერული!

ეს პოეტების ხვედრი არის, თანდაყოლილი, როგორც შენი აუტიზმი, სულპირველი სტრიქონივით შენი ყოფის სუფთა გვერდზე რომ ეწერა განაჩენივით...

თუმცა, არა! ეს ხომ მხოლოდ სიზმარია, ცხადს შერეული! თითქოს მართლაც დაგესიზმრა ის მწარე წლები, შენს გზაზე რომ გადაირბინეს!..

**2013**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საკუთარის ხმის მწაფავი

*ბესიკ ადეიშვილი*

„მიყვარს სიმაღლე,
მით მიყვარს მთები,
მიტომ ვმაღლდები
და არა ვკვდები"

*ვაჟა-ფშაველა*

ფშაველი ადამიანის შინაგანი სიფაქიზე და გრძნობამრეობა ჯერეც მე-19 საუკუნის გვიან 90-იან წელიწადთაგან მოყოლებულ მე-20 საუკუნის დამდეგამდე წათხზენმა ვაჟასეულმა ეთნოგრაფულ-ფოლკლორულმა წერილებმა ზედმიწევნილად, სრულის სისავსით გარდამოჰშალა გულისყურიანი ქართველი მკითხველის წინაშე; იმ საგანძურის ნიშნადს ნაწევრად, რასაკვირველია, ლექსნიც მიითელებოდენ. იქაურთა ლექსთა დენანი დღესამომდე რომ არ შეწყვეტილან, ამას ცხადჰყოფს გინდაც ორი კრებული ჯარჯი ფხოველის ლექსებისა 2012 წელიწადსა და 2013 წელიწადს გამოცემული („ასი ლექსი". გამომცემლობა „ინტელექტი", თბილისი; „უდაბნოს წიგნი". გამომცემლობა „საუნჯე", თბილისი). ორთავე წიგნს მრავალნაცადი მოდერნისტის უცილო ტვიფარი ჰბეჭდავს. მიდმოიხილო სამმეოცდაათ წელიწადთმოყრილი ჭარმაგი ვაჟიკაცის ძნიად-შთასაწუდენი შემოქმედება, თანაც ისე, ბუწუნი რაა, რომ არ შეარხიო, ისე, რომ აირეკლოდეს რამდენადმე მაინც სახე არა – აგრე-რიგად-იოლ-გამოვლილი ცხოვრებისაჲ, მართლივ შეუძლებელია, თუმცაღა, რა იცი, მცდელობას ხომ წინ არა უდგას რა... „ექსტაზის!" – ასეთი სახელით მონათლა ღვთაებრივი პლატონის ენამ ადამიანის ემოციალური მდგომარეობა.

ექსტაზის ადამიანის სულის ექსტრადიქციაა, ხორცს გარეშე ნავარდი და განდგომა.

შემოქმედებით წამებში მგოსანი ემოციით არსებობს და მგოსანიც იმას ეწოდება, რომლის სულიც მისი საშუალებით [ემოციის საშუალებით მაშასადამე] მარადისობას ეზიარება, დაუსრულებელი ნორმის და რიცხვის კანონის ემბაზში განსპეტაკდება და თავის ინდივიდუალურ რიტმს უნივერსალურ რიტმს დაუკავშირებს. ამას ვუწოდებთ ჩვენ ემოციალურ შემეცნებას.

ასეთია ინციპიუმ უცნობის მიერ რჩეულის; მირონცხება, რომელიც წინ უსწრებს აზრს, სიტყვას და თვით მგოსნის მგოსნობის სურვილს. [უცნობი – ღვთაებრივს ზეშთაძალას უნდა ნიშნავდეს, ხოლო ინციპიო – ლათინური – მოწყებას (წამოწყებას) ჰნიშნავს, ასევე: გარდაუვალს; საპირისპიროდ დესინერე-სი (დამთავრება-დასრულებისა). შეგახსენდება გალაკტიონისეული „სიმღერის მინდა მე წამოწყება / და არა ძილი"; გალაკტიონისეული „დაუსრულებლობა" – შემოქმედითი პოეტური დაგეზება მაშასადამე].

პოეზია სულის გაქანდაკებაა, ხოლო სულიერი მდგომარეობის ხორცშესხმა შეუძლებელია, მგოსნის სიტყვა მხოლოდ მის მიერ ნახული სიზმრის მიმგვანებაა და არა პირნავარდნილი სურათი. მისი [სულიერი მდგომარეობის] დახატვა, როგორც ყველა სინთეზის, აბსოლუტურ სრულყოფილ ფორმებში, ამაოების გამოგონილია. სიტყვა მხოლოდ ჩრდილია და არა სულიერი მოძრაობის სუბსტანცია, გრამატიკული გამა და არა ემოციური მუსიკის რიტმი.

პოეტი იმდენად გენიალურია, რამდენადაც მისი ემოციალური მეხსიერება ძლიერია და მახვილი.

...გაჰქრა უწყალოდ წარსულ სიმბოლოთა სამეფო, თავისი სანახაობით რომ სულს ათრობდა. მის ნანგრევებზე ახალი კოშკები წამოიჭედნენ. ზოგთა სანათური მუდამ ღიაა მარადისობის ცვალებად მზეთა სხივთათვის, ზოგთა კიდევ – დოგმის მძიმე ლოდით არის გარემოცული.

მაგრამ რა სიმაგრეა დოგმა, ფუტური მასა, ბენძლი ობობას ქსელი, რომელიც ყოველთვის ერთგვარი სისტემით არის მოქსოვილი, იმ გიჟ მისტერიის ალოგიური ტალღებისათვის, რომელიც ადამიანის სულს თავისაკენ წარიტაცებენ!

ექსტაზის! ტფილისი. დეკემბერი. 1922 – ერეკლე ტატიშვილის დიდებულს ესკიზე-ს აგრერიგად ეხმიანება ახალ-მოდერნისტული მსახველობა ჩვენი პოეტისა: ორი დიდი სული.

[„ასი ლექსი“. გვ. 128: „ორი დიდი სული აღმოსავლეთის: კუნ-ძი და კენკო ხოსი; სხვადასხვა ეპოქის პირმშონი. კუნ-ძი: „გარემემო ყველაფერი მდინარის მსგავსად მიედინება და იცვლება განუწყვეტლად“... კენკო ხოსი: „ამქვეყნად მხოლოდ ცვალებადობაა მშვენიერი“... აწინდელმა კულტურისეულმა ხანამ სახელდებად თავისთავისა ირჩია „პოსტმოდერნიზმუს“, რაჲც აქამომდელი მონაგარის ერთდაგვარს „გარდაფასებას“, ამასთანავე „ძუელი“-სად მიბრუნებას, საბოლოოდ კი განახლებას შთაიცავდეს იქნება... ოღონდ ჯარჯი ფხოველის ლექსი ვაჟას კვალზედ მიდევნილად უფრო დაესახება უხსოვნელს, ბუნებითს, განუყალბებელს, არვის მგვანს მელოს-ს (ელლადურ-გაელფერებულს) აყურადებს იგი – პოეტი: „ეგეოსის ზღვაო, / შენ არაფრის / დავიწყება არ შეგიძლია! / .... ისევ გახსოვს / საფოს ბოლო ამოკვნესანი! // შენ გადაგედო / პოეზიის დედოფლის ცრემლის სიმწარე! / იმისი ტანის სიმხურვალემ / თბილ ზღვად გაქცია!“ // 2002 [„ასი ლექსი“. გვ. 53]... ანდა: „უსინათლო პოეტებს“ [„უდაბნოს წიგნი“. გვ. 13-14. 2010] „გულის სიბრმავეს / თქვენ არჩიეთ თვალის სიბრმავე! // ამქვეყნიური ყვავილები დაგიმალეს და: / სამაგიეროდ თქვენ სამოთხის ყვავილებს რგავთ და / სამაგიეროდ თქვენ სამოთხის ყვავილებს ხატავთ! // და გულით ხედავთ / იმას, რასაც თვალხილულნი ვერ იხილავენ [მოიხსენიება... „ხორხე ლუის ბორხეს“-იც / ... „და იყო კიდევ ერთი პოეტი. / ვინც ტროას ომი უსინათლი თვალებით ნახა / და გადმოხატა ხსოვნის ღრუბლებით. / და გადმოწერა დარდის ანბანით... / თქვენზე რომ ვფიქრობ, / მომაგონდება / ჩემი დიდედის დიდი სიბრმავე: / იმისი დილა თენდებოდა / ხელუხლებ[ლის] და რძისფერის ქაღალდივითა / შორს, შორს: მაღალ არახიჯაში... // ვიცი, სულ მალე ჩემი დილაც გათენდება ამ ქაღალდივით, / ეხლა ჩემი კალამი რომ ებლაუჭება... / და თქვენ რომ ხატავთ, / მეც ვიხილავ იმ ყვავილებს, / ციდან მოფრენილებს / და სამოთხის ყვავილების დახატვაში / დაგეხმარებით... // უსინათლო დიდი აედო: / ... გულდარდიანო, / ბორხესო, ღამის მესაიდუმლევ, / მითხარით, / როგორ შევიყვარო მე წყვდიადი, გულშემზარავი; / ღამეს როგორ გამოვტაცო / უკვდავების მწარე წვეთები / ... მტკივან გულში / სიმღერები როგორა ვთქვა / მაშინ, / როცა სიყვარულის ცაში აწვდილ მთებს / და იმათ ღრუბლებს ვერ დავინახავ!“ 2010. ვაჟასეული ჰანგის გახმიანებას (უფრო სწორედ ახლებურ-ს შემოქცევასაც) გვასმენინებს „უდაბნოს წიგნი“; გვ. 78: „ხომ გახსოვს“. 2011; ხომ გახსოვს, / მაშინ წმინდა ვაჟამ დაჭრილი ნახა, მაგრამ ჭრილობა ვერ შეუხვია / სასვეეთავის ლეგა ღრუბლებით... / თუმცა სამტროდ აჯაგრული / ყვავყორნები მოუგერია: ... / ... ... შენ კი არწივის რექვიემს წერ... / მწუხარე სიტყვებს ხატავ სულ ზემოთ: / ... ღრუბლის ქულებზე ... / აჟღერდეს ეს რექვიემი ცაზე მაღლა, / არწივების სასაფლაოზე!.. / დაიზეპირონ ქარებმა და / მზემ წაიღოს გალაქტიკის ყრუ სივრცეებში!“ – ეგ სუპერკოსმურ – აღტყუელვაა „სამშობლიური“ ჰანგისა. (სიტყვა „წმინდა“ იმდენად რელიგიურად არ მოიხმის, რამდენადაც თაურ-პოეტურის გაგებით, რაჲც თავადვე უკვე თეურგიად შემოიქცევა. შესაძლოა, მკითხველს შეახსენდეს გალაკტიონის განქვეყნებული შაირი: 1916-ს შეთხზული „არწივებს ჩასძინებოდათ“, მაგრამ გალაკტიონისეული ვერსიონ მაინც სხვაფრივ მიიმართვის: მიწის სამზირალს ეფარდება, ხოლო „უდაბნოს წიგნი“-ს ხსოვნიერება ნამეტნავს აზევება-აღმატებას, კოსმურს-ზეებრივს სწრაფებას შეუვრდება (რასაც ალბათ გეოთე-სეული ცნება „აღმატებააღსლვისა“ უფრო დაიტევნიდა) – შტეიგერუნგ. „მგლები“ („ასი ლექსი“. გვ. 14, 1970), ვითარცა განგრძობა ვაჟასეული მოტივის „ამოდის, ნათლება“... „იქ – / არახიჯის გადასავალთან / ნელა თოვს ახლა... / მომინდა უცებ – გავიგონო ტყიერთა მოთქმა – / ახლა რომ სხედან არახიჯის გადასავალთან / და / შეწყობილად, ... // ერთხმად / გაისმის მათი შიმშილის ზარი... // ო... აჩრდილებო, / ... დიაცის თმებში დახლართულო ... წკვარამო, / ... კიბეებო სინანულისა, – /“ – . თანა-ქმედება ბუნებისა და სულის: ერთდაგვარი ძლევა აგრესიის – ზედან, რაჲც უნებურ შეგახსენებს: აეგ ნამდვილი სამშობლო არის. თითქო უეცრად ცოცხლდებოდეს“ / „გერმანია – ზამთრის ზღაპარი“, – პოემა ჰაინე-სი. ხოლო რიტმულ გადაებმის ამავე ლექსს – „ლექსს სიყმილისა“, – უცხო გალობა, – მთიბველის „გვრინი“ („ასი ლექსი“. გვ.-გვ. 15-17, 1970), რამაც თითქოსდა უუძველესს – დასაბამიერს ჰანგს შეუწყო-შეუთანაზრა, სრულ-ახლებრივ შეუსადაგა ჩუენნი სმენანი: „არ იმღერება ეს სიმღერა. / ჩემი სტრიქონი / არ იფარფატებს რთიალის ნათელ მინდვრებზე,

### ეპილოგი

შენს მზეს შავეთის შავი ნრე უვლის:
აქ სამსჯავროზე არ მოგელიან...
მოდი, იწამე სასწაული ბედისწერული:
დიდი დარდი რომ გამოგელია!

აქ ველარ ივლი დარდის გარეშე:
გმარხავს უდაბნო ჯავრით ატანილს!..
რა გაიგონე ცის მუქარაში:
თავს რო დაგეცა ყორნის ყრანტალი!

რაც იყო, იყო: ველარ იდარდებ...
აქ ყოფნა იქცა შენთვის ციხედო...
მზის კვალს მისდიე ლეთეს ციხემდე
ისე, რომ უკან არ მოიხედო!

*2013*

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჯარჯი ფხოველის მცირე განმარტება მცხეთა-მთიანეთის მწერალთა „აკადემიის“ შესახებ

ამ „აკადემიის“ დამფუძნებელთა შორის რაღაც გაუგებარი და გაუგონარი მიზეზების გამო მეც აღმოვჩნდი. 22 ნოემბრის „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მცხოვრები მწერლების მიმართვა საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის, თამაზ წივწივაძისადმი, სადაც გამოთქმულია სურვილი, აღნიშნულ რეგიონში ჩამოყალიბდეს სამხარეო ორგანიზაცია, რომელიც შევა აკადემიის შემადგენლობაში. ამ წერილს სხვებთან ერთად რატომღაც მეც ვაწერ ხელს.

აკადემიის გახსნის მიზანი ალბათ ყველამ იცის: იქ უნდა მიდიოდეს მეცნიერული მუშაობა და საიდან მოიყვანს დუშეთის აკადემია მეცნიერებს, სწავლულებს, მაშინ, როცა ნამდვილი აკადემია (თავის ინსტიტუტებიანად) მძიმე დღეშია: თითქმის სულს ღაფავს!

ხოლო თითოოროლა ლექსს და ნოველას მეცნიერულ მუშაობად ნუ წარმოვაჩენთ!

აქვე იმასაც გავიხსენებ, რომ დიდმა პლატონმა აკადემიის ბაღიდან დაითხოვა პოეტები და მათი ბიძაშვილი პროზაიკოსებიც, რადგან მათი ნახელავი მეცნიერებად არ მიიჩნია! მართალი იყო დიდი პლატონი!

დაბოლოს: მე ვთვლი, რომ არაფერი მესაქმება მცხეთა-მთიანეთის ამ პროვინციულ აკადემიასთან: მიმაჩნია, რომ ეს არის მცდარი ნაბიჯი და ვემიჯნები მას!

/ არ დაჰკვლევს ბეჩავს ძეხორციელი, / არც გუთნიდედა / შემოსძახებს / ... და არც დაღლილი / მგზავრი იმღერებს ამტვერებულ გზებზე წარები. // მუნჯია ეს ხმა, მოგუდული და უმოტივო. / თავგაჩეხილი მეციხოვნის ხაფია იგი, / ... მუნჯია იგი – როგორც ბავშვი / გულამომჯდარი. / ... თავქვეშ მიგორავს / გაქვავებულ კომიჭასავით, [გოროხი] / მოთელავს ბალახს, მოიქცევა ხახაგამშრალი. // II ნელა ილევა შენი სანთელი. / შემხედე ერთი, როგორ გამიგო ფეხქვეშ ჭილობი / ფერად-ფერადი ... ოქტომბერმა / და შუალამით / ... მოვაბიჯებ შენი სინათლის მბჟუტავ ბილიკზე... / ... – ცირკის ჯამბაზს – შემხედე ერთი, – / კბილით რომ მომაქვს ფუთობით რკინა: / აყვავებული იმედები / ... დასიზმრებულ ჩრდილების მოთქმა / ... მტვრიან[ი] ზეცის ნაგლეჯი – ჩემი ქალაქის / მოსასხამი... / ... ბედკრულ ბჟუტვაში / მესმის მთიბავის ცელის სივილი, // III ... შენ ისევ / მოთქვამ. შენ ისევ გალობ უკუნის წიაღ და ეგ / გალობა, / როგორც ღმერთისთვის / მიდ-/ -გმუ- / ლი- / კი- / ბე / ნათლით კიაფობს. // წვება ბალახი ბაგეგამშრალი ... / მიახლოვდება შენი ცელის ხმა... // ... V არ იმღერება ეს სიმღერა ... / ... განილევის / ეს ხმამაღალი დაფიქრება, / ქართა ჩურჩული / ... მოძახილი მთიბავისა ... იქ მიიქცევის – / სადაც მწუხრეულ მეუფების ბჟუტავს სანთელი /...“ – ეგ აღარაა რამ სიმღერა, – ერთმნიშვნელადს ფოლკლორს მონატეხი, არამედ არეკლეა, გარდატეხდომაა, რაიც ნამდვილს მხატვრულს ქმნილებას თანჰყვება, რათა სრულ-ამბივალენტურ წარედგინოდეს შინაგანი სული ხელოვანისა [ვითარცა ფრიდრიჰ ვილჰელმ იოზეპ შელლინგ შეჯგუფებულა].

ეს იყო დიდი ხნის წინ: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ-ევროპული ენების და ლიტერატურის ფაკულტეტის მაშინდელს კორპუსს ვიმყოფებოდით საქმეზე; ბ-ნმა ოთარ ჯინორიამ (ან გარდაცვლილმა), პროფესორმა, გამოჩენილმა გერმანისტმა, სანაქებო ლიტერატორმა, ასევე არცთუ ურიგო მთარგმნელმა, ვისაც შორიდან ვიცნობდი, მე მომმართა რატომღაც: ჯარჯი ფხოველის კრებულის მოვნას ხომ ვერ მომიხერხებთო, მეტადრე ერთს ტექსტს „გერინ“-ს მიეპყრო ბ-ნი ოთარის გულისყური. რაკიღა იქავე ახლოს, ყურისძირში ვსახლობდი (კვლავაც ვსახლობ), წამსვე შინისკენ დავეშურე და საკუთარი ექსემპლარ წიგნისა მალევე ვაახლე. ამ შემთხვევამ რამდენადმე დაგვაახლოვა (შინაგანად მაინც) ერთიერთმანეთს (ისიც ერთის წამით)... ისიც სათქმელია, წარმატებულობას პოეტი ჯარჯი ფხოველი იოტის ოდენად რომ არ აჰყოლია – არ გატოტოჩებულა). მიზეზი? მიზეზი მის პიროვნებაშიც და მის ლირიკაშიც თანაბარ მდგომარეებს. „სამყაროს გარეთ“ – მილმიერ მსწრაფველს სულს, – „ვაჟასეულ ნატერფალთ“ – მიმკულევს, სახელისა თაობაზე რამ მიცობმოცობა არად უჩნს, ჩემო ბატონო, – იგი სულ სხუა დილემმათა მომჩხრეკელია; ამოსავალი მისი ლირიკ-ის – მავნავლლიანობა – Melancholie – გახლავს დიაღაც. „ო, თაურ-ბგერაო ლექსისაო, შენ, შავნაღელო!“ – გერმანელი იოჰანნეს რობერტ ბეჰერ წარჰსთქუამდა. ეგ მელანქოლიი ალბრეჰტ დიურერ-ის უკვდავს გრავიურე-ს დასპტუიფრავს, გრავიურე-ს, რომელს კოსმურობის, უნივერსუმ-ის დაუვალი მზე დაჰბრწყენს; „ღრმა ჩაფიქრება“, „აყვავებული იმედები“ – ერთდაგვარი სუბუქი ირონიი „გერინი“-ს ავტორისა ერთობილად ამავე ხედვას ემყარება, ღრმად თუკი „განჰსჩიჩქნი“.

„უდაბნოს წიგნი“ წინათქმას პოეტი სრულის პირდაპირობით აბოლოვებს: „მჯერა, პოეზიის... ღვთივკურთხეული ძალა მთავარი და შეუცვლელია სულიერი მთლიანობის გადარჩენის ურთულეს გზაზე!“ – 2013 – ორმაგედ ნაწვრთნევი სული პოეტისა: ცალ-კერძ ღირსეული მამის, მთქმელისა, წინამძღურისა, სოფლის ქომაგის, მრავალ-იარა-შებრძვილებულის, მესატევრის, ოღონდ არა მკლველის, არამედ დამნდობის, უშიშო დამხვედრის, არათუ ამომგდებ-ამომქოლველისა, ცალ-კერძ

შოთა ჩანტლაძის, თაობათა და თაობათა დამფთიანებლის, პოეტთა უბადლო მძერწველის მაგალითი განუშორებლივ თან-ჰხლებდა ჯარჯი ფხოველს, – მართლივ თუ განეფინა, განიმალა და განვითარდა იგი პიროვნება, განა გასაკვირია? მამაჩემს როგორ შევეთამამებოდი, საკუთარს ლექსს როგორ წავუკითხავდი-ო, – მიამბობდა ჯარჯი ფხოველი. ხოლო შოთა ჩანტლაძის ფანტაზმის „სქოლიო“-ს ჯარჯისეული, სასწაულებრივი განგრძობა თუ მომთაერება, ჯარჯის მიერვე ზეპირ-წაკითხულ მომისმენია; წიგნში დაბეჭდილი მითუმეტეს მხიბლავს, მაკვირვებს („ასი ლექსი“. გვ.-გვ. 25-26. Mistification. 1998)... „მახსენდება შოთა ჩანტლაძის... სიუჟეტიანი ლექსი: ნიჭით დამძიმებულმა პოეტმა ნიჭი გაყიდა. შემდგომ, როცა... ნიჭის დაბრუნება მოინდომა, აღმოჩნდა, რომ მისი ნიჭი უკვე ეშმაკს ეკუთვნოდა და ნიჭის სანაცვლოდ [იგი, ეშმაკი] აულს მოითხოვდა... და პოეტმა მისცა სული, რადგან ნიჭი თვით სულზე(ც) უძვირფასესია!“ ნიჭის შეულევნელობას თავისთავზედ თუკი ვინმე დასჰცდის, ისევ და ისევ – პოეტი! ასეთია ჯარჯი ფხოველის ეითარცა პოეტის აღანჩავანი.

კიდევ რამდენიმე თემაა მოსახელთებელი, განსამარტავი (მიახლოებით მაინც). პირველ ყოვლის, რასაკვირველია, „იერემიადა“ („ასი ლექსი“, გვ.-გვ. 100-115. 1983), ორატორია, პოეზისეული გონის ამონაშუქი, „გვრინი“-სეულ-რიტმუსს მიბმული: ... „რა ფორმისაა




ბავშვის ამოკვნესა შუაგულ ძილში?.. / საიდუმლო შეხახვლელებით / შეაღნია იმის გულში ქვეყნის ვარამმა. // ... ან რა ფორმა აქვს / ღმერთის დუმილს, / ... ... განა შეიძლება ... პოეტმა, / ვინც სამყაროს დაჰკანკალებს / დაწეროს ლექსი, რომელსაც ერქმევა „აპოკალიპსი №2. // მე დავწერე, / მე დამნაშავე ვარ, / მაგრამ თავის დაძვრენას ვცდილობ. // ... ჯერ კიდევ იოანეს აღმოხდა ეს ქვითინი. / მერე გუტენბერგმა ნიგნებად აკინძა... / და დათესა მთელს სამყაროში, / როგორც სევდის შავი მარცვალი, / რომელიც აღმოცენდა პირქუშ მცენარედ“, / – [აქედან ლამის ხელის განვდენაზეა თემა მეორე (მერმინდელი) ორატორიისა, რაჲიც 29 წელიწადის შემდგომ უნდა შეითხზას: ორივ ორატორიუმ, – ურთიერთგადრანუნილ, ერთი-ერთმანეთს განმარტავენ – ე. ი. მითვე გვიადვილებენ გაგებას, ამოცნობას თითოეულისა] ... იოანეს ენამ უყივლა, / ის ყივილი გუტენბერგმა გადაამრავლა / ეხლა მეც ვიმეორე, / ... ვწერ დამარცვლით – / „აპოკალიპსი №2“. // პირველად იყო წყალი (აპოკალიპსი №1), / მერე დაიბადა ცეცხლი / აპოკალიპსი №2). // ... წყალი – / წარღვნის მთავარი გმირი. // მას უკვე სძინავს. / ესიზმრება მომავლის ცეცხლი, / ესიზმრება მახვილი, // ჩემს თავზე რომ ჰკიდია, / ესიზმრება მომავლის ცეცხლი, / ყველაფერს რომ გაასპეტაკებს... // 3. ამ სიმღერაში არაფერი ... იწყება / ... არაფერი ... მთავრდება. / ამ სიმღერაში / არავინ არავის ... ებრძვის / ... / ყველა ბრძოლა დიდი ხნის დამთავრებულია / და მხოლოდ ექო თუ გაისმის, / ერთ კივილად / ან ერთ კვნესად შემკვრივებული ... // ... ის ჩემი უფროსი ძმა იყო, / ვინც ჩაიდინა ... გმირობა, / ... ჰერაკლესაც შიშით რომ აბურძგლავდა – / ... 17 წლის სოფლელმა ბიჭმა / თავისი ძვლებით / ... თავისი გულის ქსოვილით / დაიჭირა გატყორცნილი ყუმბარის ნამსხვრევი – / იმდენხანს, / რომ გავარვარებული რკინა გაცივდა. // ეხლა პოლონეთის გულუხვ მიწაში წევს. / ... როცა ორმოცი წლის დედაჩემი / ჩამქრალი თვალებით / დაჰყურებს რუკას პოლონეთისა... // დედაჩემის ცრემლი პოლონეთის რუკას ეცემა. / ... წარღვნით გასპეტაკებული ცრემლი / პოლონეთის რუკას ეცემა... // 4. ცეცხლი, სადაცაა უნდა დაიბადოს. / ჯერ კი ისევ მეშაში სძინავს. / სადაცაა, უნდა დაიბადოს. // ... პირველი მხოლოდ ულიმღამო ცდა იყო / (აპოკალიპსი №1), / ... / ხოლო მეორე / (აპოკალიპსი №2) / იმ შეცდომებს აღარ დაუშვებს, / კარგად ხედავს წინმავალის გამოცდილებას, / შესაძლოა, კიდობანში / ... ყველაზე მთავარი დამნაშავე ზის / და ცდილობს იგი თავის დაძვრენას. // არა, შეცდომა აღარ უნდა განმეორდეს. / მე დავწერე „აპოკალიპსი №2. / მეც დამნაშავე ვარ. / და მე ვტირი შენს თავს, ქალაქო. // ... მე ვტირი შენს თავს, / ხოლო მერე ჩემს შვილს ვუმხელ, / რომ არსებობს ამქვეყნად ცეცხლი – / ულტრათანამედროვე მახვილი / ჩვენს თავზე რომ ჰკიდია / ... ქარის ნამოქროლაზე ირხევა. /“ – [ჯურხაის ფარის რემინისცენც] მითოსური გახმიანება იგი შემეცნების უნარს მომახავს და, განამძაფრებს მკითხველურს არქმევას. მაშასადამე, ძველისა თუ ახალი აღთქმის ქარაგმანი ერთურთს ეწვნიან, ხლართს ლირიკ-ისა ასეამრიგად აღახვევინებენ – „ყველამ უნდა იცნოს ხვალინდელი დღე. // მე ჩემს შვილებს ვუმხელ / ... ისინიც სახლის კედელზე თავშესაფრის მაკეტს

ხატავენ / ... ჰგავს იგი ნოეს კიდობანს / და ისე პატარაა, / ... მხოლოდ მტრედი თუ ჩაეტევა... / სიყვარული უნდა გაიხარჯოს, / უნდა მოემზადოს, / უნდა გასპეტაკდეს... / ... მე დავწერე „აპოკალიპსი №2". / მეც დამნაშავე ვარ. / ... მე ვტირი შენს თავს, ქალაქო. //" ... ... ესე თამამი მიტევნა – გულისგულს სახარებისა ვინიცობაა მიგვაკლევეინებდეს –, მაშ, მივაყურადოთ (ყური ვაპყრათ) დასასრულს: „წინადღეს მე ვწერ. / მე შიშს ვუმკლავდები". / [სიკვდილი შიშსა-შიგან ჰგიებს სწორედაც, – ამას სახარება შეგვაგონებს] „მე მოვდივარ შენთან შესახვედრად. / ... ხოლო / მეორე დღეს" [ეს სულ სხუა მეორე დღეა] / აპოკალიპსის ნახშირით / შენს კედელზე, / ჩემო ქალაქო, / შენს გარუჯულ კედელზე, / თეთრი მტრედი / უნდა დავხატო – // ზეთისხილის ტოტით – / იმის ნიშნად, რომ ბალი გადარჩა... // მტრედი. / ბალი, / და მებალე – // ეს სურათი უნდა დავხატო". [ემილ ნოლდეს ფერტილოზედ ალბეჭდილი მებალის ხატი უნებურ შეგახსენდებოდეს]. აგრე უსწორმასწოროა საგალი კაცებრივი ნუთისოფლისა (ვითარცა დიდი ილია შეგვაგონებდა); ხოლო „100 ლექსისა" და „უდაბნოს წიგნის" მთხზველი სხუაგუარს სახელდებას ირჩევს: „წამისოფელია"-ო ეგე... მგონი, მართალიც უნდა იყოს ეგ არჩევანი [ზედმიწევნით მიემთხვევა დეფინიციონ პოეტისა „ფაუსტ"-ისეულ განსაზღვრას „Augenblick", თუმცა რა, თავანკარა ქართული „წამისყოფა" განა იგივეა არაა.] „პოლონეთის გულუხვ მინაზე" იმას ვიტყოდი, რომ განამხოლს აეგ სამკაული – **Epitheton** – „გულუხვი" – , პოეტის ფრიად მოწინებას პოლონური კულტურისა წინაშე; პირველ ყოვლისა, აგრე მგონია.

მეორე ორატორიუმ „ქაღალდის უდაბნო" (უდაბნოს წიგნი. გვ.-გვ. 101-107. 2012) ასევე მრავლის დამტევნელია, ასევე თაურ-საწყისს, ანუ „დასაბამიერს" უტრიალებს... მარადიულ წიგნთა საუფლოს, რაჲც საბოლოოდ – აღმომხდომარე სიცოცხლის ღმერთეებრივ მარად-აწმყოურ განუწყვეტლობას შეგვაგონებს და არა რასმე ვირტუალურ უსამანო მიდმოხეტებას. ხოლო დაამწყალობებდეს ორთავე ლექსთა კრებულს ჯარჯი ფხოველისა უცნაურ-განმსჭოლეველი ეპიფანიი:

„ვინ სდგეხარ გულჭირიანი
აფხუშოს ქავის კარზედა?
მტერთა მარჯვენის ნამდნარი
წვიმის ცვრად დაგდის თავზედა,
ერთის კვირაის ნახფიზლარს
ლული გევლება თვალზედა,
დაგთვლემს და დაებრჯინები
ხამუშად მუხის ტარზედა".
ვაჟა-ფშაველა (1895 წ.)

* * *

თვალში ჩრდილად დაირწევა: გულს აგირევს მისი გემო.
გარდუვალი მაინც მოვა, რაც არ უნდა ითავცემო.
კარის ღიობს მოადგება, შენ კი ეტყვი: მოდი, შემო...
მისის იყო სული ჩემი: ან შენია, ცაო ჩემო! /1991/



თედო ბექიშვილი, გივი ალხაზიშვილი, ზეზვა მედულაშვილი და ჯარჯი ფხოველი

ეროვნული ბიბლიოთეკა



Tadeusz Dąbrowski

(1979 – )

# თადეუშ დომბროვსკის ახალი პოეზია: უაღრესად სერიოზული და უკიდურესად ირონიული

*პაველ პრუხნიაკი*

თადეუშ დომბროვსკი ექვსი პოეტური კრებულის ავტორია. ისინი მკითხველმა დიდი ინტერესით მიიღო და შეაფასა. ყოველ მათგანში – 1999 წლის სადებიუტო კრებულიდან დაწყებული და ბოლოთი დამთავრებული, ისმის იმ ადამიანის ხმა, ვინც რეალობასთან გასამკლავებლად ლექსებით გამოდის და მკერდით ხვდება წინ იმ აზრს, რომ უკვე შეუძლებელია რაიმეს თქმა: რომ თითქოს ყველაზე სისხლსავსე წინადადებაც კი მხოლოდ რეალობის ნამცეცია და მეტი არაფერი. ამგვარი შეგრძნება-შეხედულება უნაყოფოს აქცევს სიტყვას, აკნინებს და წონას უკარგავს მას. დომბროვსკის ლექსები კი გვაჩვენებს, რომ იმას, რასაც ვამბობთ, შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელობა, მხოლოდ საჭიროა, სიტყვამ ჭეშმარიტად გამოხატოს არსებული სინამდვილე, საშუალება მიეცეს მას, ისუნთქოს სრული სიცოცხლით.

დომბროვსკი არაა პოეტი-შარადისტი. ის არ ცვლის ლექსს პინგ-პონგის პარტიაში, უაღრესი სიფრთხილით არჩევს სიტყვებს, ვინაიდან სწამს იმ ინტიმური კავშირისა, რომელიც ენას, სიტყვასა და ჩვენს გარშემო არსებულ სინამდვილეს შორის არსებობს. მას სწამს, რომ საუბარი არსებობის ფორმაა, ხოლო სიტყვა – გარემოსთან ჰარმონიის მიღწევის რეალური საშუალება. სჯერა, რომ პოეტის მოვალეობაა ეს თანაარსებობა ზედმეტი ხმაურისა და დანალექისაგან გაასუფთაოს, განწმინდოს.

თუმცა, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ის გულუბრყვილო პოეტია. პირიქით. დომბროვსკი ფხიზლად ადევნებს თვალს მოვლენებს, სამყაროსა და პოეზიას. პოეტი ქერქს აცლის და სიცოცხლეს ჰბერავს იმ სიტყვებს, რომლებიც ოდესღაც იხმარებოდა, შემდეგ თითქოსდა გაცვდა, ჩაინავლა, თუმცა თავის თავში დიდი შინაარსი შეინარჩუნა. დომბროვსკის პოეზია თვალს არ ხუჭავს იმ რეალურ წვრილმანებზე, საიდანაც თავად წამოიზარდა. იცის, რომ მის ქედმაღლურ გარეგნულ ბრწყინვალებას გამოხატავს და იძულებულია წეროს ამაოებისათვის. ის ხედავს თავის სუსტ მხარეებს, მაგრამ ძალუძს იმის მოძებნაც, რასაც ნამდვილი ღირებულება გააჩნია და მასთან მიმართებაში სერიოზულ დამოკიდებულებას, განსაკუთრებულ მგრძნობიარობას ამჟღავნებს, ზოგჯერ კი ამ პროცესში საიდუმლოების მიგნებასაც ახერხებს.

დომბროვსკის ლექსები ხშირად სიტყვაზე – მის მნიშვნელობაზე დაფიქრებაა, იმაზე დაკვირვებაა, თუ რა შედეგი მოჰყვება მას, როდესაც წარმოვთქვამთ. და ეს გასაგებიცაა პოეტისაგან, რომელიც ასეთ რამეს დაწერს: „ეს ჩვენი ცხოვრებაა / ყოველ წუთში, ყოველ სიტყვაში". ეს ცხოვრება სიტყვაში მხოლოდ მეტაფორა როდია, ის სიტყვა-სიტყვითაც უნდა გავიგოთ.

წინა წიგნში, „შავი კვადრატი", ის წერს სივრცეზე, რომელიც არის სიტყვასა და იმას შორის, რასაც ეს სიტყვა მიგვანიშნებს:

„სიტყვა ვაშლსა და მართლა-ვაშლს შორის
ხდება ვაშლი. მანძილი სიტყვა სიკვდილსა და
სიკვდილს შორის გაცილებით ტევადია, იქ ხდება
სიცოცხლე. ხოლო სიტყვა სიმართლეს და სიმართლეს შორის

ხდება სიკვდილი."*

დომბროვსკის პოეზია თვითდადგენის ძალისხმევაა. ის უაღრესად სერიოზული და ამავე დროს ირონიულიცაა. მის საოცრად გლუვ ფორმებში დისტანცირებაც იგრძნობა და სიცივეც. ამასთანავე, იუმორში, რომელსაც ეს პოეზია შეიცავს, არის ზუსტი წარმოსახვის სისასტიკეც, რაღაც სიცივეც. მაგრამ ამ ლექსებში არის რაღაც ისეთიც, რომელიც გვეუბნება, რომ ამ მეტაფორაში ვარსებობთ, რომ ჩვენ ამ სიტყვებს შორის ვცოცხლობთ, თავს მათ ვანდობთ. და გვრჩება რწმენა იმისა, რომ ისინი არ გვიღალატებენ.

* თარგმანი ზვიად რატიანის

*პოლონურიდან თარგმნა ამბროსი გრიშიკაშვილმა*

* * *

რამდენჯერ მოვკვდი ცხოვრებაში – ძნელი სათქმელია,
რადგან ვკვდებოდი სამუდამოდ. დღეს მხარი გავკარი
ტრამვაის და დავინახე ჩემი სიკვდილი: მკვდარი სხეული
გდია ლიანდაგზე, ხოლო თვითონ მივაბიჯებ

ტროტუარზე, ცაცხვის ჩრდილში. ანდა ცხრა წლის წინ,
როცა ბორბლებში ჩავუვარდი ველოსიპედით
მღვდლის პეუოს, სისხლიც მივანთხიე საქარე მინას,
ნუთუ მაშინაც არ მოვმკვდარვარ? ანდა შვიდი წლის

ბიჭი, რომელიც სახურავის კიდეზე იდგა,
გადარჩენილი უეცარი ძარღვის განასკვით
მარჯვენა კოჭში, განა მაშინ არ დაასკდა მისი სხეული
ასფალტს? მე მახსოვს უამრავი მსგავსი სიკვდილი

და ნუთუ ყველა გამოვტოვე? სავარაუდოდ,
წლების მანძილზე ავდიოდი სასუფევლის სულ უფრო მაღალ
საფეხურზე. მხოლოდ გვიან მოვიდა შიში,
რომ სიკვდილები დასრულდება, როგორღა მივხვდე,

თუ რა არის ეს სიბნელე – ახლა, როდესაც
დაცემული წამოვდექი და შარვალი ჩამოვიბერტყე,
ეს სიბნელე, სადაც ხეებს აუნვდიათ ფესვები
მაღლა – ჯოჯოხეთია თუ სამოთხე, თუ დეკემბრის მინურულის

ნაშუადღევი?

*თარგმანი ზვიად რატიანის*

# ფრაგმენტები ინტერვიუებიდან

## „გაზეტა ვიბორჩა“, 2012

### ალექსანდრა კოზლოვსკას საუბარი პოეტ თადეუშ დომბროვსკისთან

**ალექსანდრა კოზლოვსკა:** სამი წლის წინ თადეუშ რუჟევიჩმა პოლონეთის კულტურის ფონდის ჯილდოს, „ოქროს კვერთხის“ მიღებისას, თქვენზე განაცხადა: მას, როგორც პოეტს, პატარა კვერთხი ეკუთვნისო. ასეთი დახასიათების შემდეგ თუ ახდენს თქვენზე რაიმე შთაბეჭდილებას საეკლესიო მედლით დაჯილდოება?

**თადეუშ დომბროვსკი:** ცხადია, ახდენს. თუმცა თადეუშ რუჟევიჩის მიერ ასეთი გამორჩევის შემდეგ გავიფიქრე, რომ ჩემი დაჯილდოება უკვე აღარც იყო აუცილებელი და ახლა უბრალოდ უნდა მეწერა, მიუხედავად კრიტიკოსების მხრიდან ოპონირებისა თუ მოწონებისა. საეკლესიო ჯილდო არაა იდეოლოგიზირებული, მისი ჟიურის წევრები ნამდვილად კითხულობენ ლიტერატურას და მოდას არ მისდევენ. მის საბჭოში გარდა ადგილობრივი ლიტერატურათმცოდნეებისა, შედიან ასევე ქვეყნის გარეთ მცხოვრები ინტელექტუალები. ისინი თავისუფალნი არიან იმისაგან, რაც ჩვენს საზოგადოებაში ყველაზე მანკიერია: პირადული სიმპათია-ანტიპათიისაგან, ინტრიგებისაგან. ამიტომ ჩემთვის სასიამოვნოა, რომ დაჯილდოებულთა შორის აღმოვჩნდი.

**კითხვა:** ამ დაჯილდოების შემდეგ გამოჩნდი ტელევიზიაში, რადიოში, მრავალტირაჟიან პრესაში. ხალხი ქუჩაში გცნობს?

**პასუხი:** ხდება ხოლმე (იცინის). ვილნიუსში მგზავრობისას ჩემს წინ მჯდომი ერთი ქალბატონი მეორეს მიუბრუნდა და უთხრა: „...ო, ჩვენთან ერთად პოეტი მგზავრობს“. ვარშავაში რკინიგზის სადგურზე ერთმა სტუდენტმა შეკითხვით გამაჩერა: „თქვენ პოეტი ბრძანდებით? დარწმუნებული არ ვიყავი“ და ბილეთზე ავტოგრაფის წაწერა მოისურვა. ამას წინათ, ჩემს უწინდელ საცხოვრებელ რაიონში მეზობელმა, რომელსაც სპორტულად ჩაცმა, ქალები და ავტომანქანები უყვარს, გამაჩერა: „პოეტს გაუმარჯოს! ჩემი ძმაც წერს ლექსებს თავისუფალ დროს, ერთმანეთი უნდა გაგაცნოთ!“ რა უნდა მეთქვა?!

**კითხვა:** მაგრამ პოპულარობა ერთია, ხოლო წიგნების კითხვა – მეორე. კვლევების შედეგები დაუნდობელია – პოლონეთში მკითხველთა რაოდენობა კატასტროფულად კლებულობს. მაგალითად, გასულ წელს პოლონელთა უმეტესობას არცერთი წიგნი არ ჰქონდა წაკითხული. ხოლო ისინიც, ვინც კითხულობს, უფრო კრიმინალურ და პორნოგრაფიულ ლიტერატურას ეტანებიან. ლექსი ძალიან იშვიათი პროდუქტი გახდა. შენ როგორ გრძნობ თავს ასეთ სიტუაციაში?

**პასუხი:** როდესაც ლექსების წერა დავიწყე, შეგნებული მქონდა, რომ რაღაც ელიტარულ საქმეს მოვკიდე ხელი. პოეზია განსაკუთრებულ თვისებებს მოითხოვს: მგრძნობიარობას, უნარს, გარკვეული დაეჭვებით შეხედო როგორც სამყაროს, ისე საკუთარ თავს, და ასევე გარკვეულ მიდრეკილებას ემპათიისაკენ. ცხადია, ამ თვისებებს ვერ ფლობს რეკლამებისა თუ კროსვორდების მკითხველი. პოეზია ყოველთვის იყო და იქნება ვიწრო წრისათვის განკუთვნილი, – 100, 200 წლის წინათ მისი მკითხველის რაოდენობა ზუსტად ასეთი იყო.

**კითხვა:** საიდან ასეთი რწმენა?

**პასუხი:** ადამ მიცკევიჩს თავისი „ბალადები და რომანსები“ რომ გამოეცა, 150 ხელმომწერი უნდა მოეგროვებინა. მისგან ამას გამომცემელი მოითხოვდა, რათა ამ საქმიდან არ ეზარალა. როდესაც მესმის პოეზიით მცირე დაინტერესების თაობაზე, მახსენდება ანეგდოტი ჰანს ენცენსბერგერის შესახებ. ეს გამოჩენილი გერმანელი პოეტი ამტკიცებდა, რომ ყოველ ქვეყანაში, მიუხედავად მისი რიცხოვნებისა, პოეზიით დაინტერესებულთა რაოდენობა ერთი და იგივეა და ის 1354-ს არ აღემატება. ასე დაიბადა ტერმინი „ენცენსბერგერის მაჩვენებელი“.

**კითხვა:** საინტერესოა. თქვენც ეთანხმებით?

**პასუხი:** ეს კარგი ხუმრობაა. მაგრამ თავად პოეზიისა და პოეტის მიმართ დამოკიდებულებაში რაღაც რადიკალურად შეიცვალა. ის უკვე აღარაა გენიალური გიჟი, გადარეული, პრომეთე თუ ადამიანისათვის გზის მანიშნებელი. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, – ზოგმა შეიძლება თქვას, რომ უფრო ადრიდანაც კი, – ჩაქრა პოეტის შესახებ შექმნილი რომანტიული მითი.

**კითხვა:** წინასწარმეტყველები უკვე აღარ არიან?

**პასუხი:** ისინი არავის სჭირდება. პოეტი რაღაც სასაცილო, გროტესკული პერსონა გახდა. დაღხენილი საზოგადოება მას ქედმაღლურად უცქერის. მასში მასხარას ხედავს. გარკვეულ დრომდე მეჩვენებოდა, რომ ამაში დამნაშავეა პოპ-კულტურა. ახლა უკვე ვიცი, რომ პოეზიის მარგინალიზაციაში პასუხისმგებლები თავად პოეტები არიან.

**კითხვა:** რატომ? იმიტომ, რომ გაცილებით ნაკლებსკანდალურები არიან? რადგან მათ შესახებ ილუსტრირებული ჟურნალები არ წერენ?

**პასუხი:** იმიტომ, რომ მკითხველის ეშინიათ. ჰგონიათ, რომ ისინი არ მიიღებენ და ამიტომ წერენ კოლეგა-პოეტებისა და ლიტერატურული კრიტიკოსებისათვის, ან

საერთოდ აღარ სჯერათ, რომ ჩვეულებრივი მკითხველი კიდევ არსებობს. ამიტომ პოეზია უფრო ჰერმეტული გახდა. თუმცა ამას არაფერი აქვს საერთო ნორვიდის* ჰერმეტულობასთან. დამწყები ლიტერატორების ჰერმეტიზმი ნიღაბის მორგებაა იმ ფაქტზე, რომ მათ არაფერი აქვთ სათქმელი. მათ რომ ვერ უგებენ, ამაში პასუხისმგებლობას მკითხველს აკისრებენ, – ვერ იგებს, ესე იგი ინტელექტუალურად მოუმზადებელიაო.

**კითხვა:** შენი შემოქმედების მკითხველი როგორ წარმოგიდგენია?

**პასუხი:** მეჩვენება, რომ ის ჩემი მსგავსია. ჩემი ნაწარმოებების პირველი მკითხველი ხომ თავად მე ვარ. მე უნდა ვიპოვო საკუთარ ლექსში ჩემი თავი, ვიდრე მას სხვას ვაჩვენებ. ამასთან ეს მსგავსება არ უნდა გულისხმობდეს ხასიათის მსგავსებას, რადგან როდესაც ჩემ ლექსს ვკითხულობ, რაღაც აზრით ჩემი არსებიდან გამოვდივარ, საკუთარი თავის მიმართ უცხო ვხდები. ჩემი მკითხველი ისაა, რომელიც პოეზიისაგან ელის, რომ იყოს მსუბუქი, მაგრამ არა ადვილი, და სიტყვებით თამაში რებუსს, მისი ერუდიციის გამოცდას არ დაემსგავსოს. კარგი პოეტისაგან მკითხველი უნდა ელოდეს იმის ახსნას, თუ რა არის სიმართლე და როგორია სამყარო. არ არსებობს პოეზია ირონიისა და თვითირონიის გარეშე.

ცხადია, მხედველობაში მაქვს ტრაგიკული და რომანტიკული ირონია.

**კითხვა:** ისეთი მკითხველი, როგორსაც შენ გულისხმობ, გესწრება ლიტერატურულ საღამოებზე?

**პასუხი:** სხვადასხვა ხალხი მოდის – პენსიონერებიდან დაწყებული, სკოლის მოსწავლეებით დამთავრებული. თუმცა დამსწრე საზოგადოებაში აუცილებლად გამოერევა ხოლმე ვინმე ისეთი, რომელიც მკითხავს: „თქვენ რომელი პარტიის მხარდამჭერი ხართ?".

**კითხვა:** და რას პასუხობ?

**პასუხი:** რომ ლექსებს, სხვათა შორის, იმიტომ ვწერ, რომ იძულებული არ ვიყო პოლიტიკაში ჩავერთო, არც მემარცხენე ვიყო და არც მემარჯვენე. მემარჯვენეობა, ცენტრისტობა, მემარცხენეობა – ეს ძალიან ცარიელი კატეგორიებია. კონსერვატიზმი და ლიბერალიზმი რაღაცას მხოლოდ ეკონომიკურ მეცნიერებაში ნიშნავს, თუმცა ეს უკვე სხვა თემაა.

**კითხვა:** კიდევ რას გეკითხებიან?

**პასუხი:** ზოგჯერ ძალზე ბრძნულ კითხვასაც მისვამენ, მაგალითად, რას ნიშნავს პოეზია? – რაზედაც საბედნიეროდ, პასუხი არა მაქვს.

**კითხვა:** მაინტერესებს, როგორ გამოიყურება პოეტის ერთი ჩვეულებრივი დღე. შენ ალბათ, 8 საათიდან 16 საათამდე არ მუშაობ, არა?!

**პასუხი:** როგორც კრიტიკოსსა და რედაქტორს ელემენტარული დისციპლინა მომეთხოვება. ლექსის წერის დაგეგმვა შეუძლებელია. საინტერესო აზრები ისე მოულოდნელად მეწვევა ხოლმე, რომ თავადაც გაოცებული ვრჩები. მთარგმნელებთან თანამშრომლობაც დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვს. ზოგჯერ მათთან ყოველ სიტყვაზე მსჯელობა მიწევს.

ეროვნული

**კითხვა:** რა შეიძლება მისცეს პოეზიამ ჩვეულებრივ ადამიანს?

**პასუხი:** მისთვის პოეზია ალბათ თვითშემეცნების წყაროა, საკუთარი დახლეჩილი „მე"-ს გაერთიანების, შეკავშირების მეთოდი. აბა დაფიქრდი, ყოველდღიურად რამდენ როლში გვიწევს გამოსვლა. მათ, ყველამ, რომლებიც ჩვენში არიან, შეწყვიტეს ჩვენთან ურთიერთობა, საკუთარი სიცოცხლით ცხოვრობენ. რაც დრო გადის, სულ უფრო გვაპყრობს ეჭვები, სინდისის ქეჯნა. პოეზია და ხელოვნება კი საშუალებას გვაძლევს საკუთარ თავში ყველაფერ ამას დავუპირისპირდეთ. ეს შესაძლოა მტკივნეული იყოს, მაგრამ პოეზია ხანდახან უნდა გვტკიოდეს.



* კამილ ციპრიან ნორვიდი – XIX საუკუნის ცნობილი პოლონელი პოეტი

## ჟურნალი „არქიპელაგი“, 2013

**– შენ ერთ-ერთი ის შემოქმედი ხარ, რომელიც მხოლოდ ლიტერატურული შემოსავლით ცხოვრობს. რამდენად შესაძლებელია ახალგაზრდა ავტორისათვის მწერლობით ცხოვრება? ხომ არ თვლი, რომ ბედნიერ ვარსკვლავზე ხართ დაბადებული?**

– როდესაც პირველი წიგნი გამოვეცი, ვერც კი ვიფიქრებდი, რომ ეს შესაძლებელი იქნებოდა. არა იმიტომ, რომ უკმაყოფილო ვიყავი იმით, რასაც ვწერ. უბრალოდ „გამხდარი ლიტერატორის" ფიგურა, რომელსაც პრაქტიკული ცხოვრება არ ეხერხება, ღრუბლებში დაფრინავს, მშიერია, მაგრამ მილიონების დარდი კლავს, რაც ასე გავრცელებულია კულტურაში, განსაკუთრებით პოლონურში – სრულიად შესაფერის ალეგორიად მეჩვენებოდა. არადა, აღმოჩნდა, რომ არსებობს ჟურნალები და დაწესებულებები, განსაკუთრებით საზღვარგარეთ, რომლებიც ადამიანს ისეთი არაპრაქტიკული რამეებისათვის პურის ფულს აძლევენ, როგორიცაა ლექსი, ანდა მასზე საუბარი. არასოდეს მიფიქრია, რომ პოეზიით გამოვიმუშავებდი. ეს არანორმალური იქნებოდა, გამომდინარე იმ სპეციფიკიდან, რასაც პათეტიკურად „შემოქმედებით პროცესს" უწოდებენ, რომელიც ჩემს შემთხვევაში სრულიად აუცილებელია. სამაგიეროდ, დროდადრო გამოვიმუშავებ რეცენზიებითა და ნარკვევებით, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ფულს ვიღებ იმაში, რასაც ისედაც დავწერდი. მე ხომ არავინ მაიძულებს, რაიმე შეკვეთით დავწერო, თავად ვირჩევ ნაწარმოებს, რომელიც მე, როგორც მკითხველს, დამაინტერესებს.

**– შენს ლექსებში, განსაკუთრებით ბოლო ტომში „შავი კვადრატი“, ხშირად უბრუნდები პოეზიის მდგომარეობის საკითხს. როგორია შენი, როგორც პოეტის როლი? როგორ ამოცანებს, მოთხოვნებს უყენებ საკუთარ თავს?**

– მრავალჯერ მითქვამს, რომ არ ვფიქრობ, თითქოს ბოლო ნახევარ საუკუნეში მნიშვნელოვნად იკლო პოეზიის მკითხველთა რაოდენობამ. სამაგიეროდ ჩაკვდა მისი პოპ-კულტურული პათოსი და – როგორი პარადოქსულიც არ უნდა იყოს, – ფილოსოფიური ანტიჰუმანიზმის, რასაც პოსტმოდერნიზმს უწოდებენ, – გავლენით. პოეტმა საზოგადოებაში დაკარგა თავისი მნიშვნელობა. მას ხშირად როგორც გიჟს, ისე იღებენ. ოდესღაც პოეზია პირველი მოთხოვნილების საგანი იყო, მკითხველმა ზეპირად იცოდა თავისი საყვარელი ლექსები, პოეზიას არამხოლოდ ლიტერატურის სპეციალისტები და პოეტის მეგობრები ეცნობოდნენ. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი მდგომარეობისათვის პასუხისმგებელნი პოეტებიც არიან. მათ რიგითი მკითხველის თვალში წონა დაკარგეს და დაიწყეს სავალდებულო მოდის შესაბამისად წერა, გამოავლინეს უკიდურესი ჰერმეტულობა. მე მომხრე ვარ ხელოვნებაში პროგრამული მიდგომისა. ჩემი ერთადერთი მოვალეობაა, ისე ვწერო, რომ არავინ მოვატყუო. უფრო მეტიც – ისე, რომ ლიტერატურა გახდეს ყველა იმ თვითმოტყუების საპირისპირო, რასაც ყოველდღიურად ეგრეთ წოდებულ რეალურ ცხოვრებაში ჩავდივართ; რომ ის, რასაც ვწერ, გახდეს საკუთარი თავის შეცნობის წყარო, როგორც ჩემთვის, ისე სხვებისთვის.

**– სიტყვა მთელი მისი მრავალფეროვნებით პოეტის უმთავრესი იარაღია. ხშირად ხდება, რომ რისი თქმაც გინდა, იმას კარგად ვერცერთი სიტყვა ვერ გამოხატავს?**

– სიტყვა არასოდეს გამოხატავს აზრს, რამეთუ ხაზგამყოფი თემასა და იდიომას, ფორმასა და შინაარსს შორის არ არსებობს. სად არის შინაარსი და სად ფორმა სიტყვაში „დედა“, „სიყვარული“ ან „ვაშლი“?! არასოდეს არაა ისე, რომ თემა მაქვს და მისთვის სიტყვებს ვეძებ. ლექსი – თუ ის გამოვიდა – მონოლითურია, მასში სიტყვის ჟღერადობა, მისი სახე შინაარსის შესაბამისია. პოეტური ტექსტი არაა მოცემული პრობლემისადმი მიდგომის ერთ-ერთი ვარიანტი, ეს ერთადერთი ფორმაა, რომლითაც ის შეიძლება გამოიხატოს. ლექსი იწერება ზუსტად ასე, რადგან მისი სხვაგვარად დაწერა შეუძლებელია.

**– ბევრი გიწერია რუჟევიჩის შესახებ. ბოლო ტომში ორი ლექსიც კია ამ პოეტისადმი მიძღვნილი. ის კვლავაც შენს ოსტატად რჩება? რატომ მაინცდამაინც ის აირჩიე?**

– შეიძლება ასეც ითქვას, მაგრამ ჩემთვის ოსტატი არის არა ის, ვისაც ბრმად ენდობი, არამედ ის, ვისაც რაიმეს ეკითხები, ვისი აზრიც გაინტერესებს. რუჟევიჩს იმ თვითმყოფადობისა და გაბედულებისათვის ვაფასებ, რომლითაც ყოველგვარ პირობითობებზე მაღლა დგას, ინტელექტუალური მოდისაგან მისი ყოველგვარი დამოუკიდებლობის გამო მომწონს. თავის ლექსებში თადეუშ რუჟევიჩი პოეზიის „ცოცხლად" სიკვდილს გვაჩვენებს, ნიჰილიზმიდან რაციონალური მისტიციზმი შეუძლია გამოხატოს. მისი ნაწერები თანამედროვე სამყაროს ზურგს არ აქცევენ.

**– შენი პოეზია უკვე 20 ენაზეა თარგმნილი. გერმანიაში ლექსების დიდი რჩეული გამოიცა, ცოტა ხანში შეერთებულ შტატებშიც გამოსცემენ. ნაწარმოებებში ყურადღებას იპყრობს შენი დამოკიდებულება ღმერთისადმი, სულისა და სხეულის წინააღმდეგობა. თუ იცი, როგორ აღიქვამენ შენს ლექსებს უცხოეთში?**

– სულსა და სხეულს შორის ურთიერთობის ასეთ წინააღმდეგობრივ გაგებას ვერ დავეთანხმები. თუმცა, მართალია, ჩემს ლექსებში გვევლინება სიტყვა „ღმერთი", ნაცვლად თუნდაც სიტყვებისა: „ჭეშმარიტება", „ბოროტება", „სინდისი". მე „ღმერთს" ზოგჯერ სერიოზულად ვხმარობ, ზოგჯერ მხოლოდ იმიტომ, რომ ეს სიტყვები უკვე გაცვდა, მრავალჯერაა ნახმარი. რელიგიურობის პრობლემასაც ასევე ირონია აქვს გარეული. ჩემთვის რელიგიურობა უბრალოდ ის თემაა, რომლისკენაც არ შეიძლება ისწრაფოდე, თუ ბაროკოსთვის ჩვეული დაპირისპირების კონტექსტში არ განვიხილავთ სულისა და სხეულის წინააღმდეგობას. მეჩვენება, რომ ჩემი ლექსები ტკივილამდე მატერიალურობითაა გაჟღენთილი. ჩემთვის სულსა და სხეულს შორის უფსკრული არ არსებობს. ვუთანაგრძნობ მათ, ვინც ასეთ დუალიზმში

ცხოვრობს. ის, რასაც ახლა ვამბობ, წინააღმდეგობაში არ მოდის ქრისტიანობის არსთან, რომელიც, – მიუხედავად საკმაოდ გავრცელებული შეხედულებისა, – არაა მოთხრობა სულიერების ბრძოლისა სხეულთან, არამედ უფრო ამ უკანასკნელის გაღმერთებას ცდილობს. თუმცა კითხვას დაეუბრუნდები. საზღვარგარეთ ჩემს ნაწარმოებებს კითხულობენ მზა კრიტიკული კონსტრუქციების, იმ კომპლექსების გარეშე, რომელიც მრავალ ჩვენს ინტელექტუალს განაწყობს საიმისოდ, რომ ყოველ ტექსტში, სადაც სიტყვა „ღმერთი“ ან „ჭეშმარიტებაა“, ორთოდოქსულობის მანიფესტი და ჩამორჩენილობის გამოვლინება დაინახოს.

ახლა იმის თაობაზე, თუ როგორ მესმის „რელიგიური პოეზია“. სიმართლე გითხრათ, ამის შესახებ წარმოდგენა არა მაქვს. ისე, არც ვბრაზდები ასეთ დახასიათებაზე, ვინაიდან ჭეშმარიტად რელიგიური ლექსის დაწერა მხოლოდ გენიოსებს ხელეწიფებათ. მე ასეთი რამ არ შემიძლია. თუმცა ვფიქრობ, რელიგიურობა პოეზიაში მეც ისე მესმის, როგორც მათ, ვინც მე „რელიგიურ პოეტად“ მნათლავს. თუმცა არც კი ვიცი, ვინ არიან ისინი, რადგან ვერცერთ კრიტიკოსს ვერ ვიხსენებ, რომელიც აზრიანად გააშუქებდა ამ თემას. მაგრამ რადგან თქვენ მიგაჩნიათ, რომ ასეთები არსებობენ, მაშინ ვუშვებ, რომ მათთვის ამ ტერმინის ხმარებისათვის საკმარისია ლექსში მოხმობილი სიტყვა „რელიგია“ ან „სინდისი“. ლიტერატურათმცოდნეთა ამ მიმართულების თანახმად, უმთავრესი რელიგიური პოეტი უნდა იყოს ჩესლავ მილოში, რომელმაც რამდენიმე ლოცვაც კი დაწერა ყოველგვარი ირონიის გარეშე. საინტერესოა, რომ ლექსები სიტყვებით „ღმერთი“, „ჭეშმარიტება“, „სიკეთე“ და „ბოროტება“ დამიბეჭდია უცხოურ არარელიგიურ ან მემარჯვენე ხასიათის ჟურნალებში, მაგრამ არასოდეს არავისგან მომისმენია, რომ რელიგიური პოეტი ვარ.

**– შენს პოეზიაში სამშობლოს თემას შედარებით მოკრძალებული ადგილი უკავია. ხომ არ ნიშნავს, რომ პოლონეთი და პოლონელობა უკვე აღარ აღელვებთ თანამედროვე პოეტებს?**

– სიტყვები „პოლონეთი“, „ერი“, „სამშობლო“ სრულიად სხვანაირად გამოჩნდა სამხედრო მდგომარეობის დროინდელ პოეზიაში XX საუკუნის 80-იან წლებში. ამ დროს მოხდა პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მითოლოგიების რადიკალური შემობრუნება პირადული, ინდივიდუალური, ინტიმური თემებისაკენ, – ანუ „ჩვენ“-დან „მე“-საკენ. დიდი ასოებიდან პატარა ასოებისაკენ. რა თქმა უნდა, ეს კარგი იყო, რადგან პოეზია, რომელიც ჩახლართულია რომელიმე იდეოლოგიაში (ასევე ფილოსოფიაში), ძირითადად ცუდი პოეზიაა. მე ვფიქრობ, რომ უნდა გავარჩიოთ პოეზია, რომელიც ხმის ჩახლეჩვამდე ეროვნულ, ისტორიოგრაფიულ თემებზე გაჰყვირის, თუმცა იცის, რომ ეს არტისტული უტოპიაა, იმ პოეზიისაგან, რომელიც ცდილობს რეალური გავლენა მოახდინოს პოლიტიკაზე, იყოს პრაქტიკული მოქმედების იარაღი. ეს უკანასკნელი, – თუნდაც ისტორიული მომენტის გათვალისწინებით საზოგადოების მოწონებას რომც იმსახურებდეს, – ვშიშობ, დროთა განმავლობაში მაინც სასაცილო გახდება. ნამდვილი პოეზია არ კარნახობს ხალხს თუ თავის მიმდევრებს ამა თუ იმ პოლიტიკურ გეზს, ის ცალკე ადამიანს ესაუბრება.

**– უკვე საკმაოდ ბევრი ჯილდო გაქვს მიღებული. როგორ იმოქმედეს მათ შენ ცხოვრებაზე?**

– პატარა შვება მომცეს. ახლა ვგრძნობ, რომ აღარ მჭირდება სიჩქარე, რომ შემიძლია დავტკბე ტექსტით, ვიდრე დასაბეჭდად წავიღებ. მაგრამ მათი გავლენით მაღლა ავწიე თამასა? პოეზია არაა ზევით ახტომა. ესაა ნახტომი კაცმაარიცისსად, იმ ყველაფერში რაცარვიცი. ამიტომ ჯილდო უნდა აღვიქვათ, როგორც სასიამოვნო შესვენება ყოველდღიური რუტინისაგან. როგორც მცირე ხნით დასვენება. ასევე პოეზიისაგანაც.

**– როგორ ატარებს თადეუშ დომბროვსკი თავისუფალ დროს?**

– დრო ძალზე სწრაფად გარბის.

* * *

ადამიანები იცვლიან სიტყვებს, სიტყვები იცვლიან ადამიანებს.
„სიყვარული“ ყოველდღიურად ეფერება ახალ ენას, ახალ
ბაგეს, და მალავს მათრახს თავის არსში. ყველაზე ცუდი,
რაც შეიძლება დაგემართოს – ამბობს სიტყვა – არის გაჭედვა
მნიშვნელობაში, რაც ისევე დამღლელია, როგორც სექსის შემდეგ ლაყბობა
ქალთან, რომელსაც არ იცნობ და არც გინდა, იცნობდე.
ზოგჯერ სიტყვა „პიროვნება“ მართლა ემთხვევა პიროვნებას,
„სიკვდილი“ – სიკვდილს, „კატა“ – კატას, და, განბილებული,
ამჯობინებს სამუდამო დადუმებას ლექსიკონის სასაფლაოზე.

*თარგმანი ზვიად რატიანის*

ეროვნული ბიბლიოთეკა



# შეხვედრა დუმილში

*ესაუბრება ადრიან სინკოვსკი*




**– მოდით, იმით დავიწყოთ, თუ რა არის თქვენი აზრით პოეზია. პოეტობა პროფესიაა თუ ცხოვრების მეთოდი? ან იქნებ მოწოდება?**

– პოეტი არის ის, ვინც, – და ყოველთვისაც ასე იყო, – დარწმუნებულია იმაში, რომ პოეზია საუბრის ყველაზე ლამაზი და საინტერესო ფორმაა. ის შორსაა აზრების გამოთქმისაგან იმის თაობაზე, თუ რა არის ჭეშმარიტება, შორსაა მსოფლმხედველობითი კამათისაგანაც, რომელიც ფილოსოფიის, ხოლო სრულიად სხვა სიბრტყეზე – პოლიტიკის სფეროა... რომ ეს საუბარი ავტორსა და მკითხველს შორის ან აბსოლუტური თანხმობით ან საერთოდ ვერაფრით ვერ სრულდება. მკითხველი ტექსტში ჩასახლდება, რადგან მასში თავს კარგად გრძნობს, ან მას საერთოდ არ გაეკარება, რადგან ვერ გაიგებს. ტექსტში შესვლა იგივეა, რაც მასში დასახლების სურვილი. ამიტომ, არ უნდა გავბრაზდეთ იმ პოეტებზე, რომლებიც ჩვენთვის არ არიან. პოეზია, თუკი მას დიდხანს გაძლებაზე აქვს პრეტენზია, უნდა იყოს მეტაფიზიკური და არა მხოლოდ ფსიქოლოგიური, ლიტერატურული, და მითუმეტეს, საურთიერთობო ფაქტი. როდესაც „მეტაფიზიკურ“ ლექსს ვამბობ, ვფიქრობ: „აუცილებელი“, რომელიც თავის სიმართლეს იმას უნდა უმადლოდეს, რომ სხვაგვარად მისი დაწერა შეუძლებელი იყო, და კონფრონტაციას იწვევდა იმასთან, რაც ჩვენში ბნელია ან ნათელი, ყოველ შემთხვევაში – გაუგებარი. ის, რაც შესაძლებელს გახდის დუმილში შეხვედრას. ამრიგად, პასუხი გავეცი მეორე შეკითხვასაც. წერა არის აუცილებლობა. ცხადია, გრაფომანიც გრძნობს ასეთ აუცილებლობას, რის გამოც წარმოიშვება პრობლემა – როგორ განვასხვაოთ ეს ორი აუცილებლობა. ეს კი უკვე მკითხველის გადასაწყვეტია.

**– „თადეუშ დომბროვსკი ის პოეტია, – წერდა ამ რამდენიმე წლის წინ ერთი კრიტიკოსი – რომელმაც კარგად იცის, თუ რა უნდა პოეზიისაგან. მაინტერესებს, რა გსურდათ მაშინ და რა გსურთ დღეს პოეზიისაგან, მითუმეტეს, რომ ერთგან გიწერიათ: „უფლება არ გაქვს თქვა, რომ ხარ ის, ვინც იყავი გუშინ“.**

– ბოლო წლებში ზოგ რამეზე ცოტა შევიცვალე აზრი, ზოგი საერთოდ უარვყავი, თუმცა პოეზიის მიმართ ჩემი მოლოდინი უცვლელია. ვისურვებდი, რომ რაც შეიძლება მალე გამომეცადა ის უგრძნობელობა, რომელიც მშვენივრად აღწერა კაფკამ თავის დღიურში. კერძოდ, მისი აზრით, ყველა ის საქმე, რომელიც მას აზრად მოსდიოდა, იწყებოდა არა ფესვებიდან, არამედ შუა ღეროდან.

**– ვოიცეხ ბოროვიჩმა განაცხადა: „ლექსი არის ისეთი რამ, რომელიც თავად ავტორისათვისაც კი საიდუმლოდ რჩება“. იზიარებთ მის აზრს?**

– საერთოდ კი, თუკი ეს საიდუმლო გამოიყურება უბრალო, ნათელ, გამჭვირვალე აზრებად და ლებინების შედეგად შექმნილი სურათი არაა. ნიცშეს ზარატუსტრას აზრი იმის თაობაზე, რომ „პოეტები ამღვრევენ თავიანთ წყალს, რათა უფრო ღრმად გამოჩნდნენ“, კარგად გამოხატავს ახალგაზრდა პოეტების საკმაოდ დიდი ნაწილის სამწერლობო სტრატეგიას, რომლებსაც საკუთარი დიდების მოპოვება სხვათა ნააზრევით სურთ. პოეტი ლოგიკური აზრით უნდა ბატონობდეს ლექსზე. აი, მაშინ შესაძლებელი იქნება საიდუმლოზე საუბარი.

**– ზოგჯერ თუ იტყუებით, რათა ლექსი დაწეროთ?**

– არა მგონია. ცხადია, ხშირად ვწერ არანამდვილი ამბების შესახებ, მაგრამ ლიტერატურა ამაზეა დამყარებული. და ამას ტყუილთან საერთო არაფერი აქვს. სამაგიეროდ, მწერლობა ზოგჯერ მეხმარება იმის დანახვაში, თუ როგორ იტყუებიან ცხოვრებაში. პოეტის, პროზაიკოსის, ზოგადად ხელოვანის ყოფაში აუცილებელია იმის უნარი, გახვიდე საკუთარი „მე“-დან, საკუთარ თავს გარედან ისე შეხედო, თითქოს ის სხვა იყოს. დანახული კი ნამდვილად ძალზე შემაშფოთებელი სანახაობაა.

**– „შავი კვადრატის“ მთავარი თემა სიკვდილია. საიდან ასეთი ძლიერი განცდა სიკვდილისა ახალ ლექსებში?**

– ზოგჯერ საკუთარ თავს ვსაყვედურობ, რომ სიკვდილზე მართლაც ბევრს ვფიქრობ. მაგრამ მაშინვე ასეთ კითხვას ვსვამ: განა შეიძლება სიკვდილზე „ბევრი ფიქრი?". რადგან განა შეიძლება სიცოცხლეზე ვიფიქროთ უფრო მეტი, ვიდრე ამის საშუალებას სიცოცხლე იძლევა? ყველაფერი, რასაც სიცოცხლეზე ვფიქრობთ, წარმოსადგენია, რადგან სიცოცხლე მას შეიცავს. შეიძლება ითქვას, რომ სიცოცხლეზე ფიქრი თავად სიცოცხლეა. მაგრამ სიკვდილზე ფიქრი? თუ სიკვდილი იმის უფლებას მაძლევს, რომ მასზე უფრო მეტი ვიფიქრო, ვიდრე სიცოცხლეზე, გამოდის, რომ ის არის რაღაც ამოუცნობი, გამოუთქმელი, ცხოვრებასთან შეუდარებელი. განა სიკვდილი ასე დაგვარწმუნებდა თავის თავში, ის რომ სიცოცხლის უბრალო ნეგატივი იყოს? როგორც შენიშნეთ, ჩემი წიგნის მეორე მნიშვნელოვანი თემა დუმილია. მაგრამ დუმილი ვერ გამოხატავს სიკვდილს. იგი გამოიატავს სიცოცხლის შემდგომ სიცარიელეს. სიკვდილის არსებას სიჩუმე უფრო გამოხატავდა. პრობლემა იმაშია, რომ რაც უნდა ეთქვათ და რაც არ უნდა ვთქვათ სიკვდილზე, თანაბრად მართალი იქნება ან ყალბი. სიკვდილისგან სიტყვას არავინ იღებს. როგორ გინდა, ასეთი საშინელებისა არ გეშინოდეს?! მეორე მხრივ, იქნებ ყველაფერი, რაც კი ძვირფასი გაგვაჩნია, ზუსტად ეს შიშია? მაგრამ „შავი კვადრატი" რაციონალიზმში ვარჯიშის ჩანაწერიცაა, ერთი გამოცდილების ისტორიაა, დაკარქვათ მას ნიჰილისტური, რომლიდანაც იბადება რწმენის აბსურდის შეგნება. აბსურდის, რომელიც შესაძლოა გარდაიქმნას ხელშესახებ რამედ, რამდენადაც კვადრატში მეორე კვადრატს დავინახავთ. კიდევ იმას დავამატებ, რომ ჩვენი საუბრიდან შეიძლება ვინმემ ისე გაიგოს, რომ ეს წიგნი გვამების თუ კუბოების შესახებაა. ნამდვილად არაა ასე, ის ალაგ-ალაგ ძალზე ხალისიანი და მხიარულია.

**– მასში არის ასევე ლექსები, რომლებიც თანამედროვეობის, ანუ ინფორმაციულ საზოგადოებაში ცხოვრების კომენტირებას აკეთებენ.**

– ასეა. უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში, მედიის განვითარებასთან ერთად, დროის აღქმა რადიკალურად შეიცვალა. ავიღოთ ასეთი სიტუაცია: ტელევიზორში აგერ უკვე მერამდენედ ვუყურებ ფაბულარიზებულ დოკუმენტურ ფილმს ცუნამის შესახებ. ისევ და ისევ იგივე კადრები, ყვირილის ხმა და სასონარკვეთილება, მეცნიერთა აზრები და მოწმეთა განცხადებები. ვფიქრობ, როდის დასრულდება ეს ინფორმაციული ცუნამი ცუნამის თაობაზე და რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს ინფორმაცია, რომ იყოს ფაქტის ადეკვატური, სინამდვილის შესაბამისი. და საერთოდ, თუ არის ასეთი ადეკვატურობა შესაძლებელი.

**– მახსენდება ერთი ფრაგმენტი (ზეპირად მომყავს) რილკეს „მალტე"-დან: მგრძნობელობა საკმარისი არაა, რათა კარგი ლექსი დაწერო, მაგრამ კარგი ლექსი მხოლოდ მგრძნობიარე ადამიანის ხელიდან გამოვაო. რა აკლია მგრძნობიარე ადამიანს, რათა რაიმე ღირსშესანიშნავი შექმნას ლიტერატურაში?**

– ინტელექტი, ემპათია. დაუნდობლობა საკუთარი თავის მიმართ.

**– თქვენი შემოქმედების თაობაზე დაწერილ ერთ-ერთ რეცენზიაში წავიკითხე, რომ თქვენ „თანამედროვე რომანტიკოსი" ხართ; სხვაგან ეწერა „პოსტმოდერნისტული რომანტიკოსიაო". მაინტერესებს, როგორ განმარტავთ „პოსტმოდერნისტულ რომანტიზმს".**

– კრიტიკოსები ამგვარად იმიტომ უბნობენ, რომ, – როგორც მე ვფიქრობ, – მხედველობაში აქვთ არა იმდენად სასიყვარულო მოტივები ჩემს ლექსებში, არამედ ჩემი გმირების კონსტრუქცია, და ასევე ის ირონია, რომელსაც მათში აწყდებიან. ეს ყველაფერი მე უფრო მოდერნიზმთან მაახლოვებს, ვიდრე პოსტმოდერნიზმთან. თანამედროვეობა – ეს რაღაც მომწიფების ეტაპის ფილოსოფიაა. ყოველი გოგო და ბიჭი (გეახსოვს, რომ ბიჭი არაა გოგოს უბრალო საპირისპირო მხარე) გადის ამ ეტაპს. მაგრამ აქ შეჩერება, დაყოვნება დეკონსტრუქციულ სკეპტიციზმზე, იმას ნიშნავს, რომ თქვა: აზრი არა აქვს ცხოვრებას, ხომ მაინც უნდა მოვკვდეო. რორტის თუ დერიდას პოსტმოდერნიზმი ჩემთვის არის თანამედროვეობის აზრიანი დიაგნოზი, აზროვნების კარგი სკოლა, თუმცა არცერთ შემთხვევაში – მოთხოვნა. არ ვიცი, წაკითხული გაქვთ თუ არა ბოდრიარის „ბოროტების გამჭვირვალება", რომელშიც ავტორი წუხს იმის შესახებ, რომ დავკარგეთ ბოროტების ამოცნობის უნარი და მხოლოდ ადამიანის უფლებების დაცვის ენით შეგვიძლია საუბარი. მიმაჩნია, რომ აზროვნების ამ ორ მეთოდს შორის საზღვარი – არ ვგულისხმობ საკითხის ფილოსოფიურ ასპექტს, არამედ მხოლოდ წმინდა ადამიანურ გამოცდილებას – ძალზე მყიფეა და რომ მოდერნისტული ნიჰილიზმი პოსტმოდერნისტულ ნიჰილიზმში გადადის. პოსტთანამედროვეობა მე მხოლოდ იმდენად მაინტერესებს, რამდენადაც ის რაციონალურ მეტაფიზიკამდე მიმაღწევინებს.



## „გაზეტა ვიბორჩა“, 2012

**– რატომ გახდა მალევიჩი თქვენთვის ასე მნიშვნელოვანი?**

– სათაური „შავი კვადრატი" იმ ლექსს უკავშირდება, რომლითაც წიგნი იწყება. მისი წერის დროს სრულიად არ ვფიქრობდი მალევიჩზე. როდესაც კრებულის კომპოზიციაზე ვმუშაობდი და წიგნს გარეკანს ვურჩევდი, მასზე მხოლოდ მაშინ ვიფიქრე. მხოლოდ მაშინ მივხვდი, თუ რა მაკავშირებდა მხატვართან. ის ჩემთვის მნიშვნელოვანია უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ მას შემდეგ რაც ხატვას თავი დაანება, ასკეტური ცხოვრება დაიწყო. სწორედ ამან იმოქმედა, რადგან წიგნი ზუსტად ასეთი იყო: სუფთა, გამჭვირვალე, რაციონალური, ასკეტური. მეორე მხრივ, მალევიჩი მეტაფიზიკოსია. სუპრემატიზმი, რომლის მამამთავრადაც ის ითვლება, მკითხველის ემოციურ აღქმას – რომელიც უფრო ფართოდ უნდა გავიგოთ, ვიდრე ფსიქოლოგიური – თავისი დაინტერესების ცენტრში აყენებს. მაგრამ გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ: ემოციური აღქმა მალევიჩთანაც და მის მიმდევრებთანაც არის სოლიდური ინტელექტუალური მუშაობის შედეგი. დღეს მე ასე ვხედავ ერთადერთ სანდო მეტაფიზიკას პოეზიაში.

**– მალევიჩს აქვს შავი კვადრატი თეთრ ფონზე. თქვენ შავი შავზე. ამას როგორ ახსნით?**

– მალევიჩის, როგორც სუპრემატისტის გზა „შავი კვადრატი თეთრ ფონზე“-დან გადის „თეთრ კვადრატზე თეთრ ფონზე“. ამავე დროს მასთან თეთრი კვადრატი უნდა წარმოვიდგინოთ. ჩემ სურათში, რომელიც „ვორდის“ პროგრამაში შევქმენი და დასათაურებულია, როგორც „შავი კვადრატი შავ ფონზე“, ეს პირველი კვადრატი შეიძლება იყოს ყველგან და ამავე დროს არსად, შეიძლება გამოჩნდეს და გაქრეს. ზუსტად ასევე ჩნდება და ქრება ამ კრებულში რწმენა, ჭეშმარიტება, გარდაცვლილი ახლობელი, სიტყვა და დუმილი და ასევე პოეზია.

**– თქვენს ლექსებში ხშირად გვხვდება ფილოსოფიური პრობლემები (მაგ. სულისა და სხეულის, ენის, პიროვნების ონტოლოგიის და სხვ.). ამგვარი საკითხებზე დაფიქრებული ლექსი რით შეიძლება განსხვავდებოდეს ფილოსოფიური მსჯელობისაგან?**

– იდიომებით და განზრახვით. მოკლედ, ყველაფრით. თანამედროვე ფილოსოფოსებს შურთ პოეტების, რადგან აღიარებენ, რომ ფილოსოფია მწერლობის სახეა. ეს ძალზე მაცდუნებელი თემაა. მაგრამ იმას როდი ნიშნავს, რომ ფილოსოფოსმა გულ-ხელი დაიკრიფოს და იყოს ასე გაღიზიანებული თავისი გამოფიტულობის გამო. ფილოსოფოსის ამოცანაა ლოგიკურ დასკვნამდე მისვლა, პოეტის შეუცნობელ, გამოუხატავ ტკივილთან ან აღტაცებასთან დაჯახება. პოეტი კითხვას სვამს, თუმცა იმედი არა აქვს, რომ პასუხს იპოვის. კითხვას სვამს, რათა მკითხველი ენის საზღვრებს გარეთ გაიყვანოს. ფილოსოფოსი ტექსტში აქცევს სამყაროს. პოეზიას კი – ჩემი გაგებით – სიტყვიდან გამოჰყავს ის. მე მგონია, რომ კარგი ლექსი გაპუტულია სიტყვებისაგან ან გატეხილი კვერცხია, რომლიდანაც სიმართლის ბარტყი გაფრინდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**– რით უნდა ხასიათდებოდეს კარგი ლექსი?**

– პირადად მე მსურს, ჩემი ლექსი იყოს რაღაცის მანიშნებელი და ამავე დროს გახსნილი, გულახდილი. მინიშნება არ გამორიცხავს საიდუმლოებას, ხოლო ჩაკეტილობა – გამჭვირვალებას. პოეტურობა ისაა, რაც ყველაზე ლოგიკური წინადადებიდან გამომდინარეობს, ის, რაც ენაში ვერ ეტევა. მე ისეთი ლექსი მაინტერესებს, რომელშიც სიტყვას სიტყვის გარეთ გავყავარ.

# პოეტი კომპიუტერზე დაწკაპუნების ეპოქაში

*ესაუბრება ალექსანდრა კოზლოვსკა*

სოპოტის ერთ-ერთ კაფეში ვხვდები. თბილი საღამოა. მაგიდასთან დაჯდომისას თადეუშ დომბროვსკი ყავას მოურევს და ამოიხვნეშებს: – უფფფ...

**– დაიღალეთ?**

– ცოტა ვირბინე. ძილითაც ცოტა მეძინა. წუხელ ოთხი საათი, გუშინ და გუშინწინ ღამეც ასევე. ბევრი ვიმოძრავე ამ თვეს. ბევრი საავტორო შეხვედრა მქონდა: მილოშის ფესტივალი, პოეტური საღამო პოზნანში, რაღაც საქმეები შვედეთსა და ბერლინში. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, მშვენიერია, მე მიყვარს მოძრაობა და ცვლილებები, ეგაა ოღონდ, ცოტა დრო არ მყოფნის უსაქმურობისათვის, აი, რაღაცნაირი შემოქმედებითი მოწყენილობისათვის.

**– შენ საკუთარი ბლოგი არ გაგიკეთებია. რატომ არ გინდა ლექსების ინტერნეტში განთავსება?**

– არ მინდა იმიტომ, რომ ეს აზრს დაუკარგავდა წიგნის გამოცემას. პოეტური წიგნი კი გაცილებით მეტია, ვიდრე ლექსების კრებული. მართალია ყოველი ლექსი თვითკმარი რამეა, მაგრამ იმავდროულად, – ისევე, როგორც ძვირფასი ქვა ან უბრალო შუშა – ერთ გარემოში თუ თვალისმომჭრელად ბრწყინავს, სხვა გარემოში – დაბინდულია. პოეტური კრებული წარმოადგენს დიდი დაძაბულობის, მოულოდნელობის, უეცარი ცვლილებების თამაშზე თხრობას. ინტერნეტში ლექსების გამოქვეყნების შემდეგ მასთან კონტაქტს ვკარგავ. ის ისედაც სადღაც ჩემს გარეშე ტრიალებს, – ამას თავიდან ვერ ავიცილებ (ყაჩაღობა ინტერნეტში საყოველთაო მოწონებით სარგებლობს), მაგრამ ამას თავად მე არ მინდა ხელი ნავამშველო. სულ სხვა ამბავია ინტერნეტში ლიტერატურული წერილის განთავსება. ამ მეთოდს ხშირად მეც მივმართავ. სამწუხაროა, რომ პოლონეთში მაღალი დონის ბევრი ინტერნეტჟურნალი არა გვაქვს.

**– პოეზიისათვის ინტერნეტი რამეში გამოდგება?**

– რა თქმა უნდა. საუცხოოდ ამართლებს, როგორც

კამათის, პოლემიკის სივრცე, დახელოვნების სკოლა. როდესაც ლექსს წერ, იმ მომენტში შთაგონება, ამოკი, იდუმალი შინაგანი იძულება თავად ჩვენშია. ეს, სხვათა შორის, საუკეთესო სახეა მარტოობის, როგორსაც კი მე ვიცნობ. მაგრამ ზოგადად წერისათვის აუცილებელია ურთიერთობა, საუბარი, – ხელოვნებაზე, ცხოვრებაზე. ინტერნეტი სწრაფი რეაგირების საშუალებას იძლევა, საკუთარი ტექსტის დაუყოვნებლივი კომენტირების, საზოგადოების წინაშე გასვლის საუცხოო მეთოდია. ინტერნეტ-ქსელი creative writing-ის ერთგვარი კურსების არაფორმალური სახეა. ონლაინი ლიტერატურის შესახებ დისკუსიის მშვენიერი სივრცეა.

**– ინტერნეტში ყოფნა პოეტისათვის ნაკლებ საპატიოა, ვიდრე ქაღალდზე?**

– სრულიადაც არ ვფიქრობ, რომ ინტერნეტში ბეჭდვა რაიმეთი ნაკლები იყოს ქაღალდზე ბეჭდვისაგან. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ის, ვისაც ეჩვენება, რომ ექიმია, ვერასოდეს განკურნავს ადამიანებს წესიერად. სამაგიეროდ ის, ვისაც ეჩვენება, რომ ხელოვანია, ინტერნეტ-ქსელში იქნება ძალიან დიდხანს, მთელი სიცოცხლეც კი და ნიღბის ჩამოხსნის შიში არ ექნება. ინტერნეტი მშვენიერი ადგილია თვითმარქვია ადამიანებისათვის. თავს ნუ მოვიტყუებთ, თითქოს ინტერნეტმა მოსპო ყოველგვარი იერარქიულობა. არსებობს ისეთი ქსელური ჟურნალები, რომელში დაბეჭდვაც ავტორისათვის პატივი არ უნდა იყოს. ამდენად, თავად ორგანო არაა პრობლემა. იმის 99 პროცენტიც, რაც ქაღალდზე იბეჭდება, ხომ ნაგავია.

პირადად მე იმედი მაქვს, რომ ჩემი მკითხველები ჩემს წიგნებს წიგნის მაღაზიაში დაუწყებენ ძებნას. თუმცა სრულიადაც არ ვგრძნობ თავს ძველმოდურად. ქსელი სრულიად სხვა არჩევანს გვთავაზობს, უკიდურესად პრაგმატულს. ეძებ ტექსტში იმ ადგილს, რომელიც შენ გაინტერესებს, შენი თვალები ტექსტზე სხვაგვარად დაეცეცებიან. არ კითხულობ ტრადიციულად ზევიდან ქვევით, მარცხნიდან – მარჯვნივ. სულ სხვაა წიგნი. გახსნი მას და გადიხარ დროის ჩარჩოებიდან.

**– იქნებ ამიტომაც, ტექნოლოგიების სფეროში ასეთი სერიოზული წინსვლის მიუხედავად, ხალხი კვლავ კითხულობს „ნამდვილ" წიგნებს.**

– იმედი მაქვს, რომ წიგნის კითხვის მოდა დაბრუნდება, თუნდაც მასში ბევრი სნობიზმი იყოს. ქაღალდის წიგნის კითხვა საზოგადოებრივ ადგილებში წარმოადგენს ანტისისტემურ დემონსტრაციას, ანარქიულ ჟესტს. ეს ერთგვარი ჯანყია იაფფასიანი, უგემოვნო გართობის, ფულისა და კარიერიზმის მიმართ. პოპკულტურის, ტექნოკრატიის ეპოქაში მწერალი, პოეტი განმანათლებლის ფუნქციას ასრულებს. მე ეს როლი ძალიან მომწონს.

**– ელექტრონული წიგნის მკითხველები ისეთ ილუზიას იქმნიან, თითქოს ქაღალდის წიგნს კითხულობდნენ და არა – ეკრანზე.**

– ალბათ მალე შესაძლებელი იქნება ასეთ წიგნებს გარკვეული სუნი, არომატი და ფერებიც შესძინონ, ისევე, როგორც ელექტრონულ პაპიროსს. გოეთეს კითხვისას ყიდულობ „ანტიკვარიატს", „გაზეტა ვიბორჩას" კითხულობ და ოფსეტს შეუერთებ, „შენი სტილის" კითხვისას ცარცის, ხოლო „ფაქტი და მითის" გადათვალიერებისას – ნაგვის სუნს იგრძნობ.

ბიბლიოთეკა

**– ეს დაახლოებით ვეგეტარიანულ სოსისებს დაემგვანება.**

– ჰო, ასეა. ჩვენს ეპოქაში ადამიანი გემოს კარგავს. ამბობენ, ინფორმაციული საზოგადოება ვართო, მაგრამ სინამდვილეში არა მხოლოდ ღირებულებები, არამედ ინფორმაციაც გაძევებულია მისი შემცვლელების მიერ. ისევე როგორც, რაც დრო გადის, მით უფრო ცოტა ხორცია ძეხვში, ხოლო პომიდორი – კეტჩუპში. ყველაფერი „ბუნებრივის იდენტური" ხელოვნური შეფერადებითა და გემოთი გვეძლევა. ზუსტად ასევე, თანდათან უფრო ნაკლებ ინფორმაციას, ნაკლებ შინაარსს ვიღებთ კომუნიკაციის წყაროებიდან. აბა შეხედეთ ისეთ „დოკუმენტურ" არხებს, როგორებიცაა „დისქავერი", „პლანეტა" ან „ნეიშნლ ჯეოგრაფიკი". მათი სცენების კონსტრუქციაც ზუსტად ისეთივეა, როგორიც შოუ-გადაცემების, – ქიაყელების ჭამისა თუ ნიანგებით სავსე აუზის თავზე გადარბენის შესახებ. მათში ათასგვარი სახის მონტაჟის საშუალებით გამოყენებულია ემოციების აღმძვრელი ფსიქოლოგიური ტრიუკები, დადგმულია გრძელვადიანი, ხშირად ორსაათიანი გადაცემები და მათ საფუძველს წარმოადგენს რამდენიმე თეზის გამოყენება ჟურნალისტიკის სახელმძღვანელოდან – ბანალური ამბავი შერწყმულია, დაფუძნებულია ემოციურ საფუძველზე. ზოგჯერ თავს ისე ვგრძნობ, როგორც ვეშაპი, რომელიც ინფორმაციული პლანქტონით იკვებება. ვინაიდან რეალობა უფრო და უფრო ჯერდება ინფორმაციით, იძულებული ვართ ის უფრო მეტი ვყლაპოთ. ასეთ ვითარებაში, ხელოვნებამ, განსაკუთრებით კი პოეზიამ ადამიანს გემო არ უნდა დააკარგვინოს.

**– ჩვენ, ჟურნალისტები, ამჟამად „დაწკაპუნების" ტერორის ქვეშ ვიმყოფებით. მხედველობაში უპირველეს ყოვლისა ის მიიღება, თუ რამდენი გახსნის ჩვენს საიტს, რამდენი დააწკაპუნებს მოცემულ ტექსტს. შენ ამგვარი ტერორი არ გეხება?**

– მე ლექსებს იმიტომ ვწერ, რომ არავისზე, არანაირ დაწკაპუნებაზე არ ვიყო დამოკიდებული. და პირიქით – იმიტომ ვცდილობ არავისზე არ ვიყო დამოკიდებული, რომ ლექსები ვწერო... პოეზია ინტიმური სივრცეა, მასიური დაწკაპუნება იმის მიმანიშნებელი იქნებოდა, რომ რაღაც ვერაა კარგად საქმე.

**– ფეისბუქზე ვერ განახე. რატომ არ გინდა იქ დაბეჭდო, მოკრიფო „მოწონებები", გაიმრავლო ნაცნობები, პოპულარული გახდე?**

– ფეისბუქზე, თუ არ მეშლება, ჩემი ბიოგრაფია დევს. პირადად მე საიტი არ მაქვს გახსნილი, რადგან ასეთი ჯოგური რიტუალები ჩემს მოწონებას ვერ იმსახურებს. სასაცილოა სამყარო, რომელიც in touch-ის დიქტატის ქვეშ ცხოვრობს და თავისი აზრების ღირე-

ბულებას „ლაიქების“ რაოდენობით აფასებს. არც იმიტომ მინდა ამ სამყაროში შესვლა, რომ ადამიანს ერთი დაწკაპუნებით შეუძლია ჯვარი დაგისვას. დღეს ხარ ჩემი მეგობარი, ხვალ აღარ. და კიდევ: ფეისის წარმატება იმაზეა დამოკიდებული, რამდენად საინტერესოდ წარმოაჩენ შენს სახეს, საკუთარი პიროვნების ჟონგლიორობით. მე ამას ლიტერატურაში ვაკეთებ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ჩემს გმირს არ ვეწებები.

**– შენი წიგნების გამომცემელი ხომ არ გიდგენს – ეს ცოტა ხუმრობაა, თუმცა საკმაოდ შავი – „გაყიდვების გეგმას“? რაღაცნაირად „ჩოთქში“ ხომ არ ჩამოგიყრის ხოლმე გაყიდული კრებულების, სარეკლამო პრეზენტაციების, პრესაში რეცენზიების რაოდენობას?**

– ჩემი გამომცემელი ზრუნავს თავის მწერლებზე, ის არასოდეს იკადრებს ავტორებთან თამაშს, მათ „გამოყენებას“ იმ სახით, რომ შემოსავლები გაზარდოს. „A5“ მედიის განსაკუთრებული მფარველობითაც კი არ სარგებლობს, რაც ასე გავრცელებულია თანამედროვე საზოგადოებაში, – ახალი გამოცემის პოპულარიზაციაზე მედია ზრუნავს: აწყობენ და ახალისებენ ლიტერატურულ დისკუსიებს. წიგნებს, რომელთაც ასეთი პატრონი ჰყავთ, წარმატების მოპოვება შედარებით უადვილდებათ. დარგობრივ პრესაში ვერავითარი ლიტერატურული კრიტიკა ვერ შეცვლის ამ მექანიზმს, რადგან ღრმა ანალიზი ინტელექტუალურ ყოველკვარტალურში იმის იოტისოდენა გავლენასაც ვერ მოახდენს მკითხველზე, რამდენსაც მოცუცქნული რეცენზია ფერად ყოველკვირეულში. ჩემი გამომცემელი ლიტერატურაზე ფიქრობს. თუმცა იმაზედაც, რომ წიგნი სათანადოდ გამოიყურებოდეს, მაგალითად, კარგად იყოს შეკერილი. „A5“-ის მთელი ფილოსოფია უკვე ამ მეთოდშიც გამოიხატება: წიგნი არაა საქონელი, ის ძვირფასი საგანია. მეგობარი და არა წვრილმანი საჩუქარი.

**– ტექნოლოგიების და გლობალური კომუნიკაციების ეპოქაში პოეტი თავს როგორ გრძნობს?**

– ტელეფონი და იმეილი სრულიად აკმაყოფილებენ ჩემს მოთხოვნილებებს. თანამედროვე ტექნოლოგია უკვე აღარ არის იარაღი, ის შეიზარდა – სიტყვა-სიტყვით, ფიზიკურად – ჩვენს ორგანიზმში. ინტერნეტული საძიებლები გვათავისუფლებენ ცოდნის შეძენისათვის გაწეული ძალისხმევისაგან, რადგან ნებისმიერ წუთს შეგვიძლია ჩვენთვის საჭირო ინფორმაცია ვიპოვოთ. ახლა ჩვენ დაუსრულებლივ „აწყმოში“ ვცხოვრობთ. ინფორმაცია მატულობს, ამიტომ ადამიანები ერთიანდებიან, რათა გადაჭრან რაიმე პრობლემა, მაგალითად, მოიგონონ ახალი სამედიცინო პრეპარატი. „მე“ უკვე მნიშვნელობას კარგავს, ცალკეული ადამიანი გლობალურ ტვინში რაღაც ნეირონის უჯრედზეა პასუხისმგებელი. ჯერჯერობით ხელოვანები იღვწიან ერთპიროვნულად. ისინი დარჩნენ როგორც შეცდომები, ცარიელი უჯრები მატრიცაში და აჩვენებენ სინამდვილის გასკდომას, ნიღაბს ხდიან მეცნიერების ტოტალურ მოძალებას. ამიტომ, თუ თანხმდები სისტემაში მონაწილეობაზე, უარი თქვი ინდივიდუალურ დამოუკიდებლობაზე. ადამიანებს ჰგონიათ, რომ სოციალურ ქსელებში თავიანთი ინდივიდუალურობის დემონსტრაციას ახდენენ, სინამდვილეში სრულიად საპირისპირო მოვლენასთან გვაქვს საქმე: ისინი მასას ერწყმიან, მასში ითქვიფებიან [illegible] ტექნოკრატიულ ორბიტაზე. რა თქმა უნდა, ის კარგი სივრცეა დიალოგისათვის, შემოქმედებისათვის, თუკი „საუბარი“ ანონიმური არაა. ანონიმური ხალხის დიალოგი ისეა, როგორც შემთხვევითი სექსი ბნელ ოთახში. მე საუბრისას ადამიანის თვალებში ყურება მიყვარს.

**– მაგრამ შენს მეორე კრებულს „e-mail“ ერქვა...**

– ჩემი მეორე კრებული, მიუხედავად იმისა, რომ „e-mail“ ეწოდებოდა, კამერულ, ინტიმურ ლექსებს შეიცავდა. იცით, ალბათ, რომ ამ კრებულის გამოსვლის შემდეგ „ინტერნეტის პოეტი“ მიწოდეს. შემდეგ ვიყავი „რელიგიური პოეტი“, შემდეგ გავხდი „მაცდური პოეტი“, ახლა, ახალი წიგნის დაბეჭდვის შემდეგ, საინტერესოა რა ეპითეტს მომაწებებენ.

**– შენს ბოლო კრებულში ბევრი ნოსტალგიაა.**

– ვერ გეტყვი, „ნოსტალგია“ კარგი სიტყვაა თუ არა ამ შემთხვევაში. იგი უფრო პასიურობას, მოდუნებულ მდგომარეობაში ყოფნას გულისხმობს, ხოლო ჩემი ლექსების გმირი – მიუხედავად ყველა მისი იმედგაცრუებისა და მარცხისა, ცდილობს ხელახლა წამოიწყოს დიალოგი სხვასთანაც და საკუთარ თავთანაც. პროვინციაც, რომელიც ამ წიგნში ასე ფართოდ შემოდის, არაა ერთმნიშვნელოვანი. ამას წინათ პაველ პროხნიაკმა ჩემი გმირის დახასიათებისას დაწერა, რომ ის ხშირად „უკანა ხედვის სარკეში იყურება“.

**– ხშირად გიხდება საზღვარგარეთ ყოფნა. რითი განსხვავდება იქაური ლიტერატურული ცხოვრება იმისაგან, რაც ამ სფეროში პოლონეთში კეთდება?**

– ნელ-ნელა ვეწევით დასავლეთს. ჩვენთანაც მეტი და მეტი ლიტერატურული ჯილდოები რიგდება. გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, შტატებში ყოველწლიურად მრავალ მწერალს აჯილდოებენ. საბედნიეროდ, ლიტერატურული სამყაროს ხელისუფლება – მოდი, ვთქვათ გულახდილად: ჯილდოები, რომელთაც იერარქიული ხასიათი აქვთ და წიგნის საბაზრო წარმატებას განაპირობებენ, ხელისუფლების ბერკეტია – თანდათან დეცენტრალიზაციას ექვემდებარება. სხვა საქმეა, რომ პოლონეთში პოეზია ჯერაც რაღაც ელიტარულ სფეროს წარმოადგენს ამ სიტყვის ცუდი გაგებით. ჯერ კიდევ სკოლაში გვიჯენდნენ თავში, რომ პოეტის წინ მუხლებზე უნდა დავიჩოქოთ. გომბროვიჩმა ეს მშვენიერად დაახასიათა: პოეზიის ეკლესია. იმავდროულად, შეერთებულ შტატებში ავტორთან შეხვედრა მოკლებულია პომპეზურობას, ის შეიძლება გაიმართოს უბრალო კაფეში, ბათქაშჩამოცვენილ კლუბში. ნიუ-იორკში შედიხარ ვიწრო, მტვრიან დარბაზში და ფიქრობ: „ღმერთო ჩემო, ცოტა დაელაგებინათ მაინც“. შემდეგ აღმოჩნდება, რომ ესაა ლეგენდარული დუქანი, სადაც უსმენდნენ დილანსა თუ ლუ რიდს. ნიუ-იორკის თეატრალური ცხოვრება, როგორც წესი, საღა-

მოს იწყება და ალიონამდე გრძელდება. ჯაზის კაპელის შემდეგ სცენაზე გამოდის stand-uper, შემდეგ სიმებიანი კვარტეტი და ბოლოს პოეტი. და ან დაიმსახურებენ დამსწრეთა მოწონებას, ან არა.

– **თუ დათანხმდებოდი ფერად, მრავალტირაჟიან ჟურნალს ინტერვიუზე, რომლის თემაც იქნებოდა: „სად ატარებს დასვენების დღეებს პოეტი?“ ან „მოგვიყევით რამე შენს სასიყვარულო თავგადასავლებზე“?**

– თუკი ის ფერადი ჟურნალი კარიბის ზღვაში ჩემს დასვენებას დააფინანსებდა, რატომაც არა?! ისე კი, სერიოზულად რომ ვთქვათ, ჟურნალს არა აქვს უფლება ჩემს შესახებ რაიმე დაწეროს, გარდა იმისა, რასაც ჩემს ლექსებში ამოიკითხავს. იცი, ჩემთვის ლიტერატურულ შეხვედრასაც კი ერთგვარად სხვა მნიშვნელობა აქვს. ერთი მხრივ, ცხადია, ყველაზე არსებითია ლექსი, მაგრამ მეორე მხრივ, – მასზე ხალხი ხშირ შემთხვევაში იმიტომ მოდის, რომ ნახოს, როგორ გამოიყურება ეს დომბროესკი, ვისთან მეგობრობს, ვის აძლევს ხმას, როგორ დეზოდორანტს ხმარობს. ამ დროს მწერალი წერს, რომ დაიმალოს, უკან ამოეფაროს თავის გმირს. მე იმიტომ როდი ვწერ, რომ საკუთარ თავზე რაღაც ვთქვა. პირიქით – ხშირად უფრო იმიტომ, რომ ჩემს თავზე რაღაც არ ვთქვა. და ამით – პარადოქსალურია – საკუთარ თავზე მეტი ვთქვა. ლექსი გაცილებით საინტერესო და ჭკვიანური მამინაა, როდესაც ის ავტორიდან ამოდის. საავტორო შეხვედრისას უკეთ ეფერხდება რაღაც ანეკდოტის მოყოლა, ხალხთან უშუალო გასაუბრება უბრალო საკითხებზე, ვიდრე საკუთარი შემოქმედების დიდ სპეციალისტად თავის წარმოჩენა, იმის ახსნა, თუ როგორ უნდა გაეიგოთ ესა თუ ის ლექსი. თუ ლექსს ახსნა-განმარტება დასჭირდა, ის უკვე ლექსი აღარაა, მასში პოეზია იკარგება.

*პოლონურიდან თარგმნა ამბროსი გრიშიკაშვილმა*

* * *

„როცა ვხედავ უძრავ სხეულს, რომელიც არ სუნთქავს
ათ წუთზე მეტხანს, მის დახმარებას
აღარც ვცდილობ“, ამბობს პირველი ექიმი. „მე კი
აპარატს ვთიშავ, როცა ტვინი ითიშება, თუნდაც გული

ჯერაც ფეთქდეს“, ამბობს მეორე. „მე უფრო ფრთხილი ვარ,
ვიდრე ჩემი კოლეგები, და აპარატს მაშინღა ვთიშავ,
როცა ვრწმუნდები, რომ სხეული დატოვა
სულმა“, ამბობს მესამე ექიმი (ცხადია,

ის კათოლიკეა). როგორ მებრალება
სულის გარეშე დარჩენილი თბილი სხეული –
ულმერთო ტაძარი, სადაც ჯერაც უკრავს ორღანი

„შუაზაფხულის ღამის სიზმარს“, სადაც მძინარეს ესიზმრება
მძინარე, ვისაც ესიზმრება მძინარე, ვისაც ესიზმრება
ვიღაც, ვისაც აღარც ძინავს, ვეღარც იღვიძებს.

*თარგმანი ზვიად რატიანის*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

დერეფნის ბოლოდან დაიძრა ქირურგი. მან ეს-ესაა დაასრულა
მამაჩემის ოპერაცია. წლებს ანდომებს

ჩემთან მოსვლას, ხოლო ჩემში იმედი იცვლის
შავ და თეთრ სამოსს რიგრიგობით. შინ დაბრუნებულს

უკან მრჩება, მამაჩემო, შენი სიკვდილი –
ეს ცოფიანი, ავი ძაღლი, რომელიც მძულს და მაინც ვაჭმევ,

რომ შევძლო მისი მოფერება, ხელში აყვანა,
თუკი შენ ველარ გაიღვიძებ.

* * *

ცოცხალი ვერ გაუგებს მკვდარს, მკვდარი გაუგებს ცოცხალს
და მის ვერგაგებას.

ცოცხალს არ სწამს სასუფევლის ისე მტკიცედ, თითქოს ქონდეს
არჩევანი, მარადიულად იჯდეს სავარძელში

და დაჟინებით უყუროს ეკრანს, საიდანაც თვითონ უყურებს
თავისთავს, რომელიც უყურებს თავისთავს – ის ამაზეც

თანახმაა. ანდა თითქოს ყოფილიყო სასუფეველი
პატარა, მაგრამ საიმედო, როგორც კუბო – ესეც აწყობს. თუკი ოდესმე

მკვდარი გადაწყვეტს, უთხრას ცოცხალს,
თუ როგორაა ყველაფერი სინამდვილეში, ის უნდა

სდუმდეს.

* * *

სიტყვა ვაშლი არ შეიცავს არანაირ სიმართლეს
ვაშლზე, ისევე, როგორც მის ფორმაზე, სურნელზე, ფერზე
და გემოზე. სიმართლე არ ჩანს, ვერ დაყნოსავ
და ვერც ჩაკბეჩ. ნათქვამი ვაშლი არ იჭმევა.

სიტყვა ვაშლსა და მართლა-ვაშლს შორის
ხდება ვაშლი. მანძილი სიტყვა სიკვდილსა და
სიკვდილს შორის გაცილებით ტევადია, იქ ხდება
სიცოცხლე. ხოლო სიტყვე სიმართლეს და სიმართლეს შორის

ხდება სიკვდილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

გიხაროდეს, რომ გაქვს სხეული, სხეული, რომელიც საუბრობს
სულის სიკვდილზე.

გამბანე – ითხოვს სხეული, რომელიც წუხელ გაილახა.
გამომრწყე – ითხოვს ფურუნკული, რათა ჩირქმა

სინდისივით ამოხეთქოს. ყოფილიყავი მხოლოდ სული,
ვერც შენიშნავდი საკუთარ სიკვდილს. ყოფილიყავი

მხოლოდ სხეული, გამორწყავდი ფურუნკულებს, თმას დაიწინკნიდი,
ტუჩებს დაიჭამდი, თითებს დაიმტვრევდი

და არც იკითხავდი, რატომ.

* * *

ეს პირველი სტრიქონია. უაზრო სტრიქონი.
ეს კი მეორე სტრიქონია, სადაც შენ უკვე შენ აღარ ხარ,
ე.ი. ის არ ხარ, ვინც იყავი პირველ სტრიქონში,
და ახლა უკვე ისიც არ ხარ, ვინც იყავი მეორეში
და მესამეში, მეოთხეში, ისევე როგორც

მეხუთეში. ლექსი ცხოვრებაა. რას აღარ ვაკეთებ,
რათა ვიყო ჩემი თავი ყველა სტრიქონში, რათა მოხდეს სასწაული
და დავემთხვე ყველა სტრიქონს; ხოლო შენ ამ დროს,
მოგწონს თუ არა, უნდა იცხოვრო და გადარჩე, და

ბოლო სტრიქონში, ვიდრე დასასრული დაიწყება,
გაბედო და მოახდინო შეჯამება, რომელშიც ილაპარაკებ
შენზე. და გადარჩები მხოლოდ მაშინ, თუ აღიარებ,

რომ ეს ლექსიც ღმერთზე იყო. თუმცა ბოლო სტრიქონი მაინც
დაიწერება მანამდე,
ვიდრე




* * *

გვერდით ოთახში მამაჩემი კითხულობს ძილის წინ.
მისგან არასდროს დამკლებია, რაც მჭირდებოდა.
ვფიქრობ, მეც კარგი ვიყავი მისთვის.

ვწევართ გვერდიგვერდ ოთახებში, სიჩუმეა, წყლის ხმაც კი ისმის
რადიატორის მილებიდან. დრო გადის. მეტი
რა გავაკეთო, მოვეხვიო? გაუთავებლად

ვუმეორო, როგორ მიყვარს? ალბათ არა. ვწევარ და ვფიქრობ
მის ბებერ გულზე, ვანგარიშობ, კიდევ რამდენი
ფეთქვა დარჩა. ხომ ამხელა სიყვარულია

და ვერაფერს მაკეთებინებს.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

* * *

სიკეთე და ბოროტება გაიზარდნენ და შენყვიტეს ბრძოლა ჩემში.
დინჯები, სერიოზულები, გადავიდნენ თავიანთი
საზიარო ოთახიდან, დაოჯახდნენ, და ორივემ შეიძინა
სახლი გარაჟით, ეზოში კოხტად გაკრეჭილი მწვანე გაზონით,
სადაც ერთად თამაშობენ მათი შვილები, სიცოცხლეს ჩუქნიან
პეპლებსა და ჭიამაიებს, დაუნდობლად კლავენ ობობებს,
ჯერ არ იციან, რომ ერთმანეთს, გაზრდილები, სამუდამოდ დაკარგავენ
და ექნება თითოეულს თავისი ცხოვრება. დავაბიჯებ ცარიელ სახლში,
ჯერ კიდევ მახსოვს სიცილი და ცრემლი და სუნი
იმ ბავშვების, დიდი ხნის წინ აქ რომ ცხოვრობდნენ.
ისინი ზოგჯერ მირეკავენ. ანდა თვითონ ვურეკავ ჩემ თავს
მობილურიდან საქალაქო ტელეფონზე, ან პირიქით. ასე ვეჩვევი

ფიქრს, რომ თვითონვე ვხდები სახლი,
ცარიელი, სადაც მეც არ ვარ.

* * *

ვიდრე ფიქრები მიიქცევიან და მოიქცევა ძილი,
მეძლევა წამი მარადისობის, რათა შევაგროვო
მეტაფორები.

მაგრამ ვიდრე პირველისკენ დავიხრები,
ტალღა მიტაცებს ფსკერისაკენ. გარკვეული დროის შემდეგ

მზე თვალებზე მითათუნებს თავის სხივებს
და, გაღვიძებულს, არაფერი მახსენდება.

ერთ ჯიბეში მიდევს ნიჟარა, მეორეში მკვდარი მედუზა,
ხოლო პირი სავსე მაქვს ქვიშით.

*თარგმანი ზვიად რატიანის*



ზვიად რატიანი და თადეუშ დომბროვსკი

# მოწყვლადი ხაზი

ეროვნული ბიბლიოთეკა

*თადეუშ დომბროვსკი*

ეს სურათი კარგად გემახსოვრებათ ანიმაციური ან ყველაზე მაღალი ხარისხის მესამეხარისხოვანი ფილმებიდან: გმირი, რომელიც მოცურავს ფართო და წყალუხვ მდინარეში ნავით, ტივით ან ხის ტოტს მოჭიდებული, მოულოდნელად აცნობიერებს, რომ მისი თვალთახედვის არე თანდათან ვიწროვდება და შესაბამისად, ძლიერდება ჩანჩქერის ხმაური. მდინარე საკმაოდ ღრმაა იმისათვის, რომ ხელებით ფსკერს მისწვდეს, ჩაებღაუჭოს, და ეს ჩვენი ბაჭია, კოვბოი თუ ოჯახური პიკნიკის წევრი სასოწარკვეთით იწყებს ნიჩბების მოსმას ნაპირის მიმართულებით, პირუკუ აგდებს წყალს, მაგრამ თითქოსდა ჯიბრზე წყალი რბილია, მოლიპული, სველი. ხმაური ძლიერდება და იმ სისხლის ხმას უერთდება, რომელიც მას საფეთქელში სცემს. ჩვენმა გმირმა უკვე იცის, რომ ვერაფერს გახდება და ნებდება ჩანჩქერს, თუმცა ბოლო მომენტში იმედის ნასახი უჩნდება, რომ ვარდნა უმტკივნეულო იქნება, რომ პაერით სავსე ფილტვებით ნყვდიადში ჩაეშვება, მოკლე ხანშივე უკან ამოყვინთავს და მდინარის ტალღებზე გაცურავს. და მერე რა, თუ თავად გმირი ხის ნაფოტი, ჩანჩქერი ან მდინარეა? მერე რა, თუ ერთადერთი ჩანჩქერი, მისთვის ნაცნობი, ახლა მის მუცელში ბუყბუყებს, ახლა, როცა სადგურის ბაქანზე ზის და G-ხაზის მეტროში ზრზის მზარდი ხმაური მოესმის, რომელიც მის წინ აჯანჯღარებს დახუთულობის უხილავ ვაგონებს?!

– ეს რაღაც მინიშნებაა მალევიჩზე? – მკითხა ხმით, რომელიც ლენტს მაგონებდა.

– დიახ, პოლონელი მხატვარი ქალის ვარიაციაა „შავი კვადრატის“ თემაზე, საკმაოდ ულმობელი, მაგრამ მახვილგონიერული. ყოველ შემთხვევაში, მგონია, რომ მშვენივრად ესადაგება ჩემი წიგნის ყდას.

– ეს შენი წიგნია? – ლენტი პაერში აიტალღა.

ახლაღა მივაბრუნე მისკენ თავი და მისი სახე ჩემი უხილავი ხელით სიჩუმეში აღვბეჭდე, დავასკანერე. ოცდაათ წელს გადაცილებული იქნებოდა. თვალები ისე მკვეთრად ცისფერი ჰქონდა, რომ ასეთ თვალებს მხოლოდ ფილმში, ნახატზე ან ფოტოსურათზე თუ ნახავდით. ვულგარულობის მწვერვალად აღიქმებოდა: მოწითალო წარბები, მაღალი შუბლი, ოდნავ აპრეხილი ცხვირი სუნთქვისთვის გამოუსადეგარი ციცქნა ნესტოებით (დაე იყვნენ, იარსებონ, ახალისონ იგი და აცინონ), გრძელი თმა, სამურაის თმის კონასავით მოუხეშავად დაწნული და გადაწყვეტილი მაკარონის ფერში (ერთი კვერცხი ერთ კილოგრამ ფქვილზე), და უფერული კანი – ქვიშიანი პეიზაჟივით, მდინარეებისა და ნაკადულების ძარღვებით გადაკვეთილ-გადმოკვეთილი.

– დიახ, ლექსები...

ეს ყოველთვის უხერხულად ჟღერს. თითქოს ადამიანი რაიმე სამარცხვინო დაავადებას აღიარებს.

– მაგარია, გილოცავ. შეიძლება გადავხედო?

– რა თქმა უნდა.

...ორიოდე დღის წინ გავიცანი მსახიობი, სახელად სტივი, პატარა როლს თამაშობდა „შოუშენკიდან გაქცევაში“. მან აეროპორტამდე მანქანით მიმიყვანა. გზაში, საუბრისას, ასეთი რამ მითხრა: „ინგლისურად წაიკითხე ლექსები, ნურავის მისცემ უფლებას, შენს მაგივრად გააკეთოს ეს, რადგან ასე საქმეს წაიხდენ. თუ ამას იზამ, უკეთესი კონტაქტი გექნება პუბლიკასთან“. ყველაზე მეტად სიტყვა „copulation“-ის გამოთქმა აინტერესებდა. „ჩაატანე ამ სიტყვას მეტი ენერგია, – მაძალებდა, – ეს ჩვეულებრივი, ტექნიკური შეწყვილება იყო, თუ ცოტა გესიამოვნა? თუ გესიამოვნა, მაგრძნობინე ეს. აბა, კიდევ ერთხელ, ცოტა მძლავრად და მეტი ვიბრაციით ხმაში!“ მხოლოდღა აეროპორტის მიდამოებში მივხვდი, რომ სტივს ჩემი გაჟიმვა უნდოდა...

– ხვალინდელი საღამოს წინ რეპეტიციას გავდივარ – ვუხსნი, რათა ლაპარაკით როგორმე გავიყვანო ის აუტანელი დრო, სანამ ამ გოგოს გრძელი თითები ჩემს წიგნს ატრიალებენ, ხოლო მისი ვულგარული თვალები ბოლომდე აშიშვლებენ ჩემს გმირსაც და მეც.

– რატომ დაინტერესდი მალევიჩით, რაიმე საერთო გაქვს ხელოვნებასთან? – დაუუსვი კითხვა, რათა მას საუბრის სადავეები ხელში არ ჩაეგდო.

– არქიტექტურული დავამთავრე, დოქტორანტურაში ვარ, საერთო სტუდია მაქვს ნაცნობებთან მანჰეტენში, ჩელსიში.

როგორც იქნა მატარებელიც გამოჩნდა.

– არქიტექტურული! მაგარია! – სულმუდამ კარგად ვერ ვითამაშებ ამერიკულ აღფრთოვანებას. – სასიამოვნო იყო შენი გაცნობა, – ვამბობ ნაძალადევი ღიმილით, – წიგნს ვართმევ და ბოლო ვაგონში ავდივარ.

...ვდგები კომპიუტერიდან, აბაზანაში შევდივარ, სახეს ვიბან, ერთი წამი სარკეში თმის ახალ ჭაღარა ღერს ვეძებ. ნუ გარბიხარ, წერე, დაუბრუნდი საწერ მაგიდას, თუ შეშინდი, წააგებ, წერე, ან უფრო სწორად – გადაწერე, რადგან ეს ყველაფერი უკვე არის, ნურაფერს მოიგონებ, ჭამა-სმისგან მომრგვალებული საკუთარი სახე წესრიგისკენ მოგიწოდებს, თმის ახალი ჭაღარა ღერი დაბრუნებისკენ გიხმობს...

თუნუქის ქილა – გადამუშავებული თუნუქის ქილებისგან აქ ვაგონები კეთდება? – ბობსლეივით ჯაყჯაყებს და იხრება მოსახვევებში ვაგონი. ჯობს, არ ვიყურო მეორე მხარეს, ჯობს მზერა მივაპყრო უსახლკარო ზანგი კომიკოსის ხელებს, რომელიც მონოლოგს კითხულობს ცუდ მთავრობაზე, სესხებსა და რასობრივ დისკრიმინაციაზე, იუმორის შესანიშნავი გრძნობით, ნასაუსა და ლორიმერს შორის.

გადმოვდივარ, ხალხმრავლობას მეტროს ხაზის უსახური გაჩერებისკენ მივყავარ და ამ ხალხმრავლობაში, იქვე, ჩემს წინ ჩანს საეჭვო ობიექტი თავის კრემისფერ ლაბადაში, გამაშებში და ტილოს თეთრ ჩუსტებში, კვერცხისოდენა ღია ქუსლებით (რას ვერჩი ამ კვერცხებს?). ასეთ ჯგლეთაში უკან ვერ მივყვებოდი, თუმცა ეხედავდი მის თეთრი ბუმბულით დაფარულ გედივით კისერს. ფეხს ავუჩქარე და სხვა გარყვნილთა სამადლოდ იგი უკან მოვიტოვე.

უსახური მატარებელი დაიძრა, დავჯექი საკუთარ აიპოდთან მოლაპარაკე ჩინელ ქალსა და კლოშის შარვალსა და მოტკეცილი პიჯაკის ქვეშ ნაქსოვ ყავისფერ ჯემპრში გამოწყობილ, ფრჩხილებზე უფერო ლაკწასმულ მოხდენილ ახალგაზრდას შორის. ბიჭი აშკარად გალიზიანებული იყო, ეძებდა თავის ადგილს სამყაროში, მაგრამ როდესაც მატარებელი წყვდიადში გაუჩინარდა, მისი ჯიპიესი გამოირთო.

რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ ამ გოგოს ვხედავ. ჩემგან სამ-ოთხ მეტრში დგას და ხვდება, რომ მე იგი შევამჩნიე. ხელში ნახევარლიტრიანი ყავა უჭირავს (როდის მოასწრო ნეტა მისი ყიდვა?) და ერთხანს ნაზი ჭირვეულობით მიყურებს. ჩაწითლებულ თვალებს ახელს და ხუჭავს ნელა, როგორც „ოსტინის" ანთებულ ფარებს, რომელშიც სტივი უანგაროდ მიტარებდა მეტყველების გაკვეთილებს. მას ოდნავი სურვილიც არა აქვს მომიახლოვდეს, მაგრამ მთელი მისი გასაოცრად ძალდაუტანებელი დგომის მანერა, პატარა ფეხები აქეთ-იქით გაცურებულ ჩუსტებში, კოჭებთან გადაჯვარედინებული ისე, რომ მარჯვენა ფეხი მხოლოდ თითების წვერით ეხება იატაკს, მისი სხეულის მთელი ეს არქიტექტონიკა წააგავს რომელიღაც ამბიციური, საერთაშორისო პროექტის სოლიდურ მოსაწვევს.

ასე ხომ არ ვიჯდები და თავს ხომ არ მოვიკატუნებ, რომ არ ვიცნობ მას, მაგრამ დაუბრუნდე გაწყვეტილ საუბარს, ეს კი ნიშნავს, ყურადღება ითხოვო. ნიშნავს, ღამით ავტოპილოტის გარეშე შეეფრინდე სათვალთვალო საგუშაგოებით კონტროლირებადი უცხო აეროპორტის სივრცეში.

– ისევ ეხვდებით ერთმანეთს. ვიფიქრე, ვისარგებლებ-მეთქი ამ გარემოებათა დამთხვევით და ვკითხავ, რა შემიძლია დავათვალიერო აქ საინტერესო. რაიმე გამოფენა ან მაგდაგვარი... ისე, დაუგეგმავად გამოვედი საბოდიალოდ – გავუშვი მისი მიმართულებით წინადადება, როგორც ორიგამი.

– არაა პრობლება, არ მეჩქარება, ორიოდე გაჩერება დაგემგზავრები. მოვიფიქრებთ რამეს – მიპასუხა ხალისიანად, მაგრამ სუპერმარკეტის მოლარესავით ანგარიშმიუცემლად.

რამდენიმე წუთი ვმგზავრობდით სრულ დუმილში, რომელიც უფრო ხმამაღალი გამოდგა, ვიდრე ბორბლების რახრახი და მძღოლის მიერ მომდევნო გაჩერებების გამოცხადება ისე, თითქოს მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესო შემსრულებლის კატეგორიაში „ოსკარის" გამარჯვებულების გვარებს აცხადებდა.

გვირაბიდან გამოვედით დაახლოებით მერვე გამზირისა და მეთოთხმეტე ქუჩის მიდამოებში. მან მობილურში მისამართის ძებნა დაიწყო. თავს სულელურად ვგრძნობდი მისი შეწუხებით, მითუმეტეს რომ მუზეუმში წასვლის არანაირი სურვილი არ გამაჩნდა. ერთი წუთის შემდეგ გადარეკა, რათა დარწმუნებულიყო, რომ გამოფენა გახსნილია.

– რამდენიმე უბანი ჩრდილოეთით უნდა გაიარო. გაგოსიანის გალერეა. რიჩარდ სერა – ერთ-ერთი ჩემი საყვარელი მოქანდაკე.

– მადლობა. ძალიან მესიამოვნა. შენი სახელი? – ვკითხე, რომ სამახსოვროდ სახელი მაინც შემრჩენოდა.

– მეგანი.

– მეგან, იქნებ ხვალ შემოირბინო ჩემს საღამოზე?

– სიამოვნებით, რა დროს და სად?

– ხუთზე, ბოუერის პოეტურ კლუბში, მისამართი არ მახსოვს, მაგრამ დაგუგლავ (თვალთმაქცური მოურიდებლობა).

– კი ბატონო... ვეცდები – მიპასუხა ინტონაციით, რომელიც თითქოსდა გულისხმობდა: ნადი რა, ბიჭო.

სერა იყო იმგვარადვე უხამსი და საეჭვო, როგორც შეხვედრა ნიუ-იორკელ გოგონასთან. შენობაში შესვლისთანავე გაცხადდა, რომ მისი მიპატიჟება არასერიოზული იყო. ჩემგან აქტიურობას ელოდა, მაგრამ თავად არაფერს მპირდებოდა. დავბოდიალობდი თუნუქის ფურცლების უზარმაზარ, დაყანგებულ კოჭებს შორის და მათი რბილი ხვეულები თავბრუს მახვევდა. გამომიყენეს, როგორც სამტერევი იარაღი სივრცის დასამუშავებლად.

გალერეიდან რომ გამოვედი, ქალაქი უკვე ლურჯი დამხვდა. ქუჩის მეორე მხარეს ავტომანქანები პატიოსნად თვლემდნენ ორსართულიან საწოლებზე.

გლენვუდიდან, სადაც დროდადრო ნაცნობებთან ვცხოვრობდი, ბოუერამდე საუკუნის სავალი იყო. კოლუმბიის მიდამოებთან უცებ ეაგონში გამოჩნდა ბიჭი, ქაღალდის უამრავი დასტით უბეში. მიმტანს ჰგავდა. გამომელაპარაკა. აღმოჩნდა, რომ პოეტია და ერთ დოლარად ყიდის საკუთარ ლექსებს ავტოგრაფით. სამი ცალი შევიძინე. არ მიხსენებია, თუ რას ვსაქმიანობ ან სად მივემგზავრები, რადგან არ არსებობს არაფერი უფრო სამწუხარო, ვიდრე ორი ილუზიონისტის გაჯიბრება.

ბოუერის პოეტურ კლუბში მომესალმნენ გაცინებული პირმრგვალი მეპატრონე, გინსბერგის პორტრეტი, წარწერა ბართან „ბოუერის სასადილო ამჟამად დაკეტილია, მაგრამ პოეტური კლუბი ღიაა, შემოგვიერთდით პოეტური პერფორმანსით და წარმოდგენით" და ცარიელი, წყვდიადში შთანთქმული სცენა ყავისფერი ფარდის ფონზე, ცენტრში მიკროფონით, რომელიც თითქოს თავისკენ გიწვევდა. აქაურობა უფრო დამთრგუნველია, ვიდრე კორნელი სტრიტ კაფეს გუშინწინდელი დახუთული, მოგრძო, პატარა ოთახი, ვეება თეატრალურ ბანაკს რომ წააგავდა, – გამიელვა თავში აზრმა.

როდესაც ხალხის წინაშე ჩემი ლიტერატურული საქონლით გამოვდიოდი, საკმაოდ დაძაბული ვიყავი საიმისოდ, რომ მხსომებოდა მეგანი. სხვათაშორის, არც მჯეროდა, რომ მოვიდოდა.

მესამე ლექსის კითხვისას კლუბის კარი იღება. წიგნს თვალი მოვწყვიტე და ვხედავ, პირდაპირ ჩემსკენ როგორ მოემართება, გამოწერთნილი, მაგრამ თავისუფალი ნაბიჯით და ყოველი მისი

ნაბიჯი ამრუდებს დროსა და სივრცეს. გოგო იძულებით მიყვანილი დაწყებითი კლასის მოსწავლის სიფათით წინა რიგში ადგილს იკავებს და მთლიანად სმენადაა გადაქცეული.

ჩემში ახმიანდა სტივის სანდო ხმა: „copulation – მძლავრად, დაჟინებით, ინტონაციით, შენ ეს შეგიძლია. საკაიფო იყო თუ არა? თუ საკაიფო, მაშინ – შეუშით!" ვიწყებ რეპერტუარის თავმოყრას. მეტი ბლანტი ტექსტები, მეტი სხეული, მაგრამ ასევე ცოტა ღმერთი, რომ არ დავადგე ცხოველის კვალს.

საავტორო საღამო საშინლად საეჭვო საქმეა, მწერალი წერს, რათა ამოეფაროს, ჩაემალოს საკუთარ ტექსტს, გაემიჯნოს ხალხს, განაცხადოს: „დღესაც ვერ მივირთმევ თქვენთან ერთად სამხარს", და საკუთარი თავის სანაცვლოდ შეაჩეჩოს საკუთარი ბიძაშვილი, სხვათაშორის ბევრად უფრო საინტერესო. და მერე ისე გამოდის კულისებიდან, როგორც ლექსებს შუა, ანდა უფრო სხვაგვარად: ხვრეტა უკნიდან განათებულ იმ ქაღალდს, რომელსაც ამოეფარა, რომლის უკანაც იყო გამოკვეთილი ლანდი, სახის ნაკვთებისა და სხვა მკაფიო კონტურების გარეშე, აკანკალებულ ხელში ჩაბღუჯული წიგნით სცენაზე შემორბის, როგორც პატარა და შეშინებული სუპერმენის პაროდია. ყოველგვარი რეფლექტორების გარეშე, ყოველგვარი სერპანტინების გარეშე. მხოლოდ პოეტის სანახავად მოსული საზოგადოების დუმილი. არადა, მართლა: წარმოიდგინეთ თოჯინების თეატრი, სადაც მსახიობი ეფარება თავის თოჯინას – ზუსტად რაღაც მაგდაგვარს ვგრძნობ, როდესაც ხალხს ლექსებს ვუკითხავ. და მაშინ მხოლოდ ერთი გამოსავალი მაქვს: დავივიწყო რომ ავტორი ვარ, ისე ვილაპარაკო, თითქოს ჩემი გმირი ლაპარაკობდეს, ისე წავიკითხო, თითქოს ჩემი გმირი კითხულობდეს საკუთარ თავზე. ანუ ჩემი თავის გმირი ვიყო.

– დავამთავრებ ლექსით, რომელიც იმის მერე შეიქმნა, როდესაც მრავალი წლის შემდეგ ჩემს პირველ სიყვარულს ისევ შევხვდი. არადა, ასეთი რამ პირველად მომივიდა ცხოვრებაში. საერთოდ, გოგოებს წარსულიდან ჩემი დანახვაც კი არ უნდათ ხოლმე. აზრზე არა ვარ, რატომ.

ყველაფრისთვის გვიანია, არაფრისთვის ნაადრევი

წლების შემდეგ ჩვენ შევხვდებით მოულოდნელად
და სრულიად გამიზნულად ავურევთ არაყს
ლუდთან და ღვინოსთან, გავაქროლებთ ველოსიპედებს
ღამის კვარტლებში, მოულოდნელად შევასკდებით მაღალ ბორდიურს

და ყვავილებს გადავთელავთ, მოულოდნელ ეკალბარდებში
ხელებს და ლოყებს დავიკაწრავთ, მოულოდნელად
წამოვცვივდებით და დაჟეჟილ ველოსიპედებს
ჩემი სახლისკენ გავაქროლებთ, შევიხვევთ

ქრილობებს, დავიძინებთ, გამთენიისას
მოულოდნელად შევწყვილდებით, როგორც ცხოველები,
დამფრთხლები – ისევ არ დაბრუნდეს მოულოდნელად

რაღაც, რაც უკან უკან მოვიტოვეთ წლების წინ, როცა,
როგორც ადამიანები, ისე ვწყვილდებოდით.*

ბრავოს შეძახილები ჯერ არ მინყნარებულიყო, როდესაც მეგანი სავარძლიდან წამოდგა და გასასვლელისკენ გაემართა. გაუტყდა? მოუნდა რომ დავედევნო, გამოვკითხო, რა არ მოეწონა და რა შემეძლო უკეთ გამეკეთებინა? ვინ არის ეს ძუკნა, რომ მის აზრზე იყოს დამოკიდებული ჩემი გუნება-განწყობილება?

– ო, რა კარგია, რა ქარიზმაა! – განაცხადა გარიმ, ჩემი საღამოს მასპინძელმა – და ჯიბეში პრეზერვატივები ჩამიდო ფერადი წარწერით „ნიუ-იორკი", რომელიც ბარის მაგიდაზე დადგმული ჯამიდან ამოიღო.

მომეწონა ეს ახალგაზრდული ხუმრობა, ყოველ შემთხვევაში არ მოველოდი რაიმე მაგდაგვარს ორმოცდაათ წელს გადაცილებული ფიზიკოსისგან.

დარჩენილი თხუთმეტი წუთი კლუბის უფროსთან, ბობთან, რომელიც ასევე ლექსებს წერს, და აქაურ სხვა პოეტებთან ყბედობაში გავატარე, მაგრამ ახლა უკვე ვერ გავიხსენებ, რა თემაზე ვლაპარაკობდით, რადგან მთელი დრო მხოლოდ ერთზე ვფიქრობდი: რა დაემართა მეგანს.

გარეთ განათებულიყო, როგორც ნიუ-იორკის ტიპიურ ღამეს. ცივი წვიმა თითქოს პულვერიზატორიდან იფრქვეოდა და ნაზად ედებოდა სახეს. შუა ტროტუარზე იდგა ჩემი არქიტექტორი გოგო, მის გვერდით კი გარი, რომელიც რამდენიმე კათხა ლუდის შემდეგ თავხედურად მისკენ იწევდა. აუჩქარებლად მივუახლოვდი მათ და რამდენიმე წუთში მირანდაც შემოგვიერთდა, გარის მეუღლე, მისი დედა-პლანეტა, რომლის გამოჩენის შემდეგაც მან თავისი მოძრაობების კორექტირება მოახდინა.

– უნდა გავაბოლო, თუმცა ამ ქვეყანაში მგონი ეს უფროა დანაშაული, ვიდრე ჩხირაობა – ვეუბნები.

– მომაწევინებ? – მკითხა მეგანმა.

– არ მჯერა, რომ ეწევი. მეგონა მხოლოდ ორგანული ნივთიერებებით იკვებებოდი.

– რატომ? – მისმა თვალებმა უცნაური გამომეტყველება მიიღეს.

– რას ჰქვია რატომ? კანი თოთო ბავშვზე უფრო გადატკეცილი გაქვს, გარდა ამისა, აქ ყველამ გარეკა ორგანული ნივთიერებების თაობაზე. გარი მხოლოდ ჭიან ვაშლს ჭამს.

– მე კანადიდან ვარ, ნიუ-იორკში სამი თვის წინ ჩამოვედი. არ ვწუხვარ კალორიებით, სწრაფი კვების რესტორნები მევასება და ვაბოლებ. კიდევ არის კითხვები?

– მხოლოდ ერთი ღერი მაქვს, თუ გინდა, გავიყოთ.

ეგონა, რიგრიგობით მოვწევდით, მაგრამ არა უშავს, ეგ მე გადავწყვეტ, როდის შევამოკლო ამ გოგოსთან მანძილი.

* თარგმანი ზვიად რატიანის




– ჯანსაღი ნაწილი გირჩევნია თუ მავნე? – ვკითხე, რათა მისი ფემინიზმი გამომეცადა.

ღერი ორად გადავტეხე და მივაჩერდი, სწრაფ გადაწყვეტილებას ველოდი. მისი თვალები მორბილდნენ, ფანდობას ითხოვდნენ. ფილტრიანი ნაწილი მივეცი, თავად კი კოცბოის დავემსგავსე. ან პოლონელ მუშას, შესვენებისას თუთუნის გაბოლება რომ უყვარს ხოლმე.

მირანდას პოლონური ფესვები ჰქონდა და გრინპოინტში ყველას იცნობდა. მას ძალზე სურდა გაემრავალფეროვნებინა ჩემი თავისუფალი დრო, ასე რომ მოძებნა განცხადება კონცერტზე კოსტიუშკოს ფონდის ოფისში. კარლოვიჩის სიმღერები პლიუს ცნობილი ოპერეტების ფრაგმენტები. დახვეწილი შეხამება. ვერ დავუშვებდი, რომ კოსტიუშკო, რომელმაც ამერიკას თავისუფლება ბრძოლით მოუპოვა, ახლა ჩემს გზაზე მდგარიყო მისი გაკეეთილების გამოსაყენებლად.

– მეგანი ჩვენთან ერთად წამოვა... კარგი? – ვისროლე და თვალებით ვეკითხებოდი, ან უფრო ბრძანებას ვაძლევდი გოგონას, რომელსაც აშკარად ამ საღამოს უფრო მეტი თავისუფალი დრო ჰქონდა, ვიდრე მეგონა.

მეტროს გვირაბში გარის ჩვენი სურათის გადაღება უნდოდა, მაგრამ მეგანი თანმიმდევრულად უსხლტებოდა კადრს. თითქოს არ უნდოდა თავისი ნაკვალევი დაეტოვება.

ვაგონში ამ დროისათვის დამახასიათებელი ხალხმრავლობა სუფევდა. მარცხენა ხელი მოაჯირზე მეჭირა, მარჯვენა თავისუფალი მქონდა, ხოლო ქერათმიანი გოგო ვულგარული თვალებით სახიფათოდ ახლოს იყო. მე ვგრძნობდი, როგორ ეხამებოდა ჩემი იფლი სუნს, რომელიც გარიმ თავისდაუნებურად მასესხა და ქმნიდა მენაერთს, რომელიც აფრთხობდა ყველა უცხო მდედრს, მაგრამ იზიდავდა მხოლოდ ამ ერთს, რომელიც აშკარად ყველაფერზე წამსვლელი იყო.

ფაქტია, რომ მეგანს დასაყრდენობი არ ჰქონდა, მაგრამ მატარებელი ისე ძალიანაც კი არ ინჯღრეოდა, რომ მეგანი ჩემი პიჯაკის საყელოებს ჩაბღაუჭებოდა. სხვა არაფერს ხელს არ კიდებდა, მაგრამ როდესაც მატარებელი მოუხვევდა და ჯაყჯაყს იწყებდა, ის პატარა წივწივასავით მებღაუჭებოდა, როგორც გაუცინავ წყალსადენ მილს, ჩებღაუჭებოდა პატარა გოგონასავით, რომელმაც რაღაც შესცოდა და ახლა ბოდიშს ითხოვს, მაგრამ გულის სიღრმეში სულაც არ გრძნობს თავს დამნაშავედ.

– შენ გამოთვლები არ უნდა გიჯირდეს...
– რა? ვერ გავიგე.
– ანუ რის გაკეთებასაც აპირებ, იმისი წინ პროექტირება, რომ აშენდეს – განუმარტე.
– არა, – ნაზად პიჯაკზე მებღაუჭება, – მე ცოტა სხვა რამეს ვაკეთებ. არ ვაკეთებ პროექტებს იმისათვის, რომ შემდგომ აშენდეს.
– ეგ როგორ? – ხმამაღლა გამოვხატავ გაკვირვებას, თუმცა ვიცი, რომ ეს არაა საჭირო, რადგან ამგვარად ჩემს უცოდინარობას ვამჟღავნებ.
– მე ვქმნი – როგორ აგიხსნა ეს... სივრცის გარკვეულ კონცეფციებს, მრავალი გათვლით, მრავალი გათვლით და ლოგიკური ნაბიჯით, მაგრამ საბოლოო შედეგს არა აქვს პრაქტიკული გამოყენება. ეს იმისათვისაა, რომ გვასიამოვნოს, ჩვენი ცხოვრება საინტერესოდ აქციოს.
– მაგრამ... ფოტოგრაფიაზეც რაღაცა ახსენე – ვცვლი საუბრის თემას ცოტა ნაკლებად ჩახლართულზე.
– კი, ამას ერქვა „ბელგრადის სკამები". რამდენიმე თვე გავატარე იქ, სურათებს ვიღებდი სტეფანიასთან ერთად, ჩემი დაქალია, სკამები ქალაქის სხვადასხვა ადგილებზე, სანაგვეზე გადაყრილი სკამები, სასკოლო სკამები, სამაგიდო სკამები, რომელთაც უეცრად გადავაწყდებოდით და ვერ ვხვდებოდით, რატომ იდგა ეს სკამები შუა ქუჩაში. ვიყენებდით ერთჯერად აპარატს და ვადაგასულ ფირებს.

სკამებზე საუბრისას მეგანი ერთობ გამოცოცხლდა, სასიამოვნო საყურებელი იყო, როგორ იცვლიდა იერსახეს, როგორ უშვებდა კანის ფორებიდან თავის ეფექტურ პლაზმურ გრძნობებს, ჰაერში რომ მოძრაობდნენ, დამჯერად, მისი ერთჯერადი თხრობის თბილი დენით. თუ რას ყვებოდა, იმაზე უფრო მეტად ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო ის, თუ როგორ ამბობდა იგი ამას.
– ამ ფოტოსურათების გამოფენას ახლდა ნოვალისის ციტატა: „ყველგან ვეძიებთ აბსოლუტს, ხოლო ყოველთვის ვპოულობთ მხოლოდ საგნებს". სურათებს დავურთეთ მოკლე კომენტარები, ეს იყო ჩემი ერთგვარი სასონარკვეთილი მცდელობა, ჩემი ხელოვნებისათვის სახელწოდება მომეძებნა. ეგებ ოდესმე ამ სურათებისგან ალბომი შევადგინოთ. თუ იდეა განხორციელდა, ამ სკამებს ლიტერატურულ ბიოგრაფიებს მიუწერდი?
– რა თქმა უნდა, რატომაც არა.

ყველაფერს მივუწერდი ყველაფრისათვის, თუნდაც დედაკაცს ულვაშებს (თუმც ეგ უკვე იყო), ოღონდ დღეს რამდენადაც შესაძლოა გვიანობამდე ვყოფილიყავით ერთად, მაგრამ უფრო დიდი მონდომებით მივაწერდი საკუთარ თავს შენს თავს, თუნდაც გამოსულიყო აქედან მდარე ხარისხის პოსტმოდერნი, – გავიფიქრე, – და გავუგზავნე მას ყავლგასული ღიმილი.

მას შემდეგ, რამდენჯერადაც ვხედავ სკამს, ჩემს თავში ჩნდება მეგანი. ამის დედაც, განა

შეიძლება წარმოიდგინო უფრო საბედისწერო პარალელი? განსაკუთრებით, თუ გინდა, რომ დავიწყებას მისცე ყოველივე ეს.

კოსტიუშკოს ფონდის აღნიშნულ შენობაში, დაახლოებით მეხუთე გამზირსა და მესამოცე ქუჩას შორის, პოლონელთა დიასპორის მთელი ნაღები საზოგადოება მოგვესალმა. ბატონი თავმჯდომარე, ქალბატონი ჰანია და საკმაოდ ბევრი ხალხი, მეტ-ნაკლებად ისევე რომ გამოიყურებოდა, როგორც ბატონი თავმჯდომარე და ქალბატონი ჰანია. „ნამცხვარი, ყავა და ცოტა ღვინო, მაგრამ ეს მოგვიანებით, ამჯერად კი მეორე სართულზე გეპატიჟებით!"

მეგანი დარჩა თავის მძიმე ლაბადაში, ეტყობა შიშობდა, რომ თვალებიდან არასასურველი სლავური ცრემლი გადმოეღვრებოდა, მკერდზე დაეცემოდა და გაუხვრეტდა. მხოლოდ კონცერტის მეორე ნახევარში გადანვიტა მისი გახდა.

– ეს კარლოვიჩია, ეგეთი დეკადენტი უნდა მოგეწონოს, – ჩავჩურჩულე ყურში, მან კი მიპასუხა მზერით, რომელშიც იყო ტკბილი გაგება და ცინიკური კმაყოფილება.

ალბათ გაინტერესებთ, ხომ არ ვგრძნობდი თავს ცოტა არ იყოს მამასავით, რომელმაც ქალიშვილი ფილარმონიაში პირველ კონცერტზე მიიყვანა, და უფრო მეტ ყურადღებას უთმობს არა მუსიკას, არამედ ქალიშვილის რეაქციებს, მალულად აკვირდება მის ხელებს – თუ როგორ უნებლიეთ ირხევიან ისინი ემოციების ზეგავლენით. და მისი მარჯვენა ფეხი, რომელიც გადადებულია მარცხენაზე, წარმოადგენს გულისცემის საზომს, მაჩვენებელს გაოცების ან იმედგაცრუების? სასაცილოა, მაგრამ თავს ზუსტად ასე ვგრძნობდი. მისი სხეულის რეაქციები იყო ჩემთვის მამობის გარკვეული ტესტი.

მთელი კონცერტის განმავლობაში მეგანი არც შერხეულა, თუ არ ჩავთვლით მომენტს, როდესაც ლაბადა ჭუპრივით მოიძრო. შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მისი კანი სუნთქავდა.

ბანკეტის დროს, პირველ სართულზე, დაბნეული ჩანდა, მაგონებდა უცხოპლანეტელს, რომელსაც არა აქვს არც საშშვიდობო და არც მტრული ზრახვები, და ერთადერთი რამ, რაც ახალგაცნობილ არსებებთან აკავშირებს, არის უნარი ტუჩების იმგვარი მოძრაობისა, რომ ეს გულწრფელ ღიმილს ჰგავდეს.

დედამიწისეული ღვინის მესამე ჭიქის შემდეგ, რომელსაც მისი ორგანიზმი შეუფერხებლად ითვისებდა, მე უკვე ვიცოდი, რომ ეს იყო ბოლო აბზაცი ჩვენი ხანმოკლე ურთიერთგაცნობისა.

და ზუსტად ამ წუთას გარი გაეძრო.

– როგორ მიდის გრიალი? საკაიფო მუსიკაა, ნამდვილად არ მოველოდი. მოგვიანებით რა გეგმები გაქვს? – მკითხა, და ისე გამომიწოდა გასაღებების ასხმა, თითქოს ძაღლს მიართვა საკვები და თან მიაყოლა: – შეგიძლია კიდევ სადმე გაისეირნო... თუ ჩვენთან დაბრუნების სურვილი გაგიჩნდება, როცა გენებოს, კაი?..

მაგარია, მამიკო ნებას მრთავს, გვიან მოვბრუნდე. რა დამპალი სიტუაციაა – გავიფიქრე. მაგრამ ამავდროულად დავაფასე გარის ჟესტი. თუნდაც ეს მხოლოდ და მხოლოდ ლტოლვის ავადმყოფური სუბლიმაცია ყოფილიყო.

– მადლობა, არ უნდა დავაგვიანო – შევათამაშე გასაღებები ხელში – ბოლო მატარებელი რომელზე გადის?..

– დაახლოებით პირველზე. შენ როცა გინდა, მაშინ მოდი – მიპასუხა ჯიბეებში ხელებჩაწყობილმა და ბარძაყები ოდნავ შეათანთალა.

მეგანი ეტყობა კმაყოფილი იყო საქმის ვითარებით, მაგრამ მერჩივნა დავრწმუნებულიყავი:

– კიდევ ერთი წუთი გექნება? რაიმე ხომ არ დაგვილია?

– მერჩივნა ჯერ რამე მეჭამა, საშინლად მშია.

დაახლოებით ნახევარი საათი მივდიოდით. შემოგარენში კი არცერთი სწრაფი კვების რესტორანი არ იყო. დამავიწყდა, რომ აპერ-ისტ საიდში ვიმყოფებოდით და შემჭვარ-მოხრაკულზე შემეძლო მხოლოდ მეოცნება. გავიარეთ ათი პირქუში შენობა, სავსე უამრავი ბედნიერი მამაკაცითა თუ მანდილოსნით და კარგად მოვლილი ძაღლებით, ხოლო შენობების პირველ სართულებზე, ყველგან იდგა პორტიე, გულკეთილი, როგორც ვიწროლიანდაგიანი ატრაქციონების კონდუქტორი სამხრეთ იტალიის რომელიმე მხიარულ, პატარა ქალაქში.

სადღაც ხარაჩოებს შუა გამოჩნდა რესტორანი, სხვათაშორის იტალიური, სასიამოვნო სახელწოდებით „ჯიოკო". მეპატრონემ შემოგვთავაზა ერთადერთი თავისუფალი მაგიდა, იქვე ფანჯარასთან. თეთრი სუფრები, სანთლები, გამამხიარულებელი მსუბუქი ჯაზი, მუშტრების ლაქლაქი, დანა-ჩანგლის ჩუმი რაკარუკი და მიმტანების ცეკვა...

– ვუდი ალენის ატმოსფერო – გავისროლე მე.

– არ ვიცნობ ვუდი ალენს – მიპასუხა მეგანმა იმდენად მიამიტი სახით, რომ დავუჯერებდი კიდევაც.

გადავშალე მენიუ, დავიწყე კითხვა და... ჩემი მზერა ტბის ფსკერზე დაეშვა, სადაც ჩაძირული სასაფლაოები, ხის მორები, გემების ჩონჩხები, ბადეში გახლართული ემბრიონები და წყალში დამრჩხვალი ადამიანები იყვნენ, რომელთა თავის ქალებშიც გველთევზები ცხოვრობდნენ, სადაც იყო ორაგული ისპანახით ზურგზე და კომიქსური ლოუბელით თავთან, თითოეულ ლოუბელზე კი წარწერა – 100 დოლარი. ყველაზე იაფიანი კერძი სამოცდაათი ღირდა, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო „მუსიკა არ მევასება, რამე უფრო ნესიერი გავჩითოთ" და ასეთი ტიპის ფრაზები. საზიზღარი ხუმრობაც არ იყო საუკეთესო აზრი, თამაშში შედიოდა მხოლოდ მინერალური წყლის შეკვეთა და იმისი, რასაც გოგო მოისურვებდა. თუმცა ამ გეგმასაც გააჩნდა ნაკლოვანებები. „თავს ნუ შეირცხვენ, შე ძველო!" – საკუთარ თავს ვუთხარი და ტკაცუნით დავხურე მენიუ. იმავე წამს მიმტანი გაიჩითა.

– უკვე ამოირჩიე? – ვეკითხები, გული კი სააუქციონო ჩაქუჩივით მიკაკუნებს.

ერთი საშინელი სენი მჭირს: მიყვარს სათამაშო ავტომატები, ზედმიწევნით ვიცი მათი მოქმედების მექანიზმი, და ვიცი რომ გრძელვადიანი წარმატების შანსს არ გაძლევს, რადგან ეს თამაში კი არა, პროგრამაა, გათამაშება კი არა, კენჭისყრის პაროდია, რომლის შედეგსაც არაფერი აქვს საერთო ეკრანზე მოძრავ ხილთან თუ პრიმიტიულ ხმებთან, გრძნობას რომ ბურღავენ. და თუმცა მე შევეგუე იმ ფაქტს, რომ ვთამაშობ ემოციებისათვის, ფულს ვხარჯავ დაძაბულობისათვის, ცნობისმოყვარეობისათვის, ტკივილისათვის, იქნება ეს სათამაშო

ავტომატების, ფერწერის, მუსიკის, ლიტერატურის თუ ცხოვრების აზარტი. დროდადრო მიჩნდება აზარტული მოთამაშისთვის დამახასიათებელი იმედი იმისა, რომ ერთ მშვენიერ დღეს სათამაშო მანქანა მათ დაუბრუნებს წლების განმავლობაში ნაგებულის სულ მცირედს მაინც. მავანი იტყვის – შეიძინე იგი, სახლში დააყენე, გექნება ბლომად გართობა და ყოველთვიური მოგება. მაგრამ ეს ბრიყვი კაცის რჩევა იქნება. სათამაშო მანქანა შემთხვევითი უნდა იყოს, ის, რომელსაც ნააწყდები სასურსათო მაღაზიაში, სასტუმროში ან სადგურზე. საკაიფოა, რომ ამდენმა ხალხმა სცადა, მაგრამ მაინცდამაინც შენ დაითრიე მათი მაყუთი.

– ავიღებდი ცხვრის რულონებს ბროკოლით, სოკოს საწებლით და კარტოფილის შეგრილებულ პიურეს.

– კაი... მეც იგივეს ავიღებ.

– დასალევს რას მიირთმევთ? – მკითხა მიმტანმა. – გვაქვს შესანიშნავი წითელი ღვინო, დღეიდან უკვე ფასდაკლებით.

მეგანმა თანხმობის ნიშნად თავი დააქნია.

– და თქვენ?

– კი, კი, მეც სიამოვნებით დავაგემოვნებ – ვუპასუხე ნერვიული ჩახველებით.

– ამჯერად უკვე შენს თავზე მოყევი, მე კი მოგისმენ – მეგანს მივმართე.

– და რა გაინტერესებს? – ისე მომიჭრა, რომ დავფიქრდი, მინდოდა თუ არა რაიმე მცოდნოდა.

– რა იყო ყველაზე გამაბრუებელი მოვლენა შენს ცხოვრებაში?

– არ ვიცი... – შეფიქრიანდა, მზერა დახარა და მისი თვალები უმალ სანთლებივით აინთო. – ერთ ბიჭს ვხვდებოდი რამდენიმე წლის წინ. ხელოვნებას სწავლობდა იმავე სასწავლებელში, სადაც მე – კორნელში. ერთი კვირის განმავლობაში სულ სხვა ადამიანად იქცა, მთლად გარეკა, ეგონა, რომ დიდი მხატვარი იყო და მილიონერების დაკვეთით ხატავდა. რამდენიმე დღე თვალი არ მოუხუჭავს, არ ბანაობდა, არ ჭამდა, მხოლოდ ვისკის წრუპავდა და იქნევდა თავის ნადღაბნებს, რომლებიც ნარმოადგენდნენ მის რაღაც... ფანტაზიებს ჩემზე. ანგარიშს უწევდა ჩემს აზრს, ამიტომ განუწყვეტლივ მეკითხებოდა, თუ რას ვფიქრობდი მის ტილოებზე. ვეუბნებოდი, რომ ისინი ვერ დავამუღამე, რომ პრეტენზიულია, მეორადი. ერთ დღეს დედამისი ჩამოვიდა, შეწუხებული იმ ფაქტით, რომ შვილი ერთი თვე ტელეფონზე არ პასუხობდა. კარს რომ არავინ აღებდა, ადგა და პოლიციას გამოუძახა. მიხალი იატაკზე ინვა, სისხლით მოთხვრილი და გამოფიტული, როგორც ძველი საღებავი ხატვის შემდეგ. ზოგჯერ საკუთარ თავს ვადანაშაულებ იმაში, რომ არ ვაქებდი მის ტილოებს. არადა გულწრფელი ვერ ვიქნებოდი. მე მათ ნამდვილად ვერ ვამულამებდი.

რამდენიმე წუთი მოვანდომე სახიდან გაოცების ნაშლას.

– ეგ მართლა მოხდა? – ვკითხე განსაკუთრებით ნარმატე-ბული გულგრილობით.

– რა თქმა უნდა, არა, მაგრამ აღიარე, რომ კარგად [illegible] – გაიცინა ცხვრის ხორცის პირველივე ლუკმით პირში.

მხოლოდ ახლა შევამჩნიე, რა გააკეთა ჩემთვის. ეცვა ასკეტურად შავი ბლუზა, ყელზე ეკიდა „ტიფანის" გული, რომელიც არსებითად იყო ანტი-გული – ლითონის ნაჭერი, როგორც სატყუარა, რომლითაც ბავშვობაში ქარიყლაპიებს ვიჭერდი. მისი უფერული მაკიაჟი ირეკლებოდა წითელი სხივით, როგორც მია ფეროუ ტრავოლტასთან ერთად ის სცენებში, რომლებიც ფილმს მიღმა დარჩა.

– დღეს უკვე არ გაქვს ისეთი ჩაწითლებული თვალები, როგორც გუშინ მეტროში, – შევნიშნე მე.

– ეგ არაა ქათინაური... უძილო ვიყავი. დილის ექვს საათამდე სტუდიაში ვიჯექი. ზეგ ჩვენი პროფესორი პროექტების სანახავად მოდის. რომ მოვასწრო, არ უნდა დავიძინო.

– პირიქით, მშვენივრად გამოიყურები. თითქოსდა ალერგია გქონდეს რეალობაზე.

თვალები ჩვეულებრივზე კიდევ უფრო ნელა დახარა და ანია, და თითქოს პატიების ნიშნად თვალის გუგა შეავიწროვა.

– არ მახსოვს, ბოლოს რამე ასეთი გემრიელი მეჭამოს.

– მისმა ამ აღიარებამ სიხარული მომგვარა. თავს ვგრძნობდი კულინარიული შოუს მონაწილედ, რომელმაც ექსპერტი ქალისგან მოისმინა, რომ მისი კერძი გამარჯვებულია. ფულზე სინანულს შევეშვი. თავს ვუხსნიდი, რომ ასეთია ფასი, რომელსაც იხდი იმ შესაძლებლობისათვის, რომ დააკვირდე მას, გაიგონო მისი ხმა, დააგემოვნო ნიუ-იორკული სნობიზმი.

– ეგ რა ბეჭედია? – და ჩემს ნიშნობის ბეჭედზე მიუთითა.

– რა მკითხე? – ბოლომდე ვერ მივხვდი, რას გულისხმობდა.

– ბეჭედი შენს მარჯვენაზე რაღაც სამახსოვრო საჩუქარია? – აშკარა დაინტერესებით დამისვა კითხვა.

– მეკაიფები? ბეჭედია. ნიშნობის ბეჭედი.

აქ დგება რამდენიმენამიანი გაშეშებული კადრი, როდესაც მეგანი ჰგავს ადამიანს, რომელმაც გაიგო, რომ ცხოვრების მხოლოდ ერთი თვე აქვს დარჩენილი.



დღემდე არ ვიცი, მისი გაოცება გულწრფელი იყო, თუ ვირტუოზულად ნათამაშევი.

– გყავს, – მწარე სახე, – ცოლი... – კანკალებდა.

– მეგონა, ეს გასაგები იყო.

– სულაც არა, ჩვენთან ნიშნობის ბეჭედს მარცხენა ხელზე ატარებენ. ჯანდაბა!

– კი მაგრამ, ეგ ცვლის რამეს? – ვიკითხე და ამით დავიწყე ღალატის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გაცვეთილი და საბრალო მამაკაცის როლის თამაში. – ნუთუ ის ფაქტი, რომ ცოლი მყავს, ნიშნავს, რომ არ შემიძლია ვისადილო სასიამოვნო კამპანიაში?

– მე მეგონა... მომეჩვენა, რომ გინდოდა ჩემთან ღამე გაგეტარებინა, – მიპასუხა მშრალად, მაგრამ ოდნავი საყვედურით.

ამჯერად მე ჩამივარდა ენა. ამას ჰქვია სტილი, უცებ გავხდით გმირები სატელევიზიო პროგრამისა „ბრმა პაემანი", იძულებით გაგზავნილნი ალლ ინცლუსივე მოგზაურობაში ამერიკაში, რომლებიც მიხვდნენ, რომ ვიქტორინის რამდენიმე კითხვა მაინც ძალიან ცოტაა, რომ იცოდნენ ყველაფერი ერთმანეთის შესახებ, მაგრამ არ შეუძლიათ ერთბაშად წამოდგნენ მაგიდიდან და განაცხადონ: „ამის დედაც", რადგან ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომ დროს ბოლომდე ერთად გაატარებენ, რადგან რამდენიმე მეტრში დგას ოპერატორი და იღებს ამ რომანტიული მოგზაურობის რეპორტაჟს.

– მე ჩემის მხრივ აზრად არც მომსვლია, რომ შენნაირი გოგო შეიძლება მარტო იყოს. ვინმე უნდა გყავდეს და თუ გყავს, არ უნდა იყო ახლა აქ – გაისმის თავისუფლების ქანდაკებასავით დახვეწილი სოფისტიკა.

– საქმე ისაა, რომ სტაბილურად ჯერ არავინ მყავს.

მიმტანს მოაქვს ტაბაკი ტკბილეულობით და მას ისე წარადგენს, თითქოსდა საჭმელს კი არა, ალმასის სამკაულებს ყიდის. საბედნიეროდ, არქიტექტორ გოგოს მადა დაეკარგა.

– გახსოვს რესტორნის სცენა მეექვსე ნაწილში ფილმისა „ცხოვრების აზრი მონტი პაიტონის მიხედვით"? – გავაბი საუბარი დაძაბულობის განსამუხტავად.

– არ მინახავს „მონტი პაიტონი", – მიპასუხა და მისი პირის კუთხე ნახევარი მილიმეტრით გაიხსნა.

...საპირფარეშო. დასასვენებელი ოთახი. კაბინეტი. პირს ვიბან. გააგრძელე, ხელიდან არ გაუშვა, ხედავ, უკვე მუშაობ, წერ. მერე რა, რომ ჰოლოგრამა იყო, ახლა კი ეს არის შესაძლო მილიონიდან ერთი ისტორია. ეს შენი ავტობიოგრაფიაა. ავტობიოგრაფია საკუთარი ყოველდღიური ცხოვრების ასახვა კი არაა, ერთი და იგივე ყოველდღიურობის განსხვავებულად აღწერაა. თვალები არცთუ ისე საგანგაშოდ, მაგრამ შესიებული გაქვს. ჭაღარა თმის ახალი ღერმა გაიბრწყინა ლამპის შუქზე და მისი ამოწიწკნა გადაწყვიტე, თუმცა ეს ღერი მხოლოდ სანახევროდაა ჭაღარა. ეგრე ასობით სხვა ჭაღარაცაა, თუ შუქს თავს არასწორად მიანათებ. ყველა ამოიწიწკნო? დაუბრუნდი საწერ მაგიდას, წერე, ანუ გადაიხადე, მერე რა რომ ახლა იტალიაში ან გერმანიაში იმყოფები, გადაიხადე, მაინც ყველაფერს გადაიანგარიშებს კურსის მიხედვით შენი საყვარელი ბანკი. გაატარე ეს ისტორია ხელით, ბავშვივით, თითქოს დაშინებული დედაშენი მოძრაობით სავსე ნიუ-იორკის ქუჩაში გაგეტარებინოს. თითქოს შენი არაქმედითუნარიანი ქალიშვილისთვის სათამაშო დათუნიას სიყვარული გესწავლებინოს. ასე ცუდად ვერ იქნება, როდესაც ყველაფერი პროგრესისთვის არის, მუშაობს, მუშაობს... დაუბრუნდი საწერ მაგიდას, კომპიუტერს, სუფრას, მიმტანს და ნადი. ეს ის წამია, როცა ჯერ არაფერი იმდენად არ განვითარებულა, რომ არ შეგეძლოს მისი დამთავრება, მაგრამ უკვე იმდენად გაფუჭდა, რომ უნდა დაასრულო. არადა, რას ნიშნავს დაასრულო? ეს არის ნამი, რომელმაც უკვე სისხლდენა კი არა, შეიძლება განგრენა გამოიწვიოს. სისხლი და თესლი ქაღალდზე უნდა გადაიტანო, ქაღალდი პლასტიკატზე, პლასტიკატი ორგანულ ჭიან ვაშლზე. ამუშავდა, ხედავ? წერისას შლი, მერე რა, რომ ისტორიას ხიბლსართმევ. ფეხებზე არ გკიდია ხიბლი? დაღლილი ხარ. ამოჭერი ეს განგრენა, დაბრუნდი ტიროლის დუქანში, სუფრასთან, ნებისმიერ ადგილას, ოღონდ დაბრუნდი და გადაიხადე...

საპირფარეშოდან რომ დავბრუნდი, მაგიდაზე უკვე ანგარიში დამხვდა. 210 დოლარი.

– რაიმე დაგიმატო? – თავაზიანად იკითხა მეგანმა.

– დაწყნარდი, – ვუპასუხე, – და ანგარიშს 40 დოლარი ხურდად მივუთვალე.

პატარა ყუთში ჩავდე უკვე საკმაოდ დავალიანებული ოქროს საკრედიტო ბარათი და ლოცვა დავიწყე, რათა არ გადამეტებულიყო იგი ზღვარს.

ლაბადა წამოვიცვი, და გავიგონე:

– იცი, კარგად ვგრძნობ თავს შენთან, და ხელს არ მიშლის, რომ ცოლი გყავს.

სიჩუმეში მეხუთე ქუჩისკენ მივდიოდით. რამდენიმე წუთში მკლავი გამიყარა, თხუთმეტი წუთის შემდეგ კი ხელი ჩამოუშვა, და მისი თითები ჩემს ხელში ამოიზნიქა, როგორც ამონაზარდი ბუნების შესახებ გადაღებული ფილმის აჩქარებულ კადრებში. როდესაც თითები შემეხნენ, მათ ხელი მაგრად წავავლე, თუმცა არ ვიცოდი, მინდოდა მისი ხელებიდან მთელი სითბო გამომეწურა თუ დამეტუქსა იმისათვის, რომ ისინი მეტისმეტა კადრულობდნენ. ალბათ ერთიც და მეორეც. სიცილი აუტყდა.

– ჩემი ხელი ისე გიკავია, თითქოს ბავშვს ასეირნებდე.

და ეჭვი რომ არ შემპარვოდა, უდარდელად ააქნია ჩვენი ხელები წინ და უკან. მერე უცებ დასერიოზულდა, თავისი თითები ჩემს თითებს გადააბა და გაისროლა:

– მგონია, რომ შენ თავს ბევრად უფრო ასაკოვნად გრძნობ, ვიდრე ხარ. არ გინდა. ჯერ სულ ახალგაზრდა ხარ.

– მადლობა – ვუთხარი აღუფრთოვანებლად, რომ არ შეემჩნია, თუ როგორ ახმოვანდნენ ჩემში ზღაპრული ხემები, ექსტაზური ბუკები და სიმღერა: „მოხეტიალეს ფეხსაცმლები ელოდებიან გამოცვლას... გავხდე პირველი, ჩავდგე სიის სათავეში, გორაკების მეფე...", რომ არ დაენახა, ოქროს გვირგვინი თავიდან როგორ მივარდებოდა.

– გინდოდა რამე დაგელია, ამჯერად მე გეპატიჟები. ლუდხანას გაჩვენებ ჩემი სტუდიის დაბლა. ოღონდ როგორ წავიდეთ?.. მეტროთი

ერთი საათი უნდა, ტაქსით თხუთმეტი წუთი, მაგრამ რა თქმა უნდა, უფრო ძვირია. რა ვქნათ?

აი, საკითხავი. ვახშამზე უფრო მეტი დავხარჯე, ვიდრე ჩემი პოეტური გამოსვლის ჰონორარი, ახლა კი უნდა ვიჭყლიტო შუაღამით მეტროთი, ორი გადაჯდომით, თხუთმეტი დოლარის დასაზოგად?

მერვე ქუჩამდე ტაქსს ცენტრალური პარკის გავლით მივყავდით, მერე მარჯვნივ, ჩელსისკენ გავუხვიეთ.

ჯოველივე გაგრძელდა ჰოლივუდური 126-ე კინომაბლონით, რომელიც შენახული იყო კარადაში სათაურით: „ვუმ" – „ვნებიანობის უეცარი მოზღვავება". ჩემი შემოქმედებითი წვლილი მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ არ ვჟიმავდი ამ გოგოს მძღოლის ალსაშფოთებლად, მაგრამ იმნაირად ვეხებოდი, თითქოსდა მეშინოდა, მისთვის რამე არ დამეშავებინა. მანქანით სწრაფად გადავაადგილდებოდით მანჰეტენის ქვემოთ, თით ვუსვამდი მეგანის თხევად-კრისტალურ კანს და გადავქროდით ქალაქის ერთი ადგილიდან მეორეში. მისი სხეულის ერთი სანტიმეტრი შეესაბამებოდა ასფალტის ერთ კილომეტრს... მწვანე, წითელი, კვლავ მწვანე, აშკარად უფრო იშვიათად მწვანე... ჯიპიესი უკეთ მუშაობდა, როდესაც ვგრძნობდი ტუჩებზე მისი ენის წვერს. ტაქსის მძღოლი სარგებლობდა ჩვენი უყურადღებობით, დაჟინებით ურტყამდა წრეს ორ მცირე შემაღლებას, და მერე მთელი საუკუნე წინ მიიწევდა ტაიმს სკვერით, თითქოს უნდოდა, დავეცავით ნეონის უეცარი აფეთქებისგან.

პატიოსანი კაცი იყო, იცოდა, რომ უკეთესია კლიენტი დაგვიანებით მიიყვანო, მაგრამ უსაფრთხოდ.

მეგანის თავი ძალუმად მივიკარი ჩემს მხართან, რათა ყველა ბჯღრევის ნიველირება მომეხდინა, გამენეიტრალებინა ამერიკული ზედაპირის ორმოები, ორმოები ემოციებში. ჩემი თითების ბალიშები ეხებოდნენ მის თავის ქალას, როგორც ინფორმაციას მოწყურებული სენსორები ტვინის უჯრედებს, თუმცა კი შემძლენიც აზრის პროგრამირების.

მერე მისი გამაშებიანი ფეხები მუხლებზე გადავიდე. ჩემი მარცხენა ხელი მტკიცედ აკონტროლებდა მის კისერს. მარჯვენა ხელმა პასიურად ჩამოკიდებულ ფეხებს ტილოს ფეხსაცმელები მოაძრო, მოჭიმული პატარა ქუსლთან. რეზინის ხმა მეგანის დაჟარდნილი ჩუსტებისა იყო ერთ-ერთ ყველაზე აღმგზნები ხმა, რომელიც კი ცხოვრებაში მომისმენია. ახლა უკვე მეორე ქუსლის ჯერ იყო, და ყურის მოსინჯვის, მისი კისრის გრძელი ხაზის შეწოვის და ტუჩებით და ცხვირით მისი სხეულის ყველა დანარჩენი ნაწილის, ღრიჭოების, ნაკეცების წამოკრეფვის, მაგრამ უცებ წითელი აინთო, ვამუხრუჭებთ, თუმცა გადავლახავთ ამ გადასასვლელსაც და ისევ აინთება მწვანე, მოგვიანებით კი ეს მწვანე შუქი ბოლომდე გვიერთგულებს. ქუსლებიდან კოჭებზე გადავდივარ, წათ ირგვლივ, როგორც მოედნის ირგვლივ, რამდენიმე წრეს ვარტყამ, და საბოლოოდ იქვე ვაწყდები მტკივან ხრტილს, რომელიც დაჭერობანას მეთამაშება. მეგანის მოულოდნელად და გაეცინა, რადგან უეცრად გააშიშვლა თეთრი კბილები და ერთ-ერთი მათგანით ჩემს კბილებს დაეჯახა. ქრუანტელმა გამიელვა ხერხემლის გასწვრივ. ხრტილი ჯოისტიკივით მოქმედებდა. მარჯვნივ მოვატრიალებდი – ტაქსი მარჯვნივ უხვევდა, ზემოთ ვწევდი – სიჩქარეს უმატებდა.

უკანა სავარძლების ტყავი იყო შავი და ცივი, მეგანის კანი – უფერული და ცხელი. მაგრამ იმისდა მიხედვით, თუ როგორ ვაცხელებდით სავარძლებს, ჩვენი კანის სუნი სავარძლების საშინელ სუნს ერეოდა.

თითებს ალბათ უმეტესი ყურადღება დავუთმე. ჯერ დავუთვალე, მერე თითოეულს რიგრიგობით ვკიდებდი ხელს რამდენიმე წამის განმავლობაში. ვამოწმებდი, შეხორცებები ხომ არ იყო, მაგრამ არ აღმოჩნდა. არ ვიცი რატომ, მაგრამ ყველაზე მეტად მსიამოვნებდა ფრჩხილები და თითების რბილი ბალიშები. ნაზად ვუღუნავდი თითებს ხან ერთ, ხან მეორე მხარეს, და საბოლოოდ ყველა ერთად მოვმუჭე ხურდასავით.

გადავიხადე მგზავრობის ფული, და როგორც კი გადმოვედით, ჩვენი ადგილი დაიკავა გაძვალტყავებული ტრანსვისტიტების წყვილმა, ლატექსის ტრუსებში და ვარდისფერ პარიკებში.

– კლუბი, რომელიც მინდა განახო, უმაგრესია, – მასნაელებლის ხმით ამიხსნა მეგანმა. – ჩვეულებრივ იქ რამდენიმე დღით ადრე რეკავ, რომ მიმსვლელთა სიაში ჩაგწერონ. ჩვენ რა თქმა უნდა, სიაში არ ვართ, და რაიმე უნდა მოვიფიქროთ, რომ იქ აღმოვჩნდეთ. დამელოდე – მითხრა, და მე თავი მის გონებრივად ჩამორჩენილ ძმად ვიგრძენი, სალამოზე წასვლისას რომ არ იციან, ვის დაუტოვონ ხოლმე.

ცალი თვალით ვხედავდი, როგორ ეტმასნებოდა მეკარეს, როგორ უდუნებდა სიფხიზლეს, რომ უცებ ბურთი გაეტანა მის ფეხებშუა, დიდი ძალისხმევის გარეშე, ფაქტობრივად



მოუნდომებლად, ვირტუოზულად... რა სირცხვილია მეკარისათვის ასეთი ძუკნის ასე გატარება.

კლუბი ჰგავდა უზარმაზარ ფარვანას და ატმოსფერო მაგონებდა ოპიუმის მოსაწევ ოთახს. ჭერიდან ჩამოძონძილი იყო გამჭირვალე ქსოვილების შავი, კვადრატული ნაჭრები, რომლებიც ოთახს სათავსოებად ყოფდნენ.

თავისუფალი ადგილები არ იყო, ასე რომ ადამიანებზე და დინამიურ სმაზე დასაკვირვებლად იდეალური პლაცდარმი დავიკავეთ ბარის პირდაპირ. ოღონდ ისეთი, ამავე დროს ჩვენც რომ გამოსაჩენნი ვყოფილიყავით, რასაც – როგორც მგონია – მეგანისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

– უცქირე, ყველანი როგორ ფუსფუსებენ, ცდილობენ თავი მსახიობებად ან გავლენიან ბიზნესმენებად მოგვაჩვენონ, კონტაქტებს ეძებენ, შენ – სხვათა შორის – დღეს ფინანსისტს უფრო ჰგავხარ, ვიდრე პოეტს, რაც მომწონს კიდეც, – დაამატა, რომ ცოტა შეემსუქებინა თავისი სიბრაზე. – იმ წულაჭ გოგოს რამდენიმეათასიანი ფეხსაცმელი აცვია.

– რომელს, აი იმას, მაგარი ტრაკით?

– დაგევასა... – უფრო მტკიცებით თქვა, ვიდრე მკითხა. – ეჭვიანი არა ვარ, ეჭვიანობა ძააალიან (ინფანტილურად გაწელილი „ა") ცუდი თვისებაა.

ბარმენი მშრალი კანონის დროის შესაბამისად იყო ჩაცმული: ძველ ყაიდაზე გაპრიალებული ფეხსაცმელები, ძალიან მოკლე ველვეტის შარვალი, ნაბლისფერი მატყლის ჯემპრი და აჭიმები. თმაზე წასმული გელი. ორი ორმოცდათი გრამი სუფთა არაყი შევუკვეთე, მან კი ისე დალმიჭა სიფათი, თითქოს ძღნერში ჩადგა ფეხი და ახლა თავისი ფეხსაცმლის ძირებს ათვალიერებდა.

– არ ვასხამთ სუფთა არაყს.

– რატომ?

– ასეთი წესები გვაქვს – მორჩა საუბარს და მჟულაჭ გოგოს დაუწყო მომსახურება.

მეგანთან ხელცარიელი დავბრუნდი და აქ გამეფებულ წესებზე ვუთხარი. ამჯერად იგი მიეიდა ბარმენთან, კისერზე ხელი ისე მოხვია, თითქოს ასლიტრიან ლუდს ხსნიდა, და დიდხანს რაღაცას ჩასჩურჩულებდა ყურში. როგორც კი მორჩა, ბარმენმა ხელი სტაცა „სმირნოვის" ბოთლს და ისე მაღლა ააგდო, რომ ბოთლმა ჰაერში ორი სრული ბრუნის გაკეთება მოასწრო, რის შემდეგაც რაღაც უცნაური მოძრაობით სირჩები შეავსო და ორი თითი მაჩვენა, გამარჯვების ჟესტის ამოყირავებული ვარიანტი.

– რა უთხარი მას?

– სიმართლე. რომ ამ ბარში ყველაზე მაგარი ტიპი ხარ. ძალიან ცნობილი მწერალი.

ვერ ვიჯერებდი, რომ ამდაგვარი ტექსტი საკმარისი აღმოჩნდა, რომ დილის ოთხ საათამდე მხოლოდ სუფთა არაყი გვესვა.

მთელი ამ ხნის განმაელობაში მეგანს ლაბადა არ გაუხდია. უნდოდა ისეთი შესახედაობა ჰქონოდა, თითქოს აქ მხოლოდ ერთი წუთით შემოირბინა. ეცეკვაედით – თავისთავად ცხადია, კლუბში მიღებული წესების დარღვევით – ბლუზის სევდიან მონაკვეთებში, ხოლო არქიტექტორი გოგო, როცა ჩემი ყელის ლოკვით არ იყო დაკავებული, ზუსტად იმას ღიღინებდა, რაც დინამიკებიდან ისმოდა, ოღონდ ბევრად უფრო უკეთ. თუმცა თუ რამდენიმე ჭიქა არაყსა და მის ტრაკზე დადებულ ჩემ ხელს გავითვალისწინებთ, ალბათ მიუკერძოებელი ვერ ვიქნებოდი.

ეტყობა ვისაც სავიზიტო ბარათების გაცვლა უნდოდა, ყველამ უკვე მოითავა ეს საქმე, ვინაიდან მხიარულება ნელ-ნელა ჩანყნარდა. ვენტილატორიც ბარის თავზე უფრო ნელა ტრიალებდა. ფარვანა ძლივს ამოძრავებდა ფრთებს.

ამოვხვეტე ჯიბიდან ბოლო ასი დოლარი, მეტიც – ას ოცი, მიმტანს გავუწოდე და განვუცხადე:

– არასოდეს ვიტოვებ ხურდას, ასეთი წესი მაქვს. ამის გაგონებაზე მეგანმა, წყალობის ჟესტად, ორმოცდაათიანი ამოიღო და ბანკნოტებით სავსე მუშის ყუთში ჩატენა.

– გინდა, განახებ ჩემს სტუდიას? – მკითხა, და ლორწოვანი მზერა გაუგზავნა ტიპს, რომელიც ჩვენი გასვლის შემდეგ ბარის კარს კეტავდა.

სტუდია სამი სართულით მაღლა იყო განთავსებული. ეს იყო სულ მცირე ორასმეტრიანი ოთახი დიდი ფანჯრებით და მაგიდების რამდენიმე რიგით, ზედ დაწყობილი მუყაოსა და მუშის მაკეტებით. თვალის ერთი შევლებით დაახლოებით რამდენიმე ათეული სამუშაო ადგილი. ერთ-ერთი მაგიდის ბოლოს მსუქანი კაცი იჯდა და გარყვნილი ადამიანის მზერით მისჩერებოდა საკუთარი ლეპტოპის ეკრანს. სულაც არ გაჰკვირვებია, რომ უეცრად, დილის ოთხ საათზე, მთვრალი მეგანი ასევე მთვრალ და მასზე აშკარად ასაკოვან ტიპთან ერთად გაეძრო აქ. თავის პროექტში ჩაფლულმა, გოგოს მისალმებას ლურჯი ტუჩების უხმო მოძრაობით უპასუხა.

– ეს კი ჩემი სამეფოა – ახმიანდა და ნაზად დაატყაპუნა ლეპტოპზე, რომელთანაც დღეში რამდენიმე საათს ატარებდა.

რაღაცის ძებნას შეუდგა, თან მაგიდას დროებით ანესრიგებდა, ალაგებდა ქაღალდებს, საქაღალდეებს, ფანქრებს, ფურცლავდა წიგნს დამაინტრიგებელი სახელწოდებით, რომელიც დაახლოებით შეიძლება ითარგმნოს როგორც „რელიგიური გამოცდილების ესთეტიკური განზომილება", ბოლოს როგორც იქნა შეებით ამოისუნთქა, A4 ფორმატის ფურცელი გამომინოდა და განაცხადა:

– ეს დღეს გავაკეთე.

შავ-თეთრი ნახაზი წარმოადგენდა ცამეტ ხაზს – განგებ დავთვალე, რომ ფარული არსი მეპოვა – ერთმანეთთან გადაკვეთილს. ზოგიერთი მათგანი იყო სრულიად სწორი, ზოგი კი დატეხილი, სიგრძის სამ მეოთხედში. მას სხვას ვერაფერს შევადარებდი, გარდა ახლადგათიშულ ეკრანზე დარჩენილი გამოსახულებისა ძველისძველ ვინდოუსებში.

– სულ მუდამ პრობლემა მაქვს ამ მოწყვლად ხაზთან, რომელიც ნაპირისკენ გარბის – მეგანმა მას ნელა გააყოლა თითი, და თითი ისე თრთოდა, თითქოს სამართებლის პირზე მოძრაობდა. – თუ გინდა, შეგიძლია დაიტოვო სამახსოვროდ...

ამ დროს უკვე ჩემს ნიუ-იორკელ ნაცნობებთან დაბრუნება აღარ შედიოდა თამაშის წესებში.

– შემიძლია შენთან დავრჩე?

– ტაქსი თუ მეტრო? მეტროთი ერთი საათი იქნება.

ეს ფრაზა უკვე სადღაც მსმენია...

ტაქსით მივდივართ, მაგრამ ამჯერად უკვე აღარ ვარ სენსიმოტორული. ჯიბეში მიდევს ეს მისი ხაზები, მივყვები მათ, როგორც რუკას, რომელიც ძილამდე მიმიყვანს, ნშვიდ ძილამდე ნებისმიერ ადგილას. მუხლებზე ვუდებ თავს, და ვიცი, რომ ეს არ არის ჩემი მამაკაცურობის სასარგებლოდ, საერთოდ რაიმეს სასარგებლოდ, წითელი და მწვანე ერთმანეთს ერევა ტაქსის მინებში და აღწევს როგორც მკრთალი ნათება ვეება სამყაროსი. როლები სწრაფად იცვლება, ამჯერად მისი ხელი იკვლევს ჩემი თმის ბოლქვებს – არიან თუ არა უკვე მომწიფებულები და შეუძლიათ თუ არა დაუსჯელად ამოცვივდნენ... ამჯერად მეგანი აკონტროლებს გზას, და ყველაფერი მთლად რიგზე იქნებოდა... რომ არა საშინელი ძალვა შარდის ბუშტის. ვერ შევძლებ დიდხანს თანასწორობის შენარჩუნებას, ვერ შევძლებ საკმაოდ დიდხანს მივყვებოდე ერთ მეტაფორას, რომლითაც ოდესღაც მთელი ღამე მიფრინავდი, არის მოთხოვნა ახალი – რაც შეიძლება სწრაფად, და სასურველია, მუქთად მივაღწიო ამ გოგოს სახლამდე, რადგან ახლა ეს ჩემი სახლიც იქნება, თუნდაც ცხოვრობდეს იქ ასობით ტრანსვესტიტი მოწყვლადი ხაზების ტატუაჟით. მაგონდება შვეტლიცკის ერთ-ერთი საყვარელი ფრაგმენტი: „ტაქსი, ვერტფრენი, ტანკი, წყალქვეშა ნავი, ანდა თუნდაც ხიდქვეშა ნავი"... უკვე ბრუკლინის ხიდია, ჯობს, ახლა თავს მკვდრად მოვაჩვენებ. მეგანი ტაქსის მძღოლს აჩქარებს: „სანამ პულავსკის ხიდს გადახვალთ, მარჯვნივ შეუხვიეთ". ამის დედაც, ჯერ კოსტიუშკო, ახლა კი პულავსკი, რას იტყოდა პულავსკი ამ ხაზებზე? ვინ იცის, იქნებ მათში ბატალიონებისთვის არადამახასიათებელი ფუფუნებაც კი დაენახა. აქ... არა, აქ კი არა – აქ! მოვედით. ვუხდი ფულს, რომელიც არ მაქვს. მეგანი ამატებს ორ დოლარს. სრული მყუდროება, წყვდიადი, კანკალი და ახალი სახლი.

საცხოვრებელი ადგილი ორ გადაბმულ ბირთვს ჰგავდა, მოგრძო დერეფნითა და ორი ოთახით, რომელთაგანაც დასავლეთის მხარე ჩვენ გვეკუთვნოდა, აღმოსავლეთის მხარე კი მის კორეელ დაქალს, რომელსაც სიყვარულით რეგულარულად სცემდა საყვარელი, რომელიც თავის ცოლს მასთან მუდმივად ღალატობდა.

სწრაფად მივიღე შხაპი და თავი ახალგაზრდა ღმერთად ვიგრძენი, კვერცხის ცილასავით თეთრი რომ გამოვიდა წყლიდან და დაინახა, რომ ფეხები აქვს. მეგანისკენ ამ სველი ფეხებით მივდივარ. ვიფარავ სარცხვინელს და ვეკითხები, ხომ არა აქვს ჩემთვის პიჟამა. სიცილი. ნუთუ სიტყვა „პიჟამა" ინგლისურადაც ასე სასაცილოა?

– დანექი, მე შემიძლია ვიყო შენი პიჟამა – გავიგონე და შუქი ჩავაქრე.

ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე პორნოს კლასიკური სავარჯიშოები უშეცდომოდ შევასრულე. ჩემი საავტორო წვლილი იმაში მდგომარეობდა, რომ მგრძნობიარე ვიყავი, და არ მივმართავდი მას სიტყვით „ბოზო". ბლანტ ნაცრისფერ შუქში, რომელიც ჟალუზებიდან იჭრებოდა, მეგანი გამოიყურებოდა სხვაგვარად, ვიდრე დღისით, ჰქონდა ფართო და ოდნავ მომრგვალებული ბეჭები, როგორც მოდელებს ომამდელ ფოტოებში, მკერდი კი საოცრად პატარა, წვეტიანი, საშინარად ძნელი. რაღა არ ვცადე, რომ ამ ორ ძუძუსთავს მოვფერებოდი, რა საოცრება არ ჩავიდინე, რათა ეგრძნოთ თავიანთი თავი, რათა ერწმუნათ თავიანთი მიმზიდველობა. ვერასოდეს გავიგებ, რამდენად მოვახერხე ეს. როდესაც საწოლთან მდგარი კარადის მეოთხეჯერ შეღების შემდეგ აღმოჩნდა, რომ პრეზერვატივი აღარ დარჩა, მელოდრამატულმა სევდამ დაისადგურა ჩვენში. საბედნიეროდ, მოკლე ხნით, რადგან გამახსენდა, რომ ჯიბეში უნდა მქონოდა მიხალის ნაჩუქარი. ნერვიულად დავეძებნე შარვალში. როგორც იქნა არის, არის: კვადრატული შეკვრა წარწერით „ნიუ-იორკი".

მართლაც რომ შორს ჭვრეტს ბირთვული ფიზიკოსის გონება.

– ნამი, გავაპოლითი – ამ ყველაფრის შემდეგ ჩაილაპარაკა მეგანმა – და შიშველ ტანზე ლაბადა წამოიცვა.

ძალიან მოდუნებული ვიყავი საიმისოდ, რომ ტონძების კომპლექტში გავხვეულიყავი, ამიტომ მარტო შარვალი ამოვიცვი, წელზევით კი ქალის ბამბის ვიწრო ჯემპრში შევეკვეხე, რომელიც სკამზე ვიპოვე. აბსოლუტურად პიდარასტულად გამოვიყურებოდი და ეს სასაცილო მომეჩვენა.

შენობის შესასვლელთან, აქა-იქ სოკოებით დაფარულ ცივ კიბეზე მეგანს გვერდით მივუჯექი. სრული სიჩუმე სუფევდა, თუ არ ჩავთვლით სირენების ყიჟინს სადღაც ისთ რივერის მეორე მხარეს. არქიტექტორმა გოგომ ჯანსაღი ორგანული თუთუნი „ამერიკან სპირიტი" ამოიღო და გახვევა დაიწყო. გაუჭირდა, ორი ქაღალდი გააფუჭა, მერე ქალაბიჭას სიამაყით გაირჭო პირში რაღაც პაპიროსის მსგავსი. რამდენიმე ნაფაზის შემდეგ მომეკრა, და თუმცა სიტყვაც არ დაუძრავს, ვიცოდი, რომ მოფერებას ითხოვდა.

– უკვე კაი ხანია თავი ასე კარგად არ მიგრძვნია, – აღიარა მან.

და აქვე დასძინა, რომ საკუთარი გულწრფელობის შეეშინდა.

– ევროპელი ბიჭები მაინც ბევრად უფრო მაგრები არიან.

ერთი საათით საწოლს დავუბრუნდით და თავი ისე გვეჭირა, თითქოს გვეძინა. დაახლოებით რვაზე ავდექი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონი ვთხოვე, ვუთხარი, რომ ერთი კვირით მივდივარ, რადგან რამდენიმე საავტორო საღამო მაქვს ბოსტონსა და ფილადელფიაში, მაგრამ რომ კიდევ გამოვივლი ნიუ-იორკში და პოლონეთში გაფრენამდე აქ კიდევ რამდენიმე დღეს გავატარებ. და მაშინ უეჭველად ვინახულებ მას.

მინდოდა დამეჯერა, რომ გამომშვიდობებას დასასრული არ ჰქონდა. თან სულაც არ მინდოდა ასე დამეწერა. ხელებით, ტუჩებით, ნესტოებით ვკრიფავდი მას, რაც მასზე დავტოვე. «გადი უკვე, ნუ გააგრძელებ, რადგან სასაცილო გახდები" – ვეუბნებოდი საკუთარ თავს ფიქრებში.

– შემატყობინე, როგორც... – მისი უკანასკნელი სიტყვები ოთახში დარჩა, ლატექსის, მწნილის, ძმრის, პაპიროსის და უძილო ძილის სუნთან ერთად.

არადა სინამდვილეში მთელი ამ კვირის განმავლობაში ბანკს ვძარცვავდი, ვაბრუებდი დაცვას ჩემი წიგნით, მერე ვკლავდი ყველას, ვინც

სიფათს მიშვერდა და კონცენტრირების საშუალე-ბას არ მაძლევდა. საბოლოოდ, როდესაც სეიფს ვხსნიდი, იქ სულმუდამ ბანკნოტებთან ჩახუტებული და სიცივისგან აკანკალებული შეგანი იჯდა.

არადა სინამდვილეში, რამდენადაც შესაძლე-ბელი იყო, ვწერდი წერილებს სულ უფრო იშვიათ-ად და მოკლედ, რადგან ვშიშობდი – მახსოვდა ის დილა ბრუკლინში – რომ გამიჭირდებოდა აქედან გამოძრომა, რომ ამ არქიტექტორ გოგოს შეეძ-ლო ვერ გაეთვალა სიმძიმე... და მთელი ეს კონ-სტრუქცია ხაზებისა მას თავში დაეცემოდა, მე კი ვერ შევძლებდი მას დავეხმარებოდი.

არადა სინამდვილეში აღფრთოვანებუ-ლი ვიყავი იმ ბავშვივით, რომელმაც მიიღო ის საჩუქარი, რომელზეც ოცნებობდა, და მიუხე-დავად იმისა რომ დაბადების დღის მხიარულება გრძელდება, იგი მასში მხოლოდ ფიზიკურად მონაწილეობს, რადგან ყველა მისი ფიქრი და გრძნობა სხვა ოთახშია, საჩუქართან, მთელი მისი ენერგია, რომელიც იდება შემდგომ თამაშებსა და კონკურსებში, შორიდან მოდის. განშორების კონ-ტროლირებით გამოწვეული მაზოხიზმი...

განვლო კვირამ და განვლო წელიწადმა.

ანუ წელიწადმა ერთ კვირაში განვლო და პირიქით, ყოველმა დღემ 52 დღე გასტანა. უსასრულობისკენ მიმავალი ერთი საათი – ორ დღეზე ცოტა მეტი. ხოლო წელიწადი წააგავდა ზამთრის სცენოგრაფიის შეცვლას ნამდვილი ზამთ-რით. ბერლინური ზამთარი იტალიურმა ჩაანაცვლა. ამ ამბის წერა იტალიაში, ალპებში მდებარე სას-ტუმროში დავიწყე, და თუკი მომიხერხდება, დავას-რულებ შავ ვანსეზე, ბიბლიოთეკასა და ჩარლოტენ-ბურგის ტრანსვესტიტების კლუბს შორის, სადაც ბარმენი ჯოგო სარა ყოველ ჯერზე შემდეგნაირად მაცდუნებს: რიტმულად ატარებს თითს ლუდის ბოთლის ყელზე, თავს ინონებს პორმონებით გამოზ-რდილი მკერდით, ასრულებს ვეფხვის ძუს მთელ რიგ მოძრაობებს და გულს იჯერებს იატაკზე, კედლებსა და ჭერზე თავისი ანარეკლით, თავისი მულტიპლიკაციური გარყვნილობით, დროდადრო იღრინება გროტესკული „რრრ..."-თი. იგი დაიბადა და გაიზარდა კანადაში, სწავლობდა ხელოვნების ისტორიას, ნახევარი მსოფლიო მოინახუ-ლა, რომის პაპივით სხვადასხვა ენაზე მეტყველებს და არ მალავს იმ ფაქტს, რომ სწამს მხოლოდ ცხოველური საწყისი. ბოლოს წყნარად მომხსნა ნიშნობის ბეჭედი და მხოლოდ მაშინ დამიბრუნა, როდე-საც ერთმანეთს ვემშვიდობებოდით. მე ვფიქრობ რომ იგი კარგი ადამიანია.

წელიწადი და კვირა. სისხლის კვირა და ქაღალდების წელი-წადი, ბინტის შეკვრა. ანდა ტკივილის წელიწადი და კვირა შეგრო-ვებისა ჩანაწერების, ბარათების, მიჯაჭვულობა საკუთარ სხეულ-თან, ტრაკთან, მაგრამ ძირითადად სახესთან, შუბლთან და ენასთან. დეკორაციის შეცვლამ შვიდი დღე გასტანა, მაგრამ რეკვიზიტები მთელი წელი რჩებოდნენ. ამ წლის განმავლობაში ადამიანები კვდებოდნენ და იბადებოდნენ, ერთნი სიყვარულს პოულობდნენ, სხვები სიყვარულის ძებნაში სქესს იცვლიდნენ. ზოგი ვითარდე-ბოდა, ზოგი შინაგანად მრავლდებოდა, და საბოლოოდ განიავდნენ, რადგან საკუთარ თავში მეტად ბევრი ფანჯარა ჰქონდათ გაღე-ბული, პროცესორი კი ერთბირთვიანი იყო. კვირა და წელიწადი, როგორც საათის ისრები – რთულია იმის თქმა, რომელი რომელს ამოძრავებს, მოძრაობენ ერთდროულად, ხან უახლოვდებიან ერთ-მანეთს და ხან შორდებიან. კვირა და წელიწადი, როგორც საათის ზამბარა, რომელიც გადატყდომამდეც იზნიქება და დრო ჩერდება. ერთი წელიწადია ამ ზამბარის ენერგია მქონდა. კინეტიკური ენერგიის, ვნების, კავშნის. დუმილის.

*პოლონურიდან თარგმნა რაჟდენ ჩიხორიამ*



# P 2 პოეზია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აუტანელი ხმაურით ვენარცხები გოგა კვირტიას პრიალა „ზეემვეს“
(2.8-იანი ძრავა, ავტომატიკა, 2007 წლის გამოშვება, ექიმის ნახმარი)
პარპრიზის ნამსხვრევები ბელურების გუნდივით იშლება.
ბოდიში, გოგა!

**პაატა შამუგია**

დღევანდელი დღე სიგიჟეა გაჯერებული ტკივილებით...
მას არაფერი ესაქმება ჩემს სიყვარულთან,
ბოლო ხანებში ინფინიტივს რომ დაემსგავსა, –
თავისთავის არის,
არ იღლება,
არ იცვლება,
არ ითხოვს შველას.

**ქეთი თუთბერიძე**

გადავიდნენ და მივხვდი:
საჰაერო ბუშტი იყო ჩემი მეზობელი,
სადღესასწაულოდ გაშვებული
გახეთქილი საჰაერო ბუშტი.

**კატო ჯავახიშვილი**

მეშმრალება მინდოდა სხეულის
და სველმა ქარმა კაბა აშიქანა საქანელასავით მორცხვად...
და მომრწყა, და... მომწყდა!

**მარიკა ყორყოლიანი**

*პაატა შამუგია*

## დაუსრულებელი სუიციდი



ბოლო დროს ხშირად წარმოვიდგენ ჩემს თვითმკვლელობას.
ვდგები საწოლიდან, გავდივარ აივანზე
და თავით ვეშვები მეშვიდე სართულიდან.
აუტანელი ხმაურით ვენარცხები გოგა კვირტიას პრიალა „ბეემვეს"
(2.8-იანი ძრავა, ავტომატიკა, 2007 წლის გამოშვება, ექიმის ნახმარი)
პარპრიზის ნამსხვრევები ბელურების გუნდივით იშლება.
ბოდიში, გოგა!
ხმაურზე სტუდქალაქელები აივნებზე გამოდგებიან,
შეიცხადებენ.
– მგონი, ვიღაც გადმოვარდა.
– ნაგავს გადმოყრიდა ვინმე, – დაამშვიდებს ლიკა ახილაძე.
(ნაგავი შენ ხარ, – ვპასუხობ მე – მკვდარი)
პატრული მოდის. ყვითელი ლენტით შემოღობავს ტრაგედიის ადგილს.
– უი, ის ყოფილა,
ლექსებს რომ წერდა და
სულ სახლში რომ იყო მუდოსავით ჩაკეტილი.
– იაღოველი იყოო.
– სატანისტი ყოფილა, – შეუსწორებს მეორე მეზობელი, გურამ სულავა.
– კატებს ახრჩობდა სასაფლაოზე, ჩემი თვალით ვნახე.
– ვაი თქვენს პატრონს, – ჩაიჩურჩულებს თამუნა თვალაბეიშვილი (მადლობა, თამო).
– მაინც ცოდოა, ახალგაზრდა იყო, – შეთანხმდებიან საბოლოოდ.
„დღეს ახალგაზრდა პოეტმა, პაატა შამუგიამ, თვითმკვლელობა ჩაიდინა.
იგი პრემია „საბას" მფლობელი და ახალგაზრდებში პოპულარული ავტორი იყო.
„კურიერი" ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და უერთდება..."
შემდეგ უკვე კოლეგების მოგონებები:
(და რატომღაც, რომ ვერ მიტანდნენ,
ის კოლეგები განსაკუთრებით გამოიჩენენ თავს,
ან ისინი, საერთოდ რომ არ ვიცნობდი).
„იგი ისეთი სათუთი იყო"...
„მეტსაც გეტყვით"...
„პირდაპირ ვაცხადებ: ის იყო ნოვატორი!"...
„მის მზერაშიც კი პოეტი მოსჩანდა, ჭეშმარიტი პოეტი"...
„იცით, სანამ თავს მოიკლავდა, დამირეკა და"...
„ნონკონფორმისტი გახლდათ... მმმმ... დიახ!"

ასეთი დასასრულის წარმოდგენის შემდეგ,
მყისიერად გადავიფიქრებ ხოლმე
ზედმიწევნით ლამაზად და ოსტატურად ჩაფიქრებულ თვითმკვლელობას.

არადა, ბოლო დროს მართლაც ხშირად წარმოვიდგენ:
ვდგები საწოლიდან, გავდივარ აივანზე
და თავით ვეშვები მეშვიდე სართულიდან.

*ქეთი თუთბერიძე*

## ადოლფი და ევა



რა უსარგებლო ლოცვას ვამბობთ ყოველ საღამოს
ან დილის ექვსზე ფერფლისფერ შუქში!
ეს იგივეა მოაპნიო ხუთი მარცვალი ნაგვალევარ გზაზე,
მიტოვებული სახლის კართან ითხოვო შველა.
ჟელატინივით იგლისება სიტყვები პირში, –
„ჰაშემ-იზბორეხ."
რა საშიშია მტრების ენა,
თითქოს ორმოცი დანა გედოს ისე დაგსერავს,
თითქოს ორასჯერ მოექნიოთ სათიბში ცელი.

ნუ ბორგავ ღამით!
ნუ გაშინებს ქარის ხმაური,
ნვეთოვანივით რომ დაგიდგეს, – გაბერებს, გწამლავს.
გესმის, სამხრეთით ასისინდნენ რკინის სახლები,
მიმართულება ფლოზენბურგი,
ან კიდევ სადღაც,
ჩრდილოეთით ან უფრო ახლოს...
ისე მიქრიან, ღამისაა მოწყდნენ ლიანდაგს.
დიდი ამბავი, თუ თაგვებივით გაისრისა ათასი კაცი,
მოჩვარულ მკერდზე მიტმასნილი თოთო ბავშვები,
ხის მერქანივით სქელთმიანი ნითური ქალი,
ჯერ კიდევ გუშინ სახლის ნინ რომ ავლებდა სარეცხს,
ქაფიან ხელებს იმშრალებდა გამხდარ თეძოზე.

ჩვენ კი რა გვიჭირს,
ციანიდივით ღრძილებშორის გვიდევს სინდისი,
ნახევარღმერთი! ბაგის გარეშე, ჯვრის გარეშე, სიკვდილის შიშით!
ჯერ ცოცხალი ხარ,
უსიყვარულო, ავადმყოფი, ნელში მოხრილი,
ამ ჩემი ბერნი საშეილოსნოს სიძვას დარაჯობ,
რომელიც ღამით ისე ნვეთავს,
თითქოს ცვილია, დნობას რომ იწყებს
და სულ სხვა სახის ქანდაკებად გადაიქცევა.
სიამეს არ ვგრძნობთ, უბრალოდ ყურში ჩაგისახლდი
და იქ ვჩურჩულებ.
სიტყვებს ვმარცვლავ – შელოცვაა,
ზოგჯერ ნყევლას გავს. მასში შიშები ყვავილობენ,
ნაყოფს თუ ისხამს ეს ნიშნავს, რომ ძილი დაკარგე
და ეგ შანდალი ბნელ ოთახში ჩრდილებს იტაცებს.

აი, ასე ხარ მთელი ღამე, ტკივილსაც იტან,
სახსრებს რომ გიღრღნის, თითებს გიხრავს და მეც იქვე ვარ,
მიმაგრებული ქოლოსფერი პეპლებით მკერდზე,
გაბრუებული ძილისაგან,
ფართე გუგებით.
შენ მეკითხები: „რომელი მხრიდან შემოვიდა სიცივე სახლში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ მოათრია?" – მე მხრებს ვიჩეჩავ.
სინამდვილეში ის ღრიჭოა, ჩვენი ქიმერა-სიყვარული რომ იმზირება,
ალმასისებრი ბზინვარების თვალებს რომ იფშვნეტს, ჩიჩქნის კლანჭებით.
და მე გპასუხობ, ეს ნაპრალი ცოტა ხნის წინათ ამოავსეს კირით და მუშით
მათ, შიმშილისგან რომ იკვნეტენ ფეხის ცერა თითს,
მათ, მხოლოდ მუქზე რომ ხედავენ თავის არყოფნას,
მათ, თვალები რომ ამოევსოთ მყრალი გვამებით,
მათ, ვისაც სძულხარ.

## სიყვარული

ბლანტი წყალია,
ფსკერზე ურჩხულებს მშვიდად სძინავთ,
ვერ გააღვიძებ!
მათი სიზმრები ლურჯია და ნარინჯისფერი.
ხოლო ნაპირთან პირანიები ბინადრობენ,
წამში ყლაპავენ ყველაფერ ცოცხალს,
ძვლებსაც კი ხრავენ.
თითის ჩაყოფა არც გაბედო,
დაუფიქრებლად მოგაკვნეტენ.
მათ თავიანთი ჩვეულება აქვთ,
ვერ იტანენ, როცა ვინმე პირობას არღვევს,
თუკი ერთხელ მოგთხოვეს სისხლი,
მთელი ცხოვრება ვერ დაეხსნები.
ამ ნაპირებსაც ვერ მოშორდები,
ყოველ წელიწადს უნდა იარო.
ნეტა იცოდე, როგორ ხარბად შეექცევიან
ამ უვარგის სისხლს გენეტიკური შიზოფრენიით,
გენეტიკური სიმშვიდით და მცირეოდენი ებრაული წარმომავლობით.
ისე ტკბებიან, თითქოს მართლაც მესიის სისხლში ბანაობდნენ.
ესეც მათი ზიარება.
ესეც მათი უჩვეულო რელიგია.
მერე იტყვიან სექტააო,
არადა მათთვის გადარჩენის ჭეშმარიტი გზა ასეთია,
ველარაფრით გადაარწმუნებ.
ზოგჯერ ძნელია მეც დამარწმუნო მათ სიმცდარეში.
როდესაც კაბას მუხლამდე ვიწევ,
ათასობით პირანია ჩემსკენ მოიწევს,
ფეხზე რომ ვიხდი პირებს აღებენ – მათი ხახა უფსკრულია,
თუ შიგ თამამად ჩაიხედავ, ისიც გიყურებს.
თვალს ველარ მოწყვეტ მათ მენამულ, დამშეულ პირებს.
ნეტავ განახა, როგორ ვვარდები ამ უფსკრულში ფეხისწვერებით.
ათივე თითი მათი წმინდა გრაალია.
აი, დანაყრდნენ. ფსკერზე მთვლემარე ურჩხულების
ნარინჯისფერი წარმოსახვები გაცილებით უსაფრთხოა,
ვიდრე მათი შიმშილი და უგუნებობა,
ვიდრე მათი ნაცრისფერი ანარეკლი
მოკვდავის თვალში.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ვუდუ

დღევანდელი დღე გაცილებით ხანმოკლეა,
ვიდრე აქამდე.
ჰაერი მჭრელი ყინულია,
ხელები, როგორც ცხელი ლოდები...
რძე წვეთავს, სისხლი შერევია,
სულ დაუკარგავს სიტკბოება,
ფერიც ნასვლია. რამ გაახუნა?
რამ გამახსენა ეგ ამბავი?
მოურიდებლად რომ დადიან შიშები თმებში,
როგორც მატლები,
სლიპინა ტანით.
თუ შემომხედავ, გაგაყრიალებს.
რა პატარა ვარ, დაფლეთილი ნაჭრებით ტანზე
და რამდენიმე ქინძისთავი ფილტვების ნაცვლად.
თუ გაქრი – ხსნაა, რომელიც ახლა უნდა ინატრო,
ქინქლის ოდენა არსებად იქცე და სიტყვის ღრუში ჩაიკარგო
და ლუკმა-ლუკმა უნდა გყლაპოს ყველა ხმოვანმა.



დღევანდელი დღე გაცილებით ხანმოკლეა, ვიდრე აქამდე.
არ ვიცი, მსხვერპლად ვის შესწირავენ,
მაგრამ ვიღაცას მშვიდი ხმა აქვს და თვალებს ითხრის,
ვერ დაინახავს, ფაიფურივით რომ ეფშხვნება ათივე თითი,
ხელის მტევნები.

უხელოებო, მეც ხომ ერთ-ერთი თქვენთაგანი ვარ?!
მიმიღეთ, სიტყვას არ ამოვიღებ!
არც ერთ მხამს გემოს არ გავუგებ.
მე შემიძლია ვალიარო ყოველი სიზმრის უხამსი კადრი,
ყოველი ნერვი აბებივით გამოვიზოგო,
გაგიზიაროთ ჩემი ტანის უმანკოება,
ცხრა თვის მანძილზე წმინდანივით რომ უცხოვრია.
მე უკვე მზად ვარ გადავიქცე უსულო ჩრდილად,
ნახევარ ჩრდილად,
თითქმის ჩრდილად,
თითქმის უსულოდ,
ან ცოტა მეტად სულიერად, ვიდრე გუშინწინ.
დღევანდელი დღე სიგიჟეა გაყუჩებული ტკივილებით...
მას არაფერი ესაქმება ჩემს სიყვარულთან,
ბოლო ხანებში ინფინიტივს რომ დაემსგავსა, –
თავისთვის არის,
არ იუღლება,
არ იცვლება,
არ ითხოვს შველას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*კატო ჯავახიშვილი*

## შიმშილი

ადგა და მოშივდა.
ადგა და ნუხანდელი მწუთხე ღამე პირსაბანში გადმოაფურთხა.
ადგა და ვენებზე აყვავებული პიონები ნახშირიანი თითებით ამოიგლიჯა.
ნანემსარია.
მოდიოდნენ და მიდიოდნენ.
მიდიოდნენ და მოდიოდნენ.
იბადებოდნენ და კვდებოდნენ.
კვდებოდნენ და ცოცხლდებოდნენ.
ცოცხლდებოდნენ და საკუთარ სიცოცხლეს სხვისაზე ცვლიდნენ.
კვდებოდნენ და ნაცვალი სიცოცხლე ჭრელი სარეცხივით ეკიდა.
ქარი გაივლიდა და გამოივლიდა.
გამოივლიდა და გახამებული სიცოცხლის სუნს უკან გაიდევნებდა.
მივდევდით.
აყვავებული ხეები გვეგონა ჩვენ.
მწვანე ნუშივით ჩავღეჭავდით მოლოდინს და მივდევდით.
მარცხენა მხარეს რაღაც წიკწიკებდა.
კი არ ძგერდა, – წიკწიკებდა.
თოვლი გაივლიდა და გამოივლიდა.
გამოივლიდა და გაივლიდა.
ჭრელ სარეცხს გადაეფარებოდა და აკლდამების ღრიჭოებს ამოავსებდა.
ახლადგამომცხვარი პურის სუნი გვცემდა და მივდევდით.
ზამთრის ბუნაგებში ვიწექით და მივდევდით.
მივდევდით და ვჭამდით.
თოვლს.
მზე მოვიდოდა და ადნობდა.
თოვლს არა, – ჩვენ.
თაფლის სხეულებს ვუშვერდით და ვეწებებოდით.
ერთმანეთს – არა.
მზეს.
ერთმანეთში ვგუბდებოდით და ვივსებოდით.
ერთმანეთს ვჭამდით და ვერ ვძღებოდით.
გადავდიოდით და გადმოვდიოდით ნაპირებიდან.
წვიმა გაივლიდა და გამოივლიდა.
წვიმა გამოივლიდა და გაივლიდა.
გვშიოდა.
ვჭამდით და გვშიოდა.

იდგა და შიოდა.
ვიდექი და მშიოდა.
იდგნენ და შიოდათ.
ხორბლის ყანას ვარჩევდი.
ხორბლის ყანას ვარჩევდი.
მე.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ერთმანეთში შეწვნენ.
დაიკარგნენ და შეწვნენ.
თავები გადაიხოტრეს და შეწვნენ.
მინდვრები გადაძოვეს და შეწვნენ.
შეწვნენ და ბარდის წვნიანით გაბერილი მუცლები მიადეს ერთმანეთს.
კამეჩმა გაიარა და გადაძოვილი მინდვრები გაითრია.
კამეჩმა გაიარა და მაწონი შეადედეს გალმა.
კამეჩი გაიზლაზნა და დრო გააჩერა ვილაცამ.
ყველაზე ქალაქური ეზოს ჭიშკართან ვიჯექი და ვუთვალთვალებდი.
ყველაზე ქალაქური პროფილი მქონდა და ნეხვში ხელებამოვლებული
საკუთარი სახლის კედლებს ვლესავდი.
ყველაზე ქალაქური საუბარი მქონდა და შარდშიამოვლებული თმა
მხრებზე მეყარა.
ქალაქური ეზოს სიმყუდროვეში იწვნენ და ვერ მხედავდნენ.
კამეჩმა გამათრია და გამომათრია.
კამეჩმა გადამიარა და კუდიდან ჩამოვარდნილი ხარაბუზები
ენაზე უთქმელი სიტყვებივით მეყარა.
საკუთარი თავი გავწიე და შევძვერი.
ხარაბუზები გავატკაცუნე და შევძვერი.
ვერაფერი იგრძნეს.
ცხრა თვე იწვნენ და ცხრა თვე ველოდებოდი საკუთარ თავს.
ცხრა თვე ევსებოდათ ბარდის წვნიანით მუცლები და ცხრა თვე ვშიმშილობდი.
ცხრა თვე ისვამდნენ მუცელზე ხელს და ცხრა თვე ვყრუვდებოდი.
მომეწყინა.
ვფხიკე და ვფხიკე მათი მოთმინება.
ვფხიკე და ვფხიკე მათი სიყვარული.
ფრჩხილებით ვფხიკე და
ყველაზე უჟანგბადო დაბადებისთვის ვათხოვნინე დაბადება.
დამიჯერეს და ცხვირი მომაჭრეს.
სუნთქვა შემეკრა და იმათი მივიკერე.

აი, საფერფლე – ჩემი ყური,
კაკლის მურაბას აკეთებს ბებო –
ჩემი თვალების ჩრდილიდან გამოვედი და პური ჩავაწე.
ვფხიკე და ვფხიკე ეს თვალები.
ვფხიკე და ვფხიკე.

როგორღა უნდა მიღალატო,
როცა თავად ნაღალატევი ხარ ჩემგან და
როგორღა უნდა დაგიმთავრდე,
თუ ჯერ არც დავწყებულვარ და
როგორღა უნდა შემიყვარო,
თუ სიყვარული უკვე იმდენი წამოვიღე,
საჰაერო ბუშტივით გავიბერე
შენ კი ფრანი გგონივარ
და საკუთარ სხეულში მოკალათებულს
ხელს მიქნევ.
მე კი ამ დროს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა ადამიანური სისუსტის ქვევით ვდგავარ და
გადახოტრილ თავზე მინდვრებს ვიხატავ.

*ეს რანაირი მაჯლაჯუნა დაგესიზმრა*
*ჩემი ჩასახვის ღამით, დედა.*
*თვალები როგორ ვერ გადამალე,*
*მამაჩემისთვის შეგეხედა.*



**მეზობელი**

ჩემს მეზობელს ჩამოწელილი მკერდი ჰქონდა.
ოთხი შვილი ჰყავდა და ჩამოწელილი მკერდი ჰქონდა.
წითელი პომადა ესვა და ჩამოწელილი მკერდი ჰქონდა.
იჯდა და ეს საცოდავი ძუძუები ლამის წელამდე ჩამოსდიოდა.
აკრიფავდა ეს ჩემი მეზობელი ძუძუებს, გამსკდარი ბუშტებივით,
ჩაიტენიდა ეგრეთ წოდებულ ბიუსტჰალტერში,
ამოიოხრებდა და სიგარეტს ეზოშივე გააბოლებდა ხოლმე.
უფილტროს ეწეოდა და გაყვითლებული თითები ჰქონდა.
მთელი სამეზობლო მაგაზე ლაპარაკობდა.
ღამე სადღაც დაეთრევა, ეგ უნამუსო ეგაო.
ოთხი შვილი ყავს და სად ჯანდაბაში დაეთრევაო.
ეგ რა შვილების ღირსი იყოო.
თუ წესიერი ქალია, ქმარი სად ყავსო.
რვა წლის ვიყავი და თვალები ღილებივით მიმრგვალდებოდა, როცა ვხედავდი.
რვა წლის ვიყავი და მისი შვილების მეშინოდა.
ეგ რა შვილებს გაზრდიდა,
ნეტა ის თუ იცის ვისგან ეყოლაო.
მაგისი შვილებიც ისეთივე გაიზრდებიან, როგორიც თვითონააო.
ერთხელ, ჩემი მკერდჩამოწოლილი მეზობლის სახლში აღმოვჩნდი.
ბურთი ოთხშვილიანის აივანზე შეგვივარდა და აღმოვჩნდი.
ჩემი მეზობელი იჯდა და ტიროდა.
იჯდა და ტიროდა ჩემი მეზობელი.
ბურთი გახეთქილიყო და მეგონა მაგაზე ტიროდა.
ჩაჩუტული ძუძუებით ტიროდა ჩემი მეზობელი.
ყვითელ თითებს თვალებზე ისვამდა და ტიროდა.
რვა წლის ვიყავი და შემრცხვა.
მეგონა, გახეთქილ ბურთს ტიროდა ჩემი მეზობელი.
მერე გადავიდნენ.

გადავიდნენ და მივხვდი:
საჰაერო ბუშტი იყო ჩემი მეზობელი,
სადღესასწაულოდ გაშვებული
გახეთქილი საჰაერო ბუშტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*მარიკა ყორყოლიანი*

## კაბა

მეგონა კაბა მეცვა ვარდისფერი
და ამიტომ საუბარი საუბედუროდ გავაბი თოკივით.
და ვგავდი მარგალიტას მარგალიტის ყელსაბამით,
ან მარგოს, არგოს გემში შებმულს, ოღონდ.
შემშრალება მინდოდა სხეულის
და სველმა ქარმა კაბა ამიქანა საქანელასავით მორცხვად...
და მომრწყა, და... მომწყდა!
ჩამომკიდეთ უკუღმა – აღარ მინდა!
ჩამომკიდეთ წაღმა – აღარ მინდა!
ჩამომკიდეთ სასწორს – თანაბარი მინდა!
შენი თანაბარი მინდა,
ბანკის ანაბარი მინდა,
ანბანივით წავიკითხო მინდა – დედაენა! დედა, ენა.
ენა ავილოკე, კანი დავიხოკე, კერვა დამავიწყდა, და კაკუნიც მინყდა
და დაკემსილი ასოები დავიფარე შიშველ თვალებზე – ბუსავით.
და ნამთვრალევზე, ნატერფალებზე,
ცივ, ვარდისფერ კაბაში ცარცივით ცრიდა,
აღმა და დაღმა დაღვრილი წვიმდა.
და ღირდა ღვინის დაღვრა,
და დაღლილმა დაღდასმულმა კანმა,
დაისვენა კაბაზე კანკალით.

* * *



„კლოუნი" – თვალდახუჭული არარაობა.
„არენა" – შუაზე გაჭრილი საზამთროსავით
უკურკო კაკალი და
გაუთავებელი კაკანი, სასკოლო კარნახივით – მეზობლის.
„მიაგკი ზნაკ".
გამოტოვებული ზანზალაკი და
„Я", ია – მინდვრის ყვავილი, ოღონდ.
კაკაო, ყავისფერი უფერულება
და ვიტ-ამინი.
ამინ! დაიწეროს პირტიტველა და ტიტველა ხელებით...
ეძებეთ ძლომისგან დაღლილი თაობა
და თავზეგასული სუსხი და სხვაობა
ამ დღესა და სხვა დღეს შორის ჩამდგარი.
კაკლები გამსკდარი – ჩვენი თვალების...
გამტყდარი, თავსდამტყდარი უხეში ხე,
საშიში სიხშირით.
გინდა გადაფურცლო უკუღმა რვეული,
დაღლილი ხელისგან თვლემს ღამის ყვავილი,
ფქვავს საფქვავი ფქვილივით ფიქრებს
და ფრენისგან გაფითრებული სიმარტოვე გვითრევს.

ელექტრონული
ბიბლიოთეკა

P 3

# პროზა

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!
ჩემო ჩანგო, ეშხით არ გიჟღერია!
ჩემო გულო, ტკბილად არ გიძგერია,
რადგანც სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერია!..

მით ჯოჯოხეთს მარად გულით ვატარებ!
თუ მარტო ვარ, თავს მომაკვდავს ვადარებ,
თუ ხალხში ვარ, ძალით ღრუბელს ვადარებ
და მოწყენით ჩემზედ მტერს არ ვახარებ,
რომ არა სთქვან ჩემზედ: „რა ოხერია!"

ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!
ჩემო ჩანგო, ეშხით არ გიჟღერია!
ჩემო გულო, ტკბილად არ გიძგერია,
რადგანც სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერია!..

აღარა აქვს ბოლო ამ ჩემს სატანჯველს,
არვინ მაძლევს სანუგეშოდ ძმურად ხელს;
ჩემს შარბათში ნაღველს ვჭვრეტ და ვარდში გველს,
მისთვის ვწყევლი და ვემდური ამ სოფელს,
რომლისგანაც მე გზები ამერია!..

ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!
ჩემო ჩანგო, ეშხით არ გიჟღერია!
ჩემო გულო, ტკბილად არ გიძგერია,
რადგანც სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერია!

რაღას ველი, დრო არს განქრეს იმედი;
გინდ მეწვიოს, ვერას მარგებს აწ ბედი!
დამწვარი ვარ ისე, როგორც აბედი!
ახა, ღმერთო, რა უდროოდ დავბერდი:
საფლავისკენ ფეხი გამიშვერია!

ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!
ჩემო ჩანგო, ეშხით არ გიჟღერია!
ჩემო გულო, ტკბილად არ გიძგერია,
რადგანც სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერია!

დავუძლურდი, განქრა გიჟი ოცნება...
ნაღვლიანად ჩემს თავზედ მეცინება
და ღმერთს ვვედრებ: „ღმერთო, მომეცი ნება,
რომ მეღირსოს საფლავში დაძინება!..
სჯობს, სულ გაქრეს კაცი, რადგანც მტვერია!"

ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!
ჩემო ჩანგო, ეშხით არ გიჟღერია!
ჩემო გულო, ტკბილად არ გიძგერია,
რადგანც სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერია!

*1871 წ.*

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩემი თავი



*ალეკო ცქიტიშვილი*

ამ ქალაქში თავიდანვე არ უნდა დავრჩენილიყავი, მაგრამ რაკიღა აქ ვარ, ვცდილობთ, აღარ ვიწუწუნოთ. მით უმეტეს, სოფელი რომ ამერჩია საცხოვრებლად, იქ უფრო სანუნუნოდ გვექნებოდა საქმე. წარმოიდგინე, კედელზე ლურსმანს ვერ ვაჭედებ და ხარს როგორღა დავჭედავთ – აუტკივარ თავს რატომ ავიტკივებთ?!

ალბათ, ამიტომაც ვარ აქ, ამ ქალაქში და ფუყე ნოსტალგიით ვიკვებები, გულით ჯოჯოხეთს ვატარებ – შეგვეძლო წისქვილის ლოდი გვექოდა, სასხლავით ხელში ვენახში გვევლო, ყორღანებიდან აფრენილ გნოლზე გვენადირა, მაგრამ ცხოვრებას თავიდან ველარ დავიწყებ – ახლა, როცა დამწვარი ვართ ისე, როგორც აბედი (აქა, ღმერთო, რა უდროოდ დავბერდით), საფლავისკენ ფეხი გაგვიშვერია!

ქალაქმა ისე მშთანმთქა, როგორც ვეშაპმა, მაგრამ ჯერ კიდევ არ ვიცი, თავში რა მიქრის. განა სამი დღე და სამი ღამე მეყოფა ჩემი არეული აზრების დასალაგებლად?! ამას, სულ ცოტა, თავის მოსაფხანი დრო უნდა, რომელიც არ არის. უდავოდ არ არის!



ჩემი უფროსი ძმა კი ნამდვილი სოფლის კაცია. დილით ადრე ადგომა, ძროხის მოწველა, ნაკელის ბოსტანში გატანა, ტყეში თუ სათიბში წასვლა და სოფლის სხვა ყოველდღიური საქმეები ერთგვარ სიამოვნებასაც ანიჭებს. მე ასეთი თავგადაკლული შემართებით, ჰა-ჰა, შეშა დავჩეხო. სხვა ყველაფერი იქ მხოლოდ ერთი დღით არის კარგი, როცა ქალაქიდან ჩასული კაცის ტვინი სოფლის ჰაერში ლივლივებს და ფიზიკური შრომაც ზედ მალამოდ ედება. იმ წამიდან კი, როცა აზიზ ხელებზე წორჩი კოჟრები სკდება და ტვინს პირველი ტკივილის იმპულსი მიეწოდება, შეუძლებელია, არ გამოფხიზლდე, თავჩაქინდრულმა თავს არ შესძახო: კეთილი იყოს შენი მობრძანება ამა სოფლის წეხვში!

თავო ჩემო, ბედი არ გეიწერია!

ვგრძნობ, ჩემს ტვინს კარგად ვერა აქვს საქმე. ასე მგონია, ამ უზარმაზარი ქალაქის მთელი გამონაბოლქვი მისმა ხვეულებმა შეისრუტა და ახლა ისღა დამრჩენია, დამძიმებული თავით ვიარო, ტვინით სხვისი ნაგავი ვზიდო.

შენ ნუ შეშინდები! კიბო კი არ მაქვს, უბრალოდ, თავი ვერ გადამირჩენია – 21-ე საუკუნის ჭკვიანი თავი.

თუ მარტო ვარ, მას მომაკვდავს ვადარებ, ხალხში კი ორთავეს მირაჟი გვტანჯავს – ერთმანეთი საავდროდ გამზადებული ღრუბელი გვგონია, რომელიც ჩვენს წარმოსახვით მტერს სადაცაა ისეთ შხაპუნა წვიმას მოუვლენს, თავიდან ფეხამდე გალუმპული იტყვის: ეს რა ოხერი ვინმე ყოფილაო.

ზოგადად, თითქოს ცალ-ცალკე ვარსებობთ. ის – ჩემთვის, მე – მისთვის. ახლაც ინტერნეტში ვართ შემძვრალი და ქათმებივით ვიქექებით. ეს ჩვენი საყვარელი საქმიანობაა, რასაც ისეთივე ნეტარება მოაქვს, როგორც ნაცრის ქექვას ბუხართან. გაზეთებიც კი აღარ გვიზიდავს ისე, როგორც ინტერნეტი. ბუნებრივიცაა! ამ გაზეთებმა სულ დაკარგეს

იუმორის გრძნობა. გახსოვს, მეამბოხე პროფესორების ტვინისნამღები ინტერვიუები? ყველგან ერთსა და იგივეს ნერდნენ – ინგრევა, ანგრევენ, დაანგრიეს!..

ეს პატივსაცემი პროფესორები ყვავილებივით არიან – ყოველდღიურად სჭირდებათ მორწყვა, რომ ფესვთა სისტემა წესრიგში ჰქონდეთ. არ ვიცი, მართლა არ ვიცი, ჩემო ძვირფასო თავო, თუკი ბედი გვიწერია და ამ მილიარდი ინფორმაციის მიღმა სამყარო გადარჩა, ჩვენ რაღა გვეთქმის?! კალამი უნდა დავდოთ და გზა ამ მოხუცებს დავუთმოთ. ელემენტარულად, ზრდილობის საკითხია.

ამ სიმარტოვეში, ასევე, არის წუთები, როცა ნაღვლიანად ჩემს თავზე მეცინება და ღმერთს ვთხოვ: მოგვეცი ნება, საფლავში მშვიდად ჩავწვეთ, საბნად მიწა წავიფაროთ და სამარადისო ძილში მტვერივით გავქრეთ, ისედაც მტვერნი.

შენ ჯერ კარგად არ იცნობ ჩემს თავს. ეს გამოტვინებული მკარნახობს, როგორ ვიცხოვრო, რა გზას დავადგე, თავი რას ვახალოთ. წარმოიდგინე ჩემი კორიდა საკუთარ თავთან, რომელიც ალესილ რქებს მიღერებს და თვალდასისხლული ქშინავს, მე კი ფერად-ფერად დაშნებს ვარჭობ, თან ვიგერიებ, ვიდრე ძალა არ დაეშრიტება და ჩემს წინ ჩაჩოქილს ტვინს არ გავასხმევინებ.

ოლე!

ერთმანეთს სისხლის აღების წესებით ვებრძვით.

ინტერნეტის ნაცრის ქექვა ორივეს აღგვაგზნებს, მიუხედავად იმისა, რომ პორნოსაიტებს არ ვათვალიერებთ და საკუთარ თავთან სექსი არ გვაქვს – მილიონობით ლიტრი უქმად დაღვრილი სპერმა ჩვენი ტვინის მიღმა მიედინება. მას ყოუტუბე-ს იდიოტობები იზიდავს, მე – სოციალური ქსელები და ფორუმები, ორივეს ერთად – ელექტრონულ ფოსტაზე მოსული პირადი წერილები, რომელთა შორის დამარხულ საიდუმლოს არავის ვუმხელთ, საკუთარი თავის გარდა.

ასე გიფრთხილდებით შენ – ჩვენს წარმოსახვით სატრფოს.

არა, ისე კი ნუ გაიგებ, თითქოს აქ ვიმარხებით. სამარე შორსაა, როგორც წარსული. თუმცა, ვინ იცის, საიდან გვესმის წარსულის სუნთქვა? იქნებ აქვე კარის ზღურბლთან დგას? სახელურს ჩამოსწევ, გადააბიჯებ და ჰოპლა, ჩვენ მოვკვდით! ამიტომ ვინახავ ელექტრონული ფოსტის ყველა წერილს. როგორც ჩვენი წინაპრები იტყოდნენ: მინდა, წერილი ნავილო, უფრო სწორად – წერილები. ამ ამბავს დიდი ნეტარებით წარმოვიდგენ – მნიშვნელობა არა აქვს, იქ როგორ მივალ, ამოლებულის ხანჯრით, თუ გაზეთ „ასავალ-დასავალით" ხელში.

მინდა, მარტო ჩვენ გვწერდე, მარტო ჩვენი ბედი გწვავდეს, როგორც იმ ღამეს, როცა საფოსტო ყუთში ეს მოფარფატე სიტყვები დაგვხვდა: „ღამის ოთხი საათი ხდება. არაფრით არ მეძინება, ვერ ვახერხებ... ავდექი საწოლიდან და ოთახში ვიბორიალე. მაინც არ მომერია ძილი. მერე კომპიუტერი ჩავრთე – ნამდვილად არ ვიცი, რის მოწერას ვაპირებ. ამ საღამოს რამდენი ვიარე, როგორ დავიქანცე, წესით მკვდარივით უნდა ჩამძინებოდა. არა, მართლა უცნაურია... ჰოდა, სანამ ასე ვწრიალებდი საწოლში და ვერ ვიძინებდი, რაღაც კითხვები მომაფიქრდა. შენთვის მართლა იმდენი სისულელე მომიწერია და მიკითხავს, ეს კითხვები ნამდვილად აღარ გაგიკვირდება. თან უკვე იცი, რომ საშინლად ცნობისმოყვარე ვარ. საშინლად. ამას ვერც აღზრდამ უშველა, ვერც ვერაფერმა... შენთან ოთახში ტარაკნები ცხოვრობენ? ჩემთან ერთი ცხოვრობს და ვერ წარმოიდგენ, როგორ მიყვარს. რამე რომ დაემართოს, გავგიჟდები. შემოსასვლელის კედელზეა ხოლმე განაბული. დღისით საერთოდ არ ჩანს. ძირითადად, ღამით ვხედავ. მგონი, მოხუცდა. ეგენი ხომ მალე ბერდებიან. განძრევა ეზარება. ალბათ გრძნობს, რომ მაინც არაფერს დავუშავებ. რას ამბობ?.. ოჯახის წევრია! გამახსენდა, რა უნდა მეკითხა: პირველად გოგოს რომ აკოცე, რამდენი წლის იყავი?"

წლები ისე გადის, გგონია, ფრინველები გაფრინდნენ თბილ ქვეყნებში, ხოლო ყოველი მშვენიერი წამი აქვე მეორე ოთახში დარჩა. ამიტომ სულ მოლოდინში ვარ, თითქოს სადაცაა, კარი უნდა გაიღოს და ყველაფერი ზუსტად ისე განმეორდეს, როგორც ოდესღაც იყო.

კარგა ხანია, მეშვიდე სართულზე ვცხოვრობთ და სულ მიკვირს, ერთი და იგივე მერცხლების ოჯახი როგორ ახერხებს წელიწადში ერთხელ სწორედ ამ კორპუსის მეშვიდე სართულზე დაბრუნებას. ხუმრობა საქმე ხომ არ არის ათასობით კილომეტრის გადაფრენა-გადმოფრენა მშობლიურ ბუდეთა ასეთი მძაფრი ხსოვნით.

წარმოვიდგინე: იქ, რომელიღაც თბილ ქვეყანაში, ასეთივე მეშვიდე სართული, სადაც ასეთივე მე ვცხოვრობ, 21-ე საუკუნის ოხერი თავით!

აჯობებდა, ფრთები გვქონოდა, მერცხლებივით ორ წარსულს შევქმნიდით ღმერთისგან ბოძებულ ერთ სიცოცხლეში.

ჩემი თავი ცდილობს, გიპასუხოს, რომ პირველი კოცნა ჯერ სურვილია და მერე ფაქტი. ამიტომაც პირველი კოცნა ხშირად ჩვენი სიზმრების საკუთრებაა. ამ მხრივ, მეც არა ვარ გამორჩეული, მაგრამ აღარ მახსოვს, რამდენი წლის ვიყავი, როცა ეს სიზმარი დამატყდა თავს. გამოდის, კოცნათა რიგში პირველი არც თუ ისე მნიშვნელოვანი ყოფილა, რაკი ყურში ეშხიანად აღარ ჩამესმის იმ სიზმრისეული ჩანგის

ჟღერა, გულიც ისე ტკბილად აღარ ძგერს და ვხედავ, ის სატრფოც დაუძინებელ მტრად მომკიდებია.

მართალია, ჩემი თავი მიმტკიცებს, რომ ყველა სიტყვა საბედისწეროა, მაგრამ მე ბედისწერას ჩემს გარეთ ვერ ვგრძნობ, განსაკუთრებით – იმ დროს, როცა საფლავისკენ ფეხგაშვერილნი აღარაფერს ველით და ბოლო იმედიც თვალსა და ხელს შუა ქრება. ალბათ, ამიტომ ვინახავთ ელექტრონული ფოსტის ყველა წერილს.

„ხანდახან ყველაფერი შავ-თეთრ ფერებში მოჩანს, ჰაერი კი ისეთი მძიმეა, თითქოს მის წონასაც გრძნობ, მაგრამ თავს არ ვიკლავთ, მაინც ვაგრძელებთ სუნთქვას და საკუთარი ცხოვრების ფილმისთვის თვალის მიდევნებას. ამას ხომ ერთგვარი ინტერესიც ახლავს: „ახლა რა მოხდება?" კარგი ამბები კი თვით ბრაზილიურ და არგენტინულ სერიალებშიც ხდება".

მაინც როგორია ჩემი ცხოვრების ფილმი? თავს თუ უფლებას მივცემ და ყველაზე სარწმუნო წყაროს – სიზმრებს დავუჯერებ, შავ-თეთრი უნდა იყოს. თუმცა, დროდადრო, როცა ჩემი თავი მღელვარებს, ცეცხლისფერიც გამოერევა ხოლმე. რამდენიმე წელია, ამაოდ ველოდებით ფერად სიზმარს. მინდა, მწვანე მინდორი ვნახო, ლურჯი ტბა, ვარდისფერი ფლამინგოები... ყველაფერი მაინც ხაზგასმულად შავ-თეთრია. ერთადერთი ფერი, რასაც სიზმრები მთავაზობენ, ცეცხლისფერია, იდუმალი კატასტროფის მაუწყებელი.

გინახავს, დედამიწა როგორ ფეთქდება, ცა როგორ იწვის, თვალებში როგორ შედის ცეცხლი გაღვიძებამდე ერთი წამით ადრე? სწორედ ამ კადრებს მანახებს ხოლმე ჩემი თავი, როცა მღელვარებს.

რამდენიმე დღის წინ უფროსმა ძმამ გუთანში ხარები შეაბა და ვიდრე ხვნას შეუდგებოდა, სიგარეტს მოუკიდა. ნანვიმარ მიწაზე კვალი ძნელად გადის.



გუთანს ტალახი ეწებება, მძიმდება და ხარებსაც მალე ებერებათ ძარღვები. ჩემი ძმა წინ მიდის გაოფლილი, ერთი ხელით ხარებს ეწევა, მეორეთი – სიგარეტს (ეწევა). სიგარეტს უცნაურად დიდი კვამლი აქვს და რაც უფრო მეტად ვაცნობიერებ ამ უცნაურობას, მით უფრო იზრდება განგაშის განცდა. „გადააგდე!" – ვეძახი. სიგარეტი ნახნავში ვარდება, მაგრამ კი არ ქრება, აღდება. ჩემი ძმის სილუეტი ყოვლისმომცველ კვამლში იფარება და ამ დროს ისმის აფეთქების ხმაც... ცეცხლმოდებული ხარები ცას ასკდებიან... მოხნული მიწა სიმწრისგან წივის... ცეცხლი ანყდება თვალებს... მეღვიძება... ჩემი უფროსი ძმა?!..

დამშვიდდი, ჩემო ძვირფასო თავო!

ეს არ არის შენი თავგადასავალი! ეს ერთი წვინტლიანი სიზმარია, რომლითაც ფონს ვერსად გახვალ, ძილით დაგმანულ კარს თუ გააღებ. არსებობს მხოლოდ მოჩვენებითი გამოსავალი – აქეთ, სადაც ჩვენი თავკომბალა ქალაქია ტროტუარის პატრიოტებით, ცისკენ აღმართული მუშტებით, ვირის თავ-ფეხით.

სწორედ ამ მუშტებში გაქრა ჩვენი გიჟი ოცნება.

და ვფიქრობთ: ეს იმ ერთადერთი კლოუნის მუშტებია, რომელსაც ჩვენი ოცნების გაქრობაც შეუძლია თუ უკვე გამოჩნდა მხეცი შვიდი თავითა და ათი რქით, ცისკენ აწვდილით?

კარგს კი არაფერს გვიქადის ეს ახორხლილი რქები უკანასკნელ დღეთა ტევრიდან, მაგრამ ვითარცა ანი და ჰოე, როგორც თავი და ბოლო, მე და ჩემი თავიც თავდებად ვდგავართ ამ ტროტუარზე.

ქალაქი სისხლს ფსამს. აპოკალიფსურ დიალეზზე მიერთებული, საკუთარ თავს თავს ვერ ანებებს. შენ რას ფიქრობ: დადგება ის დრო, როცა ჩვენ აქ ინტერნეტის ქექვას მოვრჩებით, ავმბოხდებით და ამ ავადმყოფ გველს თავს გავუჭეჭყავთ?! აბა, გველს სად ხედავო, მეკითხება ჩემი კოლბოხა თავი, თითქოს აქამდე ნაღვლით სავსე შარბათი არ გაგვესინჯოს და გველების ბუდედ ქცეული ვარდნარი არ გვენახოს.

თავს იკატუნებს!

რახანია ვწყევლით და ვემდურით ამ ქალაქს, რომელმაც თავგზა აგვირია და დაგვაუძლურა.

ვა, ქალაქო, რა შიგა გაქვს!

სანუგეშოდაც ძმურად ხელს არავინ გვაძლევს და ვუსმენთ, როგორ მწარედ ძგერს ჩვენი წარმოსახვითი მტრისგან გალეული გული, თითქოს ხელში ჩანგი გვეჭიროს, ჭიებით შეჭმული და ზღვის კარად თივას ეთიბაედეთ.

და აღარა აქვს ბოლო ამ ჩვენს სატანჯველს.

მგონი – არც თავი!

*2006/2013 წ.*

ეროვნული ბიბლიოთეკა



# წონასწორობა

ზურა მელიქიძე

ოთახი ოთხკუთხედი ბუმტია... პაერით გაბერილი... ვდგავარ მის ცენტრში, ცალ ფეხზე... მხოლოდ ნიფხავი მაცვია და მეტი რომ ველარ შეილახება, ისეთი ღამის მაისური... „რას აკეთებ?" – მეკითხება ის... ოთახში შემოდის. კარს ხმაურით კეტავს. „ვცდილობ, წონასწორობა შევინარჩუნო" – ვპასუხობ. მან არ იცის, ასეთ დროს რა უნდა მითხრას, პარკებს პირდაპირ იატაკზე ყრის და მეორე ოთახში გადის... იქაც რომ მე ვმდგარიყავი, მის ადგილას, თანაც ორივე ფეხზე, ვიკითხავდი – „რა ჯანდაბად გინდა წონასწორობა?" ჰო, სწორედ ასე... ან „ჯანდაბას" მოვაშორებდი, ძალიან შემტევია. მერე რა, რომ მასთან ერთად უფრო პირდაპირია და ყოველგვარი შეკავების გარეშე... შეკავება ზოგადად არცთუ სასიამოვნო პროცესია. დგახარ და იკავებ, თითქოს გრძელ რიგში ხარ და შენს უკან მდგარი ორი კაცი, რომლესაც წინ თერთმეტია, გაფიქრებინებს, რომ ყველაზე ცუდ დღეში არ ხარ და უარეს ადგილზეც შეიძლებოდა მდგარიყავი.

ის შემოდის. ხედავს, რომ არაფერი შეცვლილა და ისევ თავის პარკებს უბრუნდება. ანჯერად იატაკიდან იღებს და საძინებელში გააქვს... რაღაცეები უყიდია. ახლა მისთვის ყველაზე კარგი იქნება, რომ გავიდე და ვკითხო ამ საყიდლების შესახებ. მოკლედ, რომ დავინტერესდე. მაგრამ, მე მირჩევნია, წონასწორობას ვინარჩუნებდე ოთახის ცენტრში.

მერეც, სადილზე, დანითა და ჩანგლით, ვფიქრობდი, რომ მისთვის რაიმე სასიამოვნოს თქმა არ იქნებოდა ურიგო. ჩანგალი ავიღე და მის კბილებს შორის ნათურას დავუწყე ცქერა. ყვითელი სხივები უცებ შემოვარდებოდნენ ლარებში და მერე ისევ უკან იხევდნენ...

სინამდვილეში მე დავიკარგე. აი რა... მისამართები მახსოვს, არ დამვიწყებია, მერე რა რომ წვერს არ ვიპარსავ... მისამართები კი არა, მისამართი... ამასაც თავის წონასწორობა აქვს... დილით სარკეში ჩავიხედე. ისეთი არაფერი.

დგება და ნაჭამ თეფშებს ნიჟარაში აწყობს... ახლა რეზინის ხელთათმანებს გაიკეთებს და დღის მნიშვნელოვან თემებს დაუწყებს შეჯამებას. მე ისევ მომიწევს ერთ საშუალო დამაჯერებლობის მქონე პასუხად მოგროვება...

ვინ არის ეს ქალი? უკვე წლებია, ჩემზე დააბიჯებს. იღებება და ისედაც გრძელი მტევანი სულ უფრო უგრძელდება, როცა კარის სახელურს ატრიალებს... საოცრად ლამაზი მაჯები აქვს...

„ახალი ტელევიზორი უყიდიათ". კარის მეზობლებს გულისხმობს. ისინი კედლის უკან ცხოვრობენ და ხანდახან მგონია, რომ საერთო კედელი არ გვაქვს, უბრალოდ, ჩემი და მათი კედლები ერთმანეთს ზურგებით ეკვრიან... „წელს ზღვაზე მიჰყავთ ბავშვები"... აი, დღის მნიშვნელოვანი თემებიც შეჯამდა. ისეთი არაფერი, შემიძლია რამოდენიმე სიტყვა ვთქვა... ცხვირით ვიწყებ სტვენას.

სექსს როგორც კი ვამთავრებთ, საშინლად ვუცხოვდებით... „არაფერს მეტყვი?" სახე ბალიშში აქვს ჩარგული... „ისევ დარეკეს გამომცემლობიდან." ვპასუხობ... ვუკიდებ და მახსენდება, რომ საფერფლე ფანჯრის რაფაზე დამრჩა. ახლა ავდგებით... ისედაც 17 წუთი გადაგვიცდა. დრო ყველაზე გაწონასწორებული ნაბიჭვარია, უფრო სწორად, თავის მკაცრ წესებს იცავს. საცოდავია არადა, გამუდმებით წრეზე... ოდესმე მოვიკრებ ძალას და გამოვუტყდები, რომ ვერ ვცნობ. ბოლოს და ბოლოს, ვკითხავ, ვინაა? ერთხელ შემეკვრება სუნთქვა, მეტჯერ ხომ არა? სინამდვილეში მაინც არაფერი არსებობს. მეც არ დამჭირდება არგუმენტირება, თუ რა დროს დამავიწყდა იგი ან რა დროს გაწყდა კავშირი... არადა, როცა ისიც კი არ იცი, ეს კავშირი ოდესმე იყო კი საერთოდ?

აბაზანაში საპონს ვუსუნე. ნაცნობი სუნი იყო. ნაცნობი კი არა, უფრო სწორად, ვიფიქრე, რომ ასეთი სუნები ადრე მიყვარდა. ან მსიამოვნებდა. მოკლედ, დიდად ვერაფერი ვიგრძენი, გარდა იმისა, რომ სიამოვნების გრძნობის ჩემში არსებობის შემთხვევაში ეს სუნი მესიამოვნებოდა...

მერე, მეორე თუ მესამე საღამოს, უზარმაზარი თევზით და ორცხობილათი რომ დავნაყრდით, ვიღაცეები მოვიდნენ. მომინია თამაშმა, რომ ამ ქალს ვიცნობ. მეტიც, წელზეც კი მოვხვიე ხელი, როცა ვაცილებდით. იმ ვიღაცეებმაც თქვეს, რომ გამომცემლობა ნერვიულობს, არადა, ვიღაცეები იყვნენ აშკარად.

– იცი, რა განსხვავებაა საშობაო ირემს და უბრალოდ ირემს შორის? – მეკითხება ერთი.

– არ ვიცი – ვპასუხობ. თუმცა, არც დამიწყია პასუხზე ფიქრი...

– საშობაო ირემი მხოლოდ იაფფასიან სვიტერებზე და ღია მისალოც ბარათებზე არსებობს, ისიც სეზონურად... – ლიმონათი დაისხა და ისე სწრაფად დალია, თითქოს ვინმე აპირებდა ჭიქის წართმევას...

„ალბათ ძალიან დიდი ხანია, ვიცნობ“. ვფიქრობ. არც კი ვიცი, რატომ გადავხედე პასუხისთვის ამ უცხო ქალს. ეს მაინც ვიცოდე ვინ არის...

მერე მეზობლის ბავშვი შემოვიდა და შვიდჯერ მომიყვა ლექსი, რომელიც ბაღში ასწავლეს რაღაც დღესთან დაკავშირებით.

მერე ვიდექი ფანჯარასთან... ეს ფანჯარასთან დგომა კიდევ... ცოტა სიღრმეში ხარ შეწეული. ასე ვთქვათ, ოთახს ინარჩუნებ. „დაჩლუნგებული ხარ!“ მინდა რომ მითხრას. მინდა რომ ჩამყვიროს – „შენ დაჩლუნგდი!“. ეს ამ დროს ისე დადის ოთახებში, თითქოს, ეს-ესაა გამოიძრო ყურიდან საწვიმარი განწყობილება.

– ეგ რა არის?

– რეზინის ბურთია და გორავს...

– რატომ გორავს?

– რეზინის ბურთია და იმიტომ...

უცებ რომ მკითხოს „რა გინდა?“. ნაცვლად ამისა, მეუბნება, რომ ყავას დამისხამს. დილები და საღამოები ერთმანეთში ისეთი სისწრაფით შედიან და გამოდიან... ხანდახან ანელებენ კადრს და რაღაცეებს დაბერილი ნესტოებით აფიქსირებ.

„სახურავზე ძაღლმა მოისაქმა.“

ეს მეჯამეებისთვის არც ისეთი სასარგებლოა... თითებით მაგიდაზე არითმიულად ვაკაკუნებ... ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს უნიჭო ფილოს რეპროდუქციის წინ ვდგავარ, რომელსაც საშინლად აქვს ფერები გაუხარისხოებული მილიონი კოპირებისგან და განსაკუთრებით, მწვანე.

თითქოს გრძელი ძაფი გიჭირავს ხელში, ბოლო საჩვენებელ თითზე რამდენჯერმე გაქვს გადახვეული და მიყვები... ისევ გადიხარ ოთახში, რომელიც ოთხმაგად გიცავს. ან უბრალოდ, შეგრძნება გაქვს ასეთი... „რატომ არ იცვამ შარვალს?“ ისევ მაგიდასთან ზის. ჯერაც ყავის ლამბაქიდან ადენილ მკაფიო ნნულში უხერხულად იმშუშნება, თითქოს გამოფხიზლებას კი არ აპირებს, ემზადება, რომ წყლები დაღვაროს... ადგილიდან მეუბნება ამ ფრაზას, რომლის ბოლომიც საშინლად გაუმართლებელია კითხვის ნიშანი, იმიტომ, რომ პასუხი იცის. ჩემგან განსხვავებით იცის ეს ოხერი პასუხი, კი არა და, პასუხები... მე კი მეჩვენება, რომ მომსდევს და კეფასთან საოცრად ახლოს, ისე, რომ ორივე ყურს თანაბრად მოედოს, ჩამყვირის „რატომ არ იცვამ შარვალს?“

არის ადგილები ჩემს ცხოვრებაში, სადაც ვერ ვხედავ. პატარა კუბებს გავს. გაუმჭირვალე შუშის სათბურებს. მწვანე ძაფით გამოკერებულ ინკუბატორებს, თვალების უკან... შეგიძლია, მოგონებაც დაარქვა. დილით გამოცვლილი საცვალი... გამხმარი ბალახისგან გაღიზიანებული კანი... ათასი რაღაც შეგიძლია გაგახსენდეს, განსაკუთრებით მაშინ, როცა არაფერი გახსოვს. ათასით ვამბობ, თორემ მილიონობითაა. ამ კუბებში მათ ოდნავ სხვა ელფერი აქვთ, განსაკუთრებით მაშინ, როცა კედლებს უმწეო და გამოკეტილი მხეცივით ანყდები, გარედან კი გამალებით გიკაკუნებენ მსუქან მუშტებს, თითქოს შემოშვებას ითხოვენ... უნიჭო მეტაფორაა, იმდენად, რამდენადაც თვითონ უმწეოა სიტყვა „უმწეო“, იმიტომ, რომ, სულაც არაა ეს მხეცი უმწეო. უბრალოდ, გამოკეტილია. ესაა და ეს... და კიდევ ის, რომ სიტყვა „გამოკეტილს“ უხდება სიტყვა „უმწეო“. მოკლედ, ამას უფრო განვავრცობდი 21 წლის ასაკში, როცა ფროიდით და არაცნობიერის მნიშვნელობით ვიქნებოდი დაკავებული...

დაკავებაა...

არადა, მთხოვა დამერეკა... ვერ ვეტყვი, რომ არ მახსოვს ვინაა. განსაკუთრებით იმას, მე რომ საკუთარ თავს ვერ ვიხსენებ... ისეთი შეგრძნებაა, პირს რომ გააღებ, გგონია ნყალი გადმოგექცევა... შეიძლება, შეეგუა ჩემს სიტყვაძუნწობას. მოთხოვნები მაინც



საკმარისად აქვს. ნუ, იმ დონეზე მაინც, აი, საღამოს მოსვლა თუ დააგვიანდა, რომ უნდა დაურეკო და მოიკითხო, ისეთი... თურმე ლიფტთან ვიღაც გოგო მოუკლავთ. ყელში მაჯთულით, თუ თითებით... ამას ისეთი ენთუზიაზმით ყვება, განსაკუთრებით იმას, ამ გოგოს სახლში ზედმეტად წითელი ვაშლებით სავსე ქაღალდის პარკები რომ მიჰქონდა, მგონია, რომ მის ადგილას უნდოდა ყოფნა... ან ერთი ათჯერ მაინც აქვს წარმოდგენილი საკუთარი ფეხები, უსიცოცხლო მდგომარეობაში მიმოყრილი სადარბაზოს ნაგვიან ფილებზე და ის თეთრი ფეხსაცმელიც ალბათ, პატარა ქუსლით, პლასტმასისას რომ გავს... საკუთარი გვამის წარმოდგენისას, მკვლელობიდან ათი წუთის შემდეგ, შენს წარმოსახვას იმით რომ გაამძაფრებ, რომ ფეხსაცმელს შეირჩევ გონებაში, თითქოს ხო უპრეტენზიო სურვილია, რომელიც გულისამაჩუყებლობას ერთიორად ზრდის, სინამდვილეში უზარმაზარი ეგოიზმია და მეტი არაფერი, იმიტომ, რომ, მკვლელს იმის უფლებასაც არ აძლევ, მაშინ მოგკლას, როცა საჭიროდ ჩათვლის და არა მაშინ, როცა სწორედ ეს ფეხსაცმელი გეცმევა...

„რატომ არ იცვამ შარვალს?" კიდევ უფრო ხმადაბლა მეკითხება. კიდევ უფრო მშვიდად, მაგრამ, ამჯერად კიდევ უფრო მეჩვენება, რომ კიდევ უფრო ხმამაღლა ჩამკივის. თითქოს, მანჯღრევს კიდეც, იდაყვში ჩაფრენილი...

კიდევ უფრო ვსევდიანდები... იმდენად, რამდენადაც მახსოვს, როგორია სევდა და ალბათ, სწორედ ამიტომ ვიღიმი... და მაინც, სად ჯანდაბიდან მოვეხეტე? ან ნეტა საკუთარი თავი თუ მყავს გამოტირებული, იმის წარმოდგენისას, თუ როგორ მომკლეს?.. ვფიქრობ, ფეხებზე მეკიდებოდა, თუ რა მეცმეოდა ფეხზე მკვლელობის ღამეს...

ღამეს?!

ალბათ საკუთარ ცხოვრებაზე მხოლოდ იმ დონეზე ვზრუნავ, რომ სიუჟეტი არ გაუფერულდეს... ეს ვგონებ, გასაღიმარია.

რეზინის ბურთი კიდევ ელოდება, როდის გავეხლები შემთხვევით, რომ სულ ცოტა ხნით მაინც მოვიდეს მოძრაობაში...

ხანდახან რაღაცეები მახსენდება წამიერად. მაგალითად: როდესაც ერთ მოსაწყენ საღამოს ტუალეტის სარკეზე მიყუდებულმა და საკუთარი კანის ფორების თვალიერებით გაბრუებულმა ასანთს გავკარი, გამახსენდა, რომ წინა ცხოვრებაში წვიმასთან ვმეგობრობდი. თითქოს, ჩემი შვილისთვის მოსაყოლი ამბავიც მქონდა გამოგონილი. აი ისეთი, მარტოჩვენ ორს რომ უნდა გვცოდნოდა. ეს ამბავი ყოველგვარი ლიტერატურული შელამაზების გარეშე და მოკლედ რომ ვთქვათ, დაახლოებით ასე ჟღერდა: „არსებობენ ადამიანები, რომლებიც წვიმასთან მეგობრობენ და მისი ენა ესმით... და ყოველთვის, როცა წვიმს, ხალხისთვის ეს უბრალოდ წვიმაა, ისინი კი უამრავ საიდუმლოს ისმენენ ფანჯარაზე დაცემული წვეთებისგან, რომელიც სამუდამოდ მათში რჩება... ამ ადამიანებს წვიმისფერი თვალები აქვთ, რასაც მხოლოდ და მხოლოდ თვითონვე ამჩნევენ და სწორედ ამით შეუძლიათ ერთმანეთის ცნობა... თუმცა, ამასაც არ იმჩნევენ... თავიანთთვის, გულში იციან, რომ ერთმანეთი იცნეს..." ამ გამოგონილი ამბის ბოლო ალბათ იქნებოდა ის, თუ როგორ ვეტყოდი შვილს საიდუმლოდ, რომ ჩვენ ორნიც წვიმის რჩეულები ვართ, მაგრამ, სამწუხარო ისაა, რომ, აღარ მახსოვს, მყავდა თუ არა შვილი, რომელსაც არსებობის შემთხვევაში ნიკოლოზი ერქმეოდა...

ჩვენი ბინა მეთორმეტე სართულზეა... აი ისეთია, ზედმეტად ნაცრისფერი და ვერტიკალური... თითქოს, წელში ძლიერად მოუჭირეს უხილავი თითები და ამანაც სუნთქვა შეიკავა... ამაზე როცა ვფიქრობ, ფანჯრები უფრო მეცოდებიან... ამ ნაგებობის ფუნქციადაკარგული უამრავი ნესტო... სამზარეულოს კედლები პატარა ნახატებითაა გაფორმებული, რომელთაც პატარა ჩარჩოები აქვთ და კიდევ ძაღლებით ილუსტრირებული კალენდარებით... აქ სულ ყავის და მწვანე ჩაის სინთეზური სურნელი დგას და ყველაზე კარგად გესმის ლიფტის ხმა...

გაჩერდა...

მეც პირდაპირ პირთან შევაჩერე სიგარეტი... ახლა გასაღების გადატრიალების ხმა იქნება...

ერთმანეთს დერეფანში შევხვდით. მე ისევ ნიფხვით და ლამის მაისურით, სიგარეტგაჩრილი... ის თავის ქაღალდის პარკებით გულზე (ჩვილივით აქვს მიხუტებული) და ისევ დაუსრულებელი სინანულის



განცდით, რომ ამჯერადაც არ გაუმართლა და არავინ დახვდა...

„მე გირეკავდი"... ვეუბნები...

კატას ეძებს თვალებით, რომ ფეხით მოეფეროს... ფერნაკლულია... ისევ ის პლასტმასის თეთრი ქოში ჩაუცვამს... ასეთ დროს, როცა პასუხს თავი უნდა აარიდოს, ყოველთვის კატას ეფერება ფეხის წვერით... ეს ქოში კი როგორია იცი? ბავშვობაში დედის ფეხსაცმელს რომ იცვამენ და დაბაკუნობენ... აი ეგეთი ფაქტურის.

„იქნებ ეგ ნიფხავიც ზედმეტია?"... მეკითხება... აი რა არის რიტორიკული კითხვა... „იქნებ ზედმეტია?" გულში გამოთქმით ვიმეორებ... არ ვიცი... რატომღაც, მგონია, რომ წინა ცხოვრებაში, როცა ვიცოდი, ვინ ვიყავი და რა მინდოდა (ან იქნებ „რა მინდოდა" ცოტა ხმამაღალი ნათქვამია?), ამ ნიფხავს ერთი სწრაფი მოძრაობით გავიძრობდი და პირდაპირ ფეხებთან დავუგდებდი... „ნეტა ვიპარსავდი თუ ვიკრეჭდი?" ფუ, შენი... რეებზე ვფიქრობ?! მოკლედ, დერეფნული შეხვედრა დასრულებულია...

რატომღაც, ის შეხვედრები უფრო ღრმა კვალს ტოვებს, რომლებიც არსადაა აღბეჭდილი. არანაირ ფირზე. მხოლოდ შუბლის ძვალზე, შიგნითა მხრიდან, პატარა ბზარს აჩენს... მესამედ მილიმეტრს... მეორე მესამედი იმ ენერგიას მიაქვს, რომელიც სიტყვებს მოგაჩხრეკინებს. აი, ზღვაში ჩაყვინთული ხელს რომ აფათურებ, ფერადი ქვებისთვის. სიტყვებსაც ეგრე ეძებ. სიტყვები მაინც გჭირდება, რაც არ უნდა იყოს, განსაკუთრებით მაშინ, როცა დიალოგში კითხვით შემოდიან... მესამე მესამედი ღიმილია. რაღაცა ძალა, რომელიც ტუჩის კუთხეებს უხილავ ნემსკავებს გამოსდებს და სიგანეზე გადაგიჭიმავს...

არ ვიცი, ეს რატომ გამახსენდა. მგონია, რომ შედარებით ახლო წარსულიდანაა. ისე, რა საინტერესოა, ეძახი წარსულს და ის ამ დროს არასადაც არ წასულა. მაშინაც კი, როცა არაფერი გახსოვს...

„თუ იცი, დაწყებულია უკვე?" ფიქრებიდან ვერკვევი. თავზე მადგას. საკმაოდ მოუხერხებლად გამოიყურება. ვასკვნი, რომ, წერს. თან ამას დიდი ფილოსოფია არ სჭირდება, როცა თეატრის ფოიეში ზიხარ და ელოდები როდის დაიწყება ლიტერატურული კონკურსი...

„არა მგონია, დაწყებული იყოს... ერთი საათია აქ ვარ." სასხვათაშორისოდ ვპასუხობ და სხვა მიმართულებით ვიმზირები... ის კიდევ თავზე მადგას. ასე ერთიორად მოუხერხებელი ჩანს, უფრო სწორად, იგრძნობა, იმიტომ, რომ, არ ვუყურებ...

„თუ იცი, აქ მოწევა შეიძლება?" მეკითხება ისევ... „ვფიქრობ, რომ კი, იმიტომ, რომ მაგიდებთან ეწევიან"... ამ პასუხისას კიდევ უფრო ბლაგვი ვჩანვარ...

„პრინციპში, აქ ხომ ნაგვის ურნა დგას?" ისევ შეკითხვა... უკიდებს და ჩემს გვერდით ჯდება. თურმე მარტო დგომა არ იყო ჩვენ ორს შორის მოუხერხებლობის ერთადერთი მიზეზი... მე აღარ ვპასუხობ, იმიტომ, რომ, ამჯერად აღარ დაუწყია ფრაზით „თუ იცი?" ვსხედვართ. ურნა მის მხარეს დგას და ის ეწევა. მოწევის მანერაც იმაზე მიუთითებს, რომ წერს... ჩანთაც კი, რომლის ძირითად ღირსებად იმას თუ ჩათვლი, რომ, შიგ თავისუფლად ჩატევ ყველა ზომის ნაწერ თუ ნაბეჭდ ფურცელს, ბლოკნოტს, წიგნსა და პერიოდიკას... ერთ გოგოს გავს ძალიან. ახლა ვერ ვიხსენებ, მაგრამ, ინტუიცია მკარნახობს, რომ ის გოგო მიყვარდა. თან იცი როგორ? სხვა სიყვარულებს შორის. შორიდან. ალბათ, მივიდოდი და ვეტყვოდი „ცოლად გამომყევი." ამის ნაცვლად კი არაყს ვსვამდით და ვდუმდით, სანამ არ გათხოვდა, უფრო ზუსტად, წაიყვანეს.

უკვე ველარ ვისვენებ. მინდა, რომ, რაც შეიძლება მალე დაიწყოს ეს ოხერი ცერემონია... ვდგები და ურნასთან მივდივარ. ამისთვის მასზე შემოვლა და თავზე დადგომა მიწევს. ეს კიდევ უფრო მოუხერხებელია. ამიტომ, მალიმალ ვაფერფლებ...

კიდევ შეგვიძლია რამე ვთქვათ. მას თავის ავტორები ყავს გამობმული ზურგზე თოკებით და მე ჩემი. ალბათ სწორედ ამიტომ, შექმნილ მიზანსცენას სხვადასხვანაირად ვაფასებთ...

„შენ თვითონ წერ?" მეკითხება. ცოტა დავიბენი. შემეძლო იდიოტურადაც გამეღიმა, თან მხრები ამეჩეჩა, მაგრამ ეს შიგნით მოხდა. „მე თვითონ?" ეს ყველაზე უადგილო იქნებოდა ჩემი მხრიდან, ამიტომ, ეგრევე უარვყავი. კითხვაზე კითხვით ნაპასუხებს თავმოყვარე ადამიანები აღარ პასუხობენ და იმიტომ. „მე თვითონ." ასე ვუპასუხე. დუმილი... ა, ჰო... „შენ?"

„მე მამიდაჩემის მაგივრად მოვიტანე. თვითონ არ დადის ასეთ რაღაცეებზე." უცებ მის მამიდაზე ვიეჭვიანე. ასეთი საღამოების მიმართ ჩემზე უფრო სკეპტიკურად განწყობილ ადამიანად წარმოვიდგინე და ვიეჭვიანე... „თუმცა, მეც ვწერ, მაგრამ, ჩემთვის"... ეს იმიტომ დაამატა, რომ ბოლომდე იმედგაცრუებული არ დავეტოვებინე იმ საშინელ ღონისძიებაზე შესვლის წინ. რაღა უნდა ვთქვა? მაინც მოუხერხებელი ვარ. „ისევ ქართულად აპირებენ დაწყებას..." მთელი საათით და მეტით დაგვიანებას ვგულისხმობ... ილიმის. მე ჩემი ავტორები მყავს გამობმული ზურგზე და ვახრიგინებ, მას მამიდამისის ავტორები ალბათ, ან თვითონ მამიდა, როგორც ავტორი... არ ვიცი, რატომ გამახსენდა ეს შეხვედრა. თითქოს რაღაც დამრჩა მისგან. არსად არ აღბეჭდილა და იმიტომ, მხოლოდ მესამედი მილიმეტრით გამიბზარა შიგნიდან შუბლი...

„გამარჯობა!"... „გამარჯობა?.. ა, ჰო, გამარჯობა"... თურმე ჩემთვის არ უთქვამს... თოლიებს მიესალმეო... ალბათ ელოდა იმის შემჩნევას ჩემგან, რომ თოლიებზე მისალმება არასერიოზულია. მე კიდევ, უბრალოდ წყალში ვიყურებოდი... „რას აკეთებ?" ხიდიდან სულ

სხვანაირი ჩანს წყალი. „ამას შენ გეკითხები და არა თოლიებს." „თოლიებს?" კითხვას ანგარიშმიუცემლად ვუბრუნებ... აღარაფერს ამბობს. ან საერთოდ, რატომ ჩათვალა, რომ უნდა გამომლაპარაკებოდა? ვბრაზდები გულში. მერე მახსენდება, რომ ასე მეგონა, თორემ, სინამდვილეში ის თოლიებს ესალმებოდა... „ვცდილობ, მიღმა დავინახო." ჩემთვის ნათქვამს უფრო გავდა, თუმცა, ასე გამოვიდა, რომ, მაინც ვუპასუხე. „ბატონო?" აშკარად აღარ ელოდა, რომ რამეს ვეტყოდი. „ამას ვაკეთებ." დავამატე გულგრილად. მომაშტერდა, თითქოს ვინმეს ამოცნობა უნდოდა ჩემში. „საყვარელი ადამიანის მოკვლაზე გიფიქრია?" მეკითხება ისევ მოულოდნელად. „სიმართლე გითხრა, არ მახსოვს." ვუკიდებ. უკიდებს. რაღაც საერთო უკვე გვაქვს. წყალს ისევ დაჟინებით ჩავცქერი. ის ისე იღიმის, აშკარად ჩემში თვითმკვლელი ამოიცნო. „არადა, უბრალოდ, წარმოვიდგინე, ესაა და ეს." ვეუბნები და მოაჯირს ვშორდები. „ჩვენ ერთმანეთს ვგავართ." ისე თქვა, თითქოს მომაძახა, არადა, ჯერ ისევ იქ ვდგავარ, უბრალოდ, მოაჯირს აღარ ვეყრდნობი. „შენც ბევრჯერ წარმოგიდგენია და მეც, თუ როგორ მოვკლავთ მას, ოღონდ, ამის ძალა არცერთს არ შეგვწევს." სიგარეტს წყალში ვაგდებ. გადაგდებამდეც, გადაგდების პროცესშიც და მერეც ვიცი, რომ ეს უზნეობაა. მაინც ვაკეთებ ამას. ის ნამწვს მოაჯირზე ასრესს და ჯიბეში ინახავს, უახლოეს ურნამდე. მშურს მისი ნებისყოფის. ვფიქრობ, რომ ამიერიდან ყოველთვის ასე მოვიქცევი. ვფიქრობ, რომ ამაზე ადრეც ვფიქრობდი. შეიძლება, ასეც ვიქცეოდი. და თუ არ ვიქცეოდი, ახლა მოვიქცევი. უნდა წამოვიდე. თავში გამოსათხოვარი ფრაზების სამი ვარიანტი მაქვს. (არადა, რატომ უნდა გამოვეთხოვო ადამიანს, რომელსაც გამარჯობაც კი არ უთქვამს ჩემთვის?) 1. „წადი და მოკალი ის შენი საყვარელი ადამიანი!" 2. „თოლიები ახლოდან საკმაოდ შეუხედავები არიან." 3. ჰო, მესამე აღარ მახსოვს... შეიძლება, მეტი ვარიანტი არც მქონია. უხმოდ ვბრუნდები და მოვდივარ. უთქმელობასაც აქვს თავის წონასწორობა.

საღამოს მისთვის არ დამირეკავს. წარმოიდგინე, რომ მობილური წყალში ჩავაგდე. იატაკზე ვწევარ და ფეხები დივანზე მაქვს შეწყობილი. ის კი, თითქოს იმის ჯიბრით, რომ დღესაც არ მოკლეს, დემონსტრაციულად შემოვიდა და მომეჩვენა, რომ, რამდენჯერმე შემოვიდა. ჯერ რა თქმა უნდა, თავისი პარკები გაიტანა სამზარეულოში, მერე შემობრუნდა და რამოდენიმე წამი ზღურბლიდან უყურა ტელევიზორის აშიშინებულ ეკრანს. თავდაყირა კიდევ უფრო გამხდარი და გრძელი მეჩვენება. მოდის და თავზე მაბიჯებს. ისე, რომ კარგად შევნიშნო მისი საცვალი კაბის ქვეშიდან, უფრო სწორად, ის, რომ ის იქ არ არის... „თუ გახსოვს დღეს რა დღეა?" მომენტალურად ცივი ოფლით მისველდება შუბლი. ზურგსუკან



დამალულ მარცხენა ხელში მუშხუნა ღვინო უჭირავს, მარჯვენაში ორი ცალი ფუჟერი. „რომ ავდგე და ფანჯრიდან გადავხტე?" უცებ ეს ვიფიქრე. მერე გადავიფიქრე. ის დივანზე ჯდება. ისე, რომ ჩემი ფეხები მის ფეხებს შორის მოექცეს. „რამე მითხარი?" მეკითხება გამომწვევად. „საერთოდ არაფერი მახსოვს." ეს ისე ვთქვი, თითქოს ყელზე მაგიდის ფეხს მაჭერდნენ. „რა თქმა უნდა..." დგება და გადის. არადა, პირველად მოვახერხე მისთვის სიმართლის თქმა. დილამდე აღარ მინახავს ოთახიდან გამოსული. მეც მთელი ღამე ასე ვიწექი...

შეიძლება იქ, პარალელურ სამყაროში გამოთაყვანებამდე მიყვარხარ. შეიძლება, აქაც მიყვარხარ, უბრალოდ, ვერ გხედავ. სახეზეც აღარ მახსოვხარ, თორემ ვცდიდი და მოგძებნიდი. ალბათ ლამაზი ხარ, ლიფტით მგზავრობ და ნაქსოვი ჯემპრები გიყვარს. შენი საყვარელი ფერი იქნება ლურჯი... ახლა გავალ და ყველას, ვინც შემხვდება, საყვარელ ფერს ვკითხავ. ამით შეიძლება გარკვეული კატეგორია მივილო, სადაც უნდა გეძებო, მაგრამ, იქნებ შენ მიცნო? აი, მოვდივარ და გეკითხები „შენი საყვარელი ფერი ლურჯია?" შენ რა რეაქცია გექნება ამ დროს? შენ ალბათ ჩათვლი, რომ ბოლომდე დაგივიწყე, საყვარელი ფერის და ბავშვური ოცნებების ჩათვლით. მიბრუნდები და წყნარად გაყვები გვერდით მდგომ კავალერს, იქ, სადაც მე უკვე ველარაფერს ვხედავ... გაერბივარ ქუჩაში და პირველსავე შემხვედრ გოგონას ვეკითხები „შენი საყვარელი ფერი ლურჯია?" „ნარინჯისფერი." მპასუხობს ის და მონყალედ მიღიმის. ალბათ იმიტომ, რომ, კავალერი არ ახლავს. აზრი არა აქვს. სახლში ვბრუნდები და დერეფანში ისე ვდგები, რომ ოთახებმა წონასწორობა არ დაკარგონ, რომ ერთმა მეორე არ გადაძლიოს. მხოლოდ საკუთარი ქოშინი მესმის.

„ჩვენ დავქორწინდით?" ვეკითხები. ხმამაღლა იცინის. ისტერიკაშია. ჩემი მუხლებიდან დგება და კაბას ისწორებს. „ბოლო დროს სულ ეგ თეთრი ფეხსაცმელი რატომ გაცვია?" ისევ იცინის. „არ მოგწონს?... მე კიდევ, მეგონა, რომ მოგწონდა." ვუკიდებ. საფერფლეს მაწვდის და უცებ სერიოზულდება.

„ალბათ, გავცივდი და იმიტომ." თმას ისწორებს. „შენ კიდევ, მგონია, რომ ჯერაც თბილი ხარ, უბრალოდ, მე ველარ ვგრძნობ ამას..." ის იფარებს ხელებს სახეზე... მერე იცინის. კოვზით კედელს ფხაჭნის. იცინის. „არა, მე მართლა არ მახსოვს არაფერი." ნაწყენი ხმით გამომიცილდა. „ოჰ, კარგი რა..." ის გადის და კედელს მიაყოლებს თითებს. ოთახში კიდევ დიდხანს რჩება მისი სუნი.

პირში ნარწყევის საშინელ გემოს ვგრძნობ და თვალებს ამის მერელა ვახელ. ჭერი ჭერია. ალბათ თეთრი იმიტომაა, რომ ზევით აწეულ ხელებს ბოლომდე გასდის ფერი. მაშინ გამჭირვალე უნდა იყოს. ცა ზედმეტი ბედნიერებაა, მაგ დონეზეც არ აუწევიათ ხელები. „თან მხოლოდ ხელნაწერები ჰქონდა... უამრავი ხელნაწერი..." თანდათან სიტყვებსაც ვარჩევ. ის, ვინც ეს სიტყვები თქვა, გავიდა.

„როგორ ფიქრობ, მართლა წერდა?" ეს ჩემი ხიდის ნაცნობია. ჩემს გვერდით წევს. თითქოს მას ყველაზე მეტად ვიცნობ ამ უცნობ ხალხში. „ხიდზე აღარ ხარ?" ვეკითხები და საკუთარ თავზე ვბრაზდები. სულ ხიდზე ხომ არ იდგებოდა?! „შეუხედავები აღმოჩნდნენ." მპასუხობს. თავი მტკივა. მგონი, თავის ტკივილი არც ადრე იყო ჩემთვის უცხო. „როგორ ფიქრობ, მართლა წერდა?" უპარსავი სახე კიდევ უფრო ახლოს მოაქვს ჩემს ბალიშთან. ცოტაც და ყურში შემიძვრება. „იქნებ, ეს მხოლოდ მამიდამისის დიაგნოზებია?"რამე უნდა ვთქვა, თორემ პასუხებსაც თვითონ მოაყოლებს. ყველამ იცის პასუხები, ჩემ გარდა. ვიხსენებ. იმ მოსაწყენ საღამოს გვერდიგვერდ ვიდექით და წითელ ღვინოს ვსვამდით. ვილაც ავტორები ჩაიკითხეს და ის გაბრაზდა. ვამშვიდებდი. ვცდილობდი, რაც შეიძლება გულგრილი სახე მქონოდა ამ მასკარადთან მიმართებაში. ის გაცოფებული იყო. მერე მე ნაცნობი შემხვდა. გადამკოცნა. ისიც კი ვუთხარი, რომ, კარგად ვარ. მერე... მერე მგონი წამოვედი... „რაში გაინტერესებს ეს მესამედი მილიმეტრი? ის მხოლოდ ბზარია, შუბლის ძვალზე და შიგნიდან." ისეთი სახით მიყურებს, თითქოს, იმედები გავუცრუე. „მაგ ლოგიკით, ჩვენ ყველას დაფშვნილი გვაქვს შუბლები." მეუბნება და სახეს ბალიშში რგავს. არაპროპორციული სიჩუმე ჩამოვარდა. ჩემთვის იმდენია, მას კი თითქოს არ ყოფნის. ახლა განსხეულდება. ხალათს მოიცვამს და ყველა ტუმბოს ფანჯრიდან ისვრის. გაზეთი მაინც მოეტანა ვინმეს...

„მოკალი ის ძუკნა?" არ ვიცი, ასე უხეშად რატომ ვთქვი. აღარაფერი მიპასუხა.

მერე, როცა წამოვედი, უზარმაზარ დავთარს მოვაფრიალებდი. გამომწერეს თუ გადამწერეს ვერ გავიგე. კიდევ უფრო შორს ვიყავი საკუთარ ორიგინალთან. მინდოდა ყველა გამვლელი გამეჩერებინა და მეხარებინა – „მე ახლი ვარ!" ისინიც კი, ვინც სიხარული საერთოდ არ იციან და მხოლოდ იმიტომ დადიან, რომ ოდესმე ასანთი გთხოვონ. ამასაც აქვს თავის წონასწორობა. ჩვენი ბინა მეთორმეტე სართულზე იყო, ეს მახსოვს. სახლში არავინაა. მოვა და თავის პარკებს მოიტანს, მკერდზე მიხუტებულს. ოთახის ცენტრში ოთხზე ვდგავარ და ვიწყებ ტელეფონის ძებნას. ტელევიზორში ამბობენ, რომ რაღაც გაიაფდა. კუდი რომ მქონდეს, გავაქიცინებდი. ტელეფონი მაგიდის ფეხთან იყო. დავურეკავ და ვეტყვი, რომ დაკავებული ვარ ჩემი თავით და ალბათ მაგიტომ გავს ყოველი დღე პიცის ერთჯერად კოლოფს. აი, ის ლაქებიც, შარვალზე, პომიდვრის კვალია, ასე რომ შეაშინა. ვეტყვი რომ...

მიუწვდომელია...

ახლა ლიფტი გაჩერდება, გასაღების გადატრიალების ხმა და შემოვა. მინდა მიხვდეს, რომ სექსის გარდა სხვა რაღაცეებიც მაინტერესებს. მინდა მითხრას, რას ფიქრობს ჩემზე, საკუთარ თავზე ან ამ ხალიჩაზე. მე მოვუყვები ამბებს ჩემი ცხოვრებიდან, რომელიც არ მახსოვს. ან იქნებ, მან ჩემზე უკეთ იცოდეს ეს. ჰაერს ძლიერდ ვისუნთქავ და ცალ ფეხზე ვდგები. ვცდილობ, წონასწორობა შევინარჩუნო.

„რას აკეთებ?" მეკითხება ის. არც ლიფტის ხმა გამიგია და არც გასაღების გადატრიალება. გულზე ქაღალდის პარკები აქვს მიხუტებული... „ზევით აწიე ხელები." დაჟინებით ვეუბნები. „რაა?" „ზევით აწიე ორივე ხელი და დატრიალდი." ზუსტად ასე იქცევა. პარკები იატაკზე ცვივა. ერთი ვაშლი ჩემს ფეხებთანაც მოგორდა. ის კი ტრიალებს და საოცრად ლამაზია. მე უამრავი კითხვა მაქვს, იმიტომ, რომ არაფერი მახსოვს, მაგრამ, ესეც მავიწყდება და ვუყურებ. ფეხზე თეთრი ქოშები აცვია და ტრიალებს. მერე უცებ ჩერდება. კიდევ უფრო ლიაა და კიდევ უფრო უფერული. „სად იყავი? სად იყავი ამდენ ხანს?" ეს კითხვა თრომბივით გაიჭედა და სხვა უამრავი კითხვა მილმა რჩება. ის კი დგას და მიყურებს. „გირეკავდი, შენ კიდევ, არასოდეს მპასუხობ." აი ასე შეუძლია იყოს, დაპაუზებული კადრივით. მგონია, რომ ყველაფერი შეუძლია, იმის გაგების გარდა,რომ არაფერი მახსოვს. „მე სადარბაზოს ჭუჭყიან ფილებზე ვწევარ და შენ ეს იცი"... იღიმის. ეს ღიმილი ყველაზე მეტად მეცნობა. წონასწორობა. აი, რა გჭირდება, რომ არ გაგიჟდე, როდესაც საყვარელ ადამიანს შენიდან უშვებ... სინამდვილეში, ყველა თვითონ იგონებს თავის ცხოვრებას. შეიძლება, ერთი ყდის ქვეშ, მაგრამ, სხვადასხვა ფაილებში...

„რატომ არ პასუხობ ტელეფონს?..

შარვალი ჩაიცვი...

ჩაიცვი ეს ოხერი შარვალი და რამე სასიამოვნო მითხარი...

მითხარი, რომ მთელი ცხოვრება ასე იქნები, ჩემს ფეხზე დაბმული ძაღლივით..."

„რომელი ხარ?"

*2013 წ.*

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ლივერპულის მოწყალება

(ფრაგმენტი რომანიდან)

*დიმიტრი ნიკლაური*

1.

იქნებ ჯობდა, ამ ჩანაწერებისათვის „წლისთავი" მეწოდებინა, რადგანაც მაშინ ჩავიფიქრე, მამაჩემის გარდაცვალებიდან წელიწადი რომ იყო გასული, მაგრამ ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვან მოგონებად სწორედ ლივერპულის თამაში რჩებოდა, 1979 წელს რომ გაიმართა თბილისში, სამი ოქტომბრის წვიმიან საღამოს. ეს ამბავიც მამაჩემს უკავშირდებოდა. მაშინ გადავწყვიტე, ჩვენი ცხოვრების შესახებ თუკი რაიმეს დავწერდი, ასე დავასათაურებდი. ის პერიოდი ახალგაზრდობითა და ბედნიერებით იყო აღსავსე და ქალაქიც „ბითლზის" უჩვეულო მუსიკით გაჟღენთილი. რადიომიმღებიც რომ გქონოდა, სრული სიხარულისათვის ესეც იკმარებდა, მაგნიტოფონი მითუმეტეს. ბითლზის სიმღერებით სამყაროს სრულყოფილებას უკეთესად აღვიქვამდით. ფორტეპიანოს ჯადოსნურ ბგერებს რუხი შენობების ვიწრო ოთახები ველარ იტევდა და ღია სარკმლებიდან ქუჩებს ედებოდა, თითქოს ბრიტანული წვიმის ჩქამი გაისმისო. სოციალიზმის სქელმა კედლებმაც კი ვერ შეძლეს ამ ბგერების ჩახშობა. ჩვენც იმ ვიტრინებთან ვტრიალებდით, სადაც სახელგანთქმული ანსამბლის შავ-თეთრი ფოტოები გამოეკრათ. მათ პროფილაქტიკებსა და ვულკანიზაციის წერტებშიც შეეღწია და ნახევრადშიშველი ქალების მშვენიერ გამოსახულებებს შორის თავისი ადგილი დაემკვიდრებინა. ეს ფოტოები წარმატების საწინდარი იყო. ჯგუფის ოთხივე წევრს თმა მოკლედ ჰქონდა შეკრეჭილი, ერთმანეთსაც თითქოს გაჭრილი ვაშლივით ჰგავდნენ, დიად სიერცეებს იპყრობდნენ და ჩვენც გზას იქით განვაგრძობდით, საითაც ცხოვრება გრძელდებოდა. ჰოდა, რა გასაკვირი იყო, თბილისში ლივერპულის გუნდის სტუმრობა განსაკუთრებულ მოვლენად მიგვეჩნია. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ დღესაც წვიმის ჩქამსა და „ბითლზის" დახვეწილ მელოდიებს იმ პერიოდის განუყოფელ ჰიმნად აღვიქვამ.

2.

მამაჩემი ანდერძისამებრ ხეობაში დავკრძალეთ, აქედან სამი ეპარქიის მოშორებით. ხშირად ჩასვლას ამიტომაც ვერ ვახერხებდი. საფლავზე ჩემები წინა დღეს ყოფილან და მე მარტო მიწევდა წასვლა. ცოტაოდენი სანოვაგე მიმქონდა და დიდუბეში ავტობუსის გასვლას ველოდებოდი. ავტობუსში წინა ადგილები ცარიელი იყო, ალბათ თვლიდნენ, ვილაცას აქვსო დაკავებული. ირგვლივ ხმაური და ყაყანი იდგა, ვიღაც ფაშფაშა ქალი კი ბავშვს უწყრებოდა:

– წესიერად მოიქეცი, თორემ დღეში სამჯერ გცემ! – თითქოს რეცეპტი გამოუწერა და მერე კი დაჟინებით გამოელაპარაკა მძღოლს, იქნებ უფასოდ მამგზავროსო.

– ნუთუ ვერ მიცანი?

მძღოლმა ჯიუტად გადაიქნია თავი. ხვდებოდა, ქარი საითაც უბერავდა.

– შენი ძმის მასწავლებელი ვიყავი სკოლაში! – ბოლოს და ბოლოს გამოუტყდა ქალი, რომელიც ზედმეტად აღფრთოვანებულიც კი ჩანდა, თუმცა მძღოლს წარბიც არ შეუხრია:

– ეჰ, რაღა დროს ჩემი ძმის მასწავლებელია, ქალბატონო! – სინანულით თანაუგრძნო მძღოლმა. მერე ხელი ჩაიქნია და მაშუქების შემოწმებას მოჰყვა. ქალს ნაცნობობის გაბმა მეტად აღარ უცდია, მწუხარე სახით ამოიღო ჩანთიდან საფულე.

– ცელოფნის პარკები ხომ არ გნებავთ? – თავი შემოყო სალონში უკბილო გამყიდველმა, საშინელებათა ფილმებში რომ თამაშობენ, მსგავსმა.

– ასეთ უხარისხო პარკებს რატომ ყიდით, საღებავი ხელებს რომ დღაბნის?! – უსაყვედურა ერთმა მგზავრმა და ისიც, თითქოს დიად საიდუმლოს უზიარებსო, მხნე ღიმილით და ჩურჩულით გაეპასუხა:

– იაფი გვიჯდება, ბატონო!

ეს მგზავრი მერე მე მომიბრუნდა, უმსგავსობაა პირდაპირო, ბოლოს კი ლაპარაკი გამიბა. უცხო ენების ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში დარაჯად ემუშავა. ნუხდა, წიგნები ინგლისურ ენაზე რომ იყო. მეუბნებოდა დედაჩემი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისწავლე ინგლისურიო, მე კი არ ვუჯერებდი, რაში გამომადგება მეთქი. ჰოდა, პირქუშად დავძრწივარ წიგნებით გაძეძგილ მდუმარე თაროებს შორისო. ეტყობა, ამ ამბავს ძალიან განიცდიდა. ისე, გულჩვილი ვინმე კი ჩანდა, კაცთმოყვარეობა ჰოლივუდის ფილმებიდან რომ აქვთ ნასწავლი.

– თქვენ თვითონ სად მოღვაწეობთ? – გამინაურება სცადა. უნდოდა, განათლებული ადამიანის შთაბეჭდილება მოეხდინა. მაგრამ ისეთი პასუხი გავეცი, წინასწარ ვიცოდი, მნიშვნელობა რომ არ ეცოდინებოდა.

– კამერდინერი ვარ!

– რა განხრით? – მაინც ჩამეძია.

– ძირითადად მუყაოთი დავკავდი! – უფრო დიდ გაუგებრობაში შემყავს, იქნებ შემეშვას მეთქი. ათასი საფიქრალით დაღლილი კაცის შთაბეჭდილებას ვტოვებდი. ეს კი თავიდან მოშორების ჩემებური მეთოდი იყო. აბა, რა უნდა ყოფილიყო კამერდინერი მუყაოს განხრით.




ჯერ ისევ დილა იყო, წვიმამ თქეშივით რომ დაუშვა. ნიავი ყვავილების მძაფრ სურნელით გაჯერდა. მოედნიდან ხალხი მიმოიფანტა. ყორნებმა ფრთები ისე აატყლაშუნეს, თითქოს პლასტმასისგან ჰქონოდათ ნაკეთები და ლანძღვა-ყრანტალით აქაჩეს სველი სხეულები ჰაერში. მშრალი ასფალტი წვიმამ გადარეცხა და იქაურობა ვენეციას დაემსგავსა, ქვის წყალმცენარეს, ყვითელი ფოთლები – ატივტივებულ გონდოლებს, ხოლო ქუჩაში მხოლოდ ერთი გაჯგიმული ჯარისკაცი მიჩლახუნობდა აუჩქარებლად, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს. ალბათ წვიმის გამო გადადებული ომიც ენახა და მეტ პატივს მიაგებდა. ჩემი ჯარისკაცული ცხოვრების ეპიზოდები გამახსენდა, თავის დამკვიდრებას რომ ვცდილობდი. ეს საბჭოთა კავშირის დროს იყო. სანამ გერმანიაში გამამწესებდნენ, ექვსი თვით ხარკოვში დამტოვეს სწავლებაზე. ფანჯრიდან მოჟამული ყაზარმები და თოვლიანი სახურავები მოჩანდა და ყვავების ავის მომასწავებელი ხმა გაისმოდა, კარგს რომ არაფერს მიქადდა. თებერვალში, ჩემს დაბადების დღეზე, მამაჩემმა ჩამომაკითხა და გარნიზონიდან მთელი დღით დამიხსნა. ეს ორიოდე კონიაკით გაახერხა. ბინა შორიახლო ექირავა. სუფრა ტაბურეტზე გავაწყეთ, ზამბარებიან საწოლებზე ჩამოვსხედით და ძველ ამბებს მოვყევით. მე სიცილისგან ვიგუდებოდი და საწოლიც ისე ჭრიალებდა, იფიქრებდი, ყურს გვიგდებსო. მამაჩემი კი იატაკს ჩასჩერებოდა. ვიცოდი, ჩემს ამბებს ძალიან განიცდიდა. როცა ყაზარმაში ვბრუნდებოდი, გუბეში გავტოპე და ჩექმები დავსვარე. ამის გამო პატრულმა შემაჩერა და საბუთში შენიშვნა ჩამიწერა. მამაჩემს გული დაწყდა, რაიმე უსიამოვნება არ მოჰყვესო. ამის შესახებ დემობილიზაციის მერე მითხრა. ეს შემთხვევა აღარც კი მახსოვდა. ნეტავ შენ, მოგცლია-მეთქი.

ბოლო ხანებში მამაჩემი ავადმყოფობდა. ხასიათიც უფრო კუშტი და პირქუში გაუხდა. უმიზეზოდ ამიშარდებოდა ხოლმე. კამათიც ხშირად მოგვსვლია. მეჩვენებოდა, რომ სიკვდილი ისე ნელ-ნელა და შემპარავად ეუფლებოდა, როგორც დღის ბოლო ეხვევა ბინდბუნდში. მის წარმოსახვაში ვარსკვლავებივით ჩნდებოდა გარდასულ დღეთა მოგონებები, ფრაგმენტულად და სევდიანად, მსგავსად ჩამავალი მზისა. თავთით ვუჯექი და საუბრის აწყობას ვცდილობდი, სიცივეში კაცი რომ ღუმლისკენ მიჩოჩდება, თუნდაც ჩამქრალი იყოს და არც შეშა მოეძევებოდეს, ისე. დროდადრო მამაჩემს სახეზე ნეტარი ღიმილი დასთამაშებდა, თითქოს ტკივილების ტყიდან გადისო. იქნებ სიკვდილი ყოველ ჩვენთაგანშია და თავის დროს ელოდება და ყველაფერი მოსასწრებია-მეთქი, გავიფიქრე. ადრე ერთი მეგობარი გარდამეცვალა. მისი შვილის ნათლია ვიყავი. ერთხელაც ნათლული სკოლაში მოვინახულე. მასწავლებელმა გამიმხილა, მხოლოდ იმ ბიჭთან მეგობრობს, მამა რომელსაც აღარ ჰყავსო. დიდი შესვენება რომ დაეწყოთ, ნაყინზე დავპატიჟე.

წვიმამ რომ გადაიღო, ავტობუსი თითქოს ამას უცდიდა, ნელ-ნელა დაიძრა და მთავარი მოედანი გადაჭრა. ის ალაგი ქვაფენილით მოეკირწყლათ. მოხრეშილი გზა მოსახვევთან

ინჯებოდა. რაც თვალთახედვაში ხვდებოდა, ყველაფერი მოწეს-რიგებული იყო. ტროტუარიც ზედმიწევნით მოეასფალტებინათ. რაც გზები შეაკეთეს, სამშობლო თითქოს დაპატარავდა.

მგზავრობის მომქანცველობისაგან თავის დასაღწევად საუკეთესო გამოსავლად ძილი მიმაჩნდა, მაგრამ ეს ყოველთვის როდი იყო შესაძლებელი. მახსოვს, ერთხელ ბათუმიდან თბილისში მოვდიოდი მატარებლით. დაღლილი ვიყავი, მაგრამ ვერაფრით დავიძინე. ათასნაირი ფიქრი ამეკვიატა, ლამპიონის ქვეშ ქინქლებმა რომ იციან დასევა, ისე. მხოლოდ სურამთან მომერია თვლემა და მთელი არსებით ჩამეძინა, თითქოს დახშულ და ღრმა კანიონში აღმოვჩნდი.

– არ ჩამოდიხარ? – ნჯღრევა-ნჯღრევით და ღრიალით ჩამძახა ვიღაცამ.

– სად ვართ? – ძლივს ამოვღერღე სადღაც ფსკერიდან.

– ხაშურში! – მოწყალედ გაისმა იგივე ხმა.

– ხაშურში რატომ უნდა ჩამოვიდე?! – მოვრთე ყვირილი, რომელიც შორიდან და ფუჭად გაისმოდა, რადგანაც შედეგს აღარასოდეს გამოიღებდა. მის სილუეტსაც ისე ვხედავდი, როგორც დაბურული მუშიდან და წესიერად ვერც კი აღვიქვამდი.

– შენ საბურავების საბითუმოსთან არ ცხოვრობ, სადგურის უკან? – გამომკითხა მხნედ.

– არა, თბილისში ვცხოვრობ! – ვიუარე განწირული ხმით. – მანდ არასოდეს მიცხოვრია!

– ნუთუ სხვას მიგამსგავსე! – მხიარული ღიმილით შემეკითხა კაცი, დღემდე რომ არ ვიცი, ვინ იყო და მატარებლიდან ჩავიდა. ამის მერე აღარც ჩამძინებია, მზერაც შეშლილი გამხდომოდა და გუნებაში სასტიკად ვლანძღავდი ჩემი გაჩენის დღეს, აგრეთვე ჩემს გამღვიძებელს და იმ კაცსაც გადავნვდი, საბურავების საბითუმოსთან რომ ცხოვრობდა, სადგურის უკან და რაღაც ჯანდაბად მე წამაგავდა, ხოლო სარკმლიდან სამშობლოს მოსაწყენ მინდვრებს კიდევ ოთხი საათის განმავლობაში ვათვალიერებდი იძულების წესით.




3.

ბოლოს და ბოლოს მამაჩემი ამქვეყნიდან გავიდა და მე მომაგონდა მრავალი დღე, რომელიც ერთად გაგვიტარებია. თუმცაღა მივხვდი, დროთა განმავლობაში ეს შეგრძნებები ნაწვიმის შემდეგ სახურავიდან ჩამონადენი წვეთების უილაჯო ჩქამს დაემსგავსებოდა, რომელიც უფრო და უფრო ყრუდ გაისმებოდა.

კაცის სიკვდილი წიგნის უკანასკნელი გვერდის გადაფურცვლას ჰგავანებია. სიცოცხლე ისე ბარდება წარსულს, როგორც გაცრეცილი საქაღალდე არქივს, მე კი, რომ მცოდნოდა, ასეთი მნიშვნელოვანი იქნებოდა გახსენება, გაცილებით მეტ წვრილმანს დავიმახსოვრებდი. არადა, მამაჩემი ბოლოს უკეთესად გრძნობდა თავს. წვეთოვანი ედგა და ბავშვობას ისე იხსენებდა, თითქოს დაღლილი და მღვრიე მდინარე თავის ანკარა სათავეს უბრუნდებაო.

– დედათქვენს მოუფრთხილდით! – აღმოთქვა მან. – ახალგაზრდობაში ქართულის მასწავლებლად ვმუშაობდი, სკოლა კი ჩვენგან ოთხ კილომეტრში იყო. ალიონზე მიწევდა სახლიდან გასვლა, რომ არ დამეგვიანა. დედაჩემს ფანარი გამოჰქონდა, ერდოზე იდგა და მელოდა. კარგა მანძილზე რომ გავცილდებოდი, მაინც არ შედიოდა სახლში. განა იმ ფანრით გზას მინათებდა? იმედს მაძლევდა, შუქი რომ მოჩანდა და იქ დედაჩემი მეგულებოდა.

ამ სიტყვებზე ხელები უსიცოცხლოდ ასწია ჰაერში, თითქოს ცდილობდა, ფანრით ხელში მდგარ დედამისს გადახვეოდა, თვალები კი ცრემლებით ევსებოდა. დედამისს მართა ერქვა და ჩემ წარმოსახვაში ბიბლიური თქმულებებით იყო შემკული. მე რომ დავბადებულვარ, მაშინ გარდაცვლილა. ეს იყო მამაჩემის უკანასკნელი მოგონება. უკანასკნელი მოგონება კი უკანასკნელ თოვლს ჰგავს, ასფალტივით მყიფე რომ არის და მისგან გუნდას ვერ გააკეთებ. ჩემი მშობლები მე და ჩემს ძმას ბაღჩებში გვზრდიდნენ, ყვავილების სურნელში, ყოველ შემთხვევაში ამას ცდილობდნენ, მაგრამ როდესაც ჩემი ჯერი დადგა, სიკეთით მიმეზლო, დედაჩემის თვალებში ლამე ვერ გამოვლიე.

მე სამსახურში ვიყავი წასასვლელი. არ მინდოდა, ზედმეტი პრობლემები შემქმნოდა. მდგომარეობა თუ გართულდა, დამირეკეთმეთქი, დავიბარე. მაინცდამაინც იმ დღეს არ შემხმიანებიან. ალბათ მიფრთხილდებოდნენ.

ნერვები ისე მქონდა დაწყვეტილი, პატარა ნვრილმანსაც მწყობრიდან გამოვყავდი.

მე ყოველთვის სხვა ღირებულებები გამაჩნდა, მხოლოდ ჩემთვის რომ იყო მნიშვნელოვანი. ამიტომაც ვერაფრით მივაგენი ჩემ ადგილს მზის ქვეშ, თავი რომ დამემკვიდრებინა. ამ ქვეყანაზე უმნიშვნელო ალაგსაც თავისი მრისხანე მფლობელი ჰყავდა. უბრალო მინდორშიც კი ვიღაც გამოჩნდებოდა, პრეტენზიის განმცხადებელი. კანონმდებლობაც უზარმაზარ მედუზასავით გვეწვა თავს. თითქოს ყველაფერი გამჭვირვალე იყო, მაგრამ მისი სიმძიმე მაინც გვსრესდა. ცხოვრებას ერთი სული ჰქონდა, ჩვენი ბედნიერება მოვალეობად ექცია. ეს კი ნიშნავდა, რომ სუფრა აყირავებულიყო და ჩვენ ძირს დაპნეული ხორაგის და ჭურჭლის ნამსხვრევების აკრეფალა დაგვრჩენოდა. არადა, შესაძლოა გამოსავალი აქვე ყოფილიყო, ხელის ერთ გაწვდენაზე, მაგრამ ამას მერელა მივხვდებოდით, მრავალი წელი რომ ჩაივლიდა უქმად და ცხოვრებაზე წარმოდგენას დავკარგავდით, როგორც ეს მრავალ წარმატებულ უმეცარს მოსვლია.

მე ვცხოვრობდი ჩემთვის გაუგებარ დროში, ვმუშაობდი ფარმაცევტულ ქარხანაში, რომლის ინჩი ბინჩიც არ მესმოდა, ჩემ ძირითად მოწოდებად კი წერა მიმაჩნდა, თუმცა ხეირიანად ვერც ამას ვახერხებდი. სიტუაციებთან მორგება გაორებას იწვევდა. გაორება კი უბედურების სათავე იყო, ერთ მდინარეში ორჯერ შესვლას ჰგავდა. მივხვდი, რომ ჩემი თავი სამუდამოდ გავფლანგე და გულს ველარაფერს დავუდებდი. გადახრიოკებულ ტრამალს დავემსგავსე, განვლილმა უბედურებებმა რომ გააუდაბურა. ისედაც წინააღმდეგობრივი ხასიათი მქონდა, თითქოს ჩემ ძარღვებში სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა, რადგან მამის მხრიდან წინაპრები მთიელი მწყემსები და მონადირეები იყვნენ, დედის მხრიდან ზღვისპირა დაბებში მცხოვრები ზღვაოსნები, ტალღებზე არეკლილმა სხივებმა რომ გარუჯეს. მხოლოდ პაპაჩემს მიუტოვებია იქაურობა და ხეობაში გადმოსახლებულა.

არადა, ცხოვრებას როგორ შევეწყობოდი, როცა ნოუთბუქი და ქარბუქი ერთმანეთისგან ვერ განმესხვავებინა, სკაიპში რომ იყვნენ, კაიფში მეგონენ, მეგალაინთან ჩავლისას კი მაგელანის მოგზაურობაზე ვფიქრობდი. სინამდვილეში რაც მაინტერესებდა, არავის ვუზიარებდი. გულის სიღრმე ჩემი საიდუმლოებებისთვის მჭირდებოდა, თითქოს იქ ცეცხლგამძლე სეიფი მედგა, სადაც ყველაზე მნიშვნელოვანი ქაღალდები მქონდა გადანახული...

მაგრამ რაღაც გზას მეც ხომ უნდა დავმკვიდრებოდი. რა მექნა, თუკი მხოლოდ მწერლობა მინდოდა, სიუჟეტების თხზვა და ამბების თხრობა მაინტერესებდა და ზღვის ცქერა, ქარიშხლის მიყურადება და ღრუბლების თვალთვალი მეწადა — მაგრამ ციფერბლატებთან განმაწესეს და სინჯარებთან მიმიჩინეს ადგილი. ჰოდა, რა გასაკვირი იყო, როცა პასუხისმგებელი პირი (პ.პ.), თავზე რომ მადგა და რაღაცეებს ინიშნავდა თავის გრძელ და უმნიშვნელოვანეს ბლოკნოტში, ჩემი მუშაობით დიდად კმაყოფილი რომ არ იქნებოდა. მე ხომ დარგის პატრიოტებმა მძევალივით კედელთან მიმიმწყვდიეს, რადგანაც მიმიხვდნენ, პროფესიული სერიოზულობა რომ მაკლდა. ეს კი უსაშველოდ მკაცრად ისჯებოდა.

სამედიცინო ფაკულტეტიც ჯარის მიზეზით განისაზღვრა. სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევისას ჯერ ხარკოვში მოვხვდი, მერე კრამპნიცში განმაწესეს და ბოლოს ალტენგრაბოვში მიკრეს თავი. აქედან აღარსად წავსულვარ. გარნიზონი ადგილმდებარეობას ხშირად იცვლიდა და ჩვენც კიბეებზე ქოშინით ავრბოდ-ჩავრბოდით, ათასობით ყუთს აქეთ-იქით ვეზიდებოდით და კედლებზე ვახეთქებდით. ამიტომაც იყო ეს ყუთები დაბზარული. სახანძრო ბალონის ჩამოლება მე მანდეს, მაგრამ ძირს დამივარდა და ქაფი შხეფებად გადმოსკდა. ხელი კი დავავლე ეზოში გასატანად, მაგრამ გზად კედელზე აკრულ და გადათეთრებულ ოფიცრობას და რიგით შემადგენლობას ვტოვებდი. მთელი ტექნიკა გზაზე ლმუილით გაემწკრივებინათ. ბოლოში თვითმფრინავებიც კი ჩანდა. მათ ტურბინებიანი მოტორები ჰქონდათ. ჩემი თვალით მინახავს, სულ ცხრა ბოლტზე ამაგრებდნენ. მეტი არ ჭირდებოდათ, ასეთი კონსტრუქცია ჰქონდათ. მალე ახალ ადგილ-სამყოფელს მივაშურეთ. იქ კი ვიღაც შარიანი სერჟანტი მოგვიჩინეს, ალბინოსის თმები და ჩასისხლიანებული თვალები რომ ჰქონდა და ყოველ წვრილმანზე იცოდა შემოდავება. ყოველ დილით ჭერიდან ბრაგაბრუგს რომ გავიგონებდით, ვიცოდით, მალე ჩვენც წამოგვყრიდნენ. მსგავს ექოებს სკოლის დერეფნები გამოსცემენ ხოლმე შესვენებისას, ოღონდ იქ მეტი მხიარულებაა. ირგვლივ ათასი ჯურის ხალხი ირეოდა, მე კი გამოცდილება მაკლდა. მორალური თაღლითები ზნეობრივი გმირებისგან ვერ განმესხვავებინა. ბოლოს თვითონვე იყიდებოდნენ, მაგრამ ამას დრო ჭირდებოდა.

რას არ გავილებდი, გარნიზონიდან თავი რომ დამელწია, მაგრამ სადმე თუ გვაგზავნიდნენ, ისევ გარნიზონში მეწადა დაბრუნება. საშველი არ ჩანდა. ერთხელ საბრძოლო მანქანა ჩამონერეს და დაცვის რიგებში მოვხვდი. ერთი კვირა მივდიოდით. ვაგონს ხან სად შეაბამდნენ, ხან სად ჩამოხსნიდნენ. უცხო სადგურებზე არც კი ვიცოდით, რამდენ ხანს დავყოფდით. მისამართი ვაგონზევე ეწერა, ფრანკფურტოდერში მივდიოდით, პოლონეთის საზღვართან. გზაში გერმანული ვაგონებიდან გვიწევდა ქვანახშირის აღება, პურსა და ორცხობილას კი რუსულ გარნიზონებში ვმათხოვრობდით.

ჯარის ნაწილი ყოველ ნაბიჯზე იდგა. ვიცოდი, ერთ ქართველს მაინც გადავაწყდებოდი და გვიმასპინძლებდა. საზღვრამდე რომ ჩავაღწიეთ, ლამპიონები მთელ გაყოლებაზე ციმციმებდა. აქედან ჩემ სამშობლომდე კი კიდევ რამდენი საზღვარი იქნებოდა.

გარნიზონში, როცა განგაში ცხადდებოდა, იმ ღამეს ტყეში ვათევდით. კარვებში გვეძინა და სიცივისგან ვკანკალებდით. მერე ჩვენ შორიახლო პატარა ტბა აღმოვაჩინეთ. ზედ ფრინველები ეშვებოდნენ და ტბის ზედაპირი ქავლებად ლიცლიცებდა, პატარა წრეები ფართოვდებოდა და ერთმანეთის მიყოლებით იკარგებოდა შორეულ სიღრმეებში. ჩვენ კი ნაპირთან ვისხედით და დრო უქმად გაგვყავდა. თვალებში სევდა და მონატრება გვედგა. ოფიცრებს ყურადღება მოდუნებული ჰქონდათ და ჩვენც მეტი უფლება გვეძლეოდა.

– აქ ყოფნა კიდევ ერთ კვირას მოგვიწევს! – ვთქვი მე.

– საიდან იცი? – მომაჩერდნენ დანარჩენები.

ეს ხერხი ადრევე მოვიფიქრე. საბარგო მანქანის ტენდს გადავწევდი და დარჩენილი პურის რაოდენობას ვითვლიდი. დღეში თერთმეტი პური იხარჯებოდა. იქ კიდევ ოთხმოცამდე პური იყო დარჩენილი. ერთ კვირაში მართლაც დაგვაბრუნეს გარნიზონში, სადაც შავ დღეს გვაყრიდნენ. საწყენის მეტი რა გვხვდებოდა. თურმე შესაძლოა, ცხოვრებამ ისეთ დღეში ჩაგაგდოს, ნესიერი მოპყრობაც სანატრელი გაგიხდეს.

თუმცა ბოლოს ბედმა გამიღიმა და სანიტარულ ნაწილში აღმოვჩნდი, რომელსაც რუსი ფელდშერი განაგებდა. ერთხელაც მითხრა, საქართველოში ხომ ინსტიტუტში სწავლა საპატიო საქმედ ითვლებაო. თავის ჭკუით მასხრად მიგდებდა, რადგან სწავლას დიდ რამედ არ მიიჩნევდა. მერე განაგრძო, ჩიპოკი იკისრე და ლიმიტს და დახასიათებას გაგიხერხებო (ჩიპოკს გარნიზონის ტერიტორიაზე მდებარე კაფეს ეძახდნენ). სანიტარულ ნაწილში შტაბის თანამშრომელი წევს, შტაბის ბეჭედი მის ხელშია, ქვას გახეთქავს, ისეთ დახასიათებას გაგიმანშალებსო, ოღონდაც სამედიცინოზე მოგიწევს ჩაბარება, რადგანაც მხოლოდ საფერშლო ბლანკებზე მიგვიწვდება ხელიო. ჭკუაში დამიჯდა. აბა, ოფიციალურ დახასიათებას მე ვინ მაღირსებდა. ბატარეის უფროსი დიდად არ მწყალობდა. საღამოს უკვე ჩიპოკში ვისხედით და გულითადად ვსაუბრობდით:

– დახასიათებაში ისიც ჩაგიწერეთ, ვითომ მომაკვდავი გადაარჩინე, ვინძლო უგამოცდოდ მიგიღონ. ჰოდა, აუდიტორიაში როცა იჯდები, კეთილად მოგვიგონებ ლოხას და ანდრიუხას, შენს გულითად მეგობრებს და გულშემატკივრებს! – ეს სიტყვები სადღეგრძელოსავით წარმოთქვეს, მაგრამ ხელში კეფირის ქილები ეჭირათ. მერე ლოხას და ანდრიუხას მართლაც ვიგონებდი ხოლმე, ოღონდაც მძაფრი სიტყვებით და ძირითადად მაშინ, როცა საშემოდგომოები მყვებოდა.

სახლში რომ წამოვედი, ცელოფნის პარკში გახვეული საბუთები მაისურში მედო. ჩემი მომავალი საზღვარგარეთიდან პოლონეთის და მოძმე რესპუბლიკების გავლით მკერდით გადმომქონდა. ჯარისკაცებს მხოლოდ ჩემოდნებს უჩხრეკდნენ. ჰოდა, ამით ვისარგებლე. გარნიზონი ალიონზე დავტოვე



**Adult Male in Breeding Condition**
Dorsal View

და უკან მოხედვა არ მინდოდა, თითქოს ასე რომ არ მოვქცეულიყავი, მარილის სვეტად ვიქცეოდი. შესასვლელში ჩემი ბალყარი მეგობარი საიდ ატაბიევი გამომემშვიდობა, საბუთების შესახებ არც იმისთვის მითქვამს რამე. ოქტომბრის ბოლოს უკვე თბილისში ვიყავი და ნოემბრის დასაწყისში მოსამზადებელზე ვსწავლობდი. სამიანებიც მეყოფოდა ჩასაბარებლად. გადაწყვეტილება ჩემებმაც მომიწონეს. საქმე არც ისე ცუდად იყო. სტუდენტიც გავხდი და პერსპექტივებიც განისაზღვრა, მაგრამ გული მედიცინას ვერაფრით დაეუდე. ერთი სხვაფაკულტეტელი გოგონა კი შემიყვარდა. საერთო ლექციებზე გაფაციცებული ვესწრებოდი. მას ჯადოსნური, ზღვისფერი თვალები ჰქონდა და ვგრძნობდი, რომ მთელ ცხოვრებას ნეტარებად აქცევდა. მაგრამ მისი გული ვერაფრით მოვიგე. ისე ვუმზერდი, როგორც აღმოსავლეთის ველური მაღლობები ტკბებიან დასავლეთის ნატიფი სანახების ხილვით, მაგრამ მასთან მიახლოება არ ძალუძთ. ეს მტანჯველი სიყვარულიც ამ მარადიულ ჟინილს წააგავდა, საქმეს კი დიდად ვერც ის შველოდა, წარმოშობით ჩრდილოეთელი რომ ვიყავი, მდუმარე მთების შვილი, თანაც სამხრეთში დაბადებული. გონებით თუ განვსაზღვრავდი, არავითარი პერსრექტივა არ ჩანდა. უბრალოდ გული მიმინევდა. გულს ვერაფერს ვუხერხებდი, მაგრამ მაინც ასე ვარჩიე, მე მეტანჯა უმისოდ, ვიდრე მას – ჩემთან. ეს გმირულ საქციელად მეჩვენა. ყველაზე შეურყვნელი ხომ არშემდგარი სიყვარულია.

ფიზიოლოგიის კათედრაზე თითოეულ სტუდენტს ბაყაყი ორჯერ უნდა გაგვეკვეთა. ერთ სტუდენტზე სემესტრში ორი ბაყაყი მოდიოდა. ეს ბაყაყები ვერა-მდინარედან მოჰქონდა ერთ ხანშიშესულ კაცს, გახუნებული პიჯაკი რომ ეცვა და თითოს ოც კაპიკად აბარებდა. მისი სევდიანი სახე ახლაც თვალწინ მიდგას. მე მაშინ უარი განვაცხადე და ახსნა-განმარტება დამაწერინეს. ყბადაღებული ბალადაც ლაბორატორიაში დაკლული ბაყაყის შესახებ, როგორც სახალისო ჰიმნი, იმ ახსნა-განმარტების სანაცვლოდ დავწერე.

– დაუწერეთ ნიშანი, მასწ. პოეტია, ლექსებს წერს! – ემუდარებოდნენ ყოველი სემესტრის ბოლოს.

– თუ პოეტია, აქ რა უნდოდა! – მოთქვამდნენ ლექტორები, მაგრამ დამაკმაყოფილებელ ნიშნებს მაინც მაყოლებდნენ.

როცა ქიმიის ლექციებს ვესწრებოდი, ჯოჯოხეთზე ვფიქრობდი. ეს კი წლები გრძელდებოდა. საბოლოო ჯამში თოთხმეტი სახეობის ქიმია შევისწავლე, მაგრამ ცოცხალი გადავრჩი და თუ ჩემი თხრობა მოსაწყენად გეჩვენათ, ეს იმის ბრალია, რომ წერის ტექნოლოგიები არასოდეს მისწავლია. დღემდე ისიც ვერ გამირკვევია, სესიებზე იოლას როგორ გავდიოდი. ერთი პირობა ყველაფრის დაზუთხვა დავაპირე, მაგრამ პირველივე წინადადებიდან მივხვდი, რომ იქ საშინლად მოსაწყენი ამბები იყო აღწერილი. ცოტაოდენი ვალენტობამ დამაინტერესა, ელექტრონების რაოდენობის შრეებზე შევსება ერთი ხანობა თავშესაქცევ ამბად მეჩვენა, მაგრამ ამანაც დიდხანს ვერ გასტანა. აქაც მოსაწყენი აღრიცხვიანობა იყო. თითქოს ციფრები იმისთვის გამოიგონეს, რომ სამყაროს საიდუმლოებები წესრიგში მოეყვანათ და ნუმერაციის მიხედვით განელაგებინათ. სრული სვლით მიმდინარეობდა ნივთიერებათა დაყოფა – მეტალებად და არამეტალებად. ეს დაყოფები კი ატომთა ვერაგული აღნაგობით იყო გამოწვეული. ატომგული ხომ იგივე როლს ასრულებდა ელექტრონებისთვის, რასაც მზე – პლანეტებისთვის. ორბიტები ენერგეტიკულ დონეებს წააგავდა. თითქოს უსასრულობის საიდუმლოც ამოიხსნა. ყოველ შემთხვევაში მისი მიმართულება განისაზღვრა. მთელი სამყარო, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, შესაძლოა ერთ უმნიშვნელო ატომში იყო განლაგებული. მაგრამ ეს ხომ მატერიის ზეიმი იქნებოდა. სიყვარულს ისედაც ტანჯვად აღვიქვამდი, მაგრამ მის უარყოფას ვერაფრით დავუშვებდი. უდაბნოს უკიდეგანობა მხოლოდ ოაზისების გამო შემეძლო დამეთმინა, როგორც ვეება კექსს ხდის ქიშმიშის რამოდენიმე მარცვალი სასიამოვნოს. არამეტალების სიძლიერე იმით მტკიცდებოდა, რომ ძლიერი ჰალოგენი სუსტს გამოაძევებდა და მის ადგილს იკავებდა. პირიქითა რეაქცია კი არაფრით არ წავიდოდა, როგორც წარსულში დაბრუნება გახლდათ შეუძლებელი. მე არ მინდოდა მარადიული საიდუმლოებების მატერიალური ხერხებით ამოხსნა, პოტენციური და კინეტიკური ენერგიების დაჯამება – დაე, ცალ-ცალკე ყოფილიყვნენ, თავ-თავიანთთვის.

მოკლედ სახელმძღვანელოები ჩარაზულ ბჭეებად მექცა, მენდელეევი გულისპირზე მედლებით დახუნძლულ ბერიკაცად წარმომედგინა, კიურეს გვარი კი პიურეზე ძლივს დავიმახსოვრე. ამგვარად ცნობიერების ჩიხში მოვექეცი. ისევ პრაქტიკას ჯობდა გავყოლოდი. თეორია და პრაქტიკა სხვადასხვა რამეა. თეორია შაშხანის გამოყენების სწავლებაა, პრაქტიკა – ბრძოლის ველი. ბრძოლის დროს თუ მოითხოვე, შაშხანის სროლა მასწავლეთო, უნდობლად შეგხედავენ, თუნდაც მეფესავით იბღვირებოდე. ჯობდა, იმაში გავწაფულიყავი, რისი მიდრეკილებაც გამაჩნდა, მაგრამ ველარაფერს შევცვლიდი. ვიგრძენი, ჩემმა შეცდომებმა უსასრულოდ ღრმად შემიტყუეს, არადა, ყველანი მეუბნებოდნენ, დრო მოვა, მადლობას გვეტყვიო. საბავშვო ბაღიდან დაწყებული სამსახურით დამთავრებული სულ ამას მიმეორებდნენ, მადლობას გვეტყვი, მადლობას გვეტყვი! აწი, სადაცაა ცხოვრება ჩათავდებოდა, მაგრამ ეს მადლობა არავისთვის მითქვამს.

თურმე ცხოვრებას ისეთი ზედმიწევნობით უნდა მისდიო, როგორც ნოე აგებდა კიდობანს. არც ერთ წამს არ უნდა წაუყრუო, რადგანაც კოცონს ღმერთი ანთებს, ჩვენ კი მხოლოდ უნდა გავაღვივოთ. თავიდან რომ ვიწყებდე, ალბათ ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ჩავაბარებდი, ისიც დაუსწრებელზე, ანდა სულაც სემინარიაში, მაგრამ ერთი ცხადია, სწავლაზე მეტ დროს ცხოვრებას დავუთმობდი. ასეთ შემთხვევაში ხომ ავტოპილოტის რეჟიმში ვიცხოვრებდი, თუნდაც ნაკლები შემოსავალი მქონოდა და აღარ მომიწევდა ამდენი თამაში და თავის აგდება. თუმცა, რაღა დროს ამეებზე ფიქრია, როცა ამდენმა ეტაპმა ჩაიარა. არადა, სწავლას უმეტესად სიკეთე მოაქვს. ერთი ტანმაღალი კლასელი მყავდა, გრამატიკის მასწავლებელი მუდამ ყურებზე ექაჩებოდა, ფეხზე თუ იდგა, ვერ წვდებოდა და ბრაზობდა, კალიგრაფია გამოისწორე, ასოებს თავი კარგად მოუმრგვალეო, ერთთავად ამას ჩასჩიჩინებდა. მართლწერის საკითხი მისთვის უზენაესი რამ იყო. რაც შემიძლია, ვუმრგვალებო, ისიც თავს იმართლებდა. ნელ-ნელა მართლაც გაიწაფა, თუმცა რაში გამოიყენა? შეყვარებულის სახლის კედლებზე მომრგვალებული ასოებით ბევრგან წააწერა – მიყვარხარ, წრუწო! – წაშლის მსურველები ვერაფრით მიუდგნენ. რაც მის მასწავლებელს ლანძღავდნენ, ვინც შენ წერა გასწავლაო. მერე მომხდარით უბნის ინსპექტორიც დაინტერესდა, ქართულის მასწავლებელი დაიბარა, მთელ უბანს წერა შენ ასწავლე და იქნებ ამოცნობაში დაგვეხმაროო. რა თქმა უნდა, ამოიცნო,

განსაკუთრებით მომრგვალებული თავები, მაგრამ არ გაუთქვამს. ამას წინათ ეს ჩემი კლასელი პოლიკლინიკაში შემხვდა, ყურების ტკივილს უჩიოდა, მაგრამ მასწავლებელს მაინც ემადლიერებოდა, რადგან ის გოგონა ცოლად გაჰყოლია.

4.

დღის ბოლოს ნედლეულის საწყობში განვმარტოვდი ნაშთების დასათვლელად. სინამდვილეში კი სულის მოთქმა მინდოდა. ვიცოდი, აქ არავინ მომიკითხავდა. ხის ყუთზე ჩამოვჯექი და მობილური ტელეფონი იმ კასრზე შემოვდე, სადაც უკეთესი დაჭერა ექნებოდა. საწყობი ნახევრად სარდაფში იყო. მე კი წარწერებს თუ არ ვკითხულობდი, თვალებს არ ვუჯერებდი. ერთგვარი უნდობლობა დამჩემდა. ცხოვრება, თავის შემადგენელი ელემენტებით, თავზე მეყრებოდა და ქვეშ მიქცევდა. რომელი ნაყოფი და აღმოცენება, ჩემი თავისთვისაც ვერ მიმეგნო, აქ მხოლოდ განვისვენებდი, სანყობის სიმყუდროვეში, ქლორტალიდონის, კატის ბრჭყალისა და ჯუჯა პალმის მშრალ ექსტრაქტს შორის. მოშორებით ვეება კასრი ჩანდა – უნიპურე – თითქოს ბებერი ინდიელი, შიმშილით რომ გადასივდა, ტომაჰავკით ხელში მისისიპის ნაპირებს ზვერავსო. მოკუზულ ზურგს არომატიზატორთა მწყობრი უმაგრებდა უდაბნოს მხნე მშვილდოსნებივით, ხოლო ზემოდან, როგორც ბრძოლის ველიდან, დაზგების გაბმული ხმაური მოისმოდა. ჭერი რომ ჩამონგრეულიყო, ალბათ კარგა ხანს არავინ მომაკითხავდა. ეს სანყობი ერთნაირად შეუვალი იყო კონტამინაციისა და ზემთაგონებისთვის. მის სიღრმეში შტაბელებად მოჩანდა სალეჭი ტაბლეტებისა და ნახევარპროდუქტების მოსაწყენი განლაგება, ხოლო ეტიკეტები იუწყებოდა, რომ ლიპოიდისა და კალციუმის პატიოსანი კასრებიდან ნიმუში უკვე აღებული ჰქონდათ. მე არცერთ ნიმუშად აღარ ვივარგებდი – არც პოეტის, რამეთუ სამწერლო პერსპექტივები დაზგების ხმაურმა დაახშო და არც ფარმაცევტის, რამეთუ რეცეპტებს მხოლოდ რითმას ვუძებნიდი და ამ მხრივ დახელოვნება ჩანასახშივე განწირული თემა იყო. ჩემს ჩანაწერებში ღირებული ლიტერატურული გმირიც რომ შემექმნა, მას ჯერ ტანსაცმლიდან მოუწევდა ფარმაციის მტვერი ჩამოებერტყა. ერთი მხრივ კი, პროფესია, რომელსაც ვთვლიდი, რომ ჩემ განადგურებას ემსახურებოდა, შესაძლოა, სათნოც აღმოჩენილიყო. წონასწორობის პრინციპი ხომ ყოველ მომენტს ითვალისწინებს და როგორც ნანგრევები ვერ გრძნობს მაცოცხლებელი სიოს ლამუნს, იქნებ მეც, რახან სიცოცხლეშივე ვიგემე არყოფნა, სიკვდილის შემდეგ ყოფნა შემეგრძნო? მე ხომ არანაირი წარმოდგენა არ მქონდა, როგორ უნდა მოწყობილიყო სახელმწიფო, წარმატებულად რომ ჩაეთვალათ, რომელ სტრუქტურებს უნდა მინიჭებოდა უპირატესობა, ადამიანის გამოვლინება უკეთ რომ შემდგარიყო. მე ხომ არ მაინტერესებდა გაუქმებული კამხალების შემადგენელი ნაწილების და ჟანგიანი რკინების მწუხარე ბედი. მე მხოლოდ მარადიულობის თემა მაღელვებდა.

ჩემი ცხოვრება ლაბორატორიულ მცდელობას ნააგავდა, სადაც შედეგი სანახევროდ გათვალეს. თუმცა პროცესმა მოულოდნელი პერსპექტივები წარმოაჩინა და სამწუხაროდ მოულოდნელი იმედგაცრუებაც. მაგრამ დაწყებულ საქმეს ბოლომდე ჭირდებოდა მიყვანა. აქ მომუშავე ადამიანებისაც მესმოდა, საიდუმლო რეცეპტებს ჯერ გონებაში რომ აყალიბებდნენ და იდეის გარშემო ისე ერთიანდებოდნენ, როგორც ლაშქარი იურის თავს კოცონის ირგვლივ და ერთსულოვნად ცდილობდნენ იმ კონცენტრაციის დადგენას, სამკურნალო სიროფის მიღების წინ ფურჭელს შენჯღრევა რომარ დასჭირვებოდა. ეგ არის, მე ვერაფერში ვადგებოდი. მხოლოდ საზოგადო აზრს თუ გამოვთქვამდი, მაგალითად, რა საჭირო იყო ამდენი სქელი საქაღალდეები, როცა საკითხი შესაძლოა ორ სიტყვაში ჩატეულიყო. რახან პრობლემებმა იმატა, სიტყვებმა უნდა იკლოს. თუმცა ყურს ვინ დამიგდებდა. მე იმდენად უმნიშვნელო თანამდებობა მეკავა, მიკვირდა ფარმაცევტული ქარხნის ეზოში ჩავლისას ჩიტები რომ ფრთხებოდნენ და ფრთების ფართხუნით ინაცვლებდნენ ადგილს.

ამასობაში სამუშაო დროც გასრულდა. ჩემი მდგომარეობის გამო არაფერს მსაყვედურობდნენ. სალმის ნაცვლად მამაჩემის მდგომარეობას მეკითხებოდნენ. ყველანი იმდენად ვიყავით დაკავებულნი, რომ ერთმანეთს მხოლოდ დამშვიდობებისას ვესალმებოდით. მობილური ტელეფონი პირქუშად დუმდა. თუმცა, არც მე ვიწუხებდი დიდად თავს. რომელიღაც თანამშრომელმა მანქანით ქალაქამდე წაყვანა შემომთავაზა. ჩვენი სამსახური ქალაქის გარეუბანში მდებარეობდა. ეტყობა, რომ თავიდანვე განიზრახა ჩემი შინ მიყვანა. ლიფტთან რომ დამიგულა, მერელა წავიდა.

5.

ღია კარიდან დედაჩემის ქვითინი შემომესმა. შუშაბანდიდან შემოსული მუქი მამაჩემს სახეზე ეფინებოდა. მეზობლებს ტახტი ამოეტანათ, ქოშინით და კიბეზე. ლიფტში რას შეატევდნენ. აივანზე გავედი და ცრემლები ნამსკდა. ხის კენწეროსთან ვცხოვრობდით, მეცხრე სართულზე, თითქოს ცაში ვიყავით გამოკიდულნი. განმარტოება მინდოდა, მაგრამ ზოგიერთებს უკვე შეეტყოთ მომხდარის შესახებ. პირველად გერამ მოგვისამძიმრა, მამაჩემის ძველმა მეგობარმა;

– მაშ ილია აღარ არის!

– ასეა! – უხალისოდ მივუგე.

იმ დღეს ბევრისგან მოვისმინე სამძიმრის სიტყვა მამაჩემის დახასიათებით.

– იგი ბუნების ჭეშმარიტი შვილი იყო, ამ ქალაქისთვის ფრიად უცხო. განა შეუძლია ზათქით მიმავალ მთის მდინარეს მილოლავდეს?!

– იგი მგზავრი იყო, გზა რომ ჩაბერგოდა და ვერაფრით განეგრძო!

– მას დინების სიმღვრივე თრგუნავდა და სიანკარის შენარჩუნებას ცდილობდა!

– ერული იყო, ბერივით კი ცხოვრა!

– ბერული იყო, მაგრამ ერულად ილვანა!

– განა ფოთლები დაფრინავენ? – ნეტარად ალმოთქვა ერთმა. – მაგრამ ხომ დაგინახავთ ფოთლები ჰაერში!

მოკლედ ყველა მიზიარებდა თავის წარმოდგენებს მამაჩემის შესახებ. ესენი მამაჩემს მასწავლიდნენ? ერთი კია, როგორ ჯობდა ცხოვრება, კაცი მხოლოდ სიკვდილის წინ არკვევს, როცა ველარაფერს შეცვლის.

მაგრამ გერა მაინც პირველი იყო, ვინც მოგვისამძიმრა. იგი პროფესიით მჭედელი გახლდათ, ყველაფრის შესახებ რკინასავით მტკიცე შეხედულებები ჰქონდა. ალბათ ამირანი ჯერ კიდევ ჯაჭვებით იყო დაბმული, რახან გერა ცოცხალი და საღ-სალამათი დაიარებოდა.

– კოფიას შევატყობინე წუხელ! – დაარეცვია სიძემ – დილის ავტობუსს გამოვყვებით, ტიროდა ტელეფონში!

შემდეგ მამაჩემს გადახედა:

– მის დაუდგრომელ სულს ქალაქისკენ ჰქონდა სწრაფვა, მაგრამ ფესვები მშობლიური კუთხისკენ ექაჩებოდა!

ნეტავ ქართულში რა ნიშანი ჰყავდა? ალბათ გრამატიკულ ნაწილში აკლებდნენ, თორემ თემას როგორღაც გაქაჩავდა, გავიფიქრე მე.

– მერაბის გააგებინეთ, ვაშალომიძეს?

– ანი ვაპირებ! – ვთქვი მე, მაგრამ უცებ ზღურბლზე მერაბი გამოჩნდა, ქუდი მოიშვლიპა და დედაჩემს ოხვრით მიუსამძიმრა. მერე გერას ჩამოართვა ხელი და გვკითხა:

– განცხადება მიეცით გაზეთში?

– ჩვენ თვითონ გავაგებინებთ. გაზეთები იმდენია...

– ვინმე არ გამოგრჩეთ, გული დაწყდებათ!

– ჩამოვწეროთ! – თქვა გერამ.

– ჰო, ასე აჯობებს!

ეს უკვე რაღაც საქმიანი იყო. დედაჩემს მოვუხმეთ.

– ჯერ ძველ მეზობლებს გავაგებინოთ. ვინ იცის, ზოგი ცოცხალი აღარცაა.

– სად უნდა დაკრძალოთ?

– ამის ძმა დარბის მაგ საკითხზე! – ჩემზე მიუთითა. ალბათ საბურთალოზე გადავწყვეტთ!

– ჰო, ახლა ძირითადად მანდ იკრძალებიან! მე თუ მკითხავთ, მაინც მშობლიურ კუთხეში ერჩივნა, იქ, ხეობაში!

– თვითონაც ასე დაიბარა, მაგრამ სიცოცხლეში გული იქით არ მიუწევდა!



– 1932 წელს იყო დაბადებული?

– ჰო!

– ასეც ვიფიქრე, წელს ძირითადად 1932 წელს დაბადებულნი კვდებიან! – დაბეჯითებით თქვა. დიდად ერკვეოდა ასეთ საკითხებში. მე და დედაჩემი ოთახიდან გავედით. ვიღაც ქალი მოსულიყო მოსასამძიმებრად. როგორც დედაჩემმა ამიხსნა, ბიცოლაჩემის დის მაზლის ცოლი ყოფილა. მეტი სიახლოვე რაღა გინდოდა. გერა კი სადარბაზოს ფანჯარას უკირკიტებდა, ცდილობდა, მორყეული ჩარჩო ანჯამაზე ჩამოეცვა. ასეთი ხასიათი ჰქონდა, უსაქმოდ ვერ გაძლებდა.

– წავალ ანი, ბიჭებს გავაგებინებ! – თქვა გერამ, მაგრამ წასვლა არც უფიქრია. რაღა დროს ამათი ბიჭობა იყო, იხტიბარს არ იტეხდა.

– მაშ ჩემი ჯერი დადგა! – თქვა მერაბიმ. – ცხოვრება აბურდული გორგალია. სიცოცხლე კი დრო, რომლის განმავლობაშიც ვერ ვასწრებთ ძაფის გამონთავისუფლებას. უმეტეს შემთხვევაში კი უფრო ავბურდავთ ხოლმე.

დედაჩემი ერთხანს უსმენდა, მერე ჰკითხა:

– ისევ მეტრო-სადგურში მუშაობ, მერაბ?

– მე მეტეო-სადგურში ვმუშაობ! – შეიცხადა მან, ნუთუ დღემდე არ იცოდიო. თან კოპები შეიკრა, ჭკვიანი კაცის შთაბეჭდილება რომ მოეხდინა. ასეთ მოლუშულ შუბლს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დერეფნებში უფრო გადაეყრებოდი.

– ეს არის კაცის ცხოვრება! – ჩაილაპარაკა გერამ. – თითქოს მწვერვალისკენ მიღოღავდე მანქანით, რომელიც ბოლომდე ვერ ქაჩავს და ჩერდება. იქიდან კი ფეხით უნდა განაგრძო გზა.

– სიკვდილი სცენიდან ჩამოსვლას უფრო ჰგავს. – გაეპასუხა მერაბი. – მერე მაყურებელთა შორის ჩაგსვამენ და შენივე სპექტაკლს უშენოდ დაგასწრებენ.

– ფოტოსურათი შეგერჩიათ! – გვირჩია წასვლისას.

6.

დედაჩემმა ფოტოალბომი გამოიტანა და სურათი შენ შეარჩიეო, შემომაჩეჩა.

ოჰ, ეს ფოტოები – სიცოცხლის გაქვავებული ნამები, წარსულის უმცირესი გაელვებანი, საფეხურებად რომ ქცეულან მარადისობისკენ მიმავალ კიბეზე, რა ძალუმ გრძნობებს აღძრავენ ხოლმე. ფოტოს გადაღებისას თვალდახუჭული რომ არ გამოვსულიყავით, თვალებს ვაჭყეტდით. იმიტომაც გამოიყურებოდა ჩვენი თაობა ოფიციალურ საბუთებში თვალებგადმოკარკლული. გადაღების დროს სინათლის ისეთ წყაროს გვიშვერდნენ, თითქოს სტადიონის პროჟექტორი ჩართესო. თუმცა გვაფრთხილებდნენ, მაგრამ გვიან იყო. კადრი კადრზე ფუჭდებოდა, გამოსახულებანი უვარგისი ხდებოდა, ჩვენ კი ასეთი საბუთებით განვაგრძობდით სიცოცხლეს, სინამდვილეს მხოლოდ ნაწილობრივ რომ ასახავდა.

მთელი დღის მანძილზე ოღროჩოღრო ქუჩებში ჩაკარგულები სახლის გზას შებინდებულზე თუ გავიკვლევდით ხოლმე. მერე მთელი ღამე ვბორგავდით, ალიონზე მაინც რომ ჩაგვძინებოდა. ღამე ხომ მოჩვენებების დრო იყო, დღის სინათლეზე უკვალოდ რომ ქრებოდნენ, მაგრამ ჩვენ ჩვენ ჩაამიც არ გამოგვეპარებოდა. მერე წისლივით ბრჭყვიალა და მტრედისფერი განთიადი ვეება გემივით მოადგებოდა ხოლმე ჩვენ მშობლიურ, მოსაწყენ ნაპირს და ნაცრისფერი კორპუსები ნააბანოევარ და ზეწრებში გახვეულ სნეულებს დაემსგავსებოდნენ, თვლემამორეულები თვალებს რომ იფშვნეტდნენ. გაჩხინკულ ნეკნებს მჩხაეანა კატები უკაწრავდათ, მამლები ყიოდნენ და ლავლავა ძაღლები გაუთავებელი ყეფით გულს გვიწყალებდნენ. ჩვენ ვცდილობდით ყური არ გვეგდო, რადგან ეს ჭახჭახა ხმები იმის მაუწყებელი იყო, რომ ეს ქალაქი მარტო ჩვენ არ გვეკუთვნოდა. ერთი რამ კი ზედმიწევნით ვიცოდით: რაც ყველაფერზე მეტად გვჭირდებოდა, ეს სიმდიდრე და არდადეგები იყო.

ერთ-ერთი ფოტო შევარჩიე და დიდხანს ვუკირკიტებდი. მამაჩემი გულანთებული კაცი კი იყო, თუმცაღა ვხვდებოდი, სიმართლეს ბოლომდე რომ არ ამბობდა. ერთხელ მიამბო, ბავშვობის სახლი მთავრობამ ჩამოგვართვა და მაღაზიად გადააკეთესო. თურმე, როცა სევდა მოეძალებოდა ხოლმე, იმ მაღაზიაში შედიოდა და ხანგრძლივი თვალიერების შემდეგ, ეჭვი რომ არ აეღოთ, იაფ რაღაცეებს იძენდა. ამ ფოტოზე, შუაში მამაჩემი ჩანდა, აქეთ-იქედან კი მე და ჩემი ერთი მეგობარი შემოვუდგომოდით, რომელიც ცოცხალი აღარ იყო, დიაბეტის მძიმე ფორმით გარდაიცვალა. ადრე რომ ვთქვი, მეგობრის ბავშვი მოვნათლე მეთქი, მისი შვილი გახლდათ. ჩვენ წარწერებიანი პერანგები ერთმანეთში გავცვალეთ და როცა დავკრძალეთ, ჩემი პერანგი ტანზე ემოსა. ფოტოზე სამნი ვიყავით, მათგან ცოცხალი მელა დავრჩი.

ჩვენ ის თაობა ვიყავით, მრავალ ნგრევას რომ მოესწრო. დასალევად გარეუბნის სარდაფებს ვეტანებოდით, რადგან უფრო იაფი გვიჯდებოდა და მეტი სიწყნარეც იყო. ძველი ბიჭებიც, რომ არ ეცნოთ, აქ, მიწის ქვეშ, ესხდნენ სუფრებს. ჩვენც გვეამაყებოდა, სახეზე რომ ვიცნობდით, ხოლო გალეშვა ჩვენ მთავარ და საპასუხისმგებლო საქმედ მიგვაჩნდა. წამოსვლისას ტაქსის ფული მეტრომდე ძლივს გვყოფნიდა. მათხოვარი რომ გადაგვყროდა, ფულს კი გავიღებდით, მაგრამ ხურდას ვართმევდით, სახლამდე როგორმე რომ მიგვეღწია. ხოლო ცათამბჯენები ის კორპუსები გვეგონა, გარეუბნებში რომ აგებდნენ მობეტონებული

ეზოებით. ასე მივჩანჩალდით ახალ ეპოქამდე, მაგრამ ზედ ზღურბლზე გავქვავდით, რადგან ვერც ახალს შევეჩვიეთ და ძველიც დასავიწყებლად გვენანებოდა. და თუ ვმღეროდით, არა იმიტომ, რომ ვმხიარულობდით, არამედ სისხლის ჩქროლვა რომ გვეგრძნო. დაბადების დღეს რასაც გვჩუქნიდნენ, იმავეს ვუბრუნებდით თავიანთ დაბადების დღეებზე. მთავარი იყო, არ აგვრეოდა და ნივთები შეგვეცვალა. ოდეკოლონები ისე ძველდებოდა, გახსნა არ ღირსებიათ. ერთხელ ინდიელთა ზღაპრები გამოყარეს იაფად. ისე მოხდა, რომ ჩემს მეგობარსაც ეს წიგნი ეჩუქნა.

– ორი ცალი გექნება და უფრო ყურადღებით წაიკითხავ! – დავამშვიდე მე.

ფოტოები კი ყველაფერს აფიქსირებდა, მაგრამ სანამ ახალგაზრდა ხარ, ის გახარებს, რომ წინ კიდევ დიდი დროა. როცა მოხუცდები, ის გამწუხრებს, რომ ეს დრო ცოტაღა რჩება. ერთი ფოტო როგორც იქნა შევარჩიე. მერე შავი მაისურის ძებნა დავიწყე.

კომოდზე ძველი ტორშერი იდგა. ეს ტორშერი ანტიკვარული ხელშეუხებლობით სარგებლობდა. როცა მაგიდასთან შუქი გვჭირდებოდა, ტორშერს კი არ გადმოვდგამდით, მაგიდას მივწევდით ხოლმე. ეს კომოდიც ძველი იყო და მრავალ დავიდარაბას გადაგვყარა. საძინებელში გვედგა და ერთ უჯრას რომ გამოაღებდი, მეორეც მოყვებოდა, მეორეს კი – მესამე. ამ საშინელი თვისების გამო ბრაზით გამიჯახუნებია კიდეც, მაგრამ მეტად დავსჯილვარ, რადგან უარესად მოშლილა და უკვე სხვა უწყინარი უჯრაც ერთვებოდა საერთო პროტესტის გამოხატვაში. მათ მისაბაძი ერთობა ჰქონდათ, თითქოს საუკუნო ფიცი დაედოთ ერთმანეთის წინაშე. მაისურის ძებნა კი ჭირდა. უჯრების შენევაც კომპლექსურად ხდებოდა, მთელი შემადგენლობა ჩათრეული იყო. მოკლედ ერთობ ჩახლართული საქმე გახლდათ. სანამ ამეებში გავერკვეოდი, ბევრჯერ თითიც ჩამყოლია და მთელ ქუჩას ყვირილით ვიკლებდი. მეზობლები ამას შეჩვეულნი იყვნენ. მხოლოდ შემთხვევით გამვლელს თუ აუხსნიდნენ ყვირილის მიზეზს და კომოდის ინსტრუქციას, და ისინიც, პასუხით კმაყოფილნი, გზას მეტი ხალისით განაგრძობდნენ. ზოგიერთები ჩემი დაზიანებული თითების სანახავად მოჰყავდათ კიდეც, რაღაც მალამოებს რომ მირჩევდნენ. მოკლედ ეს კომოდი გულს გვიწყალებდა, მაგრამ ვერაფრით ველეოდით. სხვა კომოდი არც გვიძებნია.

მერე ტახტზე მივწექი. დაღლილობამ თავისი ქნა. სამოცდაათიანი წლები მესიზმრა, თითქოს უცხო დელეგაციას ვმასპინძლობდი. – ჩემი გულისთვის თავს ნუ გამოიდებთ! სამაგიეროს ვერაფერს მოგაგებთ! – დაჟინებით ვიმართლებდი თავს. – არაფერი გამაჩნია, სტუმარი რომ მივიპატიჟო. არც ანდერძით დამრჩენია რაიმე მნიშვნელოვანი. დერეფანში ქარი დაძრწის და იატაკი ყრუდ ჭრიალებს – სიღარიბის მუნჯი ფირების გახმოვანება მიმდინარეობს. კედლის ნასვრეტები ჩვრებით ამოვგმანე. ნავთის სურნელება საკმეველივით იფრქვევა. ჭიქები კარგა ხანია დაიმსხვრა, ჩანგლები უქმად გდებისგან დაჟანგდა. ფარდები ნაგებული ომის დროშებივით დაიფხრიწა, სკამები და მაგიდები მოირყა ფრონტის მტაბბინიდან ჩამოწერილი აევჯეულივით. ნაბიჯების ხმაზე კარებს გადავრაზავ ხოლმე, რადგან გამლილ სუფრას სიზმრებშიღა თუ ვნახულობ. როცა დღის პაპანაქებას გული უცივდება, ხოლო ნიავს ქარვისფერი მინდვრებიდან თავთავების სურნელი მოაქვს, მეჩვენება რომ სუფრას ვეჯექი, საიდანაც ეს-ესაა წამომახტუნეს. არაფერი გამაჩნია, ვფიცავ ქონებას. კოდალების გაბმული კაკუნიც მთავრობასთან წუწუნია, დაზღვევის მოთხოვნა, სახელმწიფოს ხეებმა ნისკარტები დაგვიბლაგვესო. ზამბარების ჭრიალიც ბედზე ბუზღუნით დაჩივლებაა. მაგრამ დელეგატებზე არ ჭრიდა ჩემი ლაპარაკი. არც ის მოქმედებდა, ტრანსპარანტით ხელში რომ ვიდექი, ზედ გამოსახული მწვანე შუქით. ჩემი მესმენა არ სურდათ, ვერ უძლებდნენ მოსაწყენ ერთფეროვნებას და ზარისკენ იწევდნენ. ჰოდა, ზარმაც დაიწკარუნა...

7.

ჩემი ძმა იყო, ხვალ დილით საბურთალოს სასაფლაოზე მივიდეთ, გაფრთხილებული იქნებიანო. ველოტრეკთან ჯიხური მდგარა. ვეტყვით, რომ ხიროსიმამ გამოგვაგზავნა. საფლავის ადგილს გვიჩვენებს.

– მამათქვენს მშობლების გვერდით უნდოდა განსვენება! – ამოიოხრა დედაჩემმა. – ისე, მე კი მერჩივნა, თბილისში დაგვეკრძალა!

– ბარემ იქაც ვნახავთ, გულს შევაჯერებთ!

რამდენ პანაშვიდს დავსწრებივარ, ახლა კი სიკვდილმა ჩვენთვისაც მოიცალა. ერთი მათგანი ხელიდან გამოგვეცალა. იქნებ სიცოცხლეს მთელ ხიბლს ის ანიჭებს, რომ ის ოდესღაც ჩათავდება, გადაბრუნებული ქვიშის საათივით ჩამოიცლება ყოველი საათი, წუთი და წამი. არცერთი მარცვალი არ შერჩება ჭურჭელს. ჩვენ კი საფლავის ადგილს შევიგულებთ და მეტი აღარსად წავალთ. მის სიახლოვეს ვიცხოვრებთ. შეგრძნებაში კი გვექნება, ერთი მთლიანობა რომ დაირღვა. ერთი ჩვენთაგანი უკვე იმ ქვეყნად იყო. არადა, ჩვენც იმ კომოდის მესამური ერთობა გვქონდა. თურმე თავდაპირველად ერთოთახიან ბინაში ვცხოვრობდით და როცა ოროთახიანში გადავსულვართ, მაშინაც ერთ ოთახში ვიყრიდით ხოლმე თავს. ურთმანეთოდ ვერ ვძლებდით.

– ჩემ ძმას გავაცილებ! – ვთქვი მე.

გაჩერებაზე ისე მივედით, ხმა არცერთს არ გაგვილია.

ცრიდა და მანქანების შორი მაშუქები გვაბრმავებდა. თან მხეფების შლიგინი გაისმოდა. მექანიზმი წვიმის წვეთებს რიტმულად წმენდდა საქარე მინიდან. ყველაფერს ბრდღვიალი გაჰქონდა, თითქოს წყალქვეშ ვყოფილიყავით. ამდენი ბგერა ერთმანეთს ერწყმოდა და საკმარისი ხმაური იქმნებოდა, ჩვენ რომ აღარ გაგვეღო ხმა. მხოლოდ იმას ვცდილობდით, მანქანის ბამპერებს არ მივახლოვებოდით. უბრალოდ ვცხოვრობდით, გარეგნული ნიშნების გარეშე. არაფერი გვახასიათებდა ისეთი, რასაც სხვები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. წასვლისას ხელი დავუქნიე.

უკანა გზაზე მინერალური წყალი ვიყიდე იაფ მარკეტში. ასე მე შევარქვი, რადგან პირველი სტუმრობისას მართლაც ბევრი რამ შევიძინე, ფული კი მნიშვნელოვნად ცოტა დამჯდა. გამყიდველი სათნო და მოხუცებული ქალბატონი აღმოჩნდა. მეორე ჯერზე ახალგაზრდა ქალი დამხვდა, თვალები რომ მოეჭუტა და კალკულატორს აჩხაკუნებდა. რაღაცეები ავიღე და ოცლარიანი გავუწოდე. პროდუქტებს ყოველთვის თქვენთან შევიძენ, ასე იაფად რახან ჰყიდით მეთქი, რიხიანად ვახარე ხურდის მოლოდინში. აჰ, ეს თქვენა ხართ, – შეიცხადა მან და წითელწარწერებიანი რვეული გადამიშალა, – აი, ჩანერილიც მყავხართ, ჩემ მაგივრად ზოგჯერ დედაჩემს ეტოვებ ხოლმე, – განმიმარტა მან, – ბოდიშს გიხდით, მანთხუთმეტი ლარი გადმოგაყოლათ და ბარემ ამ ფულიდან გამოგიკლებთ! – დარჩენილი ფულით შავი პური და მდოგვის პაკეტილა მომივიდა. რა მალაპარაკებდა, ვჯავრობდი ჩემ თავზე, რადგანაც მდოგვის გამო მთელი იმ დღის განმავლობაში თვალები გადმოცვენაზე მქონდა.

ცოტა ხნით სტადიონთან შევჩერდი. მატჩი მიმდინარეობდა. ეტყობა, ანგარიშს იმდენად პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა, მსაჯსაც რომ წინასწარ აფრთხილებენ, თქვენ ობიექტურობაში მაშინ დავრწმუნდებით, თუკი ჩვენი გუნდი გაიმარჯვებსო. ტრიბუნებიდან დროდადრო ყიჟინა გაისმოდა. ქერა ბიჭი პენალტისთვის ემზადებოდა.

– ჩემი შვილია! – ამაყად თქვა ჩემ გვერდით მდგომმა მამაკაცმა.

ყინჟლავდა, ჩვენ კი შეფარებულში ვიდექით. ირგვლივ ყველაფერი გაყუჩდა. ერთ მწკრივად განლაგებული პავილიონები გამჭვირვალე ვიტრინებით ლამპიონებს ირეკლავდა. საიდანღაც მაცივრისა და ცილინდრის ყრუ ბგერები აღწევდა. ხასხასა მინდორი მწვანედ ლაპლაპებდა. ბინდბუნდსა და ნისლში გახვეული ქალაქი წვიმის ორთქლში ინთქმებოდა. მსაჯის სასტვენის ხმამ ძველი მოგონებები წამოშალა. ლივერპულის თამაში მომაგონდა. ქერა ბიჭმა კი ბურთი კარის ძელს ააცილა. თითქოს პირი შეკრესო, მაყურებელი ერთხმად აღრიალდა. წვიმის ხმა ლანძღვა-გინების ნიაღვარმა გადაჰფარა. მამამისმა ნაბიჯს აუჩქარა და შორს, გაზონის ნაძვს მიეყრდნო. მწვრთნელმა ქერა ბიჭი გამოცვალა. ეს ჩემ სიახლოვეს ხდებოდა და კარგად ვხედავდი მის უხალისო ნაბიჯებს. მწვრთნელის სიტყვებიც გავიგონე:

– გულს ნუ გაიტეხ, ეს არ იყო შენი საუკეთესო მატჩი!

მერე სტადიონს ზურგი შევაქციე და კორპუსისკენ წავედი. მამაჩემიც ხომ ისე გავიდა ამ ქვეყნიდან, როგორც წვიმის დროს წაგებული მატჩიდან. ნეტავი რეალობაშიც ასე ხდებოდეს. ამ ქვეყნიდან ისე გავდიოდეთ, გამოცვლილებივით გვანუგეშებდნენ: – გულს ნუ გაიტეხ, ეს არ იყო შენი საუკეთესო მატჩი! – რადგან ანი, რამდენი დღეც არ უნდა მეცხოვრა, შედეგი უკვე იკვეთებოდა – ეს არ იქნებოდა ჩემი საუკეთესო მატჩი. დარჩენილი დღეებიც ზანზალაკების სევდიანი წკარუნით ჩაივლიდა და ოდესმე ისევ ჩავიკრავდით გულში ერთმანეთს. ხალხის ლანძღვა კი რა ჩარაა?! ისინი დარწმუნებულები არიან, რომ შენ გამო წააგეს და რომც ჩაგქოლონ და ფეხებით შეგდგნენ, ეს ქვეყნისთვის სასარგებლო საქციელად ჩაითვლება. შენ კი შრომა და მონდომება წყალში გეყრება, წვიმაში სველი მაისური უსიამოდ გეკვრება ტანზე, შენი შემართება მოწინააღმდეგის ტაქტიკამ იმსხვერპლა, მაგრამ განა რაიმე წარმატება ღირს ადამიანთა გულისტკენად? განა ვიცით კი საბოლოო სიმართლე? იქნებ ტკივილით უფრო ადვილად გავდივართ ფონს, ვიდრე სასოებით?

შუქნიშანთან ყვითელი ავტობუსი დაიძრა. გაჩერებასთან ასაკოვანი კაცი ჟღალ წვერს წამდაუწუმ მუჭში იქცევდა. ეტყობა, მისი ტრანსპორტი აგვიანებდა. ქალაქში დეკორაციები იცვლებოდა და ახალი სახეები ჩნდებოდნენ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

N 4

# ახალი წიგნები

ეროვნული ბიბლიოთეკა






# ავტორი, რომელიც ტექსტად იქცა და მკითხველი, რომელიც ამ ტექსტისგან შედგება



*ლელა კოდალაშვილი*

საერთოდ, არ მახასიათებს ხოლმე პათეტიკური პანეგირიკის აღვლენა, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, ამჯერად ამას გვერდს ვერ ავუვლი. როგორც ვერცხლი, რომელიც ბრწყინვალებით არ გამოირჩევა და თავისთვის მძიმედ, დარბაისლურად დევს სხვა ვერცხლეულსა და ბრჭყვიალა მუშის მძივებს შორის, ისე გამოჩნდა ზაზა ფირალიშვილის წიგნი „მეგზური და მოხეტიალე მედიტაციები პროზად" თანამედროვე ქართულ მწერლობაში. მასში შვიდი ესეა (გნებავთ, ნარკვევი ან მოთხრობა) შესული და ამჯერად ამ კრებულის მხოლოდ რამდენიმე, ყველაზე უფრო მხატვრულ ტექსტებზე გავამახვილებ ყურადღებას.

ლიტერატურული ენა განსხვავდება სამეცნიერო ენისაგან და ის სხვადასხვა დოზით, ხარისხითა და სპეციფიკით ვლინდება სხვადასხვა ჟანრისა თუ სტილის ნაწარმოებებში. ზაზა ფირალიშვილს ამ მხრივ კონკრეტული საზღვრები არ დაუწესებია. მის წინადადებებში თითქოს იშლება ზღვარი სამეცნიერო და ლიტერატურულ ენას შორის და იქმნება სულ სხვა სინთეზის მატარებელი ახლებური სხეული, რაც თავისდა უნებურად ახალი ტიპის მკითხველსაც ბადებს. ჩვენ, მხატვრული ლიტერატურის აქტიურად მკითხველი და მისით გაჯერებული ადამიანები წიგნის კითხვისას უფრო მეტად ველით ამბავს, ემოციას, გულის გადაშლას თვალსაჩინოების დონეზე. ზაზა ფირალიშვილთან ეს სხვაგვარად გამოისახება. უცნაური, მაგიური თუ ალქიმიური მეთოდის გამოყენებით ხსნის ადამიანის ცნობიერების იმ შრეებს, რომელზედაც, როგორც წესი, უგულისყუროდ, ზერელედ თუ დაფიქრებით და სირთულეების თავიდან არიდების მიზნით თავს მალე ვანებებთ. ზაზა ფირალიშვილი სწორედ აქეთკენ გვიტრიალებს ცნობიერებას და ჩვენთან ერთად ჩვენივე სულიერი რესურსების ამოძრავებას ცდილობს, რომ ჩვენი გაქვავებული, გარქოვანებული ინტროვერტული ფსიქიკა როგორმე გააცოცხლოს, მის სოციალურ-ფსიქოლოგიურ შეხედულებებზე ნატიფი, ფილიგრანული სამუშაო ჩაატაროს და ახლებურად აღგვაქმევინოს საკუთარი შესაძლებლობები.

„მშრალი ხიდი" წიგნში შესული პირველი ტექსტია. მე ვიტყოდი, რომ ის არის თანამედროვე პროზის ნიმუში, რომელიც არ ღალატობს კლასიკურ ლიტერატურულ ტრადიციებს და ამავდროულად ახალი, თანამედროვე ელემენტებით არის გამდიდრებული.

თხრობა იწყება დედის სიკვდილის შესახებ ამბის თხრობით და ნებით თუ უნებლიეთ, პირველივე წინადადებით ასოციაციური პარალელი ჩნდება ალბერ კამიუს „უცხოსთან", სადაც ასევე დედის სიკვდილის ფაქტით იწყება თხრობა. ეს ასოციაცია მოთხრობის კითხვისას თანდათან ქრება, მაგრამ თითქოს ფარულად თან გვდევს მთელი ტექსტის მანძილზე და იძულებული ხდები, იფიქრო, თუ რა მსგავსებაა ამ ორ ტექსტს შორის. იქნებ მხოლოდ ის, რომ ერთგანაც და მეორეგანაც პერსონაჟი დედის გარდაცვალებას გვამცნობს... თუმცა, მხოლოდ ეს არ არის... ზაზა ფირალიშვილის გმირი კამიუს გმირის მეორე მხარეა, მისი აქამდე ფარული სახე სწორედ იმიტომ, რომ მისი სრული ანტიპოდია ერთი შეხედვით. მაგრამ პარალელებზე საუბარს აღარ გავაგრძელებ, თავად „მშრალ ხიდს" გავუყვეთ... ტექსტი იწყება უაღრესად ინტიმური განცდების აღწერით და ეს განცდები თანდათან ქარივით ედება ქალაქს, ქვეყანას და მთელ დედამიწას. მწერალი პოულობს იმ ძაფს, რითიც ახერხებს, ერთი შეხედვით ბანალური, ყველას თავს გადახდენილი ან გადასახდენი ამბავი დარდების დიდ გორგლად აქციოს, გააგოროს მთელ ქვეყანაში და მსოფლიო მნიშვნელობის გახადოს. თანამედროვე მწერლობა ვერ გუობს ვრცელ აღწერებს. ეს სტილი ჯერ კიდევ მე-19 საუკუნემ და მე-20-ის დასაწყისმა ამოჭამა. თანამედროვე ადამიანის ცხოვრების რიტმიც დაჩქარებულია. მისი თვალი ელვის უსწრაფესად აღიქვამს ქვეყნიერებას. მას ინტერნეტსამყარო აქვს და არ სჭირდება გარემოს, თუ ამა თუ იმ ნივთის ვრცელი აღწერა. მაგრამ ზაზა ახერხებს, დიდხანს ისაუბროს გარდაცვ-

ლილი დედის ოთახში ნაპოვნ ნივთებზე და არ დაემსგავსოს მე-19 საუკუნის პროზაიკოსს... კი არ აღწეროს, არამედ ერთ დიდ საცავში მოაქციოს ისინი და ამით უკვდავყოს. თითოეული ნივთის შესახებ მისი განცდების რევერბერაცია აღწევს ჩვენამდე და ძრწოლას გვგვრის. ის გვიყვება ადამიანის ისტორიას, მისი სიცოცხლის სევდას, მის ხასიათებს, ჩვევებს ნივთებით, რომლებიც უნდა გადაყაროს. ამიტომაც არ იყენებს ადამიანის აღწერის ჩვეულებრივ, მიღებულ მეთოდებს. ის ადამიანზე არ საუბრობს და აღწერს მას ისევ და ისევ მის მიერ გამოყენებული საგნების მეშვეობით. „მშრალი ხიდი", შეიძლება ითქვას, რომ ხიდს ავლებს მკვდრებსა და ცოცხლებს შორის, საიქიოსა და სააქაოს შორის. ესაა ხედვა, რომლის მიხედვითაც ურთიერთობების ახლებური თეორია იქმნება. ჩნდება შთაბეჭდილება, რომ ჩვენ, ადამიანები, მარტონი არა ვართ, რომ მუდმივად თან გვახლავს აქსესუარების ერთობლიობა, რომლებიც თანდათანობით იძენენ ჩვენს თვისებებს, საუბრობენ ჩვენს ენაზე და მერე, როცა ცოცხლები აღარ ვიქნებით, სწორედ ისინი ილაპარაკებენ ჩვენ შესახებ ყველა მეგობარზე უფრო მიუკერძოებლად, ყველა ოჯახის წევრზე უფრო ზუსტი ტექსტებით...

ხშირად გვიცდია, აგვეხსნა მხატვრული სტილი, მხატვრის მიერ შექმნილის შესახებ მოგვეყოლა მეგობრისთვის, მაგრამ იშვიათად დავფიქრებულვართ იმ საინტერესო პროცესზე და პროდუქტზე, რასაც ტილოს სიტყვებად თარგმნა ჰქვია. იშვიათად გვიფიქრია, რამდენად ზუსტად გადმოვცემთ მხატვრის ჩანაფიქრს და იმას, რაც თვალისთვის შეიქმნა. რა ჰქვია იმ ფენომენს, როცა ფერების, კონტურების და განწყობების სიტყვებში მოქცევას ცდილობ? სწორედ ამ მომენტის შესახებაა ესე „ფიროსმანის კარიბჭე". ზაზა ფირალიშვილი ფილოსოფოსია და მას უნარი შესწევს, მოიხელთოს ეს იდუმალი რამ, და არა მხოლოდ გააანალიზოს ეს პროცესი, სხვა დატვირთვაც შესძინოს. ფილოსოფოსის მისია სწორედ ეს არის, რომ ჩვენ მიერ უნებურად შესრულებული რიტუალი თუ მარტივი საქციელი განმარტოს, ნამცეცებად დაშალოს და თითოეულ ქმედებას თავისი სახელი უწოდოს, ფილოსოფიურ პრიზმაში გაატაროს მეტი ბრწყინვალების შესაძენად. ავტორი მოიხელთებს და გვიხსნის, განგვიმარტავს ახალ ჟანრს, ახალ შემოქმედებით პროდუქტს – მხატვრის ნამუშევრის და აღმქმელის მეშვეობით შექმნილ, წარმოშობილ ცნობიერების ახალ განზომილებას, სადაც მხატვრობაცა და სიტყვაც ადამიანის, აღმქმელის შინაარსად ქცეულა და რასაც ზაზა თანაყოფას უწოდებს. ფართო საზოგადოება ფილოსოფიურ ლიტერატურას გაურბის, როგორც ცალკე არსებულ, გამიჯნულ, ზეინტელექტუალურ სფეროს და გულახდილად აღიარებს, რომ მის გონებას ხელი არ მიუწვდება აზროვნების ამ პროდუქტზე. აზრად არცერთს არ მოსდის, რომ თითოეული მათგანი თავისდა უნებურად, რომელიღაც სიტუაციასა და მომენტში აუცილებლად ქმნის მაღალი თუ დაბალი ხარისხის ფილოსოფიას. ჩვენ ყველანი ფილოსოფოსები ვართ, მთავარია, მოიხელთო აზრი და მისი ანალიზი არ დაიზარო – მომდევნო გზა თავად გამოჩნდება.

მესამე ესე, რომელსაც „სიზმრად გამოღვიძება" ჰქვია, ერთგვარად აგრძელებს „ფიროსმანის კარიბჭის" პათოსს იმ თვალსაზრისით, რომ ავითარებს საუბარს ავტორისა და მკითხველის შეხებაზე. თუ როგორ ერგება წიგნი მკითხველს და როგორ თანაცხოვრობს მასთან. უფრო მეტიც, პირველწყარო, ანუ წიგნი, თანდათან იშლება და მისგან წარჩენილი ფასეულობები, იმ ავტორის გამოცდილებების შენთან თანხვედრამადი ნაწილები იმდენად გითავისდებიან, რომ ნელ-ნელა იშლება ზღვარი და ეს ყველაფერი შენს შემადგენელ ნაწილად იქცევა. ესეს მთავარი მამოძრავებელია ფრაზა, რომელიც სხვადასხვა მომენტში და კონტექსტში წარმოუთქვამთ ოთარ ჭილაძეს და ზაზა ფირალიშვილს. ეს ფრაზა გახლავთ „სიზმრად გამოღვიძება", რომელიც ორივე ავტორთან გულისხმობს ბოლო ათწლეულების დახასიათებას და სწორედ აქედან იშლება სააზროვნო ველი, სადაც ზაზა ფირალიშვილი ახლო მოვლენების ჭილაძისეულ და თავისეულ ხედვას აანალიზებს, რაც სიზმარში გამოღვიძებული ადამიანის მეტაფორად შეიკრა და მერაბ მამარდაშვილის ნაშრომის, „აზროვნების ესთეტიკა" ერთგვარი რემინისცენციაა. ამ ნაშრომში მამარდაშვილი წმინდა ვიტეს როკვაზე საუბრობს. აღწერს მომენტს, როცა თავად დაინახა ბერიკაცი, რომელმაც დაიწყო უნებლიე მოძრაობები და მამარდაშვილი ავითარებს აზრს, რომ ჩვენი ცხოვრება, თუკი ამ მოძრაობებს დროში გავჭიმავთ, სწორედ წმინდა ვიტეს ამგვარი როკვაა, ხოლო ჩვენი სული მოთქვამს ამ სრულიად აბსურდული და უნებლიე მოძრაობების გამო. სწორედ ამ თეორიასთან ავლებს ზაზა ფირალიშვილი და მასთან ერთად ოთარ ჭილაძე სიზმრად გამოღვიძების პარალელს, როგორც ჩვენი ქვეყნის მეოთხედი საუკუნის ამსახველ მეტაფორას. მაგრამ ზაზა ფირალიშვილი, როგორც მასშტაბურ მოვლენებზე მოსაუბრე მწერალი, თავისდაუნებურად, მსუბუქად გადადის ადამიანის აღწერაში. ის შეიძლება იწყებდეს საუბარს ქვეყნის პრობლემაზე, ან ამა თუ იმ კატაკლიზმებზე, მაგრამ აუცილებლად უბრუნდება სამყაროს ერთგვარ მინიატურულ მოდელს – ადამიანს. ამ ავტორის სათამაშო მოედანი ადამიანის არსის ძიებაა, მისი სულის სიღრმეების განხილვა და ანალიზია. და მიუხედავად აღწერილი ღრმად უიმედო განწყობისა, ესეს ფინალი ლოგიკური მაჯელობით მიდის ოპტიმისტური აკორდებისკენ და ავტორი ამბობს, რომ ამ სამყაროს „გაღვიძების უნარი გააჩნია, სანამ არსებობენ ადამიანები, რომლებიც ამ სიზმარეული კონვულსიების ნიაღვიდან კოსმოსს ხმას მიაწვდენენ და დაადასტურებენ, რომ ამ სხეულს ჯერაც გააჩნია გაღვიძების ნება".

„წიგნის კითხვა" – ესაა მოთხრობა სრულფასოვანი სიუჟეტით, რომელიც ნელ-ნელა გადადის ზაზასეულ ფილოსოფიურ სჯა-ბაასში. მაგრამ მიუხედავად თხრობაში ყოფითი ელემენტების შემოტანისა, ზაზა არ ღალატობს გამოხატვის აკადემიურ ფორმებს, არ ღალატობს იმ ლექსიკურ საშუალებებს, რომელიც მას ფილოსოფიური ესეების წერისას სჭირდება. ის ლიტერატურულ ენასა და ყოფით ენას შორის შლის პრაგმატულ განსხვავებებს. იცვლის გამოყენების ტექნიკას, ენას ხდის უფრო სადას და პლასტიკურს. ძნელია, შემოიტანო ყოფითი სიუჟეტი, შემდეგ განავითარო მსჯელობა ფილოსოფიურ ჭრილში, დახატო ინტელექტუალურისა და პირველყოფილი საუბრის ჭიდილი და არსად არ გიღალატოს ზომიერების განცდამ. ესაა მოთხრობა, სადაც თავისებური და ცარიელი ჭურჭელი თანხვედრაში მოდის ინტელექტუალურ ცნობიერებასთან. ესაა ორი განსხვავებული ტიპის ურთიერთობის აღწერა, სადაც იბადება რაღაც ახალი თეორია, თან ისე, რომ არსად რიტორიკული ტონი არ იჩენს თავს. მოთხრობის პერსონაჟი ავტორის პროტაგონისტს უსვამს ერთსა და იმავე შეკითხვებს ამა თუ იმ საკითხზე და თან პარალელურად მჟავე პამიდვრის ოჯახური ბიზნესითაა დაკავებული. უცნაური სამყარო იქმნება. ნესტიანი სათავსოს ტიპის ოთახში ყოველდღე ხვდება ერთმანეთს ორი პერსონაჟი. ერთი მთელი დღის მანძილზე გაჭრილ მწვანე პამიდორში მწვანილებსა და ნიწაკას ტენის. ესაა მისი მუდმივი საქმიანობა. მეორე პერსონაჟი კი მისი სისტემატური სტუმარია. პამიდვრის მწნილის დამამზადებელი მუდმივად უსვამს შეკითხვებს თავის ამ მეგობარს, მას აინტერესებს ყველაფერი, რაც კი თავში აზრად მოუვა. სტუმარი კი გულმოდგინედ უხსნის და ცდილობს, თავისი წიგნიერება შეძლებისდაგვარად გადასცეს მას. მაგრამ ეს ჩვეულებრივი კითხვა-პასუხი არ არის. შემკითხველი, მიუხედავად იმისა, რომ რვეულში ინიშნავს პასუხებს, ხშირად ერთსა და იმავე კითხვებს უსვამს სტუმარს და კვლავ და კვლავ ყველაფერი ხელახლა მეორდება. ამ ორი ადამიანის სასოწარკვეთილებამდე მისული ურთიერთობა (მხედველობაში მაქვს მკითხველის სასოწარკვეთილება, რომელიც ამ ამბავს ადევნებს თვალ ყურს) ერთი შეხედვით აბსურდამდე მიდის. მაგრამ კარგად თუ დააკვირდებით, ამ დამოკიდებულებიდან უიმედო დასკვნასაც გამოიტანთ. ის, ვისაც არ ხელეწიფება, იყოს გათვითცნობიერებული, რამდენადაც არ უნდა ეცადოს, ეს არ გამოუვა. მეორე პერსონაჟი კი, მასწავლებლის როლიდან არ გამოდის, მას მოსწონს ცოდნის გაზიარების პროცესი. ის მოწოდებულია ამისკენ. მაგრამ ორივეს ძალისხმევა ამაოა. მათი მიახლოება არ შედგება. ისინი ვერასოდეს შეძლებენ, ერთმანეთს შორის მანძილის შემცირებას. ეს ჩვენი სამყაროს ზუსტი მოდელია. სამყაროსი, სადაც თანაცხოვრობენ სწავლულნი და ვერმსწავლელნი. განათლებულნი და ვერგანათლებულნი. ესაა პირველადი სამყაროს და ცივილიზებული სამყაროს შეხება და შეხების უიმედობა, მათი თანამშრომლობის აბსურდულობა.... ზაზა ფირალიშვილის პერსონაჟი ცდილობს, შეავსოს სიბნელე და სიცარიელე. ნათელი მოჰფინოს ბნელ და ნესტიან ოთახს. მაგრამ ეს იდეა განწირულია მარცხისათვის. ამ სიუჟეტური შესავლის მერე ავტორი ისევ წიგნს უბრუნდება, როგორც ურთიერთობის ყველაზე საიმედო საშუალებას. წიგნის კითხვას, ანუ შეხების მომენტებს მათ ავტორებთან, როგორც ხორცშესხმულ ადამიანებთან. და აქ ის უბრუნდება თავის საყვარელ ინტერპრეტაციას. ტექსტის თავის თავში გაცოცხლების, მისი თავის თავში ხორცშესხმის იდეას.

ჰეგელის გავლენით, ზოგიერთი ესთეტიკოსი ამტკიცებდა, რომ ლიტერატურა იდეის გრძნობადი გამოვლინებაა... მეორე სკოლა მიიჩნევდა, რომ ის წმინდა მჭვრეტელობაა. მაგრამ ეს ხდებოდა მე-19 საუკუნეში. დღევანდელი ავტორის, ზაზა ფირალიშვილის პერსონაჟები გრძნობად სახეებს არ წარმოქმნიან მკითხველის ცნობიერებაში. ის სხვა მწერლებივით ვიზუალურ ხატებს არ იყენებს და მხოლოდ სულიერ მდგომარეობას ასახავს. ის იცავს ერთგვარ ესთეტიკურ დისტანციას და გვანიშნებს სიმრავლეში წარმოვიდგინოთ ერთიანობა. ზაზას შემოქმედებაში ნებისმიერი მსჯელობა ჭეშმარიტებას ემსგავსება და ის კონცეპტუალური და ლამისაა დამტკიცებადია. მაგრამ მისი თხრობა რბილია, შემპარავი, და გექმნება შთაბეჭდილება, რომ მუდამ გიტოვებს თავის დაღწევის, ერთგვარი „გაძრომის" შანსს. ის არაა პროპაგანდისტი. ის პასუხისმგებლობით ეკიდება ნებისმიერ ლამაზ თეორიას და ცდილობს, ჩაგიყოლოს და განგიმარტოს, ცდილობს შენს ენაზე მოგაწოდოს და ჩაგითრიოს ერთგვარ რიტუალში.

პლატონის აზრით ტრაგედია და კომედია კვებავს და ასაზრდოებს ჩვენს ემოციებს. ზოგიერთი ლიტერატურა კათარზისულია და ზოგი კი პროპაგანდისტული. ზაზა ფირალიშვილი უმალ კათარზისულ ავტორად შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა კი, აუცილებლად იმ ნიშნით, რომ ის მკითხველთან ერთად ეძებს გამოსავალს. ერთის მხრივ წიგნში აღმოჩენილი საკუთარი თავის ნაწილებით გამდიდრებული მისი ცნობიერი სხეული სწორედ მკითხველში პოულობს საყრდენს და იმ ჯაჭვის ლოგიკურ გაგრძელებას, რომლითაც თავის დროზე თავად შეერწყა სხვა ავტორებს. ახლა თავად დგას ავტორთა „რიგში" და მხოლოდ მკითხველის ხელთაა ზაზა ფირალიშვილის, ამჯერად როგორც ტექსტად ქცეული ავტორის, უკვალოდ არჩავლა, მკითხველის სხეულში დასახლება და მისივე სიტყვებით რომ ვთქვა, წინაა „გამოცდილება, რომელიც იდუმალ ინტერაქციაში იბადება და გამოცდილებათა ახალ ქაოვილს შობს".





# როცა დავიწყების სწავლა შეუძლებელია

*ეკა ქევანიშვილი*

ზუსტად არ ვიცი რატომ, მაგრამ ირმა ტაველიძის მოთხრობების კითხვისას, სულ მგონია, რომ ყველაფერი, რასაც ის წერს, ნამდვილად მოხდა. და რომ ყველა ამბის გმირი თავადაა – სამოცდათვრამეტივე! ან არ ვიცი, რამდენი ირმა. შეიძლება სისულელეს ვამბობ, მეც, როგორც ავტორს ეგ რომ მითხრან, დიდხანს ვიცინებ. რამდენ სხვის ამბავში შევმძვრალვარ და ისე დამიწერია. კარგად მომეხსენება, რომ ავტორი ტექსტთან არ უნდა გავაიგივო, მაგრამ ეს ერთიანობის შეგრძნება, რომ თითქოს ყველაფერი მას გადახდა და ამიტომ მიყვება ასე ზედმიწევნით და სრულყოფილად ყველაფერს, მაინც სულ მაქვს მისი მოთხრობების კითხვისას.

ასე მგონია, უზარმაზარი პაუზა ჰქონდა, სანამ მისი მოთხრობების მეორე კრებული გამოჩნდა. ან იქნებ იმის ბრალია, რომ სხვები თითქმის ყოველ წელს წიგნებს გამოსცემენ.

ახალ კრებულს „აღმოსავლეთის გამოგონება" ჰქვია, ერთ-ერთი მოთხრობის სახელი. წიგნი გამომცემლობა „დიოგენემ" გამოსცა. ეს ირმა ტაველიძის მეორე კრებულია, პირველი იყო „ავტობიოგრაფია ფრანგულად".

ახალ კრებულში ექვსი მოთხრობაა შესული: „გორის ციხე", „სამოთხის ფლორა და ფაუნა", „სვიტეზის ტბები", „აღმოსავლეთის გამოგონება", „მარი მენარის სამი ცხოვრება" და „დროთა შეთანხმების წესი".

„დროთა შეთანხმების წესი" იყო „წეროს" გამარჯვებული 2008 წელს. „გორის ციხე" – 15 საუკეთესოში მოხვდა და მესამე პრემია მიიღო 2010 წელს. „აღმოსავლეთის გამოგონება" 2012 წლის 15 საუკეთესოში შეიტანეს. ეს ისე, სტატისტიკისთვის.

დანარჩენები ახლებია.

ხომ არ ფიქრობთ, რომ ექვსი მოთხრობა ცოტაა? თუნდაც რამდენიმეწლიანი პაუზის მერე?

და თუ ექვს კარგ მოთხრობას ვგულისხმობ?

„გორის ციხე" და „დროთა შეთანხმების წესი" წაკითხული მქონდა. ამიტომ წიგნის კითხვა ჩემთვის უფრო ახალი ტექსტით, „სვიტეზის ტბებით" დავიწყე. დავიწყე და მივხვდი, შუა მოთხრობაში მეც როგორ მიმატოვეს. გგონიათ ადვილია, თავი მიტოვებულად იგრძნო მაშინ, როცა ეს ამ ეტაპზე სულაც არ გემუქრება? არადა, ზუსტად ასეა! წაიკითხავ ამ მოთხრობას და აუტანლად მოგეწყინება. მე მგონია, რომ ირმა ამის ოსტატია – თუ მოინდომა, თავისი დახვეწილი ენით გაგაცამტვერებს. არა, უარყოფით კონტექსტში კი არ ვამბობ, სხვანაირად, ლიტერატურულად რომ მიგანგრევს და წაკითხულით კაიფის პარალელურად თან შენს თავს აწყობ თავიდან. თქვენი არ ვიცი და ასეთი ავტორია ჩემთვის ირმა ტაველიძე. ყველა მოთხრობაში ფრთხილად რომ მაწვდის ქრელი ფაზლის ნაწილებს, თანაც ისე, რომ ვერ მივხვდე, რომ ის მეხმარება და ჩემი აწყობილი მეგონოს ამბავი.

„დავიწყების სწავლა შეუძლებელია.

ერთადერთი, რაც შეგიძლია, უმოქმედობაა" („სვიტეზის ტბები")

მეც მგონია, რომ ასეა.

„დროთა შეთანხმების წესი" თავის დროზე რომ წავიკითხე...

თუმცა, აღარ მახსოვს რა გავიფიქრე თავის დროზე, ახლა თავიდან წავიკითხე და უკვე „ორი თვეა ბულვარულ რომანში ვცხოვრობ". აქაც, როგორც მის სხვა მოთხრობებში, დაგყვება შეგრძნება, რომ შენ და მოთხრობის გმირს შორის ბარიერი არ არსებობს. შენ ხარ სკოლის ის მასწავლებელი, რომელსაც 10 წლის ლამა დაჟინებით შემოგყურებს და უცნაური, არაბავშვური ფრაზებით მოგმართავს. ჩემთვის „დროთა შეთანხმების წესი" არის მოთხრობა რაღაცების გარდაუვალობაზე. იმაზე, რასაც ებრძვი, მაგრამ მაინც ხდება. და ასეთი კი ცხოვრებაში რამდენია.

„აღმოსავლეთის გამოგონება" ცოტათი გამოცანას გავს. კიდევ უნდა წავიკითხო რომ ამ ამბავში ნახსენები ორი დანის ამბავი გავიგო.

ზოგადად ამ კრებულმა ვიღაცის ძებნის შეგრძნება გამიჩინა. საკუთარი თავისაც, იმისაც, ვინც ვითომ უნდა მიყვარდეს, იმისაც, ვინც მიყვარდა და წავიდა. სხვადასხვა ცხოვრებებში თავის ამოყოფის შეგრძნებაც, როგორც ეს „მარი მენარის სამ ცხოვრებაშია". რაღაც მომენტებში კარგად ვერც ვიგებდი ერთი გმირი იყო ხოლმე სამი, თუ...

ირმა ტაველიძის ტექსტები არასოდეს გავს გაშლილ ხელისგულს. უფრო შეკრულ ხელს მაგონებს, რომლიდანაც ნელ-ნელა უნდა გამოხსნა თითები.

ნახეთ ეს წიგნი.

თუ გინდათ, რომ უბრალოდ გაიხსენოთ, როგორი შეგრძნებაა, როცა ადამიანებს უპირობოდ უყვართ ერთმანეთი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრანც კაფკა – 130

F

5

# ნომრის იუბილარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# FRANZ KAFKA (1883 – 1924)






# მცირე პროზა

## მესაჭე

– მე ხომ მესაჭე ვარ? – წამოვიძახე.

– შენ? – გაიკვირვა შავგვრემანმა, ზორბა კაცმა და თვალებზე ხელი გადაისვა, თითქოს რაღაც სიზმრის განდევნა სურდა.

შტურვალთან ვიდექი, ბნელი ღამე იდგა, თავს ზემოთ ფარანი ძლივს ანათებდა, აქ კი ეს კაცი გამოცხადდა და ჩემი გაძევება მოისურვა. ხოლო რადგან ადგილიდან არ დავძრულვარ, ფეხი მკერდზე დამადო და ნელ-ნელა დამაჭირა. ამასობაში მე ჯერ კიდევ შტურვალის მანებს ვებღაუჭებოდი და ვარდნისას აქეთ-იქით ვატრიალებდი. ამ დროს უცნობმა მას ხელი სტაცა, გაასწორა, მე კი განზე მომისროლა. თუმცა გონება სწრაფად მოვიკრიფე, გუნდის ოთახისკენ ჩასასვლელ ლუკთან მივირბინე და ყვირილი დავიწყე:

– თანაგუნდელებო! ამხანაგებო! ჩქარა აქეთ!

უცნობი მოვიდა და შტურვალს მომაშორა.

დაღლილი, მძლავრი ფიგურები ტრიუმიდან ბარბაცით, ზანტად ამოდიოდნენ.

– აქ ხომ მე ვარ მესაჭე? – ვიკითხე.

მათ თავები დამიქნიეს, მაგრამ მხოლოდ უცნობს უცქერდნენ, ნახევარ წრედ შემოესალტნენ და როცა მან მბრძანებლურად წარმოთქვა: „ხელს ნუ მიშლით!“ – მოქუჩდნენ, თავები დამიქნიეს და კიბით ისევ ტრიუმში ჩავიდნენ. ეს რა ხალხია?! საერთოდ რაიმე აფიქრებთ თუ მიწაზე მხოლოდ უაზროდ დაფლატუნებენ?

## სირბილით ჩავლილნი

თუკი ღამე ქუჩაში სეირნობ და ვიღაც ადამიანი შორიდანვე ჩანს, – რადგან ჩვენ წინ მდებარე ქუჩა აღმართს აუყვება და სავსე მთვარეა, – რომელიც ჩვენსკენ მორბის, ჩვენ მას სულაც არ ჩავაფრინდებით, თუნდაც სუსტი ჩანდეს და ძონძები ეცვას, გინდაც ვინმე კვალდაკვალ ყვირილით მოსდევდეს, უბრალოდ სირბილში ხელს არ შევუშლით. რამეთუ ღამეა და ჩვენი ბრალი არ არის, რომ სავსე მთვარით განათებული ქუჩა ჩვენს წინ აღმართს მიუყვება და ამას გარდა, შესაძლოა ამ ორმა ეს დევნა გასართობად მოაწყო; შეიძლება ისინი მესამეს მისდევენ; შესაძლოა პირველს არაფრის გამო გამოეკიდნენ; შეიძლება მეორეს მკვლელობის ჩადენა სურს, ჩვენ კი ამ მკვლელობის თანამონაწილენი გავხდეთ; შესაძლოა ორივემ ერთმანეთის შესახებ არაფერი უწყის და თითოეული მათგანი საკუთარი პასუხისმგებლობით განმსჭვალული გარბის თავის ლოგინში; შესაძლებელია ისინი მთვარეულები არიან; შესაძლოა პირველი შეიარაღებულია.

ბოლოს და ბოლოს რატომ უნდა გადავიქანცოთ, განა ღვინო საკმარისად არ შევსვით? ჩვენ გვიხარია, რომ მეორეს უკვე ვეღარ ვხედავთ.

## გზა შინისაკენ

როგორი დამაჯერებელია ჰაერი ჭექა-ქუხილისას! ჩემი დამსახურებანი წინ წარმიდგნენ და მთრგუნავენ, თუმცა მეც არ ვუძალიანდები.

მივაბიჯებ და ჩემი ტემპი ქუჩის ამ მხარის, ამ ქუჩის, ამ უბნის ტემპია. სამართლიანად პასუხისმგებელი ვარ კარზე ყველანაირ დაკაკუნებაზე, მაგიდებზე დაწყობილ კერძებზე, წარმოთქმულ სადღეგრძელოებზე, თავიანთ ლოგინებში, მშენებარე შენობების ხარაჩოებში, ბნელი ქუჩების სახლების კედლებსა და ბორდელების დივანებზე შეყუჟულ შეყვარებულ წყვილებზე.

საკუთარ წარსულს მომავალთან მიმართებაში ვაფასებ, მაგრამ ერთიც და მეორეც დიდებულად მიმაჩნია, უპირატესობას ვერც ერთს ვერ ვანიჭებ და მხოლოდ იღბალს ვსაყვედურობ, რომელიც ჩემდამი ესოდენ გულმოწყალეა.

მხოლოდ ჩემს ოთახში შესვლისას ჩავფიქრდი, თუმცა კიბეზე ასვლისას ისეთს ვერაფერს მივაგენი, რასაც დაფიქრება ღირდა. დიდად ისიც არ მშველის, რომ ფანჯარა ბოლომდე ღიაა და რომელიღაც ბაღიდან მუსიკა ისმის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გამგზავრება

ბრძანება გავეცი, თავლიდან ჩემი ცხენი გამოეყვანათ. მსახური ვერ მიმიხვდა. მაშინ თავლაში თავად შევედი, ცხენი შევკაზმე და შევაჯექი. შორიდან საყვირის ხმა მომესმა. ეს რას უნდა ნიშნავდეს, ვკითხე მსახურს. მან არაფერი იცოდა და არც სმენოდა. ჭიშკართან გამაჩერა და მკითხა:

– საით გაგიწევიათ, ბატონო?

– არ ვიცი, – ვუპასუხე, – ოღონდ გავაღწიო აქედან, ოღონდ აქაურობას მოვცილდე; მხოლოდ და მხოლოდ შორს აქედან, ჩემს მიზანს სხვაგვარად ვერ მივაღწევ.

– მაშასადამე შენი მიზანი გცოდნია!

– დიახ, – მივუგე, – მე ხომ უკვე გითხარი: შორს აქედან, ესაა ჩემი მიზანი.

– საგზალი რომ არა გაქვს? – მკითხა მან.

– ის არ მჭირდება. – ვუთხარი, – მოგზაურობა ისეთი ხანგრძლივია, რომ შიმშილით მოვკვდები, თუ გზაში არაფერს მომცემენ. საგზალი ვერ მიშველის. საბედნიეროდ ეს ხომ მართლაც უხანგრძლივესი მოგზაურობაა.

## ძველი ჩანაწერიდან

როგორც ჩანს, ჩვენი მამულის დაცვაში ბევრი რამ უგულებელყოფილია. აქამდე ამაზე არ გვიზრუნია და ჩვენს საქმეებს მივდევდით, მაგრამ ბოლოჟამინდელი მოვლენები დაფიქრებას გვაიძულებენ.

მე სახარაზოს მფლობელი გახლავართ, რომელიც მოედანზე, იმპერატორის სასახლის პირდაპირ მდებარეობს. უთენია, როგორც კი ჩემს სახელოსნოს ვაღებ, ვხედავ, რომ მიმდებარე ქუჩების ყველა გასასვლელი უკვე შეიარაღებული ხალხით არის დაკავებული. მაგრამ ისინი ჩვენი ჯარისკაცები არ არიან. როგორც ჩანს ჩრდილოეთიდან მოსული მომთაბარეები უნდა იყვნენ. ჩემთვის სრულიად წარმოუდგენელი გზებით ისინი დედაქალაქში შემოიჭრნენ, თუმცა იგი საზღვრებიდან საკმაოდ შორსაა. ნებისმიერ შემთხვევაში ისინი აქ არიან და ჩემი ანგარიშით მათი რაოდენობა დღითიდღე მატულობს.

თავიანთი ჩვეულების თანახმად ისინი ღია ცის ქვეშ დაბანაკდნენ, რადგან სახლები ეზიზღებათ. მათი საქმე ხმლების ლესვა, ისრის პირების წანვეტება და ცხენით ჯირითია. ეს წყნარი, მუდამ კრძალვით დასუფთავებული მოედანი მათ ნამდვილ ბოსლად აქციეს. მართალია ზოგჯერ ჩვენი დახლებიდან გამოვრბივართ, რომ ყველაზე საშინელი სიბინძურე მაინც გავიტანოთ, მაგრამ ეს უფრო და უფრო იშვიათად ხდება, რადგან ამ მცდელობებს შედეგი არ მოაქვს და თანაც ნახევრადველური ცხენების ფლოქვებქვეშ მოხვედრის ან მათრახის გადაწვნის ხიფათი გვემუქრება.

მომთაბარეებთან დალაპარაკება შეუძლებელია. მათ ჩვენი ენა არ იციან, ხოლო საკუთარი თითქოს არც გააჩნიათ. ერთმანეთისას ჭკებივით არკვევენ და მათი ჭკისებური ყრანტალი მუდამ ისმის. ჩვენი ყოფა, ჩვენი ადათი მათთვის ერთნაირად მიუწვდომელი და არაფრისმთქმელია. ამიტომ მინიშნებების გაგებაზეც უარზე არიან. შეგიძლია ყბა იღრძო და ბეჭი ამოიგდო, მაინც ვერ მიგიხვდებიან და ვერც ვერასდროს გაგიგებენ. ისინი ხშირად იმანჭებიან, თვალის გუგებს ატრიალებენ და იდორბლებიან, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ თქვენთვის რაიმეს თქმა ან თუნდაც თქვენი შეშინება უნდათ, ასე იმიტომ იქცევიან, რომ მათი ბუნებაა ასეთი. რაც სჭირდებათ, იმას იღებენ. ვერ იტყვით, რომ ძალმომრეობენ. როცა რაიმეს ხელს ჩაავლებენ, ჩვენ ვეცლებით და ყველაფერს ვუტოვებთ. ჩემი გადანახულიდანაც ზოგიერთი საუკეთესო რამ მიითვისეს. თუმცა დაჩივლება არ შემიძლია, როცა ვხედავ, მაგალითად, ჩემს პირდაპირ მომუშავე ყასაბი რა დღეშია ჩავარდნილი. საქონელს მოიტანს თუ არა, მომთაბარეები ხელებიდან გლეჯენ და ნთქავენ. მათი ცხენებიც ხორცს ჭამენ. ხშირად მხედარი თავისი ბედაურის გვერდითაა გაშოტილი და ორივენი ხორცის ერთი ნაჭრით ნაყრდებიან, თითოეული თავისი მხრიდან. ყასაბი ისეთი შეშინებულია, რომ ხორცის შემოტანას თავს ვერ ანებებს. ჩვენ ეს კარგად გვესმის და დასახმარებლად ფულს ვუგროვებთ. მომთაბარეებმა ხორცი რომ არ მიიღონ, ვინ იცის, რას მოიმოქმედებენ, თუმცა ისიც არავინ უწყის, რა მოეპრიანებათ, ყოველდღე ხორცი რომ მიართვა. ამას წინათ ყასაბმა იფიქრა, რომ მოიგებდა თუ საქონელს არ დაკლავდა და დილით ცოცხალი ხარი მოიყვანა. ასეთი რამ მან მეორედ აღარ უნდა გააკეთოს. თითქმის მთელი საათი ჩემი სახელოსნოს

ყველაზე შორეულ კუთხეში იატაკზე პირქვე ვინექი, მთელი ჩემი ტანსაცმელი, საბნები და ბალიშები ზედ წამოვიმხე და ეს მხოლოდ იმიტომ გავაკეთე, რომ იმ ხარის ბღავილი არ გამეგო, რომელსაც ყველა მხრიდან ეცნენ მომთაბარეები და კბილებით თბილ ხორცს აგლეჯდნენ. ყველაფერი უკვე კარგა ხნის მიწყნარებული იყო, როცა გარეთ გასვლა გავბედე; ისინი, როგორც ღვინის კასრთან ძალაწართმეული ლოთები, ისე ეყარნენ ხარის ნარჩენების გარშემო.

ალბათ მაშინ მომეჩვენა, რომ სასახლის სარკმელში იმპერატორს მოვკარი თვალი. იმპერატორს, რომელიც ჩვეულებრივ განაპირა დარბაზებში არ ჩნდება და სასახლის სიღრმეში, ბაღთან ბინადრობს; თუმცა ამჯერად, ყოველ შემთხვევაში ასე მომეჩვენა, ის ერთ-ერთ ფანჯარასთან იდგა და საკუთარი სასახლის წინ ატეხილ აურზაურს თავდახრილი დაცქეროდა.

ნეტავ რა მოგველის? – ყოველ ჩვენთაგანს ეს კითხვა აწუხებს. როდემდე შევძლებთ ამ ტანჯვა-ვაების ატანას? იმპერატორის სასახლემ მომთაბარეები კი მიიზიდა, მაგრამ მათ განდევნას ვერ ახერხებს. კარიბჭე დაგმანულია; გუშაგები, რომლებიც აქამდე ყოველთვის თვალსაჩინოდ, მწყობრი ნაბიჯით აქეთ-იქით დადიოდნენ, ახლა გისოსებიან ფანჯრებს არიან ამოფარებულები. მამულის ხსნა ჩვენ – ხელოსნებსა და ვაჭრებს მოგვენდო; მაგრამ ამ ამოცანის შესრულება ჩვენს ძალებს აღემატება. თუმცა არც არასოდეს არ გვეტრაბახია, რომ ძალგვიძს. ეს გაუგებრობაა, რომელიც დაგვღუპავს.

## გაფანტული მზერა ფანჯრიდან

რა უნდა ვაკეთოთ გაზაფხულის ამ დღეებში, რომლებიც ახლა სწრაფად დგებიან? დღეს დილით ცა მოღრუბლული იყო, ხოლო ამ წუთას ფანჯარასთან თუ მიხვალ, გაოცდები და ლოყას ფანჯრის სახელურს მიაყრდნობ.

ქვემოთ პატარა გოგოს სახეზე ჩამავალი მზის ათინათი ციაგებს, გოგონა მიდის და უკან-უკან იყურება და ამავე დროს მამაკაცის ჩრდილი სცემს, რომელიც გამალებით უახლოვდება.

მაგრამ აი, კაცმა ჩაიარა და ბავშვის სახე მთლიანად განათდა.

## შინ დაბრუნება

მე დავბრუნდი. დერეფანი გავიარე და უკან მივიხედე. ეს მამაჩემის ძველი ეზოა, შუაში გუბე. ძველმა, უსარგებლო, ერთმანეთზე ახორხლილმა ნივთებმა კიბესთან მისასვლელი ჩახერგეს. მოაჯირზე კატა წევს გაყურსული. ჯოხზე შემოხვეულ, დაგლეჯილ ნაჭერს ქარი აფრიალებს. მე ჩამოვედი. ვინ დამხვდება? ვინ მელოდება სამზარეულოს კართან? საკვამური მილიდან ბოლი ამოდის, სავახშმოდ ყავა იხარშება, გრძნობ, რომ სახლში და მყუდროდ ხარ? არ ვიცი, ძალიან მეეჭვება. მართალია მამაჩემის სახლია, მაგრამ ყოველი საგანი თავისთავად, გულგრილად დგას, თითქოს საკუთარი საქმეებით არის დაკავებული, რომლებიც ნაწილობრივ დამავიწყდა, ნაწილობრივ კი არასდროს არ ვიცოდი. ნეტავ რაში დავჭირდები, ვინა ვარ მათთვის, თუმცა მამაჩემის, ძველი მემამულის შვილი ვარ. სამზარეულოს კარზე დაკაკუნებას ვერ ვბედავ, მხოლოდ შორიახლოდან ვუსმენ, მხოლოდ მოშორებით ფეხზე მდგარი ვუსმენ, მაგრამ ისე არა, რომ მიყურადებულს წამასწრონ. ხოლო რადგანაც შორიდან ვუსმენ, არაფერი მესმის, მხოლოდ საათის წყნარი ტიკტიკი ანდა მეჩვენება, რომ შორეული ბავშვობის დღეებიდან მესმის რაღაც. ის რაც ახლა სამზარეულოში ხდება, იქ მყოფების საიდუმლოა, რომელსაც მიმალავენ. კართან რაც უფრო დიდხანს შეყოყმანდები, მით უფრო გაუცხოვდები. ახლა რომ ვინმემ კარი გამოაღოს და რაღაც მკითხოს, ერთ-ერთი იმათგანი ხომ არ აღმოჩნდები, რომელიც თავის საიდუმლოს შენახვას ამჯობინებს?

*გერმანულიდან თარგმნეს სერგო ოქროპირიძემ და დევი ბერძენიშვილმა*





*თომას მანი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მწერლის პატივსაგებად

# ფრანც კაფკა და „ციხე-სიმაგრე“

ძალზე უცნაური და გენიალური რომანის, „ციხე-სიმაგრის“ და იდეური თვალსაზრისით მისი საპირისპირო, ასევე განსაკუთრებული პროზაული ნაწარმოების, „პროცესის“ შემქმნელი ფრანც კაფკა დაიბადა პრაღაში 1883 წელს, გერმანელი ებრაელების ოჯახში და გარდაიცვალა ტუბერკულოზით 1924 წელს, როცა მხოლოდ ორმოცდაერთი წლის იყო. თავის უკანასკნელ, სიკვდილის წინ გადაღებულ ფოტოსურათზე იგი ოცდახუთი წლის ახალგაზრდას უფრო ჰგავს, ვიდრე 40 წლის კაცს: სახეზე ოდნავი სიმორცხვე და ღრმააზროვნება აღბეჭდვია, შუბლზე დაყრილი შავი, ხუჭუჭი თმა, დამაჯერებლად, თან მეოცნებედ მომზირალი თვალები, სწორი ცხვირი, ავადმყოფობისგან ჩრდილმიმდგარი ლოყები და ტუჩის საოცრად სწორი ნაკვთი, ტუჩის კუთხეებში კი ღიმილი. ეს არის უმანკო ბრძენის სახე, და იგი ძლიერ ჰგავს ასევე ტუბერკულოზით გარდაცვლილ გერმანელ რომანტიკოსს ფრიდრიხ ფონ ჰარდენბერგს, იგივე ნოვალისს, სერაფიმული სულით დაჯილდოებულ მისტიკოსს, რომელიც მთელი თავისი ცხოვრება „ცისფერი ყვავილის“ მაძიებელი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ იგი თავის ბოლო სურათზე აღმოსავლეთევროპელ ნოვალისს ჰგავს, მე არ მსურს კაფკას ვუწოდო არც რომანტიკოსი, არც მისტიკოსი. რომანტიკოსისთვის ის ზედმეტად ზუსტი და რეალისტურია, ცხოვრების უბრალო, ბუნებრივ მოქმედებას ის იმგვარი დეტალიზაციით გადმოსცემს, რაც უცხოა სერაფიმული სულით დაჯილდოებული ავტორისთვის. მას აქვს მიდრეკილება კომიკურისკენ, მინდა ვთქვა თავისებური – ძალზე არაორაზროვანი, გამოკვეთილი; ხოლო რაც შეეხება მისტიკოსს, აქ მოვიყვან თავად მწერლის აზრს, რომელიც მან ანთროპოსოფ რუდოლფ შტაინერთან საუბრისას გამოთქვა. მას თავისი საქმე ესმოდა როგორც ნათელმხილველის მდგომარეობა, ხოლო მწერლური შრომის ნაყოფი, როგორც „ახალი აკრძალული კაბალისტური სწავლება“. მაგრამ ტრანსცენდენტური ელემენტი, ლტოლვა ამქვეყნიური სივრცეებიდან მიღმიერისკენ, „სატანური ავხორცობა“, სიკვდილის საქორწილო სარეცელი და სხვა ამის მსგავსი არ არის კაფკას შემოქმედების განმსაზღვრელი, და ეჭვგარეშედ უნდა მივიჩნიოთ, რომ არც ვაგნერის „ტრისტანს“, არც ნოვალისის ჰიმნებს ღამისადმი და სიყვარულს გარდაცვლილი სოფის მიმართ მასზე დიდი გავლენა არ მოუხდენია. თუმცა, ის მეოცნებე იყო და მისი ნაწარმოებების სხვადასხვა ვარიანტები უმეტესად სიზმრისეულ ჩვენებებს გავს, რომლებიც გამოხატავენ ალოგიკურსა და ერთი შეხედვით სრულიად შეუძლებელს, გამოხატავენ ასევე ცხოვრების საოცარ ჩრდილთა თამაშს, რომელსაც კომიკურის ელფერი დაჰკრავს. მაგრამ კაფკას პროზა სავსეა ირონიული, სატირული გონიერებით, შეიძლება ითქვას დაეჭვებამდე, პიროვნულ გაორებამდე მისული ღრმააზროვნებით, რითაც მწერალი სიკეთისკენ, საღვთო მორალისკენ და სამართლიანობისკენ ისწრაფვის, და რასაც თავისი კეთილსინდისიერად საქმიანი, განსაკუთრებით დეტალური, ზუსტი და ნათელი, ამასთან ოფიციალური კონსერვატიზმით, ხშირად ალბერტ შტიფტერის მოხსენებებისთვის დამახასიათებელი სტილით გადმოგვცემს; და ეს მეოცნებე ისწრაფოდა არა მითიური „ცისფერი ყვავილის“ პოვნისკენ, არამედ ყოველდღიური „ჩვეულებრივობით ტკბობისკენ“.

ეს არის ერთგვარი ფორმულა ჩემი ახალგაზრდობისდროინდელი ნოველიდან „ტონიო კროეგერი“, რომლის მიმართაც კაფკა განსაკუთრებულ სიმპათიას გამოხატავდა, როგორც მისი მეგობრისგან და თანამემამულისგან, და ასევე გამომცემლისგან და კომენტატორისგან, მაქს ბროდისგან გავიგე. ალბათ ამ „ჩვეულებრივობით ტკბობაზე“ დამყარებულ ბიურგერულ-შემოქმედებით გრძნობათა სამყაროს თავისი აღმოსავლეთებრაული ადამიანური ბუნებიდან გამომდინარე უზუსტესად აღიქვამდა და აფასებდა. შეიძლება ითქვას, რომ „დაუოკებელი სწრაფვა“, რომელსაც ნაწარმოები „ციხე-სიმაგრე“ გამოხატავს,

ტრაგიკომიკური პათოსი, რომელიც მას საფუძვლად უდევს, წარმოადგენს მარტოსული ტონიო კრიოგერის ამაღლებული, შემოქმედი სულის ტკივილის გარკვეულ ტრანსპონირებას; უბრალო ადამიანური გრძნობების, ბიურგერული სინდისის ქენჯნის და „ქერათმიანებისა და ჩვეულებრივებისადმი“ ლამის რელიგიურ სიყვარულს. სახელი, რომელიც ალბათ ყველაზე კარგად დაახასიათებდა ამ მწერალს, არის რელიგიური იუმორისტი.

ორივე შემადგენელი ნაწილი ამ ალბათ უცნაური სიტყვათშეთანხმებისა განმარტებას მოითხოვს. მაქს ბროდი წერს, რომ კაფკაზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა გუსტავ ფლობერის ცხოვრების ბოლო პერიოდის ერთმა სახასიათო ეპიზოდმა. დიდი ესთეტი, რომელმაც თავისი ასკეტური ორგიასტულობით მთელი ცხოვრება ნიჰილისტურ კერპ „littéreture“-ს შესწირა, ერთხელ თავის ნათესავ მადამ კომანვილთან ერთად მისი მეგობრების ოჯახს ესტუმრა. ბედნიერი ცოლ-ქმარი, შასანიშნავი, ლამაზი ბავშვები მათ გარშემო. ოჯახური იდილია. უკან დაბრუნებისას სახლისკენ მიმავალი „Tentation de Saint-Antoine“-ის შემქმნელი ჩაფიქრებული და აღელვებული ჩანდა. მადამ კომანვილთან ერთად ნაპირზე სეირნობისას, საუბრის დროს ის ხშირად უბრუნდებოდა პატიოსანი, ბუნებრივი, ჯანსაღი, მხიარული, კეთილსინდისიერი ოჯახის ცხოვრების ფრაგმენტს, სულ ახლახან საკუთარი თვალით რომ იხილა. „Ils sont dans le vrai“ მრავალჯერ გაიმეორა – და ეს სიტყვები, დიდი ოსტატის ბაგეთაგან წართქმული, ერთგვარ დათმობაზე წასვლას გავდა ადამიანისგან, ვინც მწერლობის გამო სიცოცხლე უარყო და ეს პრინციპი შემოქმედის ვალდებულებად აქცია. ეს სიტყვები იყო ფრანც კაფკას საყვარელი ციტატა.

Etre dans le vrai, ჭეშმარიტი, სამართლიანი გზით ცხოვრება, ნიშნავდა ღმერთთან მიახლოებას, ღმერთში ცხოვრებას, სწორად, ღმერთის სურვილის შესაბამისად ცხოვრებას – და ამავდროს კაფკა სრულებით არ გრძნობდა თავს მშვიდად და დაცულად ღმერთში. როგორც ის აღიარებს, „ლიტერატურა მისი ერთადერთი მოთხოვნილება, ერთადერთი მოწოდება იყო“. ეს ღმერთის სურვილიც უნდა ყოფილიყო. მაგრამ, 1914 წელს, ოცდათერთმეტი წლის ასაკში, ის წერს: „შეგრძნება, რომ ჩემი სიზმრისეული, შინაგანი სამყაროს ფურცელზე გადატანამ ყველაფერი დანარჩენი მეორეხარისხოვნად აქცია ჩემთვის, მთრგუნავს, თითქოს საშინელი გზით ყველაფერი ნელ-ნელა კვდება და კვდომას არ წყვეტს“. „ხშირად“, ამატებს ის სხვა დროს, „მომიცავს ხოლმე სევდიანი, მაგრამ მშვიდი გაოცება ჩემი უგრძნობლობის გამო... რომ ჩემი ლიტერატურული მოწოდების, საქმის გამო ყოველივე დანარჩენი ჩემთვის ინტერესს კარგავს... ესე იგი უგულო ვარ“. – ეს სევდიანი აღქმა რელიგიურ შეშფოთებას გავს. ხელოვნებისადმი ვნების გამო ადამიანური ბუნების დაკარგვა და „კვდომა“ უეჭველად ღვთისგან განშორებაა. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია, რომ ეს ვნება, რომელიც გარშემო ყველაფერს აუფერულებს, გავიაზროთ, როგორც ეთიკური სიმბოლო. ხელოვნება არ არის საჭირო პროდუქტი, რომლის აზრი და მიზანიც ცხოვრების ასკეტურ-ორგიასტული უარყოფაა, როგორც ეს ფლობერის შემთხვევაშია; ხელოვნება შეიძლება თავად იყოს ცხოვრების ეთიკური გამოხატვის ფორმა,






და ეს არა მხოლოდ „ნაწარმოებს", არამედ უშუალოდ ცხოვრებას მიესადაგებოდეს... მაშინ ცხოვრება აღარ იქნება მხოლოდ საშუალება, რომელიც ესთეტიკურად სრულყოფილ იდეალს გაგვახსენებს, არამედ ეთიკური სიმბოლოც, და არა მხოლოდ ობიექტური სრულყოფილება იქნება მიზანი, არამედ სუბიექტური თვითდარწმუნება, რომ ბოლომდე გაისარჯე, შენი ცხოვრება სხვა ადამიანურ სამუშაოსთან თანაბარფასეული და ხარისხიანი გახადე, შენი საქმე აზრიანად შეასრულე.

„მე დავწერე რამდენიმე დღის შემდეგ, – წერს კაფკა, – რომ ჩემს ცხოვრებას აქვს გამართლება. მე ისევ შემიძლია საკუთარ თავთან საუბარი და გარესამყარო სრულ სიცარიელედ აღარ მეჩვენება. ჩემი სულიერი მდგომარეობა მხოლოდ ამ გზით უმჯობესდება." – ბევრი არ დაკლებია, და ხსნას დაწერდა გაუმჯობესების ნაცვლად; კაფკას ამ სიტყვებით უფრო ნათელი ხდება, თუ როგორ მოიპოვებდა ის შრომით სულიერ წონასწორობას და სიმშვიდეს. ხელოვნება, როგორც ღვთაებრივი იდეის განხორციელება, როგორც ბეჯითად, ერთგულად შესრულებული საქმე, არა მხოლოდ სულიერი, არამედ მორალური მნიშვნელობის და არსის მქონეა: როგორ აამაღლებს ის სინამდვილეს ჭეშმარიტებამდე, როგორ ანიჭებს ის სუბიექტურ და ზოგადად ადამიანურ ცხოვრებას აზრს და გამართლებას. ის არის ადამიანის ქმნილება, როგორც ბევრი სხვა რამ, საშუალება, რომ „სამართლიანად" ვიცხოვროთ ან სიმართლეს მივუახლოვდეთ, და ამით ის მჭიდროდ უკავშირდება ადამიანურ ყოფას.

გოეთეს ეკუთვნის გამონათქვამი, რომელსაც ფრანც კაფკა – გერმანული ლიტერატურის სასოწარკვეთილი და ეჭვით შეპყრობილი წარმომადგენელი, გულწრფელად სცემდა თაყვანს: „ადამიანი ხელოვნების გზით როგორც არსად და არასდროს ისე შორდება სამყაროს და ამავდროს არაფერი მას ისე არ აკავშირებს სამყაროსთან, როგორც ხელოვნება". შესანიშნავადაა ნათქვამი... გოეთეს ხელოვანი არის მარტოსულიც და სოციალურიც თავისი არსით, და ეს კაფკას ალბათ აღაფრთოვანებდა, იმისდა მიუხედავად რომ ბოლომდე ალბათ ვერ და არც აღიარებდა ამ აზრის ჭეშმარიტებას, რადგან მისი პროდუქტიულობა, შემოქმედებითი აქტივობა მთლიანად პიროვნული გაორებიდან, დაუცველობიდან, ღმერთის მოშორებულობის განცდიდან გამომდინარეობს. როდესაც წერდა სიხარულით და მადლიერებით, სურდა დაემტკიცებინა, რომ ხელოვნება მხოლოდ „სამყაროსთან" კი არა, არამედ მორალურ, ღვთაებრივ, სამართლიან საწყისებთან გვაკავშირებს – და მიუხედავად სიტყვათა თამაშისა და ორაზროვნებისა, ზოგადად „კეთილის" იდეის სიმბოლურ სიღრმესთანაც გვაახლოვებს. რასაც ხელოვანი „კეთილს" უწოდებს, და რისთვისაც ის თამაშითა და ტანჯვით შრომობს, მართალსა და კეთილთან მსგავსებაზე ბევრად წერია, და შეუცვლელია ყველა ადამიანური ლტოლვისა სრულყოფილებისაკენ – და კაფკას ხელოვნების სიზმრისეული ქმნილებები ძალიან კარგია; ისინი შეიქმნენ ერთგულებით, მოთმინებით, სიზუსტით, ირონიულობით, შეიძლება ითქვას, პაროდიულობითაც, სიყვარულით და ზრუნვით, კეთილსინდისიერებით, რომელიც რაღაც მანქანებით ზოგჯერ გვაცინებს კიდეც. ეს ამტკიცებს, რომ კაფკა არ იყო სკეპტიკოსი, არამედ რომელიღაც შეუცნობელი გზით კეთილისა და სიმართლისკენ ისწრაფოდა და ამისი სჯეროდა. მაგრამ უფსკრული ღმერთსა და ადამიანს შორის, ადამიანის უძლურება, შეიცნოს კეთილი, განისმჭვალოს მისით და სიმართლით იცხოვროს, კაფკამ თავისი ნაწარმოებების თემად აქცია, და ყოველ წინადადებაში შიშვლდება ფანტასტიკური იუმორისტის, სასოწარკვეთილი მწერლის ნება.

კაფკას წერილები გამოხატავენ ხელოვანის (და მით უფრო ებრაელთა!) მარტოსულობას და გაუცხოებას გარესამყაროსგან, ისევე როგორც კ. გრძნობს თავს უცხოდ სოფლის ადგილობრივ მაცხოვრებელთა შორის, რომლებიც „ციხე-სიმაგრის" მისადგომებთან დასახლებულან. თანდაყოლილი მარტოობის განცდით, სასოწარკვეთილებამდე, საკუთარი თავის უარყოფამდე მისული, ის ცდილობს, მოიპოვოს



სხვებთან ერთად ცხოვრების თანაბარი უფლება, ჰქონდეს ჩვეულებრივი სამსახური, იქორწინოს... მოკლედ ის ისწრაფვის „ჩვეულებრივობით ტკბობისკენ"; ეს არის „სამართლიანად ცხოვრების" გაუნელებელი და განუხორციელებელი სურვილის გამოხატულება. „ციხე-სიმაგრე" ზედმიწევნით ავტობიოგრაფიული რომანია; მთავარ გმირს, რომელსაც ავტორის თავდაპირველი ჩანაფიქრის მიხედვით პირველ პირში უნდა მოეთხრო თავისი ამბავი, ჰქვია კ., ის თავად მწერალია, რომელმაც ყველა ეს წარუმატებლობა და ამაო შრომა საკუთარ თავზე გამოსცადა. კაფკას ბიოგრაფიაში ვხვდებით ერთი ნიშნობის ისტორიას, რომელიც ყველა მისი ცხოვრებისეული მარცხის ხორცშესხმაა, უმაღლესი გამოხატულებაა, და რომან „ციხე-სიმაგრეში" მისი დაუღალავი მცდელობები ოჯახის შესაქმნელად – ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობის მოსაპოვებლად (რომელიც უპირველესად „ღმერთისკენ" სწრაფვას გულისხმობს), უმთავრეს როლს თამაშობს.

მთელი რომანის მანძილზე კ. ცდილობს შეაღწიოს სოციუმში, მას სურს, რომ სოფლის მაცხოვრებლების მიერ აღარ აღიქმებოდეს უცხოდ, სურს მათთვის ახლობელი გახდეს. ეს შეიძლება კ.-სთვის ერთგვარი საშუალებაა, რომ „ციხე-სიმაგრესთან" ურთიერთობა დაამყაროს და გააუმჯობესოს; რაც ღვთისგან მადლისა და წყალობის მიღების ტოლფასია. გროტესკული, სიზმრისეული სიმბოლოებით დატვირთულ რომანში სოფელი სიცოცხლის, მიწის, სოციუმის, ადამიანურ-ბიურგერული კავშირის რეპრეზენტაციაა, ხოლო ციხე-სიმაგრე ღვთაებრივის, ზეციდან მართულის, ღვთიური მადლის. ზეადამიანური და ღვთაებრივი თავისი შეუცნობლობით, იდუმალებით, მიუწვდომლობით, განსაკუთრებული სასაცილო და ამავდროს გაბედული ხერხებით, ღვთისმოსაობითა და ამავდროს ღვთისმგმობელობით აქამდე არასდროს დაუნახავთ, განუცდიათ და აღუწერიათ ისე, როგორც „ციხე-სიმაგრეშია".

იბადება ერთი მნიშვნელოვანი კითხვა, რომელიც ძალზე ჩახლართულია და ამავდროს რელიგიურ-კომიკურ ელფერს ატარებს. მთელი რომანის განმავლობაში ბოლომდე გაურკვეველი რჩება, კ. მართლა გრაფის ადმინისტრაციის მიერ დაქირავებული მიწისმზომელია, თუ ეს მხოლოდ გამონაგონია, ან თავად კ.-ს წარმოსახვის ნაყოფი. პირველ თავში, როდესაც კ.-ს „ზევიდან" (ციხე-სიმაგრიდან) ტელეფონით ესაუბრებიან, უარყოფენ სოფელში მიწისმზომელად მის მოწვევას, მაწანწალად და მატყუარად გამოიყვანენ. შემდეგ კი შეასწორებენ ნათქვამს და აღიარებენ მიწისმზომელად მის დანიშვნას, თუმცა ყოველივე ეს ძალზე ბუნდოვანი და ორაზროვანია. კ.-ს უჩნდება განცდა, რომ მისი დამტკიცება ერთგვარი „ინტელექტუალური უპირატესობის" ჩვენებაა, რომ სინამდვილეში მათ სურთ კ.-ს გამოწვევა „სიცილით მიიღონ".

ასევე შთამბეჭდავია კ.-ს მეორე სატელეფონო საუბარი ციხე-სიმაგრესთან, რომელიც მეორე თავში მოცემული. კ.-ს უკვე თან ახლავს ციხე-სიმაგრიდან გამოგზავნილი მოსულელო დამხმარეები, რომლებსაც იგი, როგორც თავის „ძველ" დამხმარეებს, ისე მიიღებს. ვისაც ნაკითხული აქვს ეს ნაწილი, „ბავშვური ხმების შორეული ზუზუნი ტელეფონის ყურმილში" კ.-ს რომ ჩაესმის, უარი, მოხელე რომ ატყობინებს „პატარა ენობრივი შეცდომებით" მატყუარა, ფამილარულ პრეტენდენტს, ის შეუძლებელია გაჩერდეს და რომანი ბოლომდე არ წაიკითხოს და სიცილითა და ცრემლით არ განიცადოს, საბოლოოდ არ გაიგოს არაერთსახოვანი, „სრულიად განსხვავებულად" მოწყობილი, ზეციური ძალაუფლების ორგანოს როლი და არსი.

ციხე-სიმაგრეს ობიექტურად გვიხასიათებს სოფლის „მამასახლისი" მეხუთე თავში. ის შეეხება სატელეფონო საუბრებსაც და განმარტავს რომ ამგვარი ურთიერთობა ციხე-სიმაგრესთან არასანდოა და შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს ადამიანი, რომ სინამდვილეში არ არსებობს ცენტრალური აპარატი, რომელიც ჩვენს სატელეფონო ზარებს გადაამისამართებს, რომ ჩვენთვის მხოლოდ ქვემდგომი განყოფილებებია ხელმისაწვდომი, სადაც უმთავრესად ტელეფონის ელექტრონული ზარი გამორთულია, და თუკი მაინც მივიღებთ პასუხს, შეიძლება ეს უბრალოდ ხუმრობა აღმოჩნდეს. მე არ შემიძლია კ.-სა და მამასახლისის ამ გასაოცარ საუბარზე ყურადღება არ გავამახვილო, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მთლიანად წიგნი დინამიურობას მოკლებულია. პირიქით, ის საკმაოდ მძაფრად იკითხება, გროტესკული შეუსაბამობა ადამიანურსა და ტრანსცედენტულ განზომილებას შორის, ღვთიურის განუსაზღვრელობა, გაუცხოება, კობოლდური ალოგიკურეობა, ურყევი პოზიცია – არა ვლაპარაკებ (das Nicht-sich-sprechen-lassen), სისასტიკე და უზნეობა „ციხე-სიმაგრისა" – ზემდგომი ძალისა – ადამიანის არსის მიმართ, ყველა საშუალებით და ხერხითაა გამოხატული. ეს არის ღვთისმოსავი და ამავდროს გაორებული ადამიანის უჯიუტესი „შერკინება ანგელოზთან", რაც კი ოდესმე ყოფილა, და საოცარი იუმორითაა ყოველივე ეს ხორცშესხმული – აქ სატირა სულიწმინდის სახით გვევლინება, რომელიც სრულებით ხელშეუხებელს ტოვებს ღმერთის, აბსოლუტის არსებობის ფაქტს, და ეს საოცრად ახალი და ამაღელვებლად გაბედული მიგნებაა. კაფკა მთელი თავისი არსით რელიგიური იუმორისტია, იმიტომ რომ შეუთავსებელს, აუხსნელს, ადამიანის გონებისთვის მიუწვდომელ, მიღმიერ სამყაროს გამოხატავს

არა იმგვარად, როგორც ამას ზოგადად მწერლები აკეთებენ – პათეტიკური პომპეზურობით, ამაღლებულისკენ, ზეციურისკენ ჰიპერბოლური აღმაფრენით, არამედ გვიხატავს, როგორც ავსტრიული სახელმწიფო დოკუმენტების არქივს (Ärar), უზარმაზარს, ზუსტს – წვრილმან ფაქტებს გამოდევნებულს, ხისტს, მიუწვდომელს, გაურკვეველი ბიუროკრატიული აპარატით და აქტების უზარმაზარი რაოდენობით, ინსტანციებით, მოხელეთა გაურკვეველი იერარქიით, მოუხელთებელი, გამქრალი პასუხისმგებლობით – ასე ხედავს და აღწერს – სატირულად, მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნე, ამასთან ერთად რწმენით, აუხსნელი, მიუწვდომელი სამყაროსკენ სწრაფვით, რათა შეუპოვრობით მოიპოვოს ღვთისგან წყალობა და მადლი... და ეს ყველაფერი არა პათოსით, არამედ სატირითაა გადმოცემული.

კაფკას ბიოგრაფიიდან ვიგებთ, რომ როცა ის თავის მეგობრებს „პროცესის“ დასაწყისს უკითხავდა, რომელიც უფრო ღმერთის „მართლმსაჯულებაზეა“, მაშინ როცა „ციხე-სიმაგრეში“ მთავარი გმირი უფრო ღვთიურ მადლსა და წყალობას ეძებს, მსმენელები იცინოდნენ და ცრემლი მოსდიოდათ, ასე რომ ავტორსაც გაეცინა და გარკვეული ხნის მანძილზე კითხვა შეწყვიტა. ეს მხიარულება ღრმა საფუძვლის მქონეა და ერთი შეხედვით რთულად გასაგები. სავარაუდოდ იგივე განმეორდა „ციხე-სიმაგრის“ კითხვისას. მაგრამ ალბათ მიხვდებით, რომ სიცილი, ეგზალტირებული განცდით გამოწვეული ცრემლიანი სიცილი, საუკეთესოა, რაც გაგვაჩნია, რაც გვრჩება, და ალბათ დამეთანხმებით რომ კაფკას სიყვარულით აღსავსე ტექსტი წასაკითხად ყველაზე ფასეულია, ღირებულია, რაც კი მსოფლიო ლიტერატურაში შექმნილა.

„ციხე-სიმაგრე“ დაუსრულებელი დარჩა, მას აკლია არაუმეტეს ერთი თავისა. მწერალმა მეგობრებს ზეპირად მოუყვა დასასრული. კ. კვდება – ის იფიტება სოციუმში თვითდამკვიდრებისა და ციხე-სიმაგრის მეშვეობით თავისი არსებობის დადასტურებისთვის ბრძოლით. სოფლის მაცხოვრებლები მისი სასიკვდილო სარეცელის გარშემო იკრიბებიან, და ბოლო წამს „ზევით“ მიიღებენ ბრძანებას, რომ აქამდე კ.-ს პრეტენზია, სოფელში ეცხოვრა, კანონიერი არ იყო, თუმცა, „გარკვეული გარემოებების“ გათვალისწინებით დღეიდან მას ეძლევა უფლება სოფელში დარჩეს და იმუშაოს. ეს წყალობაა. ფრანც კაფკაც ყოველგვარი წყენის გარეშე, რა თქმა უნდა, მიიღებდა ამგვარ წყალობას თავის სასიკვდილო სარეცელზე.

*გერმანულიდან თარგმნა ალექსანდრე ჭელიძემ*



ეროვნული
ბიბლიოთეკა

Art
6

# ხელოვნება

ელექტრონული
ბიბლიოთეკა



არსენი ავრაამოვი



ლევ ტერმენი

# რეპრესირებული მუსიკა

## (1900-1920-იანი წლები)



### ნაწილი I

*არჩილ გიორგობიანი*
*(კომპოზიტორი)*

ამ სტატიაში მსურს შევეხო მოვლენას, რომელიც მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში საბჭოთა ავანგარდის სახელითაა ცნობილი. 1900-1920-იანი წლების მოვლენები, იმ პერიოდის მუსიკა და მუსიკალური ექსპერიმენტები იქნება ძირითადი საყრდენი ამ ტექსტის.

ადრეული საბჭოთა მუსიკალური ავანგარდი არცთუ ისე მდიდარია დაწერილი ნაწარმოებების რაოდენობით. მიზეზი რამოდენიმე არსებობს, მაგრამ ყურადღება მინდა ერთ-ერთ მოვლენაზე გავამახვილო, რაც ალბათ ნათელ სურათს შექმნის იმდროინდელი ესთეტიკისა და ხედვის უკეთ წარმოსაჩენად. 1919 წელს მხატვარმა სოლომონ ნიკრიტინმა შეიმუშავა თეორია, რომელიც თარგმანში ასე ჟღერს: „მეთოდის პროექციები" (ПРОЕКЦИИ МЕТОДА). თავისი თეორია მან პირველად 1924 წელს გამოამზეურა. გამოფენაზე მისულ პუბლიკას შესთავაზა თავისი შეხედულებები და არა კონკრეტული ნამუშევრები. კერძოდ, კედლებზე იყო განთავსებული ცხრილები, დიაგრამები, ნახაზები. მათი მეშვეობით მხატვარი დამსწრე პუბლიკას აცნობდა მუშაობის საკუთარ მეთოდს და ინსპირაციის წყაროებს. იქ მისული დამთვალიერებელი გამოფენიდან მიდიოდა მონუსხული უშუალოდ ამ შემოქმედებითი მეთოდითა და იდეით და არა რაიმე კონკრეტულით (ლაპარაკია დასრულებულ ნახატზე, სკულპტურაზე და ა.შ.). მსგავსი ტენდენცია იყო მუსიკაშიც. მაგალითად, ლევ ტერმენი და 20-იანი წლების ლექცია-კონცერტები. კონცერტზე მისულ საზოგადოებას ტერმენი არაფერ ახალს არ სთავაზობდა, ის ახდენდა თავისი გამოგონების დემონსტრირებას (ლაპარაკია ინსტრუმენტ ტერმენვოქსზე). მას არ დაუწერია ახალი მუსიკალური ქმნილება და არც ახალი ესთეტიკის შემქმნელად არ გვევლინება. მეტიც, მის კონცერტებზე ჟღერდა ის კარგად ნაცნობი რეპერტუარი, რაც წარსულის მონაპოვარი იყო. აქაც, ისევე როგორც გამოფენაზე, პუბლიკა ინუსხებოდა იდეით და ახალი გამოგონებით და არა იმით, თუ რა მუსიკა სრულდებოდა დარბაზში. იგივე შეიძლება ითქვას არსენი ავრაამოვზეც. საზოგადოება ავრაამოვს, როგორც კომპოზიტორს (ამ სიტყვის კლასიკური გაგებით) არ იცნობს. მას დაწერილი მუსიკა არ გააჩნია, თუ არ ჩავთვლით იმ ერთადერთ ტრეკს, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია და თანაც არასრულყოფილი სახით (ნაწარმოები „Симфония гудков"). ავრაამოვიც დაახლოებით იმავე მეთოდებს მიმართავდა, რასაც ზემოხსენებული არტისტები. მისი კონცერტები, სახელწოდებით „მომავლის მუსიკა" (ასე უწოდებდა იგი თავის გამოსვლებს) უფრო შემეცნებითი ხასიათის მატარებელი იყო. შეიძლება ითქვას, რომ ამ კონცერტებზე უცხოც კი იყო ისეთი შეგრძნება, როგორიცაა ესთეტიური სიამოვნების განცდა. მიუხედავად იმისა, რომ ტერმენის ლექცია-კონცერტებისგან განსხვავებით ამ კონცერტებზე ჟღერდა ახალი ნაწარმოებები, აქაც უფრო დიდი დატვირთვა ჰქონდა არა მხატვრულ ღირებულებას, არამედ იმას, რომ კომპოზიტორი უჩვენებდა პუბლიკას, თუ მომავალში რა ტიპის იქნებოდა მუსიკა და რა ხერხებით იქნებოდა შესაძლებელი მისი შექმნა. ანუ ამ თაობის კომპოზიტორთა ძირითადი მიზანი და მისწრაფება იყო შეექმნათ სრულიად ახალი აკუსტიკური მსოფლმხედველობა. გარდა პრაქტიკული მცდელობებისა, არსებობდა მთელი რიგი თეორიული შრომები ახალ ჟღერადობასთან დაკავშირებით. მაგალითად, ნიკოლაი კულბინის „თავისუფალი მუსიკა", არსენი ავრაამოვის „ტონთა უნივერსალური სისტემა" და ვიშნეგრადსკის „ტრაქტატი მიკროქრომატიკაზე."

ერთ-ერთი პირველი გახმაურებული მუსიკალური ექსპერიმენტი 1913 წლით თარიღდება. ლაპარაკია ფუტურისტულ საოპერო ნაწარმოებზე. სანამ ასეთი ოპერის იდეა გაჩნდებოდა, მანამდე იმავე შინაარსის მატარებელი თეატრი იქნა დაარსებული. პიესების შექმნა დაევალათ ალექსეი კრუჩიონიხს და ვლადიმირ მაიაკოვსკის. მაგრამ მალევე ყველა პროექტი იქნა შეჩერებული და მთელი აქცენტის გადატანა მოხდა ზემოთ ნახსენებ ფუტურისტულ ოპერაზე, სახელწოდებით „მზეზე გამარჯვება" (Победа над Солнцем). ფუნქციები ასე გადანაწილდა: ლიბრეტო – ალექსეი კრუჩიონიხი, მხატვრობა – კაზიმირ მალევიჩი, მუსიკა – მიხაილ მატიუშინი. ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 1913 წლის ივლისში, მატიუშინის აგარაკზე სტუმრობისას. შემდგომ ეს შეკრება შეფასდა როგორც სრულიად რუსეთის ფუტურისტ ხელოვანთა პირველი ყრილობა. მატიუშინი




არსენი ავრამოვის „საყვირების სიმფონიის" პარტიტურა

წერდა: „სილამაზის ჩვეული აღქმა იქნა დანგრეული ამ ქმნილებაში. კერძოდ მზე, როგორც სილამაზის სიმბოლო, წარსულში დარჩა". ეს სიტყვები არაა გადატანითი მნიშვნელობის. ოპერის ერთ-ერთ სცენაში მართლაც ხდება მზის დატყვევება. ყველა დრო თავის გმირს ბადებს, ოპერის გმირი კი ამ ნაწარმოებში ტექნიკური პროგრესის სახით არის წარმოდგენილი და სწორედ ეს ძალა ამარცხებს მზის კულტს, როგორც მშვენიერების განსახიერებას და ამ მოვალეობას საკუთარ თავზე იღებს. წარმოდგენაზე მისული მაყურებელი გაუგებრობაში მოექცა. შეიძლება ითქვას, იმედგაცრუებულიც კი დარჩა. ვერ მალავდა თავის რეაქციას და სპექტაკლის მსვლელობისას თავის უკმაყოფილებას გამოხატავდა. მოტყუებულებად იგრძნეს თავი იმ მეცენატებმა, რომლებმაც წარმოდგენა დააფინანსეს, და იმ დარბაზის ადმინისტრაციამაც, სადაც პრემიერა შედგა. თუ მაიმუნობაა, ბოლომდე ვიმაიმუნოთო – ამ ჩვენებას მიჰყვა მაყურებელიც. სად არის ავტორი! – სკანდირებდა პუბლიკა. ადმინისტრაციას უცებ შესაძლებლობა მიეცა, პოზიცია დაეფიქსირებინა. არც აციეს და არც აცხელეს – ავტორი ფსიქიატრიულშიაო – იყო მათი პასუხი... ასე იყო თუ ისე, მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ორჯერ დადგმული ეს ქმნილება (1913 და 1920 წლებში) დღემდე არ კარგავს აქტუალობას, მიუხედავად იმისა, რომ მუსიკა ფრაგმენტების სახითაა შემორჩენილი. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ მალევიჩის ცნობილი ტილო „შავი კვადრატი" პირველად სწორედ ამ ოპერაში გამოჩნდა, როგორც დეკორაცია. აღსანიშნავია ისიც, რომ ოპერის ვერბალური ტექსტი სიტყვის ალოგიკურობაზე იყო აგებული, რაც „ზაუმის" ერთ-ერთი მახასიათებელი ნიშანია.

დენის კაუფმანი – ფუტურისტულმა ენამ ამ ადამიანზე რამდენად იმოქმედა, ვერ გეტყვით, მაგრამ იგი 1910-იანი წლების დასაწყისში სწორედ საუნდით იყო გატაცებული, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ისტორიაში მისი სახელი კინოხელოვნებასთანაა კავშირში. 1916 წლის ზაფხულში სტუდენტი დენის კაუფმანი ატარებს ცდებს საუნდპოეზიის განხრით. მოგვიანებით ის ასე აღწერს ამ ყველაფერს: „მე მინდოდა გადმომეცა და აღმეწერა აკუსტიკური მოვლენები უფრო ფერადოვნად და ხატოვნად. დაახლოებით ისე, როგორც უსინათლო ადამიანი აღიქვამს მის გარემომცველ აკუსტიკურ მოვლენებს. პირველად ეს სურვილი ხისმჭრელმა ქარხანამ დაბადა ჩემში. კერძოდ, ის ხმაური, რასაც იქ მომუშავე დაზგები გამოსცემდნენ, გახდა ინსპირაციის პირველი წყარო. პირველად ამ ყველაფერს ვერბალურად ვაფიქსირებდი ფურცელზე. შემდეგი ცდა უკვე იყო ის, რომ ხმაურები კონკრეტულ ასო-ბგერებთან დამეკავშირებინა. გარდა ამისა, იმ ხმებს, რასაც ხისმჭრელი დანადგარები გამოსცემდნენ, გააჩნდა თავისი მელოდია და ჰარმონია. ერთ-ერთი ჩემი სურვილი ისიც იყო, რომ ეს ხმები ჩამეწერა და მერე უკვე იქიდან დამოუკიდებელი მუსიკალური ნაწარმოები შემექმნა. მაგრამ მოხდა ისე, რომ იმ დროის არსებულმა ხმის ჩამწერმა საშუალებებმა ხელი ამაღებინა ამ ჩანაფიქრის განხორციელებაზე."

მოგვიანებით ეს ადამიანი შეეცდება ხილული ობიექტებისგან შექმნას კომპოზიციები კინოხელოვნების დარგში. სწორედ კინო აღმოჩნდა ის დარგი, სადაც მისი ექსპერიმენტული იდეები ბოლომდე იქნა რეალიზებული. ის მსოფლიო კინოს ისტორიაში ძიგა ვერტოვის სახელითაა ცნობილი. ალექსანდრე შორინის მიერ 1929 წელს ფილმისათვის „ენთუზიაზმი" სპეციალურად იქნა კონსტრუირებული ხმის ჩამწერი აპარატი, რომელიც უკვე იძლეოდა დამაკმაყოფილებელ აუდიოხარისხს.

სწორედ ვერტოვი აღმოჩნდა პირველი ადამიანი მსოფლიო კინოს ისტორიაში, ვინც მოახერხა აუდიოფირზე ჩაეწერა და შემდგომ ფილმისათვის გამოეყენებინა ისეთი ხმაურები, როგორიცაა მატარებლის თუ ტრამვაის ხმა, ქუჩის ხმები და ა.შ. სწორედ ამ აკუსტიკურმა სანყისმა განსაზღვრა ფილმის კომპოზიციური სტრუქტურა. ფილმისათვის ორიგინალური მუსიკა შექმნა კომპოზიტორმა ნიკოლაი ტიმოფეევმა, მაგრამ შეიძლება ითქვას რომ სწორედ ის გარეგანი ხმაურები, რომლებიც იქნა ჩაწერილი და გამოყენებული, უფრო მეტი დატვირთვის მქონე აღმოჩნდა როგორც მუსიკალური, ასევე წმინდა კინემატოგრაფიული თვალსაზრისით. ფილმის ევროპული პრემიერა 1931 წელს შედგა. ყველა აღფრთოვანებული იყო ნანახით და გაგონილით. მათ რიცხვში იყო თვით ჩარლი ჩაპლინიც: „მე ამ ფილმს აღვიქვამ როგორც ერთ-ერთ ყველაზე ამაღელვებელ სიმფონიას, რაც კი აქამდე მომისმენია. ძიგა ვერტოვი ნამდვილი მუსიკოსია. პროფესორები მისგან უნდა სწავლობდნენ" – თქვა მან. საყურადღებოა ისიც, რომ ჩაწერილი ხმები დამუშავებას ექვემდებარებოდნენ, და მოგვიანებით (დაახლოებით 40-იან წლებში) საფრანგეთში კომპოზიტორი პიერ შეფერი საფუძველს უყრის ელექტრონული მუსიკის მიმდინარეობას, რომელიც დღეს „კონკრეტული მუსიკის" სახელითაა ცნობილი.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ახალი ხელოვნების დაბადებას ხელი შეუწყო იმ პერიოდის მთელმა რიგმა სოციალურ-პოლიტიკურმა მოვლენებმა. რუსი ავანგარდისტი არტისტების ჩამოყალიბებას და მათი ხედვების

განეითარებასაც მთელ რიგ პოლიტიკურ მოვლენებს მიაწერენ ხოლმე. საუკუნის დასაწყისის ისეთი სამი მოვლენა, როგორიცაა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ორად გაყოფა მენშევიკებად და ბოლშევიკებად (1903 წელი), რუსეთ-იაპონიის ომი (1904 წელი) და 1905 წლის რევოლუცია გადამწყვეტი აღმოჩნდა ახალგაზრდა ხელოვანთათვის. ამ ყველაფრისგან დაღლილი საზოგადოება და განსაკუთრებით არტისტები მომავალს ხედავდნენ ახლის ძიებაში. ოცნებობდნენ სრულიად ახალი ტიპის სახელმწიფოზე, სადაც ყველაფერი ძველი წარსულს ჩაბარდებოდა და ახალი ფურცლიდან დაიწყებოდა ათვლა. უნივერსალური ენა, უნივერსალური ადამიანი და გამაოგნებელი მანქანა-დანადგარები. ყველა ცდილობდა უნივერსალურ ცოდნას დაუფლებოდა. მხატვრები მათემატიკასა და ფიზიკას სწავლობდნენ, ფსიქოლოგები ფერწერით იყვნენ გატაცებულები და ა.შ. ისეთი შეგრძნება და მოლოდინი იყო, თითქოს ცოტა ხანში მათ სხვა პლანეტაზე მოუწევდათ ცხოვრება. საზოგადოება, შეიძლება ითქვას, გოდოს მოლოდინში იყო. გოდო მართლაც გამოჩნდა პეტროგრადში პირველად 1917 წლის თებერვალში. პირველადი სამუშაოები წარმატებით შეასრულა და ცოტა ხნით გაუჩინარდა. თუმცა შორს არ წასულა. იქვე, სადღაც, არცთუ მოშორებით მიიმალა და დაიწყო ფიქრი იმაზე, საკუთარი პოზიციები როგორ გაემაგრებინა და დიდხანს როგორ დარჩენილიყო. სულ რაღაც 6 თვე დასჭირდა იმისათვის, რომ გეგმა კარგად შეემუშავებინა. 1917 წლის ოქტომბერში მან თავისი ჩანაფიქრი სისრულეში მოიყვანა და სადმე სხვაგან წასვლაზე აღარც უფიქრია.

ახალი სახელმწიფო, ახალი ნყობა. დაახლოებით ის, რაზეც ოცნებობდნენ რუსი არტისტები. რუსი პოეტი ალექსანდრ ბლოკია ერთ-ერთი პირველი, ვინც გამოეხმაურა და სიხარულით შეეგება ამ მოვლენას. ის მიიჩნევდა რომ ყველა ხელოვანის ვალდებულებაა ითანამშრომლოს ახალ წყობასთან. თავის სტატიაში – „ინტელიგენცია და რევოლუცია", ბლოკი მოუწოდებდა: „მთელი სხეულით, მთელი გულით, მთელი გონებით უსმინეთ რევოლუციას!" 1918 წელს მან დაწერა პოემა „თორმეტი", ალბათ ერთ-ერთი ყველაზე პოეტური და ლამაზი აღწერა რევოლუციისა.

ფუტურისტ კომპოზიტორებშიც დაახლოებით იგივე სურათი იყო. ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა უფრო მეტი სტიმული მისცა მათ მუშაობას და ინსპირაციის ახალი გზებიც იქნა მოძებნილი. მიუხედავად იმისა, რომ ფორმა და გამოხატვის საშუალებები იგივე დარჩა, რაც გასაბჭოებამდე იყო. მეტიც, 1918 წელს ანატოლი ლუნაჩარსკი ოფიციალურად განაცხადებს სერგეი პროკოფიევთან საუბრისას, რომ შემოქმედების საწყისი უნდა იყოს ექსპერიმენტი. თქვენ რევოლუციონერი ხართ მუსიკაში, ჩვენ კი ცხოვრების არსით. ასე რომ ვითანამშრომლოთ და ერთად ვიმოქმედოთ. მაგრამ ეს ყველაფერი მოგვიანებით მხოლოდ ლიტონი სიტყვები აღმოჩნდება: ხელმძღვანელობას მოუწევს გუშინდელი დღის დავიწყება, ისე როგორც ბეკეტის მწყემს ბიჭს „გოდოს მოლოდინში", რომელსაც გუშინდელი წამოქმედარი აღარ ახსოვს მეორე დღეს.

რამოდენიმე კომპოზიტორს ინტუიციამ არ უმტყუნა და მიხვდნენ, რომ დროზე უნდა გასცლოდნენ იმ სიტუაციას და სხვა ქვეყანაში გაეგრძელებინათ თავიანთი საქმიანობა. 1920 წელს რუსეთი დატოვა ივან ვიშნეგრადსკიმ და თავი საფრანგეთს შეაფარა. ნიკოლაი ობუხოვმაც პარიზს მიაშურა, ვიშნეგრადსკიზე ორი წლით ადრე. იმავე გზას დაადგნენ იოსებ შილინგერი და არტურ ლურიეც, ოღონდ მათ ამერიკის შეერთებული შტატები არჩიეს. ეს ორივე კომპოზიტორი ემიგრაციაში გარდაიცვალა. მათ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ტურისტის სტატუსითაც კი ეკრძალებოდათ შესვლა.

რაც კი იქნა შექმნილი კომპოზიტორთა ამ თაობის მიერ, ნაწარმოებებისა თუ თეორიული ნაშრომების სახით, შეიძლება ითქვას, დიდი ხნით იქნა მივიწყებული, ზოგი რამ კი საერთოდ განადგურდა რეჟიმის მიერ. ასევე არცთუ ისე ბევრი ენთუზიასტი და დაინტერესებული ადამიანი მოიძებნა იმ დროს, ვინც მზრუნველობას აიღებდა გადარჩენილი ექსპონატებზე. ამ თაობის მიგნებები მოგვიანებით ხელახლა იქნა აღმოჩენილი სულ სხვა ადამიანების მიერ და სულ სხვა პირობებსა და გარემოში იქნა რეალიზებული. თითქმის ერთი საუკუნე ელოდნენ ეს ხელოვანები თავიანთი სტატუსის აღდგენას. ამიტომაც არის, რომ ხშირად ეს მოვლენა, 1900-1920-იანი წლების რუსული და შემდგომ უკვე საბჭოთა მუსიკალური ავანგარდი მასალის სიმწირის გამო დღესაც კი კითხვის ნიშნის ქვეშ იმყოფება და ვერ იძლევა სრულყოფილ სურათს.





ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფრთხილად, ანგელოზი! – რეკვიემი ცივილიზაციაზე

*(მიხაელ ჰანეკეს „ბენის ვიდეო“)*

*გია ეძგვერაძე*

## რატომ დგას ფრთებდაჭრილობის სურნელი ევროპულ ჰაერში?

წარმოიდგინეთ შვების ის ნეტარი განცდა, რომელიც ისეთი სახლის გარეთ ყოფნისას გიჩნდებათ, რომელშიც სახლის პატრონის მკვდარი სხეული აღმოაჩინეს და რომლის ფანჯრებიდანაც პოლიციელების პროფესიული ჩოჩქოლის, მოწმეების თვალების ცეცების, მეზობლების შეძრწუნებული სახეების და სეირის მოყვარულთა უშვერი უდარდელობის აურა გადმოედინება; მაგრამ, მეორე მხრივ, ადამიანი საკუთარ თავს ამ დროს რაღაც გაუგებარ ცდუნებაზეც იჭერს, რომელიც სწორედ ამ სახლში შესვლისაკენ ექაჩება.

სწორედ ასეთი მწარე გაორებით ცხოვრობს ფრთებდაჭრილ სიზმარს დასავლეთი; – ჩვენი, ქართული სიზმარი კი სხვანაირია.

ერთხელ ქართული სატელევიზიო არხით მაიკლ ჯეკსონის კლიპს უჩვენებდნენ, სადაც ჩვენმა ნახევრად დაშლილმა და ნახევრად ზომბმა მაიკლმა ისეთი ვირტუოზული სამუშაო ჩაატარა – ისეთი ენერგიით, მოძრაობის სიმძაფრითა და ქარიზმით, რომ თითქმის თინეიჯერად მაგრძნობინა თავი. მაგრამ არ დამცალდა – უკვე შემდეგ წუთს ეკრანზე სამი ვეება ქალი შემოჩოჩდა; ვარდისფერ „ანგორის ბლუზკებში" და მუქლურჯ „ტრიკოტინის იუბკებში" გამოწყობილი ეს სამი ზორბა შავი როიალის გარშემო განთავსდა და თვალებმიბლეტილებმა დაიწყეს: „არ გეძინა შენ – არ მეძინა მე''...

თავად ხომ ნამდვილად ღრმა ძილში იყვნენ და მეც მიმაძინეს ქართლ-კახური თუ თბილისური ძილით.

აი, სწორად ასე გვძინავს ჩვენ, თვალღიად – ყველა იმ ისტერიკის, ომისა თუ რევოლუციის მიუხედავად, რაც ჩავიდინეთ, და ყოველივე ეს არც გვეამაყება და არც გვეზიზღება – უბრალოდ ვერც გავერკვიეთ, რა სიზმარი იყო ეს... „ანგორის ბლუზკებიანების“ სიზმარი კი, თავისი უფლისწულ-პრინცესებით, მეფეებით, დემოკრატიით, წამება-გაუპატიურებებით, აღსარება-პარაკლისებით და ასე შემდეგ, ნამდვილად დაგვესიზმრა.

ისე რომ, ჯერ ვერც სახლი გვიპოვია და ვერც ცხედარი შიგნით, რომ ეგებ რაიმეზე საბოლოოდ გული აგვცრუებოდა ან რაიმე შეგვეჯავრებოდა და ასე გულუბრყვილოდ არ ვიყოთ მიტყუებული იმ ფაქტებს და ამბებს, რომელთაც შემდეგ წმინდად ანუ ეროვნულ-სულიერ ნიშნებად ვამკვიდრებთ და მერე ამას თავადაც ვიჯერებთ – მაგალითად: ჩაქაფულს (ჩასუქებული პოლიტიკოსებით), კამეჩის მაწონს (გაპეყვილი და პირჯვრისმწერი სოფლელი მეტრუკებით), ქალწულს (ჩახეული საქალწულო აპკით), ილია ჭავჭავაძეს (პოლიტიკოსებისა და ეკლესიისაგან სისხლ- და სულ- გამოწუწნულს), ილია II-ს (შავი ყორნებით დატყვევებულ-დაკორტნილ კეთილშობილ უფლისწულს), „ვეფხისტყაოსანს“ (გაღმერთებისაგან ჩაქვავებულ-ჩამთავრებულს), დემოკრატიას (სარკოზის და ბრუნის ტრფობით ჩასვრილი ქვეშაგებით), ფიროსმანს (რომელსაც მიეპარნენ და მალე მასაც მოგუდავენ) და კიდევ ბევრ სხვას და ამგვარს.

რა არის მიზეზი ასეთი წმინდათაწმინდა კერპების არსებობის? – ქართულ ცნობიერებაში ინტიმურის და საჯაროს კატასტროფული და დაუძლეველი სიახლოვე, ანუ ის, რომ საჯარო სივრცის ცნობიერება (მაღალი სართულებისაც კი) „აქსამყაროს" ფუსფუსს ვერა და ვერ გასცდა, ანუ სუვერენული და „გაკულტურულებული“ ვერ გახდა და რაც მთავარია, მეტაფიზიკური „გაუხშოებული ჰაერის“ ხიბლს და სიყვარულს ვერ და ვერ შეეჩვია (ნიცშე).

მოკლედ, დღეს ჩვენს „ანგორიანებს“ და „კრებ-ჟორჟეტიანებს“ ისევ გაგიჟებით უნდათ შევიდნენ და დაბინავდნენ იმ სახლში, რომლის მაცხოვრებლებმაც, როგორც გითხარით, ცხედარი უკვე დიდი ხანია აღმოაჩინეს, გამოიტირეს, და ამ სახლის ყველაზე წარჩინებული მოსახლეები დღეს ამ ცხედრის კრემაციის განხორციელების მცდელობებით არიან დაკავებულები (რათა საბოლოოდ არ აქოთდეს იგი).

კრემაციული აქტიურობის მაგალითები უსასრულოდ გამკვრივებულ კაპიტალისტურ რეალობაში (სადაც „საგან/ნიშანთა“ ისტერიული მიმოცვლის ჩართულობიდან გამოთავისუფლების ყველა წამი ჭეშმარიტების სრულ გაცხადებად შეიძლება მოეჩვენოს კაცს) ჰიდრავლიკური ჭაღლით ფილტვებში ჟანგბადის შეშვების ეფექტს გვაგონებს – სასიცოცხლო სუბსტანცია დამანგრეველ ეფექტს იძენს.

წინამდებარე სტატიაში სწორედ სახლის პატრონის გვამის კრემაციის მცდელობაზე მოგიყვებით, ასეთი რიტუალის ერთ-ერთი მთავარი დიდოსტატის შემოქმედების მაგალითზე – რომელმაც გვამი შეიძლება ვერ დაწვა, თუმცა ცეცხლი კი მას ნამდვილად შეუნთო.

ასე რომ – „ტრიკოტინების“, „ანგორების“, „კრებ-ჟორჟეტების'', „სახლში შემომტანების“, მეტრუკების და სარკოზი/ბრუნების ტრფიალების ცეცხლშემნთებები ჩვენც ძალიან გვაკლია.

„ყველას ჯვარი გწერიათ!“




ფილმი იწყება სიკვდილით.

ღორის ზორბა სხეული კონვულსიებში ეცემა მიწაზე – ბროტინის ყრუ ხმები იფანტება და ქრება ყოვლისმომცველ სიცარიელეში...

ფილმის ავტორისთვის ასეთი მძაფრი დასაწყისი არაა ხელსაყრელი. ასეთი სტრესული განაცხადის შემდეგ ადვილი არ არის ფილმში ახალი ემოციონალური მოცულობები შექმნა და იმ შემაძრწუნებელ შფოთს გადააჭარბო, რომელმაც მაყურებელში უკვე დაისადგურა. მაგრამ ამ ფილმის ავტორის მიზანი არაა შექმნილი ემოციური მუხტი კიდევ უფრო მაღალ რეგისტრში აიყვანოს – ჰანეკეს მხოლოდ სურს სათანადო მიუზღოს ყველა იმ უჩვეულო, მოუხელთებელ და ჯადოსნურ თვისებას, რომელიც ქმნის მოვლენას. ისეთ მოვლენას, რომელსაც შესწევს ძალა, ცოცხალი სიცოცხლეს აზიაროს (ანუ სიცოცხლე ხილული/თვალსაჩინო გახადოს) და შემდეგ ამ ცოცხალს ისე გაუძლევს, რომ არ მისცეს დაბრმავების საშუალება. ასეთი ფუნდამენტური მოვლენის სახელია – სიკვდილი (როგორც ფაქტი!).

ფილმი ასევე ღრმად სცემს თაყვანს და მუხლსაც კი უდრეკს სიკვდილის ერთგულ კარისკაცს – შფოთს, რომელსაც ჰანეკე თავისი შემოქმედებით განუწყვეტლივ უკეთებს რესტავრაციას, მკაცრად მოითხოვს და დაჟინებით ნერგავს სამყაროში.

ვინ არიან ანგელოზები?

ცნობილია, რომ მათი მეშვეობით ჩვენ გვხვდება მფარველობა და რაღაცას გვამცნობს უზენაესი ძალა.

ცხოვრობენ ისინი ჩვენს გვერდით? აცნობიერებენ ანგელოზები საკუთარ არსებობას და საკუთარ მისიას? ქმედებენ ისინი საკუთარი ნებით, თუ მათ ხელმძღვანელობენ? გააჩნიათ მათ ინდივიდუალური მეთოდები თავიანთი ზედავალებების შესასრულებლად? ხომ შესაძლოა, რომ ეს დავალებები მათთვის მძიმე ტვირთია და ისინი ეჭვით უყურებენ იმას, რასაც სჩადიან. თუ მართლაც ასეა, მაშინ ეს ძალიან ნაღვლიანი ამბავია.

როგორ გავადევნოთ თვალი და შევიცნოთ ის სრულიად მოუხელთებელი გზები, რომელთა მეშვეობითაც შემოდის მათი მესიჯი სამყაროში?

როგორც არ უნდა იყოს, ანგელოზები ნამდვილად არიან გაორებულები – აქ მყოფები და ამავდროულად არსად; მათთვის დაწერილი იმ როლის მატარებლები, რომელიც სრულიად უცხოა მათთვის. ადამიანები ზეციურის მინარევით... რას უნდა ნიშნავდეს ეს?[1]

და კიდევ კითხვა: საკუთარი მისიის დამთავრების შემდეგ ყოველთვის ასე მიამიტურად კითხულობენ ანგელოზები „შეიძლება ეხლა დაგტოვოთ?" – როგორც ეს იკითხა ბენიმ ფილმის ბოლოში.

რა ტიპის ანგელოზები უყვარს ჰანეკეს?

თუ მისი ფილმებით განვსაზღვრავთ – სხვადასხვანაირი.

მაგრამ თუ ჩვენს მიერ განსახილველი ფილმით ვიმსჯელებთ, ისეთები, რომლებიც კარიბჭეების გასახსნელ სიტუაციებს ქმნიან, რათა ისტორიულმა პროცესმა, რომელმაც ვერ გაამართლა, დატოვოს სცენა და ამით ადამიანის ძირეული განახლების შანსს დაუთმოს ადგილი.

ანგელოზების ქმედებები მრავალგანზომილებიანია და რთულად შესაცნობი. მათ მიერ ბედის წარმართვის მეთოდები, ჩვენს გაგებებთან მიმართებაში, აბსოლუტურად შოკისმომგვრელია და არაადეკვატური.

სწორედ ყოველივე ზემოხსენებულის გამო, ტექსტი, რომელიც მიზნად ისახავს გამოიკვლიოს ანგელოზების მიერ საქმის წარმართვის მოდელების მრავალშრიანი არსი, უნდა მიეძღვნას მათი უცნაური ქმედებების და არაორდინალური გამონათქვამების გაშიფვრას, მათი გაუგებარი ზეგანცდების წვდომას. ასეთმა ტექსტმა უნდა აღმოაჩინოს ანგელოზის ცნობიერის მალული ფიგურები, ყურადღებით დააკვირდეს მის ინტუიციურ ჟესტებს და მიაყურადოს მათი სუნთქვის რიტმსაც კი.

ფილმის პირველი ეპიზოდის იმ პროვოკაციული სიტუაციის გასაგებად, სადაც თინეიჯერი ბენი ყოველგვარი მიზეზის გარეშე, საკუთარ სახლში კლავს მისთვის უცნობ გოგონას, ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ ბენის თავად აქვს სრული მზადყოფნა, სიცოცხლეს გამოეთხოვოს. ეს ანგელოზური თვისება თინეიჯერების ხვედრიცაა – მათი ყოვლნამიერი მზაობა ტრანსგრესიისათვის. მხოლოდ ამ ასაკში შეიგრძნობს მთელი სიმძაფრით ადამიანი მისთვის ნაბოძებ აბსოლუტურად

უნიკალურ თვისებას: განახორციელოს სრულიად შეუზღუდავი თავისუფლების აქტი ეგზისტენციალურ სივრცეში, ანუ საკუთარ თავს სიცოცხლე მოუსწრაფოს, წინ აღუდგეს არსებობის ყველაზე ფუნდამენტურ (თვითგადარჩენის) კანონს.

„იოგურ თვითშეგნებაში ყველაზე გმირული ისაა, რომ ჭეშმარიტ იოგს ყოველ წამს და ყოველგვარი მიზეზის გარეშე შეუძლია სიცოცხლეზე უარის თქმა" – ასე გვასწავლიან ინდური წმინდა სუტრები.

ასეთი უპირობო თავისუფლება მართლაც ღვთაებრივია და ამ ღვთაებრიობასთან ჩვენ ყველანი მეტ-ნაკლებად ვართ ნაზიარები თინეიჯერობის პერიოდში.

ინციდენტის წინ, ბენისა და გოგონას საუბარში თავს იჩენს სიტყვა „მხდალი". ამ სიტყვას მოზარდთა სივრცეში მაგიური ძალა გააჩნია. ოდესღაც, დასავლურ კულტურაში, ამ ცნების დაძლევა ასოცირდებოდა რაინდულ სულთან, რომელიც დღეს არამარტო გაქრა, არამედ მთლიანად ამოიშალა ცნობიერებიდან. იმდენად ამოიშალა, რომ ენაში ცარიელი აღმნიშვნელიღა დარჩა – ყოველგვარი ამოვსების გარეშე.[2] თინეიჯერებს შორის ეს სიტყვა შემდეგ შინაარსს ატარებს: თუ შენში არ დევს იმის უნარი, რომ ყოველ წამს გააკეთო უკანასკნელი ნაბიჯი, ეს ნიშნავს, რომ შენ ადამიანისათვის დამახასიათებელ სპეციფიურ ღირსებას მოკლებული ხარ.

თანამედროვე კულტურის და საზოგადოების ადამიანებს არც კი შეგვიძლია აღვიქვათ, თუ რაზეა აქ ლაპარაკი, ჩვენი ცნობიერება ამ გაგებას მხოლოდ გაურბის.

თინეიჯერი ამბივალენტური არსებაა – გადაჭიმული იდიოტსა და ზეადამიანს შორის.

სწორედ ასეთი, მათთვის დამახასიათებელი ჟრუანტელისმომგვრელი თავისუფლების გამო (რომელიც ადამიანის გვერდის ავლით შექმნილი ნაპრალია ცხოველსა და ღმერთს შორის), მრავალი ეს „მწვანე ნახევარღმერთი" ციხეში ზის, – მანამ, სანამ ანგელოზური ფრთები არ წაატყდებათ.

მაგრამ ბენი, ჩვენი პროტაგონისტი, კიდევ უფრო შორს მიდის.

იგი მზადაა არამარტო წყნარად შეელიოს საკუთარ ცხოვრებას, არამედ ასევე წყნარად ხელჰყოს სხვისი ცხოვრებაც (ყოველგვარი აფექტის ან ისტერიული მდგომარეობის გარეშე). ეს თავისუფლებაზე გაცილებით მეტია და ანგელოზური გზამკვლევობის ნიშანია – მისიის გამტარებლის ინტუიტიური მიმყოლობის თვისება. ასეთ შემთხვევებში საზღვარი პრივატულსა და კომუნალურს შორის და ამ საზღვრის გადალახვის პრობლემა სრულიად გაუქმებულია. ერთადერთი, რაც განცდაშია – მბრძანებელი, ერთიანი, მიმნიშნებელ-დამაკვალიანებელი შინაგანი შეპყრობილობა.

ჩვენს ფილმში ბენი არაა მხოლოდ მკვლელი, არც უბრალოდ ანგელოზია და რასაკვირველია, არც მხოლოდ „იდიოტი თინი"; მკვლელობა კი, რომელიც პირველი შეხედვით შეიძლება ერთმნიშვნელოვნად აღმაშფოთებლად მოგვეჩვენოს, ფილმის ფუნდამენტურ რეალობაში სულაც არ არის მკვლელობა, ის წმინდა წყლის სიმბოლური ფიგურაა.

ბენის მიერ გოგონას მკვლელობის მოკისმომგვრელი ინციდენტი სხვადასხვა სააზროვნო დონეებზე სამნაირად შეიძლება წავიკითხოთ:

პირველ ტრივიალურ (ნარატიულ) დონეზე, ეს მკვლელობა სოციალურ-ეგზისტენციალურ ფაქტად იკითხება და მაყურებლისათვის პროტაგონისტის მორალური ვალდებულებების ჭრილში აღიქმება. ამ განზომილებაში ეს ახალგაზრდა გოგონას მკვლელობაა, უდიდესი ცოდვაა, რომელიც რასაკვირველია უმკაცრესად უნდა დაისაჯოს.

მეორე, ანუ სიმბოლურ დონეზე წაკითხვისას (სადაც უკვე თავს იჩენს სიღრმობრივ პრობლემატიკაში წვდომის ავტორისეული ინტუიცია და ქვეცნობიერი), ეს მკვლელობა გვესახება აქტად, რომელიც მოტივირებს გამოფხიზლებას: ის აძლევს სათავეს ძირეულ მოვლენას – სიკვდილის საჭიროებას სიკვდილის მოსაძიებლად. სიკვდილის, რომელიც მოკლა ჩვენი ეგზისტენციალური სივრცის მედიალურმა გამჟღავნებამ და რომელიც იმ აუცილებელ ფაქტორს წარმოადგენს, რომელიც ცოცხალს სიცოცხლით უზრუნველყოფს.

ასევე პირობით-მეტაფორულ დონეზე არის მოტანილი წაკითხვის მესამე ვერსიაც: გარეგნობით უცნაურობამდე არამიმზიდველი „მოხუცი-გოგონა" (მხოლოდ ასე შეიძლება მოიხსენიოს ადამიანმა მისი სახის გამომეტყველება და ნაკვთები) არ წარმოადგენს ხორციელ არსებას. იგი სიმბოლური ნიშანია ჩვენი უსისხლო კულტურის, რომელსაც გამრღვევი ენერგიის დაკარგვასთან ერთად, ესქატოლოგიური ძალისხმევაც გაუთავდა. გოგონას სახე, ახალგაზრდული ვიტალურობის და სიცოცხლის მასხივებელი მაგიის ნაცვლად, სრული აპათიურობის და დაუინტერესებლობის ანა-



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბეჭდს ატარებს, რაც ჩვენ შუასაუკუნეების დროინდელი აკლდამების ქალთა პორტრეტებიდან გვეცნობა. სახით ის ჩრდილო-რენესანსის მკაცრ ქრისტიან ასკეტებსაც ჰგავს (ჩვენს კულტურაში სულიერების მეტაფიზიკური იდეალი). ნაკითხვის ამ მესამე სივრცეში, გოგონას მეტაფორულ დონეზე მოკვლით, ჩვენს სიცოცხლეგამოცლილ კულტურასა და ცივილიზაციას ეღება ბოლო, რომელმაც (და ამას ჰანეკე მთელი ფილმისა და მთელი თავისი შემოქმედების განმავლობაში გვიმტკიცებს) არანაირად არ გაამართლა (ჰაიდეგერი ამ ტრაგედიას „ცივილიზაციის ყრუ ღამეს" და „ეგზისტენციის ტრაგიკულ ბედს" უწოდებს).

ზოგადად, „მოხუცი-გოგონას" გამომშრალი და უსიამოვნო იმიჯი იმ ისტორიის და კულტურის სიმბოლოა, რომელმაც საკუთარი სტაგნაციით საკუთარ თავს აღსრულების ყოველგვარი შანსი დაუკარგა (გოგონას არ შესწევს გასროლის უნარი, ბენი კი არამარტო მზადაა სიკვდილისთვის, არამედ გარე სამყაროში რადიკალური ჩარევის გამბედაობაც კი გააჩნია). ამ კულტურას აღარ ძალუძს საკუთარი თავიდან გავიდეს, საკუთარი ბედისწერა გადაძლიოს. ამ ტიპის ცნობიერებას მხოლოდ ერთი „გამორჩეული" უნარი შესწევს – არაფრიდან არაფერი გაამრავლოს (მკვლელობის შემდეგ ბენი გოგონას ჩანთაში ცარიელა-საათამაშოს პოულობს, რომელიც მხოლოდ სიცარიელეს ამრავლებს).

ასე რომ ფილმში, არაპირდაპირი შეტყობინებით, ეს მკვლელობა მოჯადოებული წრის გარღვევაა (მკვლელობის შემდეგ დღეს, ქუჩაში, გისოსებს მიღმა, ბენი ყინულის მოედანზე, წრეზე გაუთავებლად მოსრიალე ხალხს უყურებს) – ამ მკვლელობით იქმნება ნაპრალი, რომელშიც ეგზისტენციალური საწყისები მოჩანს და საიდანაც განახლება არის შესაძლებელი.

სწორედ ასეთი საწყისებისკენ ისწრაფვიან ბენი და მისი დედა, როდესაც მკვლელობის შემდეგ აღმოსავლეთში, ეგვიპტეში მიემგზავრებიან, იქით – თვალუწვდენელი წარსულის გადახსნილში, მოუნიშნავში, მოუხელთებელში.

ბენის მიერ ჩადენილი მკვლელობის კვალის დასამალად სახლში მხოლოდ მამა რჩება. მან (!) უნდა გაკემსოს ისტორიის გარღვეული ბადე. მის კისერზეა ამ ბადის არსებობის ფაქტი (და არა დედის და შვილის) – ეს ბადე მისი და მისი მოძმეების შემოქმედების შედეგია, ის, რაც მამაკაცმა და მისმა ცივილიზაციამ მოახვია ადამიანის მოდგმას თავს.




მაგრამ ეს აღმოსავლეთში გამგზავრება (საწყისებთან შეხება), როგორც ადვილი წარმოსადგენი იყო, მტკივნეული აღმოჩნდება დედა-შვილისთვის.

რთულია, ასე პირდაპირ, მოუმზადებლად მოხვდე სრულიად გადახსნილში: სადაც მონიტორების ცივი სინათლის ნაცვლად მზის სინათლის სხივები ყველაფერს უმოწყალოდ წვავს[3], სადაც სახლის კედლების ამოშენებას არ ამთავრებენ, რათა კედლებმა სივრცე არ დაფაროს, სადაც ადამიანები და საგნები ბევრად მკვეთრად და მეტყველად იკითხებიან, ვიდრე სიტყვები და ნიშნები, მიამიტური, შეურყვნელი სილამაზე კი ყველა საიდან ანათებს.

მაგრამ ამ განძს ბენისა და მისი დედისთვის მწარე გემო დაკრავს, რადგან იმის დასტურია, რომ მოგებული ბილეთი ვიღაც სხვას ერგო.

ბახის ღრმად დრამატული საორღანო ნაწარმოების თანხლებით კამერა მელანქოლიური სევდით მოძრაობს სინათლით გადანათებულ, უმანკო ვიტალურობითა და სიცოცხლის ძალებით შრიალა აღმოსავლურ ბაზარში; ჩუმი ტკივილით ადევნებს თვალს უბრალო, გაურყვნელ ცხოვრების წესს, აფიქსირებს სამყაროს ამ ნაწილის ადამიანთა პირდაპირ და გახსნილ (არაგაშუალედებულ) მზერას.

ბახის საორღანო მუსიკა ამ მიზანსცენაში იმის როგორც რეკვიემი იმ ცხოვრებაზე, რომელიც იცხოვრა ამ ოჯახმა და რომელსაც ვცხოვრობთ ჩვენ, მილიონები – პირობით ურთიერთობებზე გაწყობილი სისტემების შიგნით, პირობითი ფასეულობების მიმოცვლით; სიყვარულის და ყოფის პირობით მოდუსში, შიშით შემყურენი პირობით გარემოს და ისევ და ისევ პირობით რეალობაში დაცულობის ძიებით და მასთან შერწყმით.

და აი იელვებს მიზანსცენები: დედა ხალისით ახურავს ბენის გადაპარსულ და განახლებისათვის გამზადებულ თავზე აღმოსავლურ ქუდს. შემდეგი სცენა – ტელევიზორში აფრიკელი ქალების მიერ შინაგანი მთლიანობით და სანდომიანი უბრალოებით სავსე მარტივი და მხიარული სიმღერის სმენისას ბენის დედას ცრემლები წასკდება – იგი მწარედ მოთქვამს სიცოცხლის არქონას, ტირის იმ სიკვდილს, რომელსაც

ის და მის გარშემო მცხოვრები ხალხი დიდი ხანია ცხოვრობენ. იგი ტირის იმ ზომბურ კონდიციაზე, რომელშიც იმყოფება მისი ოჯახი, ნაცია, ცივილიზაცია (სწორედ ასეთი ზომბური მდგომარეობის გამო ერთმა ოჯახმა უკვე მოიკლა თავი ჰანეკეს პირველ ფილმში).

და აი ფილმის ბოლოში, ანონიმური ოფისის ტელეეკრანზე (ნარატიული ხაზით ეს პოლიციის ოფისია) ჩნდება იმედი: სცენას, სადაც ბენი „ღალატობს“ საკუთარ მშობლებს და მათ „უმაღლეს ინსტანციას“ გადასცემს, თან დაყვება ეგვიპტური ვოიაჟის ვიდეოკადრები – გაბერილი, ცაში ასაფრენად გამზადებული ვინდსერფერის იალქანი, რომელიც სულ რამდენიმე წუთში გადაეშვება გადახსნილ სივრცეში. ასეთ სივრცეს გადასცემს ის თავის დამნაშავე მშობლებს. ტელევიზორის ეკრანზე და იმავე მიზანსცენაში ასევე ჩნდება იმედი – დედა-შვილის მოგზაურობის ბოლო კადრები: კამერა მიყვება სინათლის ლაქას, რომელიც სიბნელეში ნელა მიცოცავს მონუმენტურ კედელზე ამოკვეთილ, არქაული ვიტალურობით სავსე იეროგლიფებზე. ამ მცოცავი კადრის მარჯვენა დაბალ კუთხეში დროდადრო ვხედავთ მხიარულად და ფართოდ მოღიმარ ბენის სახეს – რაც უნიკალური პრეცედენტია მთელი ფილმის განმავლობაში. ასე – ტრიუმფალურად, მაგრამ უფაქიზესი გრძნობით, ვეხებით ჩვენ ცივილიზაციის უპირველეს საწყისებს, როგორც განახლების შანსს.

კულტურული სხეული, რომელშიც გაიზარდა ბენი (და რომელშიც მან ასეთი უკომპრომისო ბზარი/ნაპრალი შექმნა), წარმოადგენს ერთ კოლოსალურ მედიალურ რეალობას, რომელმაც მთლიანად ამოავსო დასავლური ცნობიერების სივრცე. აქ, ამ რეალობაში (უფრო სწორად ილუზია/სიმულაკრუმში) აღმნიშვნელთა პირობითმა იმიჯებმა ყველაფერი ხელშესახები გადაფარა. ბენის ოთახში დღის სინათლეც კი არ შემოდის (ეს კვადრატში აყვანილი პლატონის გამოქვაბულია), irგვლივ მხოლოდ მონიტორების ნათებაა – ბენი საკუთარ ქუჩასაც კი ერთ-ერთ მონიტორზე უსხეულო იმიჯად ხედავს. ბენის ოთახი ჩვენი ცივილიზაციის ადამიანის დიგიტალიზირებული ცნობიერების სიმბოლური იმიჯია, რომელიც სიმულაკრების სამეფოა და ანალოგი/ორიგინალი პრინციპულად აღარ გააჩნია. ასეთ სამყაროში ყველაფერი მონუსხულია ორი გამყინვარე წარწუხით, ორი გიგანტური მედიალური რეალობით – ეკონომიკურით და ინფორმატიულით. ფულის ნიშნები და ციფრ-სეგმენტები მეტამორფირებენ სამყაროს და ზომბის ტანად აქცევენ.[4] ამ სიტუაციიდან ხაზობრივი გამოსავალი არ არსებობს. ცხოვრების მთელი დრამატული პოტენციალი, რომელმაც ადამიანი დაუცველობის უსასრულო შესაძლებლობებით სავსე მდგომარეობამდე უნდა მიიყვანოს, ხოლო ამის შემდეგ მას სრული და უპირობო გადახსნილობისაკენ უბიძგოს (საკუთარი თავის მიღმა), ასეთი გლობალური მედიალიზაციის გამო სრულიად პარალიზებულია. უსხეულო, ემოციონალურად უკიდურესად კასტრირებული კატასტროფების იმიჯები ტელევიზორებისა და მონიტორების ეკრანებზე არანაირად არ ეხება ადამიანის სიღრმისეულ გრძნობებს. ფილმში მოკლული გოგონას სისხლი იატაკიდან უადვილესად იწმინდება; იატაკის პრიალა, სინთეტურ ზედაპირზე არანაირი კვალი არ რჩება – ზუსტად ისევე, როგორც არ რჩება არანაირი კვალი ჩვენს ცივილიზებულ/დიგიტალიზებულ სულებზე.

სამყაროსთან ასეთი მიმოცვლის ფორმა მხოლოდ ამაგრებს ადამიანის დაცულობის ილუზორულ შეგრძნებას – აფორმებს მასში „არამონაწილე მონაწილის“ სიმულაციურ „ღვთაებრივ“ განცდას.[5]

ბენი განსაკუთრებული ანგელოზია. ის არც „რელიგიური სულიერების უახლესი პარადიგმის დამფუძნებელი“ ანგელოზია ლარს ფონ ტრიერის ფილმიდან „Bracking the Waves“, არც „დამსჯელი ანგელოზია“ ჰანეკეს სხვა განთქმული ფილმიდან „Fanny Games“ და რასაკვირველია არც ყოველი ჩვენგანის ნანატრი „დამცველი ანგელოზია“.

ბენი მაპროვოცირებელი ანგელოზია, გამომააშკარავებელი მზერის დამფუძნებელი და გამომცდელი – ის, ვინც უზენაეს მართლმსაჯულებას აზიარებს ჩვენს სულს. ბენიში „ადამიანური“, მისი თანატოლებისგან განსხვავებით, თითქმის არ იგრძნობა. ბიჭური ტემპერამენტი, ფილმის განმავლობაში, მასში სულ ორჯერ თუ იჩენს თავს, და იგი გადაფარულია შეცბუნებით და რთული ბუნების შფოთით, რასაც ანგელოზის ნატურა მიწიერთან შეხებისას გრძნობს. მისი სახის ვნებიერი ნაკვთებიც კი არ გამოსცემენ არანაირ სითბოს. მაგრამ ეს „Cool“-ი მედიალური გარემოს ციფრობრივ/ნიშნობრივი კოდების ზემოქმედების ნიშანიცაა: ისე რომ ბენი ორმაგად „Cool“ არის – როგორც ანგელოზი და როგორც რობოტი.



ფილმის დასაწყისის რამდენიმე სცენაში, ჯერ კიდევ მანამ, სანამ ბენი „მოახერხებს" ასე მწვავედ შეიჭრას „რეალურში" (არა რეალობაში, არამედ „რეალურში" – ლაკანისეული ცნება), ღამის ბინდიან კადრში ჩვენ დიდხანს ვუმზერთ თეთრი ზეწრის ნერვიულ ნაოჭებს, რომელთა შორისაც მოქცეული შავი ლაქა ბენის სხეულია. აქ სრულიად სულისშემძვრელ გარინდებაში ყველაფერი გამსჭვალულია ბენის ჩუმი და დადუმებული შეცბუნებით. აქ მისი თინეიჯერულ-ანგელოზური ნატურა შეპყრობილია იმ სიცარიელით, საიდანაც იგი იღებს დირექტივებს. ასეთ მომენტებში სული აცნობიერებს პარადოქსულ ფაქტს, რომ ტოტალური თავისუფლება და ბედისწერა შეიძლება ერთ ხვედრში თანაცხოვრობდნენ და რომ არჩევანის თავისუფლება არის ის ფუნდამენტური და გულისშემძვრელი ვალდებულება, რომელსაც არაშეფარდებითობაში ცხოვრება ეწოდება. ასეთი გამოცდა ერთ დღეს ყველა რჩეულის წინაშე დგება – ეს ღამის სცენები გეთსიმანიის ბაღის რეპლიკაა. აქ ფიქსირდება სრულიად სავსე სიცარიელის უსხეულო არსებობაში შეღწევის მომენტი, როდესაც ძირეული არჩევანისათვის ყველა გზა გადახსნილია – შეიძლება გახდე საზოგადოების გმირი ან ბოროტმოქმედი, ან განდეგილი, ან სულაც დაყარო ფარ-ხმალი – იდიოტის სტატუსს დათანხმდე, ან კიდევ უკეთესი – რობოტად იქცე. აქ, სიცარიელის უსასრულო პოტენციების ტერიტორიაზე ყოფნისას, ყოველგვარი სოციალური დეტერმინაციის მიღმა – წმინდა არარაში და ვალდებულებრივ დამოკიდებულებაში მხოლოდ და მხოლოდ შავ კოსმიურ უფსკრულთან, ხახაგადახსნილი არჩევანი ცდილობს გადაგყლაპოს (როგორც სკორსეზეს ფილმში „ტაქსის მძღოლი" – გმირმა შეიძლება პრეზიდენტობის კანდიდატი მოკლას, მაგრამ ასევე შესაძლებელია, რომ მეძავი ქალი გადაარჩინოს, ან სულაც აიღოს და ამოკი ჩაატაროს – როგორც გას ვან სენტის ფილმ „სპილოს" გმირებმა ქნეს ეს).

......

ბენი და მისი და ევა (თუმცა მას ფილმში თითქმის არა აქვს როლი) სიმბოლური ბინარული წყვილია, სწორედ მათ შორის არის განთავსებული ის უფსკრული, რომელშიც ხორციელდება ოჯახის ჩავარდნა – ბენის მიერ სიტუაციის პრინციპულად წარმოუდგენელი გარღვევის ხარჯზე.

ევა ნიშნობრივი იერარქიის ორგანული წევრია (ეგრეთ წოდებული პირობითი სივრცის კომუნალურობის „არატრავმირებული


ეროვნული ბიბლიოთეკა

მახვერპლი"), მასთან სრულიად შეზრდილი. იგი ოსტატურად ერკვევა მის პირამიდალურ, ფინანსურ სისტემა/სტრუქტურაში (რომელსაც ფილმში სიმბოლიზირებს ფულის ნამატობრივი ზრდის პირამიდული სქემა – თამაში „პილოტი და მგზავრები"). ევა ეკონომიკური მიმოცვლის და მოგების მკვირცხლი და გამჭრიახი მონაწილეა, იგი თავს აღიქვამს, როგორც ნიშანთა სიმდიდრის ნაწილს და მთელი ენთუზიაზმით ცდილობს გამრავლდეს ნიშნებში – იგი თავად არის ნიშანი და ეკონომიკის მედიუმი.[6]

ფილმის პირველ ნაწილში ჩვენ ბენის ბინაში გამართულ წვეულებას ვხედავთ, რომელიც ევამ მშობლების არყოფნის დროს მოაწყო. სახლში უეცრად დაბრუნებული მშობლები მკაცრად ითხოვენ, რომ შეზარხოშებულმა და გალაღებულმა სტუმრებმა, რომლებიც ევას მეთაურობით აზარტულად თამაშობენ პირამიდულ სქემას „პილოტი და მგზავრები", სასწრაფოდ დატოვონ სახლი. შესაძლოა, მშობლების სწორედ ამ უცარი და ინსტინქტიური პროტესტის გამო მოხდა, რომ ბედმა (და რეჟისორმაც), აჩუქეს მათ ბენის მიერ მოტანილი გახსნილი კარის შანსი (ალბათ გახსოვთ კაფკას „პროცესში" გმირი სულ ცოტა ხნით რომ შეყოვნდება დილით ლოგინში და ამ შეყოვნების გამო მთელი მისი ცხოვრება რადიკალურად იცვლის სახეს – რაღაც გადაიხსნა – იწყება „პროცესი").

მშობლების პროტესტი და მათ მიერ თამაშის ჩაშლა ფილმში სიმბოლურ მნიშვნელობას ატარებს. სწორედ ანონიმურ-პირამიდული ეკონომიკური სტრუქტურა არის ჩვენი ეგზისტენციის ის გველეშაპი, საიდანაც იღებს სათავეს ჩვენი ცივილიზაციის ძირეული პრობლემები – გვეუბნება ჰანეკე. ფილმის შემდგომი კადრები კიდევ უფრო ამაგრებს ამ მოსაზრებას. ეკლესიის გუნდში იოჰან სებასტიან ბახის „Inspite of the Old Dragon"-ის მომღერალი ბენის მეგობარი ბიჭუნები მალულად და მიამიტური უდარდელობით გადასცემენ ერთმანეთს ხელიდან ხელში ქაღალდზე განმარტებულ სქემას „პილოტ-მგზავრებისა" (და ასევე თამაშისთვის განკუთვნილ ფულს). ისე რომ, ამ გველეშაპურ სისტემაში ისინიც გარდუვალად ერთვებიან და ამდენად მისი მსხვერპლნი ხდებიან.

ფინალური სცენა კვლავ ანაცვიფრებს მაყურებელს – ბენი, თავის მშობლებს, რომლებმაც ყველაფერი შესაძლებელი გააკეთეს, რაც მათ ძალებში შედიოდა, რათა ბენის კრიმინალური აქტი დაეფარათ, გადასცემს „უმაღლეს ინსტანციას". რა არის ეს? იდიოტი მოზარდის ქცევაში ვალდებულების გრძნობის სრული უქონლობა და არათანმიმდევრობა? თუ ეს ბენის დაგვიანებით გამოღვიძებული და ჭკუაარეული მორალური ვალდებულების გრძნობაა საზოგადოების წინაშე? თხრობის მეტაფორულ-სიმბოლურ წესში არც ერთი და არც მეორე.

რა დააშავეს მშობლებმა და საერთოდ, დააშავეს კი რამე?

პრინციპში, პრივატულ ტერიტორიაზე[7] ბენის მშობლებმა მხოლოდ გმირობა ჩაიდინეს – იხსნეს შვილი ბედისწერისაგან და კომუნალური სივრცის რისხვისაგან. მაგრამ თუ ბენიმ (ნარატიული ხაზის მიხედვით) მშობლები პოლიციას ჩააბარა სოციალური სივრცის მიმართ მათი უპასუხისმგებლობის გამო, მაშინ ფილმი ძალიან უბრალოა და არც ღირს მასზე წერა.

მაგრამ არა, ბენის მოთხოვნები გაცილებით მაღალია.

მშობელთა ზემოთნახსენები გმირობა არანაირად არ იმსახურებს დაფასებას იმ მისიის ფარგლებში და იმ პრობლემის კონტექსტში, რომელიც სივრცეში შემოაქვს ბენის.

ამიტომაც არის, რომ ამ რთულ სიტუაციაში მამის მიერ ბენისთვის ნათქვამი სიტყვები – „მე შენ მიყვარხარ", არაფერს ნიშნავს. ეს სიტყვები ტრივიალური პლატფორმიდანაა ნათქვამი – თითქოს ბენის მამის ნამოქმედარი (კრიმინალური აქტის დაფარვა) შეიძლებოდეს ასეთ ერთმნიშვნელოვანებაზე იქნას დაყვანილი.

ის, რასაც ბენი ცდილობს „გაუსწოროს ბილიკები", შეუდარებლად მაღალა დგას ყველაფერ ადამიანურ-პრივატულ-პერსონალურზე.

მოდით, გავერკვეთ:

მშობლების „უმაღლესი ინსტანციისათვის" ჩაბარება (აქ პოლიცია არ იგულისხმება) ბენის და დედამისის აღმოსავლეთიდან დაბრუნებისთანავე კი არ ხდება, არამედ ჩამოსვლისშემდგომი გარკვეული ფაქტის შემდეგ. მშობლების დანაშაული, ყველაზე ზოგადთან მიმართებაში ის არის, რომ ექსტრემალური სიტუაცია (ბენის მიერ სივრცის გადახსნა), რამაც მათ საკუთარი ეგზისტენციალური არსებობის მიმართ გამოფხიზლების შანსი გაუჩინა, მათ ვერ გამოიყენეს. როგორც კი ბენის მშობლებმა სიტუაცია ასე ვთქვათ „მოაგვარეს", იმ წამსვე სრული მზადყოფნით და დაუფიქრებლად კვლავ მკვდარი სივრცისკენ დაიწყეს მოძრაობა, ანუ ისევ უსახო ბუდეში დაბრუნება – იმ პირობით რუტინაში, რომლის მორყევას და მორღვევასაც ასე ეცადა განგება. უფრო მეტიც, მკვირცხლად მოაზროვნე შვილის, ევას მსგავსად, ახლა უკვე თავად გეგმავენ ფინანსური თამაშის, „პილოტ-მგზავრების" სეანსს საკუთარ სახლში – რადგან ეს თამაში საბოლოო ჯამში სარგებლიანად ჩათვალეს. აი სწორედ ამ მომენტში იკეტება გახსნილი კარი – ანუ განახლების ბოლო შესაძლებლობის უარყოფის, ყინულის მონუსხულ წრეზე სრიალის მდგომარეობიდან გამოსვლის შანსის დაკარგვის შემდეგ. ახლა, ამ წრიდან ისინი ძალით უნდა გაისროლონ და ბოლო ზღვრის წინ დააყენონ. ბენი და მშობლები „უმაღლესი ინსტანციის" შენობის სადარბაზოს კიბეების უჯრედზე ხვდებიან ერთმანეთს, სართულებსა და კარებებს შორის – ესე იგი არსად... ბენი ტოვებს შენობას, მშობლები კი უნდა ჩაბარდნენ „უმაღლეს ინსტანციას". მხოლოდ ამ „უწყებას" შესწევს ძალა, განსაჯონ, თუ რა ჩაიდინა ამ წყვილმა – თუ რად ეღირებათ მათ ის რეაგირება, რომელიც მათ ბენის ანგელოზურ პროვოკაციაზე მოახდინეს.

„მიუხედავად მომლოდინე სიკვდილის პირდაბჩენილი ხახისა, მიუხედავად შენში უწყვეტად დასადგურებული შიშისა, მაინც მშვენიერი და შეარყიე სამყარო. მე ვიდგები აქ და ვიგალობებ სრულყოფილ სიმშვიდეში" (ი. ს. ბახი) მღერის ბავშვთა გუნდი ფილმში.

ყოველივე აქ ნათქვამს მნიშვნელოვანია დავუმატოთ, რომ სინამდვილეში, ფილმში გადმოცემული ბენის მისია ჩვენსკენაა მომართული. იმ ჩვენი უმეცრებისკენ, რომელმაც ჩვენს მიერ ერთხელ მოულოდნელად აღმოჩენილი და შემოთავაზებული სამყარო ასე შეკითხვის გარეშე და ნდობით მიიღო და გაითავისა! მაგრამ სწორია კი ის ყველაფერი, რაც ითქვა? და მართალია თუ არა ის, რომ ჩვენი სიმახინჯე ასე ახლოს დგას ციგურებზე მდგომი პინგვინის იმიჯთან, რომელსაც ბენის დედა გაზეთის ფურცელზე ხედავს?

ეს შეკითხვა სხვა სივრციდანაა – ის ჭეშმარიტების სივრცის ფიგურაა. ჩვენს შემთხვევაში კი, როგორც ჭკვიანი კაცი გვთავაზობს: „იმაზე, რაზედაც შეუძლებელია საუბარი, უმჯობესია მდუმარება შევინარჩუნოთ" (ვიტგენშტაინი); და ამიტომ ჩვენი ტექსტიც და მისი მომყოლი დასკვნებიც „ენობრივი თამაშების" სფეროში დავტოვოთ და „გული არ გავიხეთქოთ".

...მაგრამ, ეგებ მაინც არსებობს რაიმე, სულ მცირედი შანსი(?), გავცდეთ ენობრივ თამაშებს და შევინარჩუნოთ ბენის ბებიის ის პაწაწინა ქოხი ლუქსორში (რომელსაც ვიდეოგაქირავების სალონში მეგობართან საუბრისას მოკლედ ახსენებს ბენი), ნილოსის ნაპირზე, ნამდვილად მწველი მზის ქვეშ, იქ, სადაც ცხედრების დასაფლავებას გახრწნის შიშით არასდროს აყოვნებენ და სადაც ნამდვილი (არა გამოქვაბულის) სინათლის გამო ზომბები არასდროს ჩნდებიან.

P.S. სემიოტიკური ანალიზის თვალთაზრისით ამ ფილმის მთელი ძირითადი საზრისი შეიძლება გამოიხატოს ერთ წინადადებაში: განმსაზღვრელების ზადე შიგნიდან იფეთქებს თავს, რათა განმსაზღვრელი კვლავ მოექცეს ყურადღების ქვეშ და კვლავ გახდეს სამყაროში ენერგეტიკული მუხტის მატარებელი.

1) სრულიად შესაძლებელია, რომ ცხოვრების რაღაც მონაკვეთზე ყოველ ჩვენთაგანს უწევს ანგელოზის როლში ყოფნა. ასევე სრულიად შესაძლებელია, რომ ანგელოზისა და ჩვენს ბუნებას შორის არც ისე დიდი ზღვარია დადებული და ეს ზღვარი იმდენად გამჭვირვალეა, რომ ორმხრივი მოძრაობა შეუმჩნევლად, მაგრამ საკმაოდ ხშირად ხდება.

2) ასაკში შესვლით და კულტურაში ინტეგრირებით სიტყვა „მხდალი" პრაქტიკულად ყოველგვარ აქტუალობას კარგავს. ჩვენი კულტურა პრინციპში სხვადასხვა ჯიშის და ტიპის მხდალების თავშესაფრად იქცა. სიმხდალე ჩვენს საზოგადოებაში მიღებულია, დაცულია და მრავალი კამუფლაჟური სახელითაა შეფუთული.

3) იმასთან კონტრასტზე, რასაც თავად ჰანეკე „Emotional Glaciation"-ს ეძახის, რაც შეიძლება გაიშიფროს როგორც თანამედროვე დასავლური ცნობიერების მოწყვეტილობა ზეაღმნიშვნელების მონსტრულ სხეულში.

4) ვიდეოში, რომელსაც უყურებს ბენი, ზომბი გლიჯავს ავტომობილის საჭეს და უმართავს ხდის მას, რასაც რასაკვირველია კატასტროფა მოყვება. ფილმში მრავალი ასეთი მეტაფორული კომენტარი მოიძიება.

5) ჰანეკე ხელოვნების როლს არანაყოფიერად მიიჩნევს, ხელოვნება მის ფილმში სურეულ რეალობად წარმოგვიდგება. – ბენის სახლში სასტუმრო ოთახის კედელზე ხელოვნების ნიმუშები მიტოვებული და დავიწყებული ჯვარცმებივით კიდია. ფილმის კონტექსტში მათ არანაირი ფუნქცია არ ენიჭება: ისინი ეგზისტენციის ბედის ლამაზ, მაგრამ მის უკან მოჩანჩალე თანამგზავრებად განიხილება. ბენის მზერა მხოლოდ ერთხელ ჩერდება მათზე.

6) ევა ახალი სახის მიმეტურობით შეპყრობილი გამტარია. ამ ტიპმა ადგილი პოსტთანამედროვე დროში დაიმკვიდრა. ეს ახალი ვნება სუბიექტს იმ პირობით ფორმას ამსგავსებს, რომელიც მისი ლტოლვის ობიექტია. ასე ვთქვათ, ადამიანს უჩნდება სურვილი, იგივე თვისებების მატარებელი იყოს, რისი მატარებელიც მისი ლტოლვის საგანია. მაგალითად, ადამიანის სურვილი ხდება, იგივე თვისებების მატარებელი იყოს, რა თვისებებიც გააჩნია ფულს.

ფულადი ნიშანი ისე დიდხანს იმკვიდრებდა ადგილს ჩვენს ფსიქიკაში, როგორც რაღაც უსასრულოდ ნანატრი, რომ ადამიანების ცნობიერებამ დაიწყო ამ ნიშნის თვისება/მახასიათებლების იმიტაცია. მაგალითად: გარკვეული ადამიანების ცნობიერება იმიტირებს ფულის ნიშნის სტატუსს (ქონებრიობის უნარი მოხმარების გარეშე), მის ცირკულაციის ხასიათს (ნაკადურობა – სივრცეში არაფიქსირებული მდგომარეობა და ურთიერთშენაცვლების უნარი), ისე რომ გაჩნდნენ ადამიანი-ნიშნები, „ადამიანი-ფული", რომლებიც არ საჭიროებენ მოხმარებას, მათ არ ჭირდებათ „რეალობები" – სექსუალობისათვის ქალის ან მამაკაცის არსებობა, პროდუქტები მოსახმარად ან მოსანელებლად, კომფორტი დასასვენებლად – ამ ადამიანების ფსიქიკა მოხიბლულია ამ ყველაფრის ნიშნური სახით, ანუ უკიდურესი პირობითობით, პირობით-ანონიმური გაცვლითი რეალობით – რომლის იდეალი ფულის ნიშანია. მათ სურთ კურსირება და მიმოცვლითობა – ყოველგვარი მათი ქონებრიობა მხოლოდ ამას ემსახურება.

როგორც ამბობდა ენდი უორჰოლი – „რა ადვილია, რომ იყო რობოტი – მინდა ვიყო რობოტი"!

ასევე გაჩნდა კიდევ ერთი ტიპის ადამიანი: „ადამიანი-ბანკი". ეს არსებაც ახალი ტიპის მიმეზისის შედეგია, მაგრამ უფრო მაღალი დონის წარმოსახვის უნარის – აბსტრაქტულის – მქონე. ეს ახალი ტიპის ცნობიერება მიმეტურ მიმართებაშია ეკონომიური ნიშნობრიობის ყოვლისშემძლე ძალოვან სტრუქტურასთან, მის ძალოვან ცენტრთან, რომელსაც გააჩნია ნიშნების დაგროვების და ქონებრიობის ყველაზე დიდი პოტენცია; ძალის, რომელიც დგას სამყაროს მიღმა და მას უხილავად მართავს თავისი ნაცრისფერი, შეუმჩნეველი, უსიტყვო ყოვლადმყოფელობით. „ადამიანი-ბანკი" არის სწორედ რომ ბანკი – ეკონომიკის ოპერაციონალურმა სისტემამ მისი სახით თავისი ტრანსცენდენტური სუბიექტი გააფორმა. ასეთ ადამიანშიც მოხმარების სურვილი არანაირად არ არის ნაგულისხმევი.

7) ჩვენს ცივილიზაციაში ბინარული წყვილი „პრივატული-კომუნალური" წმინდათაწმინდა ფორმულად არის შერაცხული, ამიტომაცაა შეუძლებელი, ინტერესები არ გაიყოს და არ შევიდნენ ერთმანეთთან კონფლიქტში – ასეთ სიტუაციაში შეუძლებელია არსებობდეს ერთმნიშვნელოვანი და ერთგანზომილებიანი წარმოდგენები და დასკვნები მართლმსაჯულებაზე. ამ ორი სფეროს ურთიერთდამოკიდებულება პერმანენტული ომი უფროა, ვიდრე თანამშრომლობა.



ი 43/72

# გამომცემლობა „საუნჯის“ ახალი წიგნები

ეროვნული ბიბლიოთეკა





















ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს კულტურისა
და ძეგლთა დაცვის
სამინისტრო

ჟურნალი გამოდის საქართველოს
კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს
მხარდაჭერით

ეროვნული
ბიბლიოთეკა



NEW
ახალი ცისკარი

ISSN 0134-9848
9 770134 984002